

კვირის პალიტრა
გაგა

**შოკოლადის
 ნაქვის ხე
 შოზისათვის**



**როგორ მოიტაცა
 მულა ყოფილი
 რძალი**

**ლენუკა ყიფშიძე: „შანი და
 გიორგის გაყრა ძალიან განვიცადა...“**

**კრისტინი: „რას თქვენთან
 წავიდი, ოცნება ავიხდა...“**



**„უიღბლო“ რიხვეუი
 დაბადებული მესამე
 „სანთელი“
 ვისი ღოცვა აუხდა
 თიქო ჭულუხაძეს**



**მამუკა ონაშვილი
 სიკვდილს
 გადაურჩა**



**სნობილი „ღორები“
 ინდაურის ჩიჩახვიით
 მოგანილი გაჯაღლო...**



**მარტყოვის
 გავრთა სხლი,
 გაქუსული ნაქვის ხე
 და გასრუებული
 იმედაბი...**

როგორ დავისვამთ თავეი კრიმინალისგან ახალი წლის, ოღოვეუი

საშობაო ქაჩი 15 დაეგეიიანი 15 იანიანი



Premier

by Dead Sea Premier

ახალი ზვის ყვადლიუი და საბუიანი ჯობიანი

1 + 1

იუიდა ერთი სასურვალი და
იიიდა საბუიანი ბანსვაიბული



il.Premier - თქუნი ჯანი ბობიბილი

www.il-premier.ge

GTC ვაკუას ქ. №3 II სართული
სახალბო ავთიბი
მარჯანიბილის ქ. №16



ფარნავა ბვის ბაბიბი № 1

ქსელში დანებებული სიყვარულის ამბავი...



– შარვალი მომაწოდე...
– გაცილება არ მინდა, ჩემით გაგიგნებ გზას და არც უკან მოებრუნდები, – ისეუ წავიმწარე ენა, მაგრამ სკამზე გადაკიდებული შარვალი მაინც მივაწოდე.

ზურამ 2 ოცლარიანი კუპიურა გამომიწოდა.
– გაქსით წადი.
– წუხანდელი ღამის საფასურს მიხდი? – სახეზე დამცინავე ღიმილმა გადამიარა.

17

„ლაფებების“ ექსპლემის მიერ „ლაფხეკიეზული“ ნუნა



„მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ახლა გამეხსნა ბედი, რადგან ვინც კარგი გააჩერეს, ყველა, ორგანოს თანამშრომელი აღმოჩნდა და გაუშვეს“.

28

ღორის ნელში დაბადებული ნნობილი აღაშინაბები...



„დღემდე მჯერა ახალი წლის ჯადოსნური ღამის და დღემდე მოთუმენლად ველოდები ამ დღეს. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი ახალგაზრდებში ვერ დავინახე“.

20

„ბაბუი“ ძროხა, „ფარული ბაბუის“ გუნდი ბაბუული აღაშინაბები



„როცა უცხო მამაკაცს მომიყვანდნენ, მანქანიდან „ტრუსიკის“ ამარა გადმოვიდიოდი და ვადასტურებდი, რომ მან მოძრაობის წესები დაარღვია“.

26



№1 (343)
4 - 10 იანვარი, 2007
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები

გიგანტური ახალი წლის გიგანტური „აახმელია“ ანუ „ყველანი ხაზუა!“ 3

■ რეპორტაჟი

შვილების გასათხოვებლად მოყვანილი მკაქლა, „გაჯაზაბული“ ახალი წელი და სრუმორნოვე „შინაბაკა“ 4

■ მადლი

ბავშვთა სახლის გაქუხული ნაქვის ხე და საახალწლო საჩუქრები 5

■ ქარნალისტის რეკლამი

საახალწლოდ ყოფილ რკალს ყოფილი მული შინ ენია 8

■ სახე

ჯადოსნური ჯოხი, ნიკო ლეიშვილის ნაჩუქარი ნაქვის ხე და თიქა ჯამბურის „მეზობელი“ მერიის სათი... 10

■ სასიქო

„შენთან მიდა ყოფნა, გინდ მებიროს ყოფა“... 11

■ დიქუნიტი

„პოლიტიკოსის დუმილი ხშირად მის სიბავაზა უფრო მჭევრმეზუელია“... 12

■ გუანულიანი

„სამი დალია, შუბარბაბა“... 14

■ გულშემაქვიარი

„ქალბო, ქმრის საყვარლებს ნუაშუარს აბრალბთ“... 16

■ რეალური

ქსელში დანებებული სიყვარულის ამბავი... 17

■ ასტროპროგნოზები

ღორის ნელში დაბადებული სნობილი აღაშინაბები... 20

■ გაერჯევა

„უიღბლო“ რისხვი დაბადებული მესაბე „სანთელი“ ანუ რეგორ დალმეს „ჯაოსბაკელი“ თიქო 24

■ ანტიდაქრესანტი

26

■ კოლორიტი

„ჰაკელი“ ძროხა, „ფარული ქამერის“ გუნდი ბაბუული აღაშინაბები და თოქვის ბაბუის ხრიქანი 26

თეთრი სიკვდილი



– გასაგებია, – თავი დაუქნია ანამ.
– ჰოდა, როგორც წესია, იმ კაცმა საჭირო ხალხისთვის „გრევის“ გასაკეთებელი წამლის, ზონაში შეგზავნა გვთხოვა.
– ასე ადვილია წამლის კოლონიაში შეგზავნა? – ჩაურთო ნანამ.

– მე ხომ გითხარით, რომ ჩვენების მოსაცემად არ მოვსულვარ!.. – მოიღრუბლა ახალგაზრდა.

50

■ ეპრანს მიღვა
„ლაფაზის“ მკვლავის მიერ „დაფსემიფაზული“
სუსა და ქარდოპაში მხილავული მამუაა ონაშვილი 28

■ საკითხავი ქალაქისთვის

- ✓ როგორ გავხდეთ გენდერი 30
- ✓ როგორ მოვუარო თავს 31
- ✓ შოკოლადის ნაპვის ხა შოხისთვის 31

■ ჯანმრთელობა

- ✓ ვიშპარნალოთ წვენებით 32
- ✓ ყავა და ჩაი ღვიძლს ელქოვოლისგან იცავს 32

■ ნაშრომი ამბავი
თოვლის ბაბუა „ქასაროგადა“
ანუ „ხარხი სჯობია ღონესა“... 33

■ კრიმინალი
როგორ დავისწავთ თავი
კრიმინალისგან ახალი წლის დღეებში 34

■ ტაიმ-აუტი 36

■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე.
ველური ნაზლის ხეივანი (გაგრძელება) 38

■ ასაკაზი
ოთხი დავუნიყარი დღე ქალაქისთან იტალიაში 42

■ პარსკვლავები

- ✓ დავი ვარი: ბანკში შენახული მილიონები
და 28 წლის ლაფაზი მუდღე
ახალგაზრდობას მინარჩუნებს! 44
- ✓ ჯანუარ ენსტონს მამაკაცებში არ უმართლებს 45
- ✓ კეიბ მოსი 2006 წლის ყველაზე
მოღურად ჩამოვლ ქალად აღიარეს 45

■ ავტო 47

■ ფაქტობები
ტივრი ანრი – „არსენალის“ მთავარი მეთოფა 48

■ ქართული ღვთაებები
გონა მანვლიძე. თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50

■ ტაქარი
„მინეარის კლდესა შინა
არინა ქვაბნი გამოქვათილინი“... 54

■ საზრდო
სასონარკვეთილი დინასელების
არაჩვეულებრივი თავგადასავალი 55

■ თინეიჯერული პონებები
სინფარვალება ონანის პრინცი და „ჯეოსტარლის“
გულისთვის „დასოილი“ თავყანისმხაფელები... 57

■ მინიჯოფანი
მთელ ქვეყანას, სანიფლოდ... 63

■ გომოდერი მოხაიკა 64

■ პორსკოვი
ქვირის (4-10 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი 66

■ გნტი 70

■ სქანოვლი 71

■ ...და გოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტალიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუენალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუთგაბათობით
გაზმთ „კვირის პალიტრის“ ღამაბამა
ფურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებების ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ბანკში შენახული მილიონები და 28 წლის ლაფაზი მუდღე



– გაგვიმხილეთ საიდუმლო –
როგორ ახერხებთ ამას?
– ახალგაზრდობის შენარ-
ჩუნების ყველაზე იოლი საშუალე-
ბა საკუთარი ორგანიზმის შესწავ-
ლა და მისი დაცვაა.

44

ოთხი დავუნიყარი დღე ქალაქისთან იტალიაში




„ისეთი შთაბეჭდილება მქონ-
და, თითქოს ფეხბურთელის მაი-
სურით დავიბადე, რადგან ორი
წლის ასაკიდან მოყოლებული,
ბურთს დავდევ დედა ჩემი ყველაზე
ერთგული გულშემატკივარი გახ-
ლდათ“.

42

როგორ გავხდეთ გენდერი

გაცხარებული მუშაობისას, ოფისიდან გადით პარკში



და გაისეირნეთ –
გონიერ ხელმძღ-
ვანელს შეგიძლი-
ათ აუხსნათ, რომ
გვინს „განიაფება“
ესაჭიროება.

30

veluri wablis xeivani




– ვინ არის შენი ქმარი,
ბიზნესმენია?
– იმას რომ ჰკითხო, კი.
„ვალუტჩიკია“, კუნტეები
აქვს, ვალუტის გადამცვლე-
ლი...
– და როგორ დააღწიე
თავი, რანაირად გამოექე-
ცი მაგ ნაბიჭვრებს?

– კარის დაკეფა დააფიწყდა, გათიშული იყო
სულ, იჩხირაფდა ალბათ – ის, ვისაც საჭმელი
შემოტქონდა ჩემთან... სიგარეგი არა გაქვს? –
სთხოვა ანიმ.

38

გიგანტური ახალი წლის გიგანტური „პახმელის“ ანუ „ყველასი ხაშზე!..“



კიდევ ერთი ძველი წელი გავაცილეთ და ჩავაბარეთ წარსულს ჩვეული ზარ-ზეიმით. თუმცა, ზეიმსაც გააჩნია: ასეთი პომპეზური დახვედრა საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, ბოლო ორი ათას ექვსი წლის განმავლობაში არც ერთი წლისთვის არ მოგვიწყვია. არიქა, ღორის წელიწადი მოდისო და იმდენი საქმელი გავაკეთეთ, თითქოს, რაც დედამინის ზურგზე ღორი და გოჭია, ყველა თბილისში უნდა მოსულიყო.

არა, შეუჭმელი კი არაფერი დარჩა (მაღას არც ძაღლის წელიწადში ვუჩიოდით), მაგრამ „ასტროლოგიურ ღორს“ მართლაც ბევრი შესძლება.

მოკლედ, იყო ჯამთეფშების გადანოდება, „შეყვარებული მახლავს და კარგი ხორცის ნაჭერი შემირჩიე“, „ორსულად ვარ და ორი თეფში მერგება“, „ჩავხტები და მე თვითონ ამოვარჩევ“, „ბარკალი გამიჩალიჩე, ძმობაში“ და ა.შ. არც ხაჭაპურმა შეირცხვინა თავი: მართალია, ზოგი მოძველებულ ხუმრობას ახლებურად ამბობდა და — ამ გიგანტურ ხაჭაპურში ყველი თუ არა, ძროხის პოსტერი მაინც ჩაედოთ! — მაგრამ მთლიანობაში, მაინც სახალისო სანახაობა იყო. რაც შეეხება გიგანტურ გოზინაყს, მართლა ისეთი ხარისხიანი იყო, რომ ვისაც 12-მა საათმა გოზინაყის ჭამისას მოუსწრო და ახალი წლის მოსვლა ერთმანეთს გადაკოცნით მიულოცა, ისე მისწებებიან ტუჩებით, რომ ახლაც „ზასაოზენ“.

იყო სხვა გიგანტური სანახაობები, კონცერტი, ფეიერვერკი, ბათქაბუთქი და ეს ყველაფერი ცხინვალის მისადგომებთან ან ენგურის სიდან რომ აგვეფეთქებინა, შენი დე ფაქტო პრეზიდენტები თავქუდმოგლეჯილები გაიქცეოდნენ.

რაც შეეხება ახალი წლის ღამის უმთავრეს ფიგურას — მეკვლეს, ამ მხრივაც მაღალ დონეზე იყო ყველაფერი ორგანიზებული. მეკვლეობა თვითონ პრეზიდენტმა იკისრა. ვერ გეტყვით, როგორი ფეხი აქვს, მაგრამ ერთი კი ფაქტია: მაგაზე კარგ მეკვლეს ვერსად ნახავთ, რადგან თუ მოვიდა და

ახალი წელი მოგილოცა, რასაც გისურვებს, არ არსებობს, რომ არ აგისდეს. მაგალითად, მოხუცთა თავშესაფარში რომ მივიდა, მათ უკეთესი პირობები და პენსიის მომატება უსურვა და აგერ ნახავთ, თუ არ აუსრულდეთ; მერე, მეტროში ჩავიდა და ყველას ბარაქა უსურვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტროთი მგზავრობა გაძვირდება; „თბილწყალს“ წყლის ძალა უსურვა ანუ წყლის მარაგის დაგროვება, „თბილღვინოს“ — ღვინოების დაგროვება, „თბილგაზს“ — ???



მოკლედ, როგორც ქართველებს გვჩვენია, ზუსტად ისე ვიხეიშეთ და ვიღრიანცვლეთ დილაშდევ. თავი არ დავზოგეთ და იმდენი ფული დავხარჯეთ, რომ „პახმელიისთვის“ გიგანტური ხაშის ან „ბორჯომის“ ფულიც არ დავიტოვეთ ჯიბეში, თორემ ხომ შეიძლებოდა, საქონლის ფეხებიც ჩაგვედგა იქვე, რიყეზე, გიგანტურ ქვაბში — სანამ საცივით და ხაჭაპურით ექვიფობდით, დილაშდევსეც მოიხარშებოდა და გამთენიისას, პირდაპირ ხაშზე გადავიდოდით, თითო „გიგანტურ“ 100-100 გრამ ჭაჭასაც მივაყოლებდით და დავიძინებდით. ახლაც ეს ნამთვრალევი ხალხი ისე დაბორიანებს ქალაქში, რომ სახლს ვეღარ აგნებს.

მოკლედ, მთელი ქვეყანა „პახმელიაზეა“. კიდევ ერთხელ, მაღლობა მოძმე რუსეთის მთავრობას, „ბორჯომი“ რომ აკრძალა და მარაგი დაგიგროვდა, თორემ ჩვენი ამბავი რომ ვიცი, „პახმელიაზე“ ლუდითა და არყით გამოსვლამ შებრუნება იცის, მერე გადავაბამთ ქეიფს ქეიფზე და მანამ არ გავჩერდებით, სანამ „გიგანტურ ამჟულას“ არ ჩავვიდგამენ მთელ ვერს...

P.S. 1-ელი იანვრის დილა კანცელარიაში:

პრემიერ-მინისტრი:

— ბატონო პრეზიდენტო, მინისტრთა კაბინეტი დილის ხაზზე მოწყობილია.

პრეზიდენტი:

— დილის ხაზზე კი არა, დილის ხაშზე მოენწყვეთ-მეთქი, თორემ, გასკდა თავი!..

პროვოკატორი

შვილების უსასიხოვებლად მოუხანირო მიუჯლო, „ჯაჯახბულო“ სახლი წელი და ცნობილი „მუხე“ „შინახლო“

ყველა ცდილობს, ახალ წელს მხიარულად, ბარაქანად და ორიგინალურად შეხვდეს. ამ დღესასწაულს ზოგი რესტორანში, მეგობრების გარემოცვაში ხვდება, ზოგი — ოჯახში, ზოგს კი, მიუხედავად იანჭრის ცივი ამინდისა, მისი აღნიშვნა ქუჩაში მოსწონს. მით უფრო, რომ წლებგანდელი ახალი წელი (ხელისუფლების წყალობით), სხვა წლებისგან განსხვავებული და დასამახსოვრებელი იყო — როცა რეკორდული სიდიდის გოზინაყი გააკეთეს, გიგანტური ხაჭაპური გამოაცხვეს და ზედ ორ ტონამდე ინდაურის საცივიც დაურთეს... იმის გამო, რომ სიცივეს ვერ ვიტან, ახალ წელს როცა არ შევხვდით, თუმცა, ძალიან მაინტერესებდა, რას ფიქრობდა ამ კულინარიულ „შედეგებზე“ ხალხი. ამის გასარკვევად, დილაადრიან გავედი ქუჩაში, სადაც ისეთი სიჩუმე იყო, თბილისს რომ არ სჩვევია. ავტომობილები კანტიკუნტად მოძრაობდნენ. თავდაპირველად, ვერც ერთი გამკვლევი ვერ შევნიშნე. ფეხით გასეირნება გადაწყვიტე და პეკინისკენ მიმავალ გზას დავადექი. რამდენიმე წუთში ახალგაზრდების ყვილ-ხვილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. 18-20 წლის გოგო-ბიჭები მოუყვებოდნენ ქუჩას და ეტყობოდათ, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. ისინი შევარჩე და ახალი წელი მივულოცე. როცა ჩემი ვინაობა გავუმხილე და ვკითხე: სად და როგორ აღნიშნეთ ახალი წელი-მეთქი? — გოგონებს ორონულად ჩაეცინათ, ბიჭები კი ერთდროულად ალაპარაკდნენ.

ნათია ჭივიძე

— ერთი თვით ადრე გვექონდა გადაწყვეტილი, ახალ წელს რესტორანში შეხვედროდით. ორი კვირით ადრე დავიარეთ ყველა რესტორანი, იქაური ფასები ვიკითხეთ. გოგონებს ძალიან უნდოდათ, ისეთ რესტორანში წასვლა, სადაც ცოცხალ მუსიკასთან ერთად, რაღაც მოუც იქნებოდა. მათ სახალწლოდ გულს ხომ არ დაეწყევდი? მიუხედავად იმისა, რომ ევ სიამოვნება თითო კაცზე 100 ლარი დაჯდა, მაინც, ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში დავჯავხნეთ მაგიდა და ახალ წელსაც იქ შეხვდით. — მას სიტყვა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა ჩამოართვა — ძალიან მაგარი დრო ვატარეთ. გაგვიმართლა, რესტორანში ბანძი „ნაროდი“ არ იყო. მაგარი „სვეტსკი“ პონტი „გაიჩითა“ და კარგადაც „გაავჯახეთ“...

— ახლა უკვე დღის 2 საათია. აქამდე რესტორანში იყავით? — ვიკითხე. ჩემთან საუბრის სურვილი გოგონებმა გამოთქვეს და ერთ-ერთმა მათგანმა მიპასუხა:

— არა, დაახლოებით, დღის 9 საათი

იქნებოდა, როცა დავიშალეთ, მაგრამ ერთი ჩვენი მეგობარი გოგონა ძალიან დათვრა და შინ მივიყვანეთ, მშობლებს ჩავაბარეთ. აბა, ამ ახალ წელს სახლიდან ისე ვინ გამოგვიშვებდა, შეგვიპატიჟეს და იქ განვაგრძეთ ქეიფი. ისე გვეძინება ყველას, ერთი სული გვაქვს, შინ როდის მივალთ...

ბოლოს, იმითაც დავინტერესდი, თუ რა ჩაიფიქრეს ახალი წლის ღამეს აღმოჩნდა, რომ ბიჭებს ავტომობილი და კარგი სამსახური უნდათ, გოგონებს კი, ღირსი წელიში პირადი ცხოვრების მოწყობის იმედი აქვთ... მათ ჯგუფს გავცდი თუ არა, გზის საპირისპირო მხარეს შუახნის ქალბატონი შევნიშნე. სწრაფად გადავჭერი ქუჩა და ახლა მას დავუსვი იგივე კითხვები.

— რა გითხრა, აბა, გოგონა. ახალ წელს ჩემს ოჯახთან ერთად შეხვდით, თუმცა, მე ეკლესიურად ვცხოვრობ და ჩემთვის ახალი წელი 14 იანვარს დგება. უბრალოდ, ვიდრე 12 საათი შესრულდებოდა, ხატების წინ დავდექი და ჩემი ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის ვილოცე, მერე სახალწლო გადაცემებს ვუყურე. ახლა ეკლესიაში მივდივარ, ლურჯ მონასტერში, სადაც ბარაქის პარაკლისი ტარდება...

ქალბატონს დავემშვიდობე და გზა განვაგრძე. რამდენიმე შემხვედრი გამკვლევი ისეთი მთვრალი იყო (რა თქმა უნდა, მამაკაცებს ვგულისხმობ), რომ იტყვიან, ენას პირში ვერ აბრუნებდა. მგონი, თვითონაც არ ახსოვდათ, სად და როგორ შეხვდნენ ახალ წელს. ამ

დროს ავტობუსმა ჩამოიარა და გადავწყვიტე, რესპონდენტები ახლა იქ მექებნა. თითოეულ მეგობარს ნაბახუსევი სახე ჰქონდა. ერთ-ერთ მამაკაცს გვერდით მივუჯექი და წინა დღის ამბები გამოვკითხე. სიცილი დაიწყო და გულახდილად მიამბო თავს გადახდენილი კურიოზი:

— შინ სამი გასათხოვარი ქალიშვილი მყავს. სამივეს ნორმალური გარემოება აქვს და თაყვანისმცემლებიც არ აკლია, მაგრამ რატომღაც, არც ერთი არ თხვავდება. მე კიდევ, უკვე 50 წელს გადავახიჯე და შვილიშვილები მინდა. გადავწყვიტე, ახალ წელს მეკვლედ ძალი მიმეყვანა ოჯახში. წინა დღეებში „უქსნი ბედინერს“ ვუყურე და ვიფიქრე, ვცდი, იქნებ, მეც მეშველოს-მეთქი. გოგონებს მეგობრები ჰყავდათ სტუმრად... ახალი წლის მობრძანება შამპანურით აღვნიშნეთ და



უკვე 50 წელს გადავახიჯე და შვილიშვილები მინდა

მერე ეზოში ჩავედი, რომ „გარაჟიდან“ ძალი ამომეყვანა. ავედი სახლში, მაგრამ რად გინდა? არ ვიცი, კარს რა მოუვიდა, ვერაფრით გავალეთ. სხვა გზა რომ აღარ მქონდა, ავტოფარეხში დავბრუნდი, ხელსაწყოები ამოვიტანე და კარის საკეტი მთლიანად დავშალე. როგორც იქნა, სახლში შევედი თუ არა, ჩემი მეკვლე უფროს ქალიშვილს მიახტა. ვნახოთ, იქნებ, მართლა გავათხოვო... ისე, რატომ უნდა ჩავეტილიყო ის კარი, ვერაფრით მივხვდი... ახლა ჩემი მეგობრის ოჯახში მივდივარ, ახალი წელი უნდა აღვნიშნოთ...

ამ რესპონდენტმა კარგ განწყობილებაზე დამაყენა... ვაკეში ტრანსპორტიდან ჩამოვედი და იქვე შეკრებილი ახალგაზრდებთან მივედი, რომლებიც წინა დღის ამბებს იხსენებდნენ და საკმაოდ ხმაბლდა იცინოდნენ. მათ მივესალმე და ვკითხე: როგორ შეხვდით ახალ წელს-მეთქი?

— რამდენიმე ბოთლი შამპანური ვიყიდეთ და პირდაპირ ქუჩაში, როცა კონცერტებისა და ფეიერვერკების ფონზე აღვნიშნეთ ახალი წელი. ჩვენი მეგობარი ია, რომელთანაც ახლა სტუმრად მივდი-



ჩვენი მეგობარი გოგონა ძალიან დათვრა და შინ მივიყვანეთ, მშობლებს ჩავაბარეთ



ბავშვთა სახლის გაუცუნი ნაჭვის სე და სასანდომო სარუქრები

„სულ გვპირდებათ, მაგრამ მერა ან გაბახსენდებათ და ან - არა“...

ვართ, საკმაოდ დათვრა და შემოგვთავაზა: ახალი წელი ერთმანეთს განსხვავებული სასმისით მივულოცოთ, თუ ამ დღესასწაულს პატივისცემით არ მოვეყვრობი, ვერც წელს გავთხოვდები და იქითა წელს, უკვე შინაბერა ვიქნებიო... საგონებელში ჩავცვივით, რადგან შუა ქუჩაში განსხვავებული სასმისი სად უნდა მოგვეძებნა, ია კი, თუ რამეს იტყოდა, აღარ გადათქვამდა, მით უფრო, რომ მთვრალი იყო. ხელში ერთჯერადი ჭიქები გვეჭირა და ვფიქრობდით, რა შეიძლება გამოგვეყენებინა განსხვავებულ სასმისად. ორიგინალური იდეა ისევ იას გაუჩნდა, დაიხარა და ჩექმა გაიხადა. ვერ მივხვდით, რას აკეთებდა. ცალ ფეხზე დადგა და ბიჭებს გაუწოდა, შემთხვევით ერთი ეს სასმისიო. კინალამ გავგიჟდით. ჩვენ ჯერ ხუმრობა გვეგონა და სიცილი დავინწყეთ, მაგრამ ის სერიოზულად ითხოვდა: შემთხვევით „სასმისიო“! ვერაფრით გადავარწმუნეთ, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყო. გაგვეუბნა და სახლში გაიქცა. ახლა მასთან მივდივართ, უნდა შევასხენოთ, როგორ „გაჭყდა“ წუხელ და მამამისსაც უნდა ვუამბოთ, როგორი ლოთი ქალიშვილი ჰყავს...

გოგო-ბიჭები მხიარული სიცილით დამშორდნენ და მითხრეს: თუ დაგჭირდება, იას განსხვავებული სასმისის იდეა შეგიძლია, შენც გამოიყენო. ამაზე უკეთეს ამბებს ალბათ, სხვები ვეღარ მომიყვებოდნენ და გადავწყვიტე, ბაგებში მოქვიფე ჩემს მეგობრებთან ავსულიყავი. საღამოს, მეორე მეგობართან გადავინაცვლეთ და დროს ტარება იქ განვაგრძეთ. დაახლოებით 5 საათზე, ჩემმა ერთ-ერთმა ყველაზე „ჭკვიანმა“ მეგობარმა გადაწყვიტა, პარლამენტის წინ რომ ნაძვის ხეა, იმასთან მინდა სურათის გადაღება და ახლავე წავიდეთო. არც დანარჩენები აღმოჩნდით მასზე ნაკლები „ჭკვიანები“ და მისი წინადადება მაშინვე ავიტაცეთ. ჯერ პარლამენტის წინ გადავიღეთ სურათები, მერე მერიის შენობასაც ვესტუმრეთ. ტაქსის გარდა, ქუჩაში სხვა მანქანა არ მოძრაობდა, ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. მთელ თბილისს ახალი წლის პირველი ღამის ღრმა და ნაბახუსევი ძილით ეძინა...



ჩემი ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის ვილოცე, მერე საახალწლო გადაცემებს ვუყურე

ახალ წელს თითქმის ყველა ადამიანი ოჯახთან ერთად სვდება და თავს ბედნიერად გრძნობს. გამოჩვეულებები მხოლოდ ბავშვთა სახლის მოზინდრები არიან. რამდენიმე თვის წინ, მარტყოფის ბავშვთა სახლს ვენციე მაშინ ბავშვები ისე თბილად შემხედნენ და დამიმეგობრდნენ, რომ სულ მინდოდა, კიდევ ერთხელ მომენახულებინა ისინი. წინასახალწლოდ „ვიკროს პალიტრა“ მარტყოფში გაემგზავრა, რათა მათთვის ახალი წელი მიელოცა.

როცა ბავშვთა სახლის ეზოში შევედით, ყველა მოზარდი ფანჯარას მოაწყდა და მინაზე ცხვირმიჭყლეტილები ცდილობდნენ გაერკვიათ, ვინ ვიყავით. გარეთ გამოსვლა მხოლოდ ერთმა პატარა ბიჭუნამ გაბედა. როცა მას ვუთხარით, რომ მათთან ახალი წლის მისალოცად ვიყავით მისულები, შენობაში შევარდა, რამდენიმე წუთში კი, სხვა თანატოლებთან ერთად გამოვიდა და შემოგვთავაზა, მანქანის გადმოტვირთვაში მოგესმარებითო.

ბავშვები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ცელოფანი დაეჭირათ, ყველაფერში ცხვირს ყოფდნენ, აინტერესებდათ, რას ვჩუქნიდით. შენობაში შესვლისთანავე ჩემი ძველი მეგობარი, 16 წლის ფატი მოვიკითხე. ბავშვებმა გაოცებულებმა შემომხედეს — ნუთუ, არ იცი, რომ ფატი გათხოვდაო?..

ნათია ქვიპაძე

— მე ხომ გახსოვარ? გოგა მქვია. — მითხრა თხუთმეტიწლიანი წლის ბიჭმა. — ფატი ჩემს ნათესავს გაჰყვა ცოლად. აქვე ცხოვრობენ, ლილოში. ერთმანეთი სულ რამდენჯერმე ჰყავდათ ნახაი, ახალი გაცნობილები იყვნენ და როგორ მოახერხა ფატიმ, რომ ასე მაღალ ცოლად გაჰყოლოდა, არ ვიცი. ისე კი, ის ჩემი ნათესავი ძალიან კარგი ბიჭია. სამაგიეროდ, ფატი გახდა ძალიან და არ უხდება. — ჩამოარაკრავა გოგამ. ამასობაში, ჩემი ყურადღება დანარჩენმა ბავშვებმა მიიპყრეს, რომლებსაც ერიდებოდათ და საჩუქრებს ხელს არ ჰკიდებდნენ, მაგრამ ცნობისმოყვარე თვალთ ხან ერთ შეკვრას ჩაუვლიდნენ გვერდს და ხან — მეორეს. გადავწყვიტეთ, ჯერ დაგვესაჩუქრებინა ისინი და საუბარი მერე გაგვეგრძელებინა. ბავშვებს განსაკუთრებით, ტანსაცმლის დანახვა გაუხარდათ. მათ გვთხოვეს — რომ არ ვიჩხუბოთ, იქნებ, ყველაფერი თქვენვე გავგინანილოთო. ასეც მოვიქვეით,

მაგრამ მაინც, ყველაფერს ერთმანეთს ჰგლეჯდნენ ხელიდან... ბავშვებს შორის, რამდენიმე ისეთი მორიდებული აღმოჩნდა, რომ ახლოსაც არ მოგვეკარა. ამიტომ, მათზე ცოტა უფრო თამამი ბავშვები ზრუნავდნენ. ისინი ყურში მეჩურჩულებოდნენ, იმათ აქ მოსვლის რცხვენით და იქნებ, მათთვისაც მომცეთ რამეო... ისევ საჩუქრების განაწილებით ვიყავი დაკავებული, როცა ერთი ქერა, ლამაზი გოგონა მომიახლოვდა და გაბრწყინებული თვალებით საჩუქრებისთვის მადლობა გადაიხადა.



ბავშვებს შორის, რამდენიმე ისეთი მორიდებული აღმოჩნდა, რომ ახლოსაც არ მოგვეკარა



ბავშვებს განსაკუთრებით, ტანსაცმლის დანახვა გაუსხარდათ

— გასულ წელს რომ გვსტუმრეთ, მგონი, აქ არ იყავი, არ მახსოვხარ. — გამოველაპარაკე.

— დიახ. ზეგ მეექვსე თვე შესრულდება, რაც აქ ვარ. დღეებს ვითვლი ხოლმე და ზუსტად ვიცი. — უცებ, თვალები გაუბრწყინდა და მითხრა — მე მარი მქვია. იცი, ძალიან კარგად ვუკრავ პიანინოზე. მიყვარს ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენის ნაწარმოებებსაც ვუკრავ. მიყვარს პიანინო. სწავლაც ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით, ფიზიკა და მათემატიკა მსიბლავს. აქ ბავშვები დროს გართობას რომ უთმობენ, მე ვმეცადინებო.

— მშობლები არ გყავს? — ვკითხე და მაშინვე შევნიშნე, როგორ დაუსევდიანდა თვალეები.

— მამა არასოდეს მინახავს და არც კი ვიცი, ვინ არის. დედა მყავს, მაგრამ სახლში დაბრუნება არ მინდა, რადგან მას „ფსიქოზი“ და „შიზოფრენია“ სჭირს — სახლში მკეტავს ხოლმე და სწავლის საშუალებასაც არ მძლევს. აქ ყოფნა სჯობია. ესენი კარგი ბავშვები არიან და ერთმანეთი ძალიან გვიყვარს...

საუბარში გოგა ჩაგვერთო:

— გატყუებს, ბიჭები და გოგოები ერთმანეთთან ხშირად ვჩხუბობთ. ჩვენ ვეხუმრებით, ესენი კი — ბრაზდებიან.

ჩვენს გუნდს კიდევ ერთი გოგონა მოუახლოვდა და ჩუმიად ჩაილაპარაკა: მე ნათია მქვია. — როცა გაიგო, რომ ჩემი სეხნია იყო, უფრო გათამამდა და საკუთარი ამბავი ყოველგვარი კითხვის დასმის გარეშე მიაშობო.

— უკვე მეორე კვირაა, რაც აქ ვარ. არ მიჭირს აქ ყოფნა, პირიქით, კარგად ვერთობი. დედა და მამა ერთმანეთს კარგა ხანია, დაშორდნენ. დედა წლებია, საბერძნეთშია და მას შემდეგ, არ მინახავს. აქ ნათესაებებმა მომიყვანეს... აქ კარგად გვივლიან, სტუმრებიც ხშირად მოდიან და საჩუქრები ჩამოაქვთ ჩვენთვის.

— ახალ წელს როგორ უნდა შეხვდეთ?

ანყობით. ერთი სული მაქვს, როდის მოვა ახალი წელი.

— ამ დროს, 12 წლის ანი მოგვიახლოვდა:

— იცი, რა არის ჩემი საახალწლო ოცნება? ანრი ჯოხაძე რომ მოვიდეს ჩვენთან. ვგიჟდები ამ მომღერალზე. გან-



ერთი სული მაქვს, როდის მოვა ახალი წელი

საკუთრებით, ის სიმღერა მიყვარს, წელი რომ არის... მაგრამ აბა, როგორ მოვა ანრი. არ ამიხდება ეგ ოცნება... იცი, ჩვენი ბიჭები „ბრეიქ დანსს“ ძალიან მაგრადა ცეკვავენ.

— ცეკვის მასწავლებელი გყავთ?

— არა, მუსიკალური ცენტრი გვაჩუქეს და თვითონ ისწავლეს ბიჭებმა ეგ ცეკვა. ძალიან მაგარია.

— მუსიკის მასწავლებელიც არ გყავთ?

— გვყავდა, მაგრამ რუსთავში ცხოვრობს ის ქალი და საშუალება აღარ აქვს, რომ აქ იაროს. ჩვენც გული გვწყდება ამაზე. თითქმის ყველას გვიყვარს სიმღერა...

საუბარ-საუბარში საკლასო ოთახში გადავინაცვლეთ, სადაც

დანარჩენი ბავშვები ნაჩუქარ ტანსაცმელს ირგებდნენ. კლასის ბოლოში ნადვის ხე ედგათ. გავიოცე, ძალიან ლამაზი ნადვის ხე გაქვთ-მეთქი. გოგამ დამცინავად ჩაილაპარაკა: რას გვატყუებ, განა, არ ვიცი, რომ გაქუცულია. სათამაშოებიც სულ სამი ცალი კიდეა, ვერ ხედავო?... —

გული დამწყდა...

ერთ-ერთი მერხიდან საოცრად ლამაზმა ბავშვმა შემომცინა, რომელსაც ნაჩუქარი ტანსაცმლის ნახევრის ჩაცმა უკვე მოესწრო.

— იცი, მე პოლიციელი უნდა გამოვიდე. პატივს ვცემ პოლიციელებს... მართლა, მე ნოდარი მქვია... — მითხრა და მომხიბვლელად გამიღიმა. ამ დროს, ყველაზე სევდიანი ბიჭი მომიახლოვდა და მკითხა:

— კიდევ ჩამოხვალთ ჩვენთან?

— რა თქმა უნდა, აუცილებლად. — დავებრდი, მაგრამ...

— ყველამ მასე იცით. სულ გვატყუებთ და მერე ან გაგახსენდებით და ან — არა... თქვენ აქ ჩამომსვლენი ხართ? — მითხრა უხეშად და ოთახიდან გავიდა. გული დამწყდა. ვერ მივხვდი, რამ გაანაწყენა ის ბიჭუნა.

ჩვენი ნამოსვლის დრო იყო. კიდევ ერთხელ მივულოცეთ ბავშვებს დამდეგი შობა-ახალი წელი და გასასვლელისკენ წავიდეთ. თვალებით სულ იმ ბიჭს ვეძებდი, მაგრამ ვეღარ ვნახე... პატარა მარიმ ჭიშკრამდე მიგვაცილა, ყველა გადაგვოცნა და ახალი წელი მოგვილოცა, მერე კი, საახალწლო ზეიმზეც დაგვაპატიყეს...

არასოდეს დამავიწყდება იმ განაწყენებული ბიჭის სახე. საკუთარ თავთან პირობა დავდე, რომ უახლოეს მო-

მავალში კიდევ ვესტუმრები მარტყოფის ბავშვთა სახლს, რომლის მოზინადრეებს ჩვენგან საჩუქრები კი არა, უბრალოდ, სითბო სჭირდებათ... ერთხელ კიდევ სევდიანად შევათვალეურე ბავშვთა სახლი და შინ გულდამძიმებული დავბრუნდი...



2006 წლის წარმატებული ასაქონებნი ანუ „მეტი რაღაც უნდა ვინჯო?!“

ახალი წლის დამდეგს, თითოეული ჩვენგანი განვლილი წლის შეფასებას იწყებს. ბუნებრივია, ყველაზე სასურველი — წარმატების მიღწევაა. ჰოდა, ჩვენც რამდენიმე იმ ადამიანს შევხვდით, ვისთვისაც გასული, 2006 წელი წარმატებით აღინიშნა.

ეკა მინლაძე

დათო ბაღაძე (ჩელი):


— ჩემთვის ყველაზე ნაყოფიერი და ილბლიანი, 2006 წელი იყო. იშვიათობაა, რომ ცხოვრებაში ერთ წელიწადში ამდენ რამეს მიაღწიო: დიდი თანხა მოვიგე, ბინა მაჩუქეს და მუშაობა დავინწყე „რუსთავი 2“-ში. ვფიქრობ, ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგრამ ცოტა შენც უნდა იაქტიურო, თუ გინდა, რომ რამეს მიაღწიო. მე რომ „ჯეობარში“ არ მიმეღო მონაწილეობა, ვერაფერს მივალწევდი. არადა, ამ პროექტის საშუალებით უფრო აზრზე მოვედი, ცნობადი ადამიანი გავხდი და ნელ-ნელა ცხოვრების ფერსულში ჩავედი.

ირაკლი გვინაძე, საქართველოს რაგბის სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარე:

— 2006 წელი მართლაც, რომ წარმატებული იყო რაგბისთვის. ამ წელს მსოფლიო თასი ავიღეთ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს მორაგბეების დამსახურებაა, რომ არა მათი თავდაუზოგავი შრომა, ჩვენ ამ წარმატებას ვერ მივალწევდით. იმედი მაქვს, ეს წელი წარმატების შენარჩუნების წელი იქნება. საერთოდ, ქართველებს რაღაცის მოპოვება უფრო გვიადვილდება, ვიდრე შენარჩუნება. სხვათა შორის, ანალოგიური წარმატება ადრეც მოვიპოვეთ: 2003 წელს, საქართველოს ნაკრები პირველად მოხვდა მსოფლიო თასის საუკეთესო ოცეულში, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ერთი მატჩი ვერ მოვიგეთ. ახლა ეს წარმატება გავიმეორეთ და დიდი იმედი გვაქვს, რომ მსოფლიო თასზე მინიმუმ ერთ თამაშს მაინც მოვიგებთ (ნამიბიას უნდა მოვუგოთ), მთავარია, საქართველოს ნაკრებმა აჩვენოს თავისი ხელნერა და ამ ჩვენებას მსოფლიოს სარაგბო სამყარო ალაპარაკოს. დამერწმუნეთ, ამის მიღწევა ძნელია, მაგრამ ჩვენ ეს უნდა შევძლოთ.

ნინო კალანდიაძე, „მის საქართველო 2006“:

— ჩემთვის 2006 წელი უმნიშვნელოვანესი იყო. ბავშვობაში სულ იმას ვნატრობდი, რომ სილამაზის დედოფალი გავხდარიყავი და აი, ამისდა კიდევ (ივინის): 2006-ში „მის საქართველო“ გავხდი, ჩემი ცხოვრება



ჩემთვის ყველაზე ნაყოფიერი და ილბლიანი, 2006 წელი იყო

უფრო ლამაზი და საინტერესო გახდა.
ელიანა გაღვათაძე, მოციგურავე:

— მას შემდეგ, რაც მოსკოვში გადავედი, ჩემთვის თითქმის ყოველი წელი წარმატებული იყო, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას 2006 წელს მივალწევი — ბოლოს და ბოლოს, ევროპის ჩემპიონი გავხდი!..

ნეკა არაბიძე, მსახიობი:

— პირველ რიგში, დიდი მადლობა იმისთვის, რომ წარმატებულ ადამიანად მიგაჩნევარ (ივინის). მადლობა უფალს, რომ წარმატებას მივალწევი იმ სფეროში, რომელიც ძალიან მიყვარს. 15 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. „კავენში“ სტუდენტობის პერიოდში ჩავედი და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შემოვიჩი. მეგობრებმა ჩამოვაცალაბეთ იუმორისტული გუნდი — „იკავასოს ბიჭები“. გასულ ზაფხულს დათო გოგინაიშვილისგან შემოთავაზება მივიღეთ და რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდით. ვფიქრობ, ჩემთვის დათოს გუნდში მოხვედრა უდიდესი წარმატებაა, ნელ-ნელა ცნობადი სახე ვხდები. იმაზე დიდი ბედნიერება და წარმატება რა უნდა იყოს, როცა ქუჩაში გამოსულს გცნობენ და გესიყვარულებიან?“

— 2006 წელს ვინ იყო თქვენ მეკვლე?

ჩელი: — მართალი გითხრა, დღემდე ვერ დამიდგენია, ჩემი ოჯახის მეკვლე ვინ იყო, ვერაფერი გავიხსენე.
ნინო: — იმის გამო, რომ 2006, ნითელი ძალის წელი იყო, ჩვენი ოჯახის მეკვლევ დიდი ნითელი კავკასიური ნაგაზი იყო. წელს, ვინაიდან



2006-ში „მის საქართველო“ გავხდი

ლორის წელია, აუცილებლად პატარა გოჭს შემოვიყვან მეკვლედ (ივინის).

ელენე:

— შარშან ჩვენი მეკვლე, ჩემი ძმა, დიტო იყო.

ნეკა:

— 2006 წელს ჩემი მეკვლე ჩემი ბიძაშვილი გახლდათ. ვინაიდან მისმა ფეხმა დიდი წარმატება მომიტანა, რა თქმა უნდა, ის წელსაც ჩემი ოჯახის მეკვლე იქნება. მისი თავი წინასწარ „დავიბევე“ (ივინის).

— რას ისურვებდით 2007 წელს?

ჩელი:

— რა ვიცი, აბა... მეტი რაღაც უნდა ვინჯო?! განა, 2006 წელს ცოტა რამ ამისრულდა?! მიუხედავად ამისა, როგორც ყველა ადამიანს, მეც მაქვს ესა თუ ის ოცნება. ამჟამად, ყველაზე მეტად რაც მინდა, ეს არის ავტომანქანის ყიდვა. მინდა, ჩემი მანქანა გავყიდო და უფრო კარგი ვიყიდო.

ირაკლი:

— ჩემი ნატვრაა, მსოფლიო ჩემპიონატი რომ დამთავრდება, ჩვენ იქვე გავალიარო მეორე დონის გუნდად.

ნინო:

— მინდა, კიდევ უფრო დიდ წარმატებას მივალწევი სამოდელო სფეროში, ჩავა-



ბოლოს და ბოლოს, ევროპის ჩემპიონი გავხდი

ბარო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე და ვიცხოვრო მშვიდობიან და „დალაგებულ“ საქართველოში ჩემს ახლობლებთან ერთად.

ელენე:

— ვისურვებდი, რომ ყველა შეჯიბრებაზე წარმატებულად გამოვიდე.

ნეკა:

— ვისურვებდი, 2007 წლის წარმატებულებში ისევ მოხვდეთ თქვენს სტუმრებს შორის, გარდა ამისა, ძალიან მინდა, ვიყიდო ავტომანქანა. და კიდევ — რაც მთავარია, 2007 წელს ოჯახი უნდა შევქმნა, ვნახოთ, რა გამოვივა. სულ ბოლოს კი, მინდა, თქვენც მოგილოცოთ ახალი წელი. არ მოგკლემოდეთ წარმატება, წარმატებული ადამიანები — თქვენს რედაქციას და რა თქმა უნდა, თქვენს მკითხველსაც. გაიხარეთ!

ლალი შახია

ციფშიძეების ოჯახის ყოფილი რძალი — კრისტო, მიუხედავად იმისა, რომ მათგან უკვე ორი წელია წავიდა ანუ თავის ქმარს, გიორგი ციფშიძეს გაეყარა, ამ ოჯახის ყველა წევრთან თბილ და კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს. იქ მას ყოველთვის საამოვნებით ხვდებიან. ისინი ხომ ციფშიძეების ადამიანები არიან.

ჩვენს რუბრიკაში ყოფილი რძალ-მულის შეხვედრა აქსახეთ. ლენუკა ციფშიძე კრისტის შინ ეწვია და მათი საუბარაც იქ შედგა.

ქრნალისტი — კრისტო
რესპონდენტი — ლენუკა ყიფშიძე

— მოდი, გაიხსენე ის პერიოდი, როცა ერთმანეთი გავიცანით. და კიდევ — ცოტა რამ შენზეც მოჰყევი.

— სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტის ბაზაზე, წლები წინ, შექმნილი იყო ჯგუფი, სადაც კვირაობით ჩვენება იმართებოდა ხოლმე. მოდელელებთან დედაჩემი, ლელა მუშაობდა, მათ პოდიუმზე სიარულს ასწავლიდა. როგორც მასსოვს, შენც დედაჩემთან დადიოდი და მეც იქ დედას ხშირად ვახლდი. ერთმანეთი გავიცანიით და ნელ-ნელა დავემეგობრდით. მოგვიანებით, შენ სამოდელო სააგენტო „ნატალი“ მიმიყვანე და მეც დავიწყო მოდელირება... ჩვენებებზე კარგა ხანს გამოვდიოდი. მერე გავთხოვედი, ბავშვი გავაჩინე და ცოტათი ჩამოვშორდი პოდიუმს. ცოტა ხნის წინ, ვიზაუსტობის სწავლა გადავწყვიტე. მამაჩემმა ამ საქმეში ხელი შემიწყო და მოსკოვში სპეციალურ სკოლაში გამგზავნა, სადაც ამ ხელობას დავეუფლე. იქ რამდენიმე თვე ვიყავი. ახლა ნელ-ნელა, რაღაცას ვსაქმიანობ. ქეთი დოლიძე სპექტაკლს დგამს და მზია არაბულს უნდა გავუეთო შესაბამისი გრიმი.

— მე და შენ მანქანის ტარების სწავლა ერთდროულად დავიწყეთ. შენ ამ საქმეში დიდი ნიჭიერება გამოაფლნე მე, როგორც კი დავექცე საჭესთან, მაშინვე მივატოვე — არაფერი გამომივიდა. შენ უკვე მამაკაცივით მართავ ავტომანქანას...

— მიყვარს მანქანის მართვა, სისწრაფის განვითარება. სხვათა შორის, ასე იყო თავის დროზე, დედაჩემიც. მანქანის მიმართ დიდი ლტოლვა ჰქონდა მამაჩემსაც. საჭესთან ჯდომა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ერთხელ მეგობარს მანქანის გასაღები მოვპარე და მისი ავტომანქანა გავიტაცე, მერე გამიფუჭდა. ამას დიდად ამბები მოჰყვა. მაგრამ ახლა ყველაფერი ეს უკვე კარგად მასხენდება.

— მანქანის გატაცება ასევე და ის გამახსენდა, მე რომ მომიტაცე...

— ჩემთან რომ მეგობრობდი, რამდენჯერმე ჩემმა ძმამ გიორგიმაც განახ. ერთხელაც შენზე მითხრა — მიყვარსო. მე ვუბასუხე — ჯობია, ამის შესახებ თავად მას უთხრა-მეთქი. მერე უცხო ენების ინსტიტუტში მანქანით გამოვიარეთ, შუაში ჩავსვი: ერთი მხრი-

საასანდომოე უოფიც რქანს



უოფიცი ბუნი უინჯეზია

დან მე მოგიჯექი, მეორიდან — გიორგი და გითხარით, მცხეთაში მივდივართ, მეგობარი უნდა ვნახოთ-თქო. მცხეთაში ერთ სახლში მიგიყვანეთ, გიორგიმ და მისმა მეგობარმა ოთახში ჩაგვკეტეს და გითხრეს — მოგიტაცეთო. მერე გიორგიმ გამოგიცხადა — შენ აქ უნდა დარჩეო. სიმართლე გითხრა, მეცოდებოდი, მაგრამ გიორგის ისე უყვარდი, რომ...

— კო, ასე იყო. იმედი მქონდა, რომ იქიდან გამოვიპარებოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა და საბოლოოდ, დაფრინე. ლენუკა, რამდენადღაც გიცნობ, მეგონა, რომ შედგამოჭრილი მამაშენი ხარ, სასიათით ძალიან ჰგავხარ. შენ რას იტყვი?

— დედაჩემიც ამას ამბობს — მამაშენს ჰგავხარო. მამას ჰგონია, რომ პირიქით, დედას გვავარ... მე საკუთარ თავს, ზურას უფრო ვამსგავსებ: ერთნაირად ემოციურები ვართ, ერთნაირი რეაქცია გვაქვს რაღაც-რაღაცებზე.

— როგორც ვიცი, პატარაობისას შენში მსახიობურ მონაცემებს ამჩნევდნენ. დიდი პოტენციალი გქონდა, რადგან არტისტული, თამამი, უკომპლექსო ბავშვი იყავი. ყველანი ფიქრობდნენ, რომ პროფესიად, მსახიობობას აირჩევდი, მაგრამ ასე არ მოხდა. რატომ?

— ბავშვობაში, ჩემთან შედარებით, გიორგი უფრო მორიდებული იყო, გაკვეთილის მოყვალაც კი არ შექძო... ამიტომ, ჩვენებს და საერთოდ ყველას ეგონა, რომ მსახიობი გამოვიდოდი. ბებიჩემსაც უხაროდა: მეორე ელენე ციფშიძე იზრდებო, — ამბობდა. მაგრამ გარდატეხის ასაკში ყველაფერი შეიცვალა: გიორგი გააქტიურდა, მე კი პასიური გავხდი, რატომღაც დავკომპლექსდი.

— რა გრძობაა შენთვის — იყო დიდი მსახიობების შთამომავალი?

— სასიამოვნოა. ბევრი მეცითხება — მამისა და ბებიის ჩრდილის ქვეშ ყოფნა ხომ არ განუხებობ? რატომ მანუხებ? პირიქით — ყოველთვის მებაყებოდა და დღემდე ასეა. ამას არასდროს შევწუხებია. ახლა გიორგი ამბობს, რომ მისი შვილი — შენი ნატაშკა ბებიჩემს, ელენე ციფშიძეს ჰგავს.

— ნატაშკა ყველას ჰგავს (იცინის), ყველასგან აქვს რაღაც ალბულო... ახლა ასეთი კითხვა მინდა დავისვა: ისევე როგორც მე და ჩემი და, შენ და გიორგიც განსხვავდებით ერთმანეთისგან. რას იტყვი ამაზე?

— რაც გავიზარდეთ, თითქოს ერთმანეთს უფრო დავემსგავსეთ და ჩვენ შორის საერთოს მოძებნა შეიძლება, მაგრამ ძირითადად გეთანხები — განსხვავებულები ვართ. — ლენუკა, შეყვარებული არა ხარ?

— არსებობს ადამიანი, რომელთანაც ვმეგობრობ... მიყვარს (ილიმება)...

— შენ თავიდანვე აქტიურად ჩაერთე იმაში, რომ მე შენი რძალი გავმხდარიყავი. მერე მოვლენები ისე განვითარდა, რომ თქვენი ოჯახიდან წამოვედი. ერთ ქვეყნებში აღარ ვცხოვრობთ. მე შენი ძმის გვერდით აღარ ვარ, ვერ შევინარჩუნეთ ოჯახი...

— ოჯახის დანგრევის დეტალებზე მე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ეს მანც, ქალისა და მამაკაცის პირადი ცხოვრებაა. თქვენი ოჯახის დანგრევის თანამონაწილე არ ვყოფილვარ. თუმცა, ეს ამბავი — თქვენი დაცელება ძალიან მეწყინა და განვიცადე. ჩვენ ხომ ლამის ერთად გავიზარდეთ. მაგრამ ადამიანი დროთა განმავლობაში ყველაფერს ეგუება. ჩვენ ახლაც ვმეგობრობთ, ურთიერთობა არ გავგინწყვტია გვიჩუბია კიდევ და შევრიგებულვართ. როგორც დები, ისე ვიყავით და ვართ კიდევ. გულში რაღაცების ჩახვევა მე უფრო მწვევია, შენ ეს არ გახასიათებს, რაც, ვფიქრობ, კარგი თვისებაა.

— ლენუკა, მინდა, ამ ინტერვიუში მოვიხსენიოთ ქალბატონი ჰერა — ბებიაშენი, დედაშენის დედა — ქალი, რომელმაც არაერთი ადამიანი აღზარდა...

— ბებიჩემი მზრდიდა, ის ჩემი მესაიდუმლე იყო ყოველთვის. მას შემდეგ, რაც ქმარს გავყავარ და ჩემს ოჯახში დავბრუნდი, ისევ ბებიასთან ერთად მძინავს ოთახში, ახლა უკვე მე და ჩემს შვილს.

— მას მერე, რაც მე თქვენი ოჯახიდან წამოვედი, რა შეიცვალა?

— თითქმის არაფერი, ყველაფერი ისევ ისეა... — თუმცა, შენ იმ დღეს ერთ-ერთ

ჩვენებაში მიიღე მონაწილეობა და შემოქმედებითად ცოტათი გავრდილი მომჩვენე

— შენგან შექება და შეფასება ჩემთვის ბევრს ნიშნავს, რადგან „პოდიუმის დედა“ ხარ. დიდი გამოცდილება გაქვს. მადლობელი ვარ ამ სიტყვებისთვის. პოდიუმზე გამოსვლა საოცარ გრძობას აღძრავს მოდელში. თითქოს მაშინვე გრძობ, ვინ როგორ გაფასებს.

— **ვიცი, მოგზაურობა გიყვარს. როგორი იყო შარშან, ვიზაჟის სკოლაში გატარებული სამი თვე? ამის შესახებ მოჰყევო.**

— მამამ თავის მეგობართან გამგზავნა. თავიდან მის ოჯახში ვცხოვრობდი. მერე იქ მწლის უნახავა მეგობარმა მიპოვა და საცხოვრებლად მასთან გადავედი. რთულია, უცხო ქალაქში მარტო რომ ხარ, მაგრამ კეთილი ხალხი, ღვთის წყალობით, ყველგან არის... მონაწილეობა მივიღე კონკურსში **РУССКИЙ СИЛУЭТ**, რომელსაც ტატიანა მიხალკოვა (ახელგანთქმული კინორეჟისორის, ნიკიტა მიხალკოვის ცოლი. — ავტ.) მფარველობს. იქ კონკურსანტებს ვიზაჟი გაუკეთებ. ისე მოხდა, რომ მაკიაჟის გასაკეთებლად, თავად ტატიანა დამიჯდა. საქმეს კარგად გავართვი თავი. მან მადლობა გადამიხადა, შემაქო. იქვე გავიცანი თიკა კანდელაკი. ტელეკომპანია CTC-ში ჩემი მეგობარი მუშაობს, ვიზაჟისტიკა და თიკასთან მან დამაახლოვა.

— **თუ უთხარო, რომ ზურა ყოფ-შიძის ქალიშვილი ხარ?**

— იცოდა. მან მითხრა — რა კარგია, აქ რომ ხარ, ახლა ლევან უჩანეიშვილიც ჩამოვა და სადმე ერთად დავსხდეთო. მაგრამ ეს შეხვედრა აღარ შედგა... შემდეგ თიკამ მითხრა — რა მშვენიერი გოგო ხარ, აქ უნდა გაგათხოვო; ერთი კარგი მეგობარი მყავს, ქართველია, მიშა ჰქვიაო. ამის მერე, არც არაფერი მკითხა, ისე დაურეკა იმ მიშას და უთხრა — აქ ზურა ყოფშიძის ქალიშვილია და უნდა გაგაცნოო. ორ დღეში იმ ბიჭმა დამირეკა, მისოვა — იქნებ შევხვედეთო. ისეთი ცივი უარი ვტყვი, თავადვე გავოცდი, ნუთუ ეს მე ვიყავი-მეთქი?! — არც იფიქროთ, რომ შევხვედებით-მეთქი (იცინის)!

— **ლენუკა იღბლიან ადამიან ხარ?**

— მიმჩნია, რომ იღბლიანი ვარ... ბოლო დროს ასტროლოგიურ პროგნოზებს დიდ ყურადღებას აქცევ. მე არცთუ ისე კარგად ვარ ამ საქმეში ჩახედული. ისე, ჩვენს ოჯახში წლის მიხედვით, „გველები“ ჭარბობენ. სხვათა შორის, შენც „გველი“ ხარ (იცინის). მე „ძალი“ ვარ, დედაჩემი — „ლორი“. ასე რომ, მისი წელი დადგა.

— **ისე, სიტყვას რამხელა ძალა აქვს, არა? მე რომ გავთხოვდი, მთელი ოთხი წლის განმავლობაში მესვენებოდი — ძმისშვილი გამიჩინე, თორემ, მე დაგასწრებ ბავშვის გაჩენასო. მე კი გუუნებოდი — ჯერ შენ გააჩინე-მეთქი. მართლაც, ასე მოხდა — დამასწარი.**

— ნიკუშაზე რომ დავფიქრებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიჭის დედა გახდებოდი. გახსოვს, ამას ვამბობდი კიდევ?..

— **მეც ასე არ ვიყავი? — ვამბობდი, მუცელში გოგო მყავს-მეთქი... ჩვენი შვილები დღეს დამძახავთ იზრდებიან. ერთმანეთს დაძმას ეძახიან...**

**ქრნალიტი — ლენუკა ყიფშია
რესპონდენტი — კრისტი**

— **ახლა შენ მითხარო, რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში მას მერე, რაც ჩვენი ოჯახიდან წახვედი?**

— საერთოდ, სიურპრიზებითა და მოულოდნელობებით არის აღსავსე ჩემი ცხოვრება. რაც ხდება, ვერასდროს წარმოვიდგენ ხოლმე, რომ შეიძლება, მოხდეს. შარშან ისე მოულოდნელად აღმოვჩნდი ინდოეთში — კერძოდ, გუაში, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი. არადა, არაერთხელ მიოცნებია ინდოეთში წასვლაზე. იქ უდიდესი სიამოვნება განვიცადე. რატომღაც, ისეთი შეგრძნებით დავბრუნდი, თითქოს იქ რაღაც დამრჩა და უკან დაბრუნება მომიწევს... იქ რაღაც საოცარი ჰავა და განსაკუთრებული ბიოველია. ასე რომ, რაც თქვენგან წამოვედი, ოცნება ამისხდა (იღიმება)..

— **რას ელი 2007 წლისგან?**

— მინდა, ირგვლივ ყველა ჯანმრთელი იყოს — ახლობელიც და უცხოც. მინდა, მქონდეს ბევრი საშუალო, რადგან ეს უპირველესი „ანტიდერეჟანსტია“: ადამიანი, როგორც კი უსაქმოდ რჩები, სახლში იკეტები... ენერგიული ადამიანი ვარ და მინდა, 2007 წელს მაქსიმალურად დავიხარჯო.

— **გახსოვს, სახლში ნაძვის ხეს ერთად ვდგამდით, მეველე ჩვენი ძალი იყო ხოლმე? ახალი წლის ღამეს, მას მერე, რაც ოჯახში შევხვედებოდით, გარეთ გავდიოდით... მეველეობის ინსტიტუტს ყურადღებას თუ აქცევ?**

— ეს ცოტათი ცრურწმენა მგონია. ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ. გასულ წელს, ოცნება რომ ამიხდა და გამიხარდა, ვისხენები — ნეტავ, ვინ იყო ჩემი მეველე-მეთქი? — და ხომ გითხარო, იმდენად არ ვაქცევ ამას ყურადღებას, რომ ვერ გავისხენე.

— **ახალი წლის მოსვლა გიხარია?**

— საერთოდ, ზამთარი არ მიყვარს, მაგრამ ერთადერთი ნათელი წერტილი წელიწადის ამ დროს ჩემთვის, ახალი წელია. ახალი წლის მოსვლა ჩემს შვილსაც უხარია. ბევრ რამეს მისთვის ვაკეთებ. ისე, ჩემთვის საახალწლო განწყობილება ორ-სამ დღეში ქრება. 18 იანვარს ნაძვის ხეს ვშლი. ნამდვილი ბედობა, მე რომ მკითხო, ბარბარობას არის. 17 დეკემბერს კარგი განწყობილება დამებოდა. „მეტხეში“ თათა ვარდანაშვილის ჩვენება იყო, სადაც სიამოვნებით წავედი.

— **ვიცი, რომ საქმიანი ადამიანი ხარ, სახლში ფუსფუსი გიყვარს. გემრიელ კერძებს ამზადებ, ჭურჭლის რეცხვას ვერავინ გასწრებს. რაც ჩვენი ოჯახიდან წახვედი, ხელი უფრო გაიწვია?**

— კი, საქმის კეთება არასდროს მეზარება. თქვენთან რომ ვიყავი, ფუნქციები განაწილებული გვექნოდა: ქალბატონი ჰერა ცხელ კერძებს აკეთებდა, მე — სალათებს... დედაჩემთან რაც დავბრუნდი, უფრო შეფ-შარეულის თანაშემწის ფუნქცია მაკისრია, რადგან მთავარი მზარეული მაინც, დედაჩემია. მე მას რეცხვა-დასუფთავებაში ვესმარები.

— **გოზნაყის გაკეთება ხომ არ ისწავლე?**

— არა და რატომღაც არც მაქვს ამის სურვილი.

— **მომავალში რა გეგმები გაქვს?**

— სანამ კიდევ ვჭირდები დიზაინერებს და ფორმას ვინარჩუნებ, პოდიუმზე გამოსვლას ვაგაგრძელებ. ოდესღაც, როცა ჩემი კარიერა დამთავრდება, მინდა, სხვებს გავუზიარო ჩემი გამოცდილება.

— **კინოვარსკვლავს — პენელოპა კრუსს რომ ჰგავხარ, არ გაქვს იმედი, რომ მომავალში სადმე შეხვედები მას?**

— ამ დღეებში ტელეკომპანია „მზეში“ პროდიუსერმა მითხრა — ბერლინში ფესტივალზე ვიყავი, პენელოპასთან ახლოს მიგვივდი, ცოტათი შენზე დაბალია, სხვანაირი ტანი აქვს, თუმცა, სახით საკმაოდ ჰგავხართ ერთმანეთსო. ალბათ, მართლაც ვგავარ, რაკი ამდენი ადამიანი ამბობს ამას.

— **იქნებ, შენი ფოტოები და მონაცემები გაგზავნო ინტერნეტით და ვინმემ ყურადღებას მოგაქციოს?..**

— ცოტა ხნის წინ, ჩემმა მეგობრებმა ესპანეთში გაგზავნეს ჩემი ფოტოები და მიანერეს — პენელოპას ჰგავსო. ვნახოთ, იქნებ, ვინმე შემეხიანოს, რაიმე მოწვევა მივიღო (იცინის)..

— **იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და გაგიმართლებს.**

— თუ გამიმართლა, ლალი ფაცციას მივცემ ამ თემაზე პირველ ინტერვიუს. შენ კი, ლენუკა, ნაიყვან იმ წითელ ხალიჩაზე, რომელზეც გავივლი — ასეთ სიურპრიზს ელოდე ჩემგან...

— **დიდი მადლობა „გზის“ მკითხველს რას უსურვებ?**

— მკითხველს — ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ყველაფერს საუკეთესოს. მშვიდობიანი ყოფილიყოს 2007 წელი!



სახლში ნაძვის ხეს ერთად ვდგამდით, მეველე ჩვენი ძალი იყო ხოლმე?



ეკა მინდაე

— გულის სიღრმეში დღემდე მჯერა, რომ თოვლის ბაბუა მართლა არსებობს და ბავშვებს საჩუქრებს უძღვნის.

— მისთვის წერილი თუ მიგინერია?

— თოვლის ბაბუას წერილს ყოველთვის ვწერდი. ისინი დღემდე შენახული აქვს ჩემს დას, რომელიც მათ არსებობას ხშირად იხსენებს და ზოგჯერ, დამცინის კიდევ ერთხელ, თოვლის ბაბუას ძალიან ბევრი ნაყინი ვთხოვე, მაგრამ სუსტი გლანდების გამო, ნაყინის ჭამას მიშლიდნენ... დღემდე მაქვს სურვილი, პრინცესასავით ვიცხოვრო ჯადოსნურ ქვეყანაში, ზღაპრის გმირებთან ერთად...

— თიკა, თქვენს ოჯახში მეკვლე ვინ არის სოლმე?

— ჩემი ოჯახის მეკვლე თითქმის ყოველ წელს, მე ვარ. სხვათა შორის, ცუდი ფეხი ნამდვილად არ მაქვს — ბედობის დღეს ვის ოჯახშიც შევსულვარ, იმ წელს, იქ კარგის მეტი არაფერი მომხდარა.

— ნაძვის ხეს შენ რთავ?

— ოჯახში ეს საქმე მხოლოდ მე მევალება. მიყვარს წითელი ან ოქროსფერი სათამაშოებით მორთული ნაძვის ხე და ვერ ვიტან, როცა მას „წვიმებით“ რთავენ.

— დიდი ნაძვის ხე გაქვს?

— საკმაოდ. სხვათა შორის, ეს ნაძვის ხე რამდენიმე წლის წინ, ნიკო ლევიშვილმა მაჩუქა.

— ახალ წელს ოჯახში ხედები?

— ახალ წელს ოჯახის წევრები ტრადიციულად ერთად ვიკრიბებით და სიხარულით ვეგეგვით მას. ისე, მერიის წინ ლამაზი ფეიერვერკის დანახვა თუ მოგვინდება, ის აივნიდან შეგვიძლია ვიხილოთ. ისეთ ადგილას ვცხოვრობ (რუსთაველზე), რომ საახალწლო ღონისძიების სანახავად გარეთ გასვლაც არ მჭირდება. ახალი წლის დადგომას კი, მერიის საათის საშუალებით ვიკვებ.

„ამბობენ, სურვილს თუ ხმამალა იტყვი, აღარ აგისრულდებაო, ამიტომ მას მეც არ გაგიმხელთ და ჩემს გულში შევინახავ“, — მითხრა თიკა ჯამბურიაშვილს. მიუხედავად ამისა, მან ცდუნებას ვერ გაუძლო და ინტერვიუს დროს უნებლიეთ, ჯადოსნური ჯოხი ინატრა. თუ რაში გამოიყენებდა ის ჯოხს, ამას თავად თიკასგან შეიტყობთ.

ჯადოსნური ჯოხი, ნიკო ლევიშვილის ნაძვარი ნაქვის სა და თიკა ჯამბურიაშვილს „ეპოქალი“ მერიის საათი...

— თიკა, გჯერა თუ არა, რომ ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული სურვილები ახდება?

— კი, რა თქმა უნდა. 12 საათისთვის ვიღებ პატარა ფურცელს, ვწერ სურვილებს, მერე მას მოვუკიდებ ცეცხლს და ნახევრად დამწვარს, შამპანურის ბოთლში ვაგდებ. ამის შემდეგ, ბოთლში ჩაყრილ ფერფლიან შამპანურს ვსვამ იმ იმედით, რომ სურვილები ამისრულდება.

— ძველით ახალ წელს სად ხარ სოლმე?

— ხან გუდაურში, ხან — ბაკურიანში. შარშან, ძველით ახალ წელს მე და ჩემი მეგობრები გუდაურში შეგვხვდით და ძალიან მაგრად ვიმხიარულეთ.

— ახალი წლის ღამით გარეთ არასოდეს გასულხარ ცოცხით ხელში და ისე არ შეგებებიხარ მას?

— ჯერჯერობით, ასეთი რაღაცეები არ მჭირდება, რადგან გათხოვება არ მსურს. თუ ოდესმე ამის პრობლემა მექნება, ალბათ, ამ რიტუალს მეც ჩავატარებ (იკინის).

— საახალწლო სუფრისთვის კურძების მომზადებაში თუ მონაწილეობ?

— რა თქმა უნდა, დედიკოს სიამოვნებით ვეხმარები საცივის გაკეთებაში.

— ამ დღეს ბევრ საჩუქარს იღებ?

— არ არსებობს ჩემთვის არც ერთი ახალი წელი, საჩუქრების გარეშე. 12 საათი როგორც კი შესრულდება, მაშინვე ნაძვის ხესთან მივდივარ, სადაც ბევრი ლამაზად შეფუთული ყუთი დევს და მათ გახსნას ვინწყებ...

— უახლოეს გეგმებზე რას მეტყვი?

— ალბათ, იანვარში დავასრულებ მესამე ალბომზე მუშაობას, სადაც ერთი

ბრაზილიური, ხოლო დანარჩენი, ინგლისურენოვანი სიმღერები იქნება.

— თიკა, რა გინდა, რომ 2007 წელს აგიხდეს?

— ამბობენ, სურვილს თუ ხმამალა იტყვი, არ აგისრულდებაო. ამიტომ, მას არ გაგიმხელთ, გულში შევინახავ.



მაქვს სურვილი, პრინცესასავით ვიცხოვრო ზღაპრის გმირებთან ერთად...

— დაბოლოს, ყველაზე მეტად რას ინატრებდი?

— ძალიან მინდა, ჯადოსნური ჯოხი, რომ ყველა სურვილი ავისრულო (იკინის).

პრეპარატი **ფენსი** გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსიქიაზი — ენაზე საუკუნოდან მგზავს გამორღილევანს!

ნეიროდარმიტი

სეზონური იქითხეტი

იმპრონაღმით უფთიქავში

საუკუნოვანი გამოცდილების გამოც, ყველაზე უფაქტური, არაპროპრიონალური მაღაგოს საშუალებით

სხელი ხაზი: 39 66 03



„შენთან მინდა ყოფნა, გინდ მეტიროს ყოფა“ ...

ნინა კვირას, რუბროკა „სასიძოს“ სტუმარი ირაკლი ბარამიძე, იგივე ბერძენა გახლდათ. ნინასწარ ვიცოდი, რომ მას ბევრი გოგონა გამოეხმაურებოდა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სოფო ჭონიჭილი

მაშ ასე, გავცნოთ თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს.

„ბერძენ, მაგარი კაცი ხარ. ერთი კითხვა მინდა დაგისვა — განათხოვარ გოგოს ცოლად მოიყვან? კოკლა“.

„მინდა, გისურვო ოცნების ასდენა/ რასაც ისურვებ, უთუოდ ასდება/ ლამაზი ოცნება ყოველთვის ცხადდება. ბერძენ, მინდა, რომ 2007 წელს ყველა შენი ოცნება ასდეს. ლიკა“.

„როგორ გესმის სიტყვა სვანი/ როცა სვანს ჰყავს ბევრი ფანი/ სვანს კი მაშინ უნდა პლანი/ როცა კაიფს აქვს მულამი. ბერძენ, ნამეტნავად მევასები. ძვირფასო, შენთან მინდა. იცოდე, ეს პონტი არ „გამაზო“. ჰო, შენთან მინდა ყოფნა/ გინდ მეტიროს ყოფა“...

„ირაკლი, მოგესალმები. დარწმუნებული არ ვარ, რომ ამ SMS-ს წაიკითხავ, მაგრამ მაინც გწერ. „ჯეობარში“ შენი გულშემატიკვარი ვიყავი. შენი ქარაგმები ირაკლის მიმართ მაფიქრებინებს, რომ ძალიან ამაყი ადამიანი ხარ, რაც შენს მშვიდ გარეგნობას ნამდვილად არ უხდება. უფალი გვეუბნება: მოქეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, შენ მოგექცნენო. მაპატიე, თუ განყენი, მაგრამ შენს გულში ჩაიხედე და რასაც სინდისი გეტყვის, ის მეც გამაგებინე. ანა“.

„ბერძენ, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. ჯიგარი ხარ. ძალიან მინდა შენი გაცნობა, მაგრამ ვხვდები, რომ ეს შეუძლებელია, რადგან მე ხონში ვცხოვრობ. გილოცავ შობა-ახალ წელს, გისურვებ ულევ სიხარულს, სიყვარულს და წარ-

მატებას“.

„ვიცი, შენი გაცნობის შანსი ნაკლებად მაქვს, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ოდესმე, ამას მაინც შევძლებ... პუპუსა“.

„ბერძენ, მაგარი კაცი ხარ. გისურვებ ბედნიერების ზღვას და სიყვარულის ოკეანეს. შენი კეთილისმსურველი — სალი“.

„რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს, მაგრამ თუ ვიმეგობრებთ, ამას არასდროს ინანებ. ცუდი ადამიანი არ ვარ და გთხოვ, უბრალოდ, გავიცნოთ ერთმანეთი. კარგი?“

„მთვარეს ედრები, მოვლენილს ციდან/ მე კი მგზავრი ვარ, შორეულ გზიდან/ ღამის ვარსკვლავის წვეთებად წვიმხარ/ მინდა, გავიცნო, გავიგო, ვინ ხარ“...

„გულს გაჩუქებდი, თუ ამ საჩუქარს/ სადმე შენს გულში მოათავსებდი“...

„ვაიმევე... ეგ ბიჭი ჩემი სიცოცხლეა. ბერძენ, საყვარელი ადამიანი ხარ, გენაცვალე მაგ ბურდლუნა ხმაში. პუსიტასი“.

„უკვე ღამეა, შენ ალბათ გძინავს/ გმოსავს სიმშვიდის თეთრი ფიფქები/ მე მოვალ შენთან ძალიან მშვიდად/ და შენს ტუბილ სიზმრებს შევიზინებ“.

„სურვილი მაქვს გავიცნო. მე მომხიბვლელი, მონესრიგებული, დიპლომიანი საპატარძლო ვარ. დამირეკე, არ ინანებ“.

„ბერძენ, ძალიან მინდოდა, „ჯეობარში“ შენ მოგეგო, მაგრამ არა უშავს... ძალიან მაინტერესებს, სად ცხოვრობ?.. დიდი სიყვარულით, თიკო“.

„ბერძენ, შენი წარმატებები ძალიან მიხარია. გილოცავ ახალ წელს, გისურვებ დიდ სიყვარულს და სიხარულს მკუაა. ანი, 16 წლის“.

„ირაკლი, მართლა მიყვარხარ. გისურვებ, ყოველთვის ისეთი იყო, როგორც ახლა ხარ. მთელი გულით გვულშემატიკვრობდი. ვისურვებდი, ყველა მამაკაცი შენნაირი იყოს. მინდა, ვიმეგობროთ. ჰოროსკოპით მეც კურო ვარ. ვფიქრობ, რაღაც-რაღაცებზე ერთნაირი მოსაზრება გვექნება.“



მარი“.

„მონატრება ტკივილამდე გაგიგია?/ მე შენ უკვე ტკივილამდე მენატრები./ მონატრება სიგიჟემდე გაგიგია?/ გავგიჟდები, ისე მაგრად მენატრები. ბერძენ, ტკივილამდე მონატრების გჯერა?“

„ცრემლები მდის, ისე მაგრად მენატრები/ უშენობა მეტი აღარ შემიძლია... მენატრები, მენატრები, მენატრები. თათა“.


„მინდა, ჩუმად მოგაკითხო, გვიან, შუალამით/ არ მინდა, რომ გაგაღვიძო, ხმამაღალი ზარიტ/ მინდა, ჩუმად მოგეპარო, გაკოცო და ამით/ დავამთავრო, თუნდაც ერთი წამით“.

„ბერძენ, შავგვრემანი და მწვანეთვალე-ბა გოგო ვარ. არ გინდა, გამიცნო? 16 წლის ვარ, მაგრამ ჩემი ასაკის მიუხედავად, სიცოცხლის ხალისი დაკარგული მაქვს. მგონია, რომ არავის ვუყვარვარ... შენ კი, ბევრი თაყვანისმცემელი გყავს. იცოდე, ცხოვრებაში ბევრს მიაღწევ. გთხოვ, რაიმე მომწერე“.

„ირაკლი, მე განათლებული, ჭკვიანი და კომუნიკაბელური „პროვინციალკა“ გოგონა ვარ. მოკლედ, შენს იდეალთან მიახლოებული. მთავარი კი ისაა, რომ მზითევაში ბინა და კიდევ, ბევრი კარგი რამ მომყვება“.

„ბერძენ, ძალიან გამიხარდა, შენი ინტერვიუ რომ წავიკითხე. სიმართლე გითხრა, როცა „სტერეოში“ მუშაობდი, მაგრად არ მეფასებოდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ჯეობარში“ გიხილე, შეხედულებები შემეცვალა. გფარავდეს ღმერთი. მიყვარხარ. მარიკო“.

„ბერძენ, ძალიან განათლებული და საყვარელი ბიჭი ხარ, სიგიჟემდე მომწონხარ. „ჯეობარში“ შენი ყოფნისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს შენ და სოფოს ერთმანეთის მიმართ სიმპათია გქონდათ. ვცდები თუ ასეა? თეო, 16 წლის“.



ჩემი რომ იყო, მუდამ გვერდით მეყოლებოდი



„ჩემი რომ იყო, მოფერებით დაგაციინებდი./ ჩემი რომ იყო, დილით კოცნით გაგაღვიძებდი./ ჩემი რომ იყო, მუდამ გვერდით მეყოლებოდი./ ჩემი რომ იყო, არასოდეს მიგატოვებდი. თაკო“.

„მე ამ SMS-ს შენთან ვაგზავნი./ გამაგებინე მოვიდეს როცა/ რადგან მას შენთან გამოვატანე./ ბევრი სიტბო და ასეთი კოცნა — მპუააა“.

„ახალი წლის ღამეს გამოვალ გარეთ/ ავხედავ ფიფქებს ძირს რომ ეშვება./ მოვინებ შენთან, ჩაგვიკრავ გულში/ და ერთად ყოფნა დაგვებედება... მე არ დავკარგავ მაგ ლამაზ თვალებს/ და არც გავხდები მისი მგომბელი./ კოცნის ლოთი ვარ, ალერსის კინტი/ და სიყვარულის ყარაჩოხელი“.

„ბერძენ, შენაირი ბიჭები აღარ არსებობენ, ერთადერთი ხარ. გვანცა“.

„ლამაზ ოცნებას ასველებს ფიქრი./ შენთან შეხვედრის სურვილით ვინვი./ იღუმალება უხდება ლოცვას./ გიგზავნი დიდ და უნაზეს კოცნას. ყოველივე კარგს გისურვებ, გფარავდეს ღმერთი“.

„ირაკლი, ჩემს დეიდაშვილს ძალიან ჰგავხარ, ფიზიკურად და ხასიათითაც. ორივე ძალიან მიყვარხარ, ამიტომ ბერძენას ვეძახი. ნატალი“.

„ახალი წელია, მაგრამ პლანეტაზე ყველაზე უბედური ახალგაზრდა ვარ, არასოდეს არაფერში მიმართლებს, რა მოხდება, ახლა მაინც გამიმართლოს? დამიბეჭდეთ ეს SMS, გთხოვთ. ცოტათი მომეშვა. გამადლობთ. ლიკა, 20 წლის“.

„ბერძენ, კარგი ტიპი ხარ, მაგრამ გადასარევი — არა. მინდა გითხრა, რომ ერთხელ, ერთ-ერთ კლუბში გნახე და შევამჩნიე, მიყურებდი. მოგეწონე? შენ ალბათ აღარ გახსოვარ, მაგრამ თუ გახსოვარ, გთხოვ, დამიმესიჯე. თამუნია“.

„ბერძენ, შენი ინტერვიუ წავიკითხე. კარგი ტიპი ხარ და თუ შეხვდები, მა-

გარ საინტერესო ამბავს გეტყვი. შენი კეთილისმსურველი“.

„სალამი, ბერძენ. ძალიან მომიხდა, შენთვის დამემესიჯებინა. მართალია, გათხოვილი ვარ და 2 შვილიც მყავს, მაგრამ მაინც, მინდა, გაგიცნო. გთხოვ, უარს ნუ მეტყვი. ამისრულე ეს ოცნება“.

„უმორჩილესად გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდეთ. სიყვარულის არასდროს მჯეროდა. გავიცანი ადამიანი, რომელიც მართლა შემეყვარდა და ამას იმიტომ გნერთ, რომ ის ძალიან ჰგავს ბერძენას. ირაკლი, სერიოზული და განონასწორებული ადამიანი ხარ. გეტყობა, რომ ქალის ფასი იცი. ტირილამდე მივდივარ, როცა ვხედავ, რომ საქართველო დედის კოს ბიჭებით აივსო. ლიკა“.

„ბერძენ, ისე უსაზღვროდ წარმტაცი ხარ, რომ თავბრუს მახვევ. აზერითებულ ზღვას გადარებ. ზარმაცი ვარ, სასწაულად ზარმაცი, თორემ შენს თავს სხვას როგორ დავუთმობ?“

„თუ იღბალი გაქვს, ყველა ოცნება მალე ახდება./ თუ იღბალი გაქვს, ეს ცხოვრება შენი გახდება./ თუ იღბალი გაქვს, ფიქრებში მაინც იქნები ჩემი./ თუ იღბალი გაქვს, მაშ, თვალები რატომ გაქვს სველი? მარი“.

„ნახე, განვიმდა, ტირის ბუნება/ ნახე, სისველე იგრძნო ტუჩებმა/ ნახე, ატირდა ჩემი თვალები./ და იცი, რატომ? შენ მენატრები. ჩემო ლამაზო, მე შენ მიყვარხარ“.

„ბერძენ, გილოცავ ახალ წელს. ძალიან დამწყდა გული, „ჯეობარში“ შენ რომ ვერ გაიმარჯვე. თუ გაინტერესებს, ვინ ვარ, გეტყვი: მე „მის არგენტინა 2006“ გახლავარ, მაგრამ არავინ იცის, რომ ქართველი ვარ. 4 თვეა, რაც საქართველოში ჩამოვედი. ძალიან ბევრს გემესიჯებდი, როცა „ჯეობარში“ იყავი — 300 ლარზე მეტი დავხარჯე, შენთან მესიჯობაში. კამილა კოსარი ანუ თეკო კუკავა“.

„2007 წელს გილოცავ. გისურვებ ბედნიერების 12 თვეს, მხიარულების 52 კვირას, ჯანმრთელობის 366 დღეს, გამართლების 8784 საათს, სიხარულის 527040 წუთს, სიყვარულის 31622400 წამს“.

P.S. შემდეგ კვირას, რუბრიკა „საპატარძლო“ სტუმარი მომხიბვლელი ქეთი ყიფშიძე იქნება. მის თავანისმცემლებს საშუალება გეძლევათ, დაუმესიჯოთ მას და დაუსვათ კითხვები. მანამდე კი, შემოიძლია გაგიმხილოთ, რომ ქეთიმ ინტერვიუს ჩანერის დროს მითხრა: თუკი ვინმე საინტერესო და ორიგინალურ მესიჯს მომწერს, შესაძლებელია, შეხვდე და გავიცნო. ქეთი ახალ ნაცნობობაზე უარს არასდროს ამბობს, პირიქით, მას ძალიან ახარებს ის ამბავი, როცა მის მიმართ სიმპათიას და პატივისცემას გამოხატავენ. მაშ ასე, იაქტიურეთ და დამიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე მ(98) 23.09.21.

თქვენ მიერ დასმულ კითხვებს ქეთი ყიფშიძეს დაუსვამ და მის პასუხებსაც ინტერვიუში შემოგთავაზებთ.

ზუსტად სამი წლის წინ, 2004 წლის 4 იანვარს, მიხეილ სააკაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი გახდა. ახალგაზრდობა თავისთავად, მაქსიმალური იზმისა და უკომპრომისობის ნიშანავს, რისთვისაც სააკაშვილს საქართველოში ბევრი დღემდე ემადლიერება. თუმცა, არც ისინი არიან მცირერიცხოვანნი, ვინც მიიჩნევენ, რომ მთელ რიგ საკითხებში ქვეყნის მეთაურს ბევრად მეტი წინდახედულება, ტაქტი და დიპლომატია მართებდა და მართებს. ცხადია, აქ, პირველ რიგში, რუსეთთან უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობა იგულისხმება. თავად რუსეთის რაც შეეხება — თუ იქაურ სოლიდურ გამოცემას — Коммерсантъ-Власть — დაუფერებთ, რუსეთმა საქართველოსთან წარმოებული საინფორმაციო ომი ბოლომდე წააგო, რაც ჩვენთვის მხოლოდ გასახარო უნდა იყოს. მაგრამ აღნიშნული გამოცემა იმის იმედსაც გამოთქვამს, რომ რუსეთი საკუთარ შეცდომებს გაითვალისწინებს და ახლო მომავალში, გამარჯვებით წახალისებული სააკაშვილის ახალ საინფორმაციო შემოტევას ბევრად უფრო მომზადებული შესვდება. სხვისი არ ვიცი და, მე კი რატომღაც მგონია, რომ ორ ქვეყანას შორის მსგავსი დაპირისპირების ახალი ეტაპი მათი პრეზიდენტების წინასასახალწლო სატელევიზიო გამოსვლებიდანვე დაიწყო, სადაც რუსეთის ვერაგობაზე ტრადიციულად მჭევრმეტყველ სააკაშვილს, პუტინმა მხოლოდ პირქუში დუმილი დაუპირისპირა. ხოლო იმას, თუ ამჯერად გამარჯვებული ვინ გამოვა, დრო და მომავალი გვიჩვენებს.

სააკაშვილი რუსეთში საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებს (Коммерсантъ-Власть რუსეთი)

მომავალი აქციების, საიდუმლო და ხმაურიანი ოპერაციების შემუშავებამდე, ნებისმიერი პოლიტიკელოგი მაგიდასთან ჯდება და გემის წერას იწყებს, სათაურით — „პროექტის მიზნები და ამოცანები“. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვი, რომ რუსეთთან ურთიერთობის გართულების წინ, პრეზიდენტი სააკაშვილის გეგმებში მთავარი ადგილი შემდეგ პუნქტებს ეკავა:

- მუნიციპალურ არჩევნებში საკუთარი პარტიის გამარჯვების უზრუნველყოფა;
- ამ მიზნის, საკუთარი, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლის, იმიჯის განმტკიცება და პრეზიდენტის გარშემო ელექტორატის კონსოლიდირება;



„პოლიტიკოსის დუმილი სუიკიდ მის ნიუსპეიჯზე უფრო მკვეთრად უწყობს ანუ მოუხვედს თუ აჩა საბაჰა უშიდი ჩსემოს ახალ საინფორმაციო ომს?..“



ვან ტელევიზორიალში ნაქები ჩვენი „გერუს“ „სპეცნაზელები“ სადღა არიან?..

ამ კითხვებმა რეპორტაჟისთვის ფრიად თეატრალიზებული სცენის დაწვრილებითი ანალიზი გვაიძულა. კრეატივი ანტიკური ბერძნებისგანაა ნასესხები: ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელმა, სპარსელთა უზარმაზარი არმიის წინააღმდეგ გალაშქრებამდე, საკუთარი მეტროპოლისის გასამხნეველად, მწყობრის წინ რამდენიმე ტყვე გააშვილებინა და შედეგსაც მანინვე მიაღწია, რადგან ბერძენ ათლეტებთან შედარებით, სპარსელ ტყვეებს ძალზე სუსტი და დაუძლიერებული სხეულები აღმოაჩნდათ. ამ პიარაქციის შედეგი თვალნათლივანა ჩვენები სახელმძღვანელოებსა და მრავლარიცხოვან ამერიკულ ფილმში.

ზემოთ აღნიშნული ტელევიზორული ფარული მიზანიც — თანამოქალაქეებისა და მსოფლიო საზოგადოებისთვის საქართველოს ძლიერების შესახებ აზრის ჩანერგვაა, ორმეტრიანი სტატისტიკებიც სწორედ ამ მიზნით იყენებენ შერჩეული: ეტყობა, ამ სიუჟეტის რეჟისორებს პრაქტიკა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კი არა, პოლივუდში აქვთ გავლილი(!)..

ყოველივე ზემოთ ხსენებული მშენივრად თავსდებოდა იმ კონცეფციამიც, რომელსაც პიარისა და მარკეტინგის ენაზე message ჰქვია. სწორედ ასე ეხახიან ტრანსლირებულ გამოსახულებას, სურათს, რომლის შემადგენელ ნაწილებს — გარეგნობა, სახის გამომეტყველება, კომპოზიციური კადრი, ფერთა გამა წარმოადგენს. კიდევ ერთი, სრულფუნქციონირი კომპონენტია, ხმაა-ღლა წარმოთქმული სიტყვებიც. თუმცა, ისინი აუცილებელი სულაც არ არის: ხშირად, პოლიტიკოსის დუმილი მის სიტყვებზე უფრო მჭევრმეტყველო უტყუარია (სწორედ ესაა სააგიტაციო პლაკატების პრინციპიც). არცთუ ისე იშვიათად, message-ის შინაარსი, წარმოთქმული სიტყვებისგან არსებითადაც განსხვავდება, რადგან ფსიქოლოგების აზრით, ის ვერბალურ დონეზე კი არ აღიქმება, არამედ ქვეცნობიერში ილექება.

სწორედ ამიტომ იწვევენ ამერიკელი პოლიტიკოსები თავიანთი საჯარო გასმოსვლების დასადგმელად, პოლივუდელ სპეციალისტებს.

გაგრძელება იხ. გვ. 67

— საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იმის დემონსტრირება, რომ „პატარა, მაგრამ ძალზე ამაყი“ საქართველო უზარმაზარ რუსეთთან დაპირისპირებისას, ადგილობრივი დემოკრატიის იდეალების დაცვისა და ამ გზით, ნატოში დაჩქარებული შესვლისთვისაც მზადაა.

პირველი ამოცანის შესრულების უზრუნველყოფა მართალია, ვოლუნტარისტული, მაგრამ საცხები კონსტიტუციური საშუალებით — არჩევნების თარიღის 2 თვით გადმოწევით მოხერხდა. შედეგად, ოპოზიცია ცაიტნოტში აღმოჩნდა და ვერანაირი ზომების მიღება ვეღარ მოახერხა. თანაც, მის რიგებში მყოფ ყველაზე თავგამოდებული პოლიტიკური სივრციდან განსადევნად, ხელისუფლებამ დამატებით ზომებსაც მიმართა — კერძოდ, ამ ადამიანებს ხელისუფლების სანაღმალმდეგო შეთქმულებანი დასდო ბრალი და წინასწარ პატიმრობის საკნებში გამოამწყვდია.

თითქოსდა ამის შემდეგ, გამარჯვებისკენ გზა სრულიად ხსნილი იყო. თუმცა, სკანდალებით აფორიაქებული ქართული საზოგადოებრივი აზრი არჩევნებამდე ერთი კვირით ადრევე კი საკმაოდ ორჭოფული ჩანდა — ანუ ვერაფრით იტყოდი, რომ ის ერთმნიშვნელოვნად ინონებდა პრეზიდენტის საქციელს და ამომრჩეველებიც „ჩვენს მიშკოს“ ერთხმად დაუჭერდნენ მხარს. ამდენად, მმართველი კლანის გეგმის მეორე პუნქტიც — სააკაშვილის გარშემო ელექტორატის კონსოლიდირება — აუცილებლად სასწრაფოდ უნდა შეესრულებინა. ასეთი ამოცანის გადასაჭრელად, გარე სა-

ფრთხეზე უკეთესი საშუალება ჯერ კაცობრიობას არ მოუგონია და ამჯერადაც, ისევე, როგორც საქართველოსთვის მძიმე წუთებში ყოველთვის ხდებოდა, დასახმარებლად რუსეთს უხმეს.

რუსი სამხედროების დაპატიმრების ფაქტის კომენტარებისას, ჩვენი ოფიციალური პირებისგან ხშირად გაიგონებდით სიტყვებს: „პროვოკაცია“, „ბანდიტური სახელმწიფო“, „საერთაშორისო წესების დარღვევა“, „ოკეანისგალმელი სპონსორები“. მაგრამ ცოტა ვინმე თუ სვამდა კითხვას — „კი, მაგრამ თავად სააკაშვილს რაღაში სჭირდება ეს ყველაფერი?“ არადა, ყველაფერი ხომ სწორედ იმ მიზნით იყო წამოწყებული, რომ სააკაშვილი ჩრდილოელ მეზობელს ელანძღა და კიდევ დაუჭერებოდა. ან საფრთხის ისეთი ფიზიოლოგიური შეგრძნება გაჩენილიყო, რომელიც ნებისმიერ გუნდს შიდა კინკლაობას ავიწყებს და წინამძღოლის გარშემო აერთიანებს. კონკრეტულად პრეზიდენტის გუნდი და მრჩეველები კი, ამ პროცესს ფრიად მოხერხებულად წარმართავდნენ.

ალბათ, მცავესი მანიპულაციების ობიექტად იგრძნობდა თავს ნებისმიერი, ვინც ახალ ამბებში ჩვენი სამხედროების დაბრუნების სატელევიზიო სიუჟეტს კიდევ ერთხელ გადაავლებდა თვალს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო შემდეგი სცენა: ბრგე ქართველი პოლიციელები მწყობრად მიაბიჯებენ, მათ შორის კი, თავიანთ მეზადრავებზე მთელი თავით დაბალი (თანაც — უკლებლივ ყველა!) ჩვენი პოლკოვნიკები და პოდპოლკოვნიკები მოჩანალებენ. განსაკუთრებით შთაბეჭდავი მაინც, პირველი მწკრივი იყო: მოსული, უნიფორმიანი ქალი მრისხანედ ადგას თავს, სამოქალაქოტანსაცმლიან რუს ოფიცერს, რომელსაც გადაჯვარედინებულ ხელებში უხერხულად და საცოდავადაც კი უჭირავს რაღაც პატარა ფუთა.. მაინც, საიდან გაჩნდა ეს უაზრო ფუთები ან რა იყო შიგ არავინ იცის. ანდა, ნუთუ ქართველებს პოლიციაში ყველა ქალი ჩვენს პოლკოვნიკებზე მაღალი ჰყავთ?! მაშინ, მრავალრიცხო-





„სამი დღი, შებენება“

ქალბატონი ხრიცულა და სკრიპტიზი ნეფე-ჰატარძლისთვის ანუ „ემბალაჟი გადაქცევა არ მინდა!“

საახალწლო „გზავნილებმა“, რა თქმა უნდა, განწყობილებაც შესაბამისი უნდა შექმნას. ამიტომ, ერთ ცხელ-ცხელ ამბავს მოგიყვებით, რომელიც საკმაოდ მაღალი რანგის ადამიანმა სადღესასწაულო დღეებში გამანდო. გამოგონილია ის თუ ნაღდი, — თქვენ განსაჯეთ.

მარი ჯაშარიძე

ჩვენმა „ახალგამომცხვარმა“ ეკონომიკის მინისტრმა თურმე, ახალი წლის დღეებში თავი უქეიფოდ იგრძინო და ექიმს მიაკითხა.

— ექიმო, მიშველეთ რამე...

— რა გჭირთ, ბატონო გიორგი, რა დაგემართათ?

— ამ ბოლო დროს განსაკუთრებულად, მანიაკალურად მალეღვებს საქართველოს ეკონომიკა და გამუდმებით მასზე ვფიქრობ... საშიშია?

— რას ამბობთ? ეგ სისულელე ამოიგდეთ თავიდან, რადგან არანაირი ეკონომიკა საქართველოში არ არსებობს. ეს გამოგონილი ამბავია, მითი, ზღაპარი და ბოდვა. ალბათ ამ ახალი წლის დღეებში სამზე მეტი დალიეთ და ეს ყველაფერი მხოლოდ მაგის ბრაალი იქნება, — დაამშვიდა დასტაქარმა.

კიდევ დუტა სხირტლაძეზე გავიგე ახალი ამბავი და იმასაც მოგახსენებთ.

თურმე, ერთ საღამოს დუტა, დივანზე ნაპონოლილი, ტელევიზორს უყურებდა. ამ დროს მისმა მობილურმა დარეკა.

— ჰელო, დუტა! — ინგლისურად მიმართა ვილაცამ. — ჰოლივუდიდან გირეკავთ, ფილმში გადასალეზად გვინდა, მიგინვიოთ.

— რომელ ფილმში? — ცქვიტა დუტამ

ყურები.

— ტრილერში. მთავარ როლზე ვერ მიგიწვევთ, რადგან ანტონიო ბანდერასი თამაშობს, მაგრამ არც თქვენი პერსონაჟია ნაკლებმნიშვნელოვანი. მართალია, მილიონს ვერ გადაგისდით, მაგრამ 100 ათასს შემოგთავაზებთ... დღემო.

— გადაღებები როდის არის? — საბოლოოდ გამოცოცხლდა დუტა...

— 25 დეკემბრიდან ზაფხულამდე გასტანს...

— არაა... — მოიქეცა თავი დუტამ. — ჯერ „ჯეოსტარის“ ფინალი მაქვს ჩასატარებელი, მერე კიდევ, „ჯეოსელის“ ლატარია და ვერაა... ვერ წამოვალ...

ახლა მე თქვენ გეკითხებით, ძვირფასო მკითხველო, როგორ ფიქრობთ — ამ დროს დუტას სამზე მეტი არ ექნებოდა დალეული?..

სხვათა შორის, სამი ჭიქა სულაც არ ყოფილა ნორმა. აგერ, საახალწლოდ შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა თანამშრომლებს

თითო ბოთლი ღვინო დაურგა და ახალი წელი ასე მიულოცა. თუმცა, მხოლოდ ერთი ჭიქის დალევის უფლება მისცა. ბატონო ვანოს ინტერპრეტაციით, ზემოთ ხსენებული სიმღერა ასე უღერს: „ერთი დალიე, შეგერგება, არ დაითვრები, ერთზე მეტს დალეე, უმუშევრად გადაიქცევი“... ასე რომ, ჭიქების რაოდენობა წინასწარ უნდა შე-

თანმთო ზოგმა — ცოლთან, ზოგმა — სიდედრთან და ზოგმაც — მინისტრთან.

„მარი, გილოცავ! შენ ამ ახალ წელსაც მუშაობ, გენაცვალე? იცი, მარი, დღეს ვანო მერაბიშვილის საჩუქარი გადმოგცეცეს. თითო ბოთლი „საფერავი“, მინისტრის ავტოგრაფით. თან, უფროსმა თითო ჭიქის დალევის უფლება მოგცვა, 12 საათზე. შენ კი გვეუბნები, სამი დალიეთო. ახლა ერთი ნახევარლიტრიანი ჭიქა უნდა „გაჭიოთო“ და თუ რამეა, ვეტყვი, მართო ერთი ჭიქა დავლიე-მეთქი. ელისო“.

ეს მესიჯი ერთი ყველაზე ძველი „მგზავნილისგან“ მივიღე. დარწმუნებული ვარ — როდესაც „გზავნილებში“ რაიმე ამბავს კითხულობთ, ყოველთვის გაინტერესებთ, ვინ დგას ამ მესიჯის უკან. სწორედ ამიტომ, ჟურნალის წინა ნომერში შეგპირდით, რომ დროდადრო, ყველაზე საინტერესო და აქტიურ „მესიჯეშიკერებს“ გაგაცნობთ. ჩემი პირველი რესპონდენტი, რომლის ინტერვიუსაც ახლა გთავაზობთ, „გზავნილების“ ყველაზე „ვეტერანი“ მონაწილეა. ჩემი და მისი ურთიერთობა ამ რუბრიკის პირველსავე გამოშვებიდან დაიწყო. ყოველთვის საინტერესო ამბებს გვწერდა. ძირითადად კი, ეს ახალგაზრდა ქალი თავისი უიღბლო, ცალმხრივი სიყვარულის შესახებ გვიამბობდა. აქედან გამომდინარე, მკითხველმა მის შესახებ ბევრი რამ იცის. ამ ბოლო დროს კი, მისი წუნწინი მოისმინა — იმის გამო, რომ ის თურმე, სიმალით 184 სმ ყოფილა და ფეხი — 45 ზომა ჰქონია. მაშ ასე, გაიცანით, „გზავნილების“ ყველაზე ერთგული მკითხველი და „მგზავნელი“ **ელისო ლოშიძე**.

— როცა ეს რუბრიკა ვხანვ, მაშინ საკუთარი მობილურიც კი არ მქონდა, მაგრამ ისე მომიინდა დამესიჯება, რომ სხვისი ტელეფონით დავამესიჯე. პირველივე გზავნილი დაიბეჭდა. ვერაფერი შეედრებოდა იმ შეგრძნებას, რომელიც ჩემი მესიჯის „გზაში“ ნაკითხვისას დამეუფლა. ამის შემდეგ, ერთი კვირაც არ გამომიტოვებია. „გზავნილებს“ რომ ვკითხულობ, მაგ დროს არაფერი მესმის და არაფერი მასსოვს...

— სამაგიეროდ, მე მასსოვს კარგად, რომ შენი მესიჯების მთავარი „გმირი“ ის ადამიანი იყო, რომელზეც ცალმხრივად და უიმედოდ შეყვარებული იყავი. შედეგი თუ მოგიტანა



არ მეგონა, თუ ოდესმე ეს ნაგვრა ამისდებოდა



კოლეგასთან ერთად

„გზავნი“ გამოქვეყნებულმა მესიჯებმა?

— მე ხომ მართო „ლონდრეზე“ არ გწერდით. ამიტომ ყველა ჩემი ნაცნობი კითხულობს „გზას“ იმის გამო, რომ იცინა — შესაძლოა, ჩემ მიერ გამოგზავნილ მესიჯში საკუთარი თავი ამოიცნონ. თითქმის არასოდეს ვწერ მესიჯის ბოლოს ჩემს სახელს, მაგრამ ყველა ხვდება, რომელია ჩემი გზავნილი. რაც შეეხება „ლონდრეს“, ის თითქმის 6 წელი მიყვარდა. გოგო ვარ და ვერ ვახერხებდი, მისთვის გულისტკივილი გამეხსილა და ჩემი სათქმელი უშუალოდ მეთქვა. „გზავნილები“ კი მშვენიერი გამოსავალი იყო ამ სიტუაციიდან. თუ რაიმის თქმა მინდოდა მისთვის, „გზავნილებით“ ვახერხებდი. მერე მისი ახლობელი კითხულობდა, მას აკითხებდა და ასე...

— მასსოვს, ერთხელ მომწერე უამრავი „გული“ დავამზადე, ზედ სხვადასხვა ტექსტი დავწერე და სიყვარულის დღეს, მის ეზოში მიმოვფანტე...

— ეს იყო ჩემი მოფიქრებული სიურპრიზი. მეგობრები დამეხმარნენ, კომპიუტერზე ამოვებეჯდეთ უამრავი გული, გამოვჭერით, გაავფერადეთ, ზედ სხვადასხვა ტექსტი დავწერეთ და სიყვარულის დღე რომ თენდებოდა, იმ ღამით მის ეზოში შევიპარეთ და მთელ ეზოში მიმოვფანტეთ. რა თქმა უნდა, მიხვდა, ვისი გაკეთებულის იყო, მაგრამ როდესაც „გზავნი“ წაიკითხა, მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ სიურპრიზის ავტორი მე ვიყავი.

— ახლა შენზე გვითხარო ორიოდ სიტყვა...

— 24 წლის ვარ, პროფესიით ფილოლოგი. დავიბადე ხარაგაულის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალაში. სკოლა რომ დავამთავრე, ჩავაბარე უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში, რომელიც ახალციხეში მდებარეობს. ძალიან მინდოდა, თბილისში მესწავლა, მაგრამ ახალციხესაც ძალიან შევეჩვიე. პატარა, ლამაზი ქალაქია და შემიყვარდა კიდევ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შევისწავლე სტილისტის პროფესია და ცოტა ხანს სილაშაზის სალონში ვიმუშავე. ყველას უკვირდა, როგორ მოვხვდი ამ „გაუგებრობაში“ ფილოლოგი ქალი, მაგრამ შევეჩვიე. მერე თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. იმ პერიოდში, უკვე „გზავნილებს“ აქტიური ავტორი ვიყავი

და მარი, ალბათ გახსოვს კიდევ, რომ შენთან აქტიური „მესიჯ-მეგობრობა“ მქონდა გაჩაღებული. მინდა, მოვყვე, როგორ გაგიცანი. შეიძლება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

— თბილისში რომ ჩამოვედი, სამსახურის ძებნა დავიწყე და სილაშაზის სალონში მოვეწვეე კიდევ. მერე შენ დაგიმეხივე — აქა და აქ ვმუშაობ, ჩვენს სალონში ბევრი ცნობილი ადამიანი დადის და შემოგვიარე, თანაც, უფასოდ მოგმსახურებენ-მეთქი. კარგად მახსოვს ჩემი გაოცება, როდესაც შენგან პასუხი მივიღე, სადაც სალონის ყველა თანამშრომელს სახელით მოიხსენიებდი და მოკითხვას უთვლიდი: თურმე, იმ სალონის ძველი კლიენტი ყოფილხარ. კლიენტი ალბათ არ გეთქმის, რადგან ისინი უფრო შინაურად გთვლიან. მეორე დღეს რომ მივედი და ვიკითხე — მარი ჯაფარიძეს თუ იცნობთ-მეთქი? — ყველამ დიდი სიყვარულით მოგიხსენია. მერე ვთხოვე — მე მარის გარეგნულად არ ვიცნობ და რომ მოვა, მითხარით, რომელია-მეთქი. თუ ვინმე უცხო შემოვიდოდა, ყველაზე ვკითხულობდი — ეს ხომ არ არის მარი-მეთქი? შენ რომ მოხვედი, მაშინაც ვიკითხე, მაგრამ მომატყუეს და არ მითხრეს, რომ შენ იყავი. მერე, თავად იკითხე — ელისო რომელიაო? ჩემი რეაქცია ალბათ, კარგად გახსოვს...

— ახლა ის მითხარო, პატრულში როგორ მოხვდი?

— ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით ვნახე რეკლამა, სადაც პატრულში ახალი თანამშრომლების მიღებას აცხადებდნენ. ხშირად მინატრია — ნეტავ, პატრულში მამუშავა-მეთქი! — მაგრამ არ მეგონა, თუ ოდესმე ეს ნატვრა ამისდებოდა. როდესაც რეკლამა ვნახე, გადავწყვიტე, ჩემი თავი გამოემეცადა და მხოლოდ ამის გამო შევიტანე საბუთები, ისიც — მიღების დამთავრებამდე 2 საათით ადრე. ყველა ეტაპი გავიარე და პატრულში მოვხვდი. ყველას უკვირდა — ასეთ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პროფესიების ადამიანს პირველად ვხედავთო: ფილოლოგი, სტილისტი და ბოლოს — პატრულის თანამშრომელი...

— შენმა სიმაღლემ ხომ არ ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ პატრულში მივიღეს?

— ვფიქრობ, რომ არა. მართალია, ჩემს დანახვაზე ყველა აღნიშნავდა — აი, ქალი-ი, აი, ეს კი ნამდვილად პატრულში უნდა მუშაობდესო! — მაგრამ ჩემთან ერთად პატარა, სიფრიფანა გოგონებიც აბარებდნენ გამოცდებს და ისინიც მიიღეს. ასე რომ, ჩემს სიმაღლესა და გარეგნობას გადაწყვეტი როლი არ უთამაშია. ახალციხეში გამანაწილეს და ახლა იქ ვმუშაობ. როდესაც პრაქტიკას გავდიოდით, ჯგუფში რამდენიმე დიდი, „მოხეული“ ტიპი გვყავდა. მათ ყველა „ვეშაპს“ ეძახდა: ვეშაპები და

ვეშაპები — ყველას ეს სიტყვა ვერა პირზე. ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოაჩინეს, რომ მათ სიგრძე-სიგანით ზრ ჩამოუფუჭრდები და... „დედალი ვეშაპი“ შემარქვეს. არასოდეს მქონია კომპლექსი ჩემი სიმაღლისა და გარეგნობის გამო, მაგრამ ყოველთვის მქონდა პრობლემა, რადგან ჩემი ზომების ქალის ფეხსაცმელსა და ტანისამოსს ვერ ვშოულობდი და უმეტესად, მამაკაცის ტანისამოსით დავდიოდი... ახლაც, 2 ზომით პატარა ჩემსა მაცვია. ერთხელ ჩემი მეგობარი გოგონა თბილისში მოდიოდა და ვთხოვე, ჩემთვის „ბოტასი“ ყვიდა. როდესაც გამყიდველს 46 ზომა ფეხსაცმელი სთხოვა და შერჩევა დაიწყო, გამყიდველს უკითხავს — ქმრისთვის გინდაო? — არა, დაქალისთვისო. გამყიდველმა მაგრად დასცინა თურმე, ჩემზე მაღალ კაცს რომ ვხედავ, ძალიან მისხარია... ამ თემაზეც ბევრი მესიჯი მაქვს გამოგზავნილი თქვენთან. ძალიან მომწონს ჩემი სამსახური. ეს ისეთი საქმეა, სადაც ნაძალადევად ვერ იმუშავებ. ჩემმა სამსახურმა რამდენიმე თაყვანისმცემელი დააფრთხო კიდევ და როცა გაიგეს, რომ პატრულში ვმუშაობ, ჩემთან ურთიერთობა განწყვიტეს. ახლა ახალციხის მთელი საპატრულო პოლიცია კითხულობს „გზას“ და „გზავნილებს“, რადგან იცინა, რომ ჩემი



ცუდი მომენტია, როცა „გზავნილებს“ კითხულობ და აღმოაჩენ, რომ შენი მესიჯი არ დაიბეჭდა

მესიჯი დაიბეჭდება და შესაძლოა, იქ საკუთარ თავზე წაიკითხონ რამე.

— ელისო, მიუხედავად იმისა, რომ შენ ჩვენი ძველი მეითხველი ხარ და საინტერესო მესიჯებსაც გვიგზავნი, ხდება ისეც, რომ შენს მესიჯს არ ვაქვეყნებ სოლმე. ამ დროს ბრაზდები ჩემზე?

— ასეთი შემთხვევები ნამდვილად ყოფილა. არასოდეს ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი მესიჯი „გზავნილებში“ მოხვდება. მაგრამ შენზე არ ვბრაზდებოდი, რადგან მიზეზს ჩემს თავში ვეძებდი. ვფიქრობდი, რომ ალბათ ვერ დავწერე ისე, როგორც საჭიროა-მეთქი. ისე, ძალიან ცუდი მომენტი, როცა „გზავნილებს“ კითხულობ და აღმოაჩენ, რომ შენი მესიჯი არ დაიბეჭდა. შენ ალბათ ვერ მიხვდები, რას ნიშნავს, როცა მესიჯი იბეჭდება. რაღაც უზომოდ დიდ სიამოვნებას გგვრის ის მომენტი, როცა შენ მიერ დანერგილ გზავნილს ჟურნალში კითხულობ.

გაგრძელება იხ. გვ. 60

„კითხვომ ონაინ-რომანს და ჩემი თავი მისხნა...“

„მარი, ზურასა და ნატალის რეალურობაში ეჭვი მეპარება და თუ შეგიძლია, დამარწმუნე რომ ისინი ნამდვილად არსებობენ“, — ასეთი მესიჯი მივიღე ერთ-ერთი მკითხველისგან. მინდა, პატივცემულს ვუთხრა, რომ ჯერ ერთი, მკითხველის მოტყუება „გზის“ წესი არ გახლავთ; მეორეც, ნატალის ინტერვიუ და ფოტო ჯერ კიდევ რომანის დასაწყისშივე შემოგთავაზებთ და მეტი რაღა ვქნათ?! თუ დამაჯერებელი იქნება, დედასაც დავიფიცებ — არ ვიცი, ამის შემდეგ დაიჯერებს თუ არა სკეპტიკოსი მკითხველი ონლაინ-რომანის გმირების რეალურობას, ამიტომ, ისლა დამრჩენა, გაგახსენოთ ძველი ანექდოტის ფინალი — ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო...



მარი ჯაშარიძე

„დედაა... დამტანჯა ამ ხალხმა. ეს ნამდვილი საჟურნალო სერიალია, „საპნის ოპერა“ ქართულად. ხან ზურას მოსდის რაღაც, ხან — ნატალის. ჩემი დეიდაშვილი მოკვდა ნერვიულობით. საინტერესოა, ახლა რაღა მოხდა? ოჰ, ზურა, ზურა, სულ ტყუილად გვანერვიულებ... მარი, ეს ამბავი ერთ დიდ წიგნად რომ დანერო, იცი, როგორ გამდიდრდები?.. ამ წყვილს ბედნიერებას ვუსურვებ! პუბლიკუნა“.

„ახლა დავამთავრე პანდორასა და ზურას ამბის კითხვა, ყველა ნომერი წავიკითხე. რაღაც, რომანს ჰგავს და მაგარი მულაში აქვს. საინტერესო ადგილზე რომ წყდება, აღარ ელოდები ხუთშაბათის მოსვლას, იქვე გიღეფს მომდევნო ნომერი და განაგრძობ კითხვას. ახლა ყველა დავნომრე, „დავასტეკლერე“ და ფაილში ჩავდე, დიდი მოწინებით“.

„ნატალია და ზურიკო, უმაგრესები ხართ. აუ, ხალხო, იქნებ, ვინმემ მოკლედ მომწეროთ, ბაჩო რომ ნატალის დაურეკა, მერე რა მოხდა? „გზის“ ეგ ნომერი ვერ ვიშოვე“.

„ნატალი და ზურა, თქვენი ფანი ვარ, იბრძოლეთ თქვენი ლამაზი სიყვარულისთვის! იმ წინასწარმეტყველს კი მივმართავ — იქნებ, მეც მიწინასწარმეტყველო რამე? გიჟი მაკუნია“.

„უკვე მეორედ გწერთ. ძალიან მჭირდება ნატალის რჩევა, მაგრამ ვინ მაქცევს ყურადღებას?... ერთი ბიჭი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ერთი პრობლემაა — ერთმანეთი მესიჯებით შეგვიყვარდა, ის ჯერ არ მინახავს. ჩემი გაცნობა ძალიან უნდა, მაგრამ არ ვხვდები, მეშინია, რომ არ მოვეწონო?... ძალიან კომპლექსიანი და ზედმეტად მორცხვი ვარ. დარწმუნებული გახლავართ, როცა შეხვდები, მისი შემრცხვება და გაწითლდები. ნატალი, ვიცი, რომ „გზას“ კითხულობ, გემუდარები, მირ-

ჩიე, როგორ დავძლიო ავადმყოფური სიმორცხვე? ყველაფერზე ვწითლდები და მგონია, რომ არავის მოვეწონები, საკუთარი თავის ფასი არ ვიცი. ნატალი, გვეუბრები, ნუ დაგეზარება ერთი მესიჯის მოწერა. მორცხვი სვანი, 17 წლის“.

„ნეტავ, მართლა უყვართ თუ არა ნატალის და ზურას ერთმანეთი? ან თუ არსებობს საერთოდ სიყვარული?... სამწუხაროდ, გათხოვილი ვარ, მაგრამ სიყვარულის მაგივრად, მძულს“.

„მინდა, ნატალის ვუთხრა, რომ არასწორად იქცევა. ღმერთს ვთხოვ, ერთხელ თვითონაც აღმოჩნდეს ზურას ცოლის ადგილზე, რათა გაიგოს, რა მწარეა ღალატი. ქალებო, შეჩერდით! სხვისი ქმრები რად გინდათ, ქვეყნად კაცები დაილიან? „განადგურებულნი“.

„მარი, ძალიან საინტერესო რუბრიკებს იგონებ და კარგი ჟურნალისტი ხარ. მინდა, ნატალის ბედნიერება ვუსურვო, მაგრამ ზურას სიყვარულის მარადიულობაში ეჭვი მეპარება. შესაძლოა, ვცდები, მაგრამ კაცი, რომელიც ერთი ღამით ვერ იტყვის უარს სიამოვნებაზე და მეძებს „უტაკება“, სანდო ვერც მომავალში იქნება. ბაჩო ბევრად უფრო მესიმპათიურება, მიუხედავად მისი კრიმინალური ცხოვრებისა. ის ნამდვილი მამაკაცი ჩანს. თუმცა, ნატალი ფსიქოლოგია და გულიც მისია. თათია“.

„აუ, მარი, რა ცუდ ადგილზე წვეტ ხოლმე თხრობას! სერიალს ჰგავს — იქაც მაგარ მომენტზე წყვეტენ ხოლმე ფილმს და ხალხი სულმოუთქმელად ელოდება, მაგრამ ჩვენ გაცილებით ცუდ დღეში ვართ, რადგან ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე გვინევს ლოდინი. მერე კიდევ ასეთ ადგილზე გაჩერდები და გვტანჯავ, რა! ნატ, გამაგრდი!“

„მარი, ნატას მსგავსად, მეც ცუდ დღეში ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ქმარიც მყავს და შვილებიც, მაინც შემეყვარდა. რამდენიმე წლის მანძილზე მალულად ვხვდებოდი ერთმანეთს. გამოჩნდა სხვა ქალი, რომელმაც შვილი გაუჩინა. მეგონა, სიცოცხლე დამთავრდა, მაგრამ მოხდა სასწაული და უჩემოდ ვერ გაძლო. მოვიდა და მომიბოდიშა, მაგრამ მე ვერ ვპატიობ. ნატ, თუ ნამდვილი სიყვარულია, ის აუცილებლად შენთან დარჩება. გაუფრთხილად და იბრძოლე. მე ოჯახმა შემაჩერა. ნებერა“.

„ყველაფერი-ყველაფერი, მაგრამ ამ ნათელმხილველს რაღა უნდა?!“

„მარი, ვიცი, ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, მაგრამ მაინც გეტყვი. შენი დონის ჟურნალისტი არ უნდა ცდებოდეს მრუში ადამიანების ისტორიის გამომზებულობით. ეგ სიყვარული არაა. ვ.დ“.

„მარი, მე ძალიან მინდა, რომ „გზა“ გაფერადდეს და შენი, ნატას და ზურას პლაკატებით გაივსოს. ელე“.

„მარი, ასე რატომ გვტანჯავ ზურას და ნატალის ფანებს? „ალ გეროდებით“, ასეთ საინტერესო ადგილზე რომ წყვეტ „ქოლმე“? „ჩოდოები ალ ვალთ“? ჭინკა“.

„აუ, ზურა არ მეფასება. ნატა და სონა მაგრები არიან. ბაჩო მაგარი კაცია. მინდა, რომ ეგ და ნატა ერთად იყვნენ“.

„მარი, ამ სიბოროტით დაბრმავებული ხალხის აზრს არ აწყვე. ყველამ საკუთარ სულში ჩაიხედეთ და ისე განსაჯეთ ნატალი და ზურა. მათ ბედნიერებას ვუსურვებ. ორივე ძალიან მიყვარს. მარი, ნატალი და ზურა, „გულაკებში“ გენაცვალეთ“.

„ზურას ცოლის ადგილზე რომ ვიყო, ყველაფერში საკუთარ თავს დავადანაშაულებდი. ალბათ, ხათუნა თავის ქმარს ცივად ექცევდა. იმნაც გადაწყვიტა, რომ სიყვარული და სიტბო სხვაგან მოეძებნა. ჰოდა, ამ ძიებებაში „განძიც“ მოძებნა. თქვენ ვართ, გუგულებო! ვისაც თქვენი საქციელი არ მოსწონს, ჩვენთან ექნებათ საქმე“.

„ნატალი და ზურა, აღარ ვიცი, თქვენზე ვინერვიულო თუ ჩემს კოლოქვიუმებზე: მისი მაგივრად, რომ ვიმეცადინო, ვდგავარ და მარის ვუმეხიჯებ“.

„ეჰ, ჩემო ნატალი, მაგრად გაგიმართლა, მაგრამ არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს შენი და ზურას სიყვარული. მასთან შედარებით, შენ გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებ. როგორც ვატყობ, არც მარი სწყალობს ზურას. მასზე ძალიან ცივად წერს, ხოლო ბაჩოს დადებით თვისებებს უფრო ხშირად ასხენებს. ასეა, მარი?... რატომ არ გიყვარს ზურა?“

„მთელი ყურადღებით ვკითხულობ ნატალისა და ზურას ამბავს. ვერ გეტყვი, რომ ყველაფერი მომწონს, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც კარგი ტიპები არიან. თითქოს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზურა თამაშობს და ნატალი არ უყვარს. საინტერესოა, რაში უნდა სჭირდებოდეს? თუ არ თამაშობს, როგორც თვითონ ამბობს, დიდი ხანია, ცოლთან მხოლოდ სხვისი თვალის ასახვევად ცხოვრობს და ოფიციალურად რომ გამორდეს, ნატალიზე დაქორწინდეს არ უნდა? რა ვიცი, რა ვიცი... ვნახოთ, რა მოხდება შემდგომში“.

„ათენიდან გიმეხიჯებთ. ყურადღებით ვკითხულობ ონლაინ-რომანს და ჩემი თავი მახსენდება, იმ განსხვავებით, რომ მე ბერძენ, ცოლშვილიან კაცთან მაქვს რომანი. ძალიან ვუყვარვარ და უზომო პატივს მცემს. მეც მიყვარს, მისმა ბელგიელმა ცოლმა თუ გამიგო, თმით მითრევს, ისეთი გიჟია, მაგრამ რა ვქნა? რისკი — რისკია...“

შაბი.ge პარალელური საყაროები

ქსელში დაწყებული სიყვარულის აზვანი

მავრძალაბაბით

დასაწყისი იხ. №35-52(2006)

ბევრი მკითხველი დაინტერესდა, როგორ შეხვდნენ ახალ წელს ჩვენი რომანის გმირები. რაღა დაგიმალეთ და მეც ძალიან მაინტერესებს, მაგრამ ახალი წლის დღეებში ნატალი ჩემი შეკითხვებით არ შევანუხე. მასთან სტუმრად შობას, 7 იანვარს მივდივარ და რაღა თქმა უნდა, ყველაფერს დანერგებით მაშინ გამოვკითხავ. ამიტომ ამის შესახებ მხოლოდ მომდევნო ნომერში შევძლებ, რომ გიამბოთ. ახლა კი თხოვრებას იქადავებ, როგორც რომელიმე საავადმყოფოში მისულმა, ზურას მძღოლმა ნატალისა და ნინოს გაუხილა, რომ ზურას მანქანას ვილაცამ ხანძარი გაუჩინა.



მარი ჭაჭარია

...გაოცებულმა შეხვდე გოჩას. თითქოს დამნაშავეს ვინაობას, მანქანის დანვის მიზეზსა და ყველაფერი დანარჩენის ახსნას მისგან მოველოდი.

— მეტი არაფერი ვიცი, — დამნაშავესავით თქვა გოჩამ, თითქოს ჩემი აზრი ამოვიკითხაო. — მე ზურას დავალებით ფოთში ვიყავი. რომ ჩამოვედი, მაშინვე სამსახურში მივავითხე და იქ მითხრეს, რომ საავადმყოფოში დაუწვევიათ. მაშინვე აქეთ გამოვიქეცი. მერე, ხან ხათუნა მოვიყვანე, ხან საქმეზე გამგზავნეს. მხოლოდ ერთი საათის წინ გავიგე, რომ თურმე, მისი მანქანა ვილაცამ დაუწვავს...

— ნეტავ, ზურამ იცოდა? ეს ხომ არ იყო გულის შეტყევის მიზეზი? — იკითხა ნინომ.

— არ ვიცი, არ ვიცი... ზურა ისეთი ადამიანია, რომ არ მეგონა, თუ ვინმე ასე დაუნდობლად მოექცეოდა, — თავს აქნევდა გოჩა.

— ნატ, შედი ზურასთან, თორემ ინერვიულებს, ამდენი ხნით რომ დაიკარგე. იმედია, გავარკვევთ, რა მოხდა სინამდვილეში. — ნინომ გადაამკოცნა და წინ წასულ გოჩას დაედევნა. ზურას უკვე მოუთმენლობა ეტყობოდა.

— სახლამდე მიაცილე?.. — მკითხა, როგორც კი პალატის კარი შევალე.

— აბა, „მულს“ მარტო ხომ არ გაეუმევებდი! — ნაძალადევად ვიხუმრე მეც.

— ისე, ეგ მართლაც, შენი მული უფროა, ვიდრე... —

— ვიდრე სხვების, არა? — მივეხმარე წინადადების დასრულებაში და „სხვები“ განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოვთქვი.

— ეჭვის „ბუკეტი“ ხარ, ნამდვილი ოტელიო...

— „ილოცე ძილის წინ, დეზდემონა?“ — ვკითხე და ორივეს სიცილი აგვიტყდა. ხმაურზე პალატის კარი ექიმმა შემოაღო, სათვალის ზემოდან გადმოგვხედა და ზურას ჰკითხა:

— ჯერ ვერ გაისტუმრე მნახველები? — ნატა ამაღამ აქ რჩება, — უპასუხა ზურამ და სანოლზე წამოჯდა. ექიმი ოთახში შემოვიდა, კარი მიხურა და სანოლს მიუახლოვდა. ზურას მაჯა აიღო და კარგა ხანს მის გულისცემას უსმენდა.

— თუ ეს ქალი გიყვარს, წესით, აქ არ უნდა დაგეტოვებინა, — უთხრა ბოლოს. — რატომ? — თითქმის ერთდროულად ვიკითხეთ მე და ზურამ.

— იმიტომ, რომ მთელი ღამე ფეხზე მოუწევს ყოფნა. სად დაანვენ?

— ზურამ გამოძხვდა. მე კი მტკიცედ ვთქვი: — არ გამიჭირდება, გავძლებ.

ექიმმა თავი გადააქნია და გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ, ორმა სანიტარმა „ტაფჩანი“ შემოიტანა და ზურას ლოგინის გვერდით დადგა.

— ხედავ, როგორ შეეცოდე ექიმს! — მითხრა ზურამ. — ახლა უკვე დასაწოლი ადგილიც გაქვს.

— უკვე პირველი საათია, დაიძინე, შენთვის გადალალა არ შეიძლება, — ვუთხარი და საბანი ამოვუკეცი.

— ძილის წინ არ მაკოცებ? — პატარა ბავშვივით გამომიშვირა ტუჩები. ორივე ლოყა დავუკოცე და მისი ხელებისგან ძლივს დავისხენი თავი.

— გინდა, ზღაპარს მოგიყვები? — მინდა, მინდა!.. — აღფრთოვანდა ზურა. ჩემი სანოლისკენ გადმობრუნდა, ერთი ხელისგული ლოყის ქვეშ ამოიდო და მოსასმენად მოემზადა. — კომბლეს ზღაპარი მინდა! — ჭირვეული ბავშვის ხმით მითხრა.

მოყოლა დავინწყე და ვიდრე იმ ადგილამდე მივიდოდი, სადაც კომბლე დათვის ეუბნება — კბილები დაკრიჭე, ჩიჩია ხომ არ გაქვსო? — ზურა უკვე მშვიდად ფშვინავდა.

მიყვარს მისი ყურება, როდესაც სძინავს. ძალიან მშვიდი ძილი სჩვევია, უხ-

მაურო. წელში მოხრილი, თითქოს ჩანასახის პოზას იღებს. თვითონ ჰქონდა ნათქვამი, რომ ცხოვრებაში სიზმარი არასოდეს უნახავს. სახეს ახლოს მივუტან ხოლმე და მის სუნთქვას ვუსმენ. როცა სძინავს, ის ამ დროს არც სამსახურზე ფიქრობს, არც ოჯახზე, არც საქმეზე და მეგობრებზე. ამ დროს ის მხოლოდ ჩემია და მეტი არავისი...

ახლა ვიჯექი და თვალმოუშორებელი ვუყურებდი. ძალიან მომიწონდა, რომ სულ ოდნავ შევებოდი, მაგრამ თავი შევიკავე. მის გაღვიძებას მოვერიდე. მარტო შორიდან გავუღიძეე მძინარეს და თვალები დავხუჭე.

დაძინებას ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ჩემი სანოლი ისეთი ხმელი და მოუხერხებელი იყო, რომ გვერდები მეტყინა. კარგა ხანს იწირიალე და ფანჯარაში ცის ფონი ოდნავ რომ გალიავდა, მერელა ჩამეძინა.

ძალიან ცოტა ხანი მეძინა. ისე გამეღვიძა, თითქოს ვილაცამ ხელი მკრა. თვალეები ერთბაშად გაახილე. ზურას ისევ მშვიდად ეძინა. უკვე კარგად იყო გათენებული. საათს დავხედე — 9-ის ნახევარს უჩვენებდა. მოთენილი და უღონო ვიყავი. უძილო ღამემ ცუდად იმოქმედა ჩემზე. ამ დროს ზურამაც გაახილა თვალეები.

— დილა მშვიდობისა, პატარავ! შენ რა, მთელი ღამე არ გეძინა?

— ცოტა მეძინა, დანარჩენი დრო შენ გდარაჯობდი, რომ არ გაპარულიყავი, — ვუთხარი და გემრიელად დავამთქნარე.

— არ გადამყლაპო, — გაიცინა ზურამ. — გოჩა არ გამოჩენილა?

— არა, ჯერ არ ჩანს.

ზურა ტელეფონს დასწვდა და ნომერი აკრიბა.

— გოჩა, 8 საათზე რომ უნდა მოსულიყავი, დაგავინწყდა?.. კარგი, გელოდებით... მალე მოვა, გაემზადე, — მომიბრუნდა მე. მივხვდი, ჩემს წასვლას ჩქარობდა. ამ დროს სარკესთან ვიდექი და კეფაზე თმის მოგროვებას ვცდილობდი. გული რალაცნაირად ჩამწყდა: თითქოს ჩემს თავიდან მოშორებას ცდილობდა... მწარე რალაცის თქმა მინდოდა, მაგრამ

კბილებში თმის სამაგრი მქონდა გარჭობილი და ამის გამო ვერ ვუთხარი... 2 წუთში კი, უკვე გადავიფიქრე რამის თქმა და გადავწყვიტე, გოჩას არ დავლოდებოდი. ქურთუკი მოვიცივი და კიდევ ერთხელ ჩავიხედე სარკეში.

— ჯერ ნუ ჩაიცვამ ქურთუკს, გარეთ რომ გახვალ, შეგცივდება. გოჩა ჯერ არ მოსულა, — მითხრა ზურამ და თვალი ამომაყოლა.

— არა უშვას, ჩემით წავალ. ჩემ გამო წურც თქვენ შენუხდებით და წურც გოჩას შეაწუხებთ, ბატონო ზურა, — ეს სიტყვები ისეთი მანჭვა-გრეხით წარმოვთქვი, როგორც ჩანს, ზურამ ხუმრობად მიიღო. თუმცა, წინააღმდეგობა არ გაუწევია ჩემთვის. ამან უფრო დამწყვიტა გული.

— შარვალი მომანოდე...

— გაცილება არ მინდა, ჩემით გავიგნებ გზას და არც უკან მოვბრუნდები, — ისევ წავიმნარე ენა, მაგრამ სკამზე გადავიდებული შარვალი მაინც მივანოდე. ზურამ 2 ოცლარიანი კუბიურა გამომიწოდოდა.

— ტაქსით წადი.

— წუხანდელი ღამის საფასურს მიხედი? — სახეზე დამცინავდა ღიმილმა გადამიარა.

— არა, უბრალოდ, გზის ხარჯს ვიხდი.

— სხვა დროს ასე არ მოქცეულხარ, ახლა კი თავს ვალდებულად თვლი, რადგან ღამე აქ დავრჩი, სიხარულო? — მაინც დავინდე და ბოლომდე არ ვუთხარი სათქმელი. — ტაქსი 40 ლარი არ ღირს. მე კი ჯერჯერობით საკუთარი ხარჯის ანაზღაურება შემიძლია. ბოლო-ბოლო, რემონტს ხომ არ ვაკეთებ?!

— კარგი, ნატალი, ალბათ უძილობის ბრალია, რომ ხასიათზე ვერ ხარ... დღეს ალბათ გამწვანდები, მაგრამ მხოლოდ ხვალ შევძლებ შენს ნახვას.

— როცა გენებოთ, ბატონო ზურა... თქვენს სამსახურში მიგულისხმებ, — ვთქვი და კარის სახელურს მოვეჭიდე. გამოვალე თუ არა, ზურას ხმა მომესმა.

— ისე წახვალ, ერთხელაც არ მაკოცებ? — მაგრამ ეს ფრაზა, ჩემ გარდა, ღია კართან მდგარმა ხათუნამაც კარგად გაიგონა. მართალია, მისი დანახვა ძალიან გამიკვირდა, მაგრამ არ დავბნეულვარ.

— მობრძანდით, — გვერდზე გავდექი და გზა დავუთმე, თან, ზურას გადავხედე. ის დაბნეული აფხულებდა თვალებს და უხერხულობისგან არ იცოდა, რა ეთქვა.

— ვიცი, ჩემთან დალაპარაკება გენდომებათ, ქალბატონო ხათუნა, მაგრამ ახლა ძალიან მჭიქარება. თანაც, ჩემი მორიგობა უკვე დამთავრდა. „სმენა“ გადაიბარეთ. მე კი სამსახურში უნდა გავიქცე, რადგან პაციენტები მელოდებიან. — თან, ზურას გახედე და დაგვიანებული პასუხი გავეცი: — ახლა ალბათ უხერხული იქნება, რომ გავოცო. სხვა დროს იყოს, როცა მარტო დავრჩები. — ვთქვი და უკან-მოუხედავად დავტოვე ოთახი.

— „ნაგლი“! — მომესმა ხათუნას ხმა,

როდესაც კარს ვხურავდი, მაგრამ უკომენტაროდ დავტოვე. გული ყელში მეზღინებოდა. ცოტაც და ავლრიალდებოდი. ამიტომ, კიბე ისე სწრაფად ჩავიბრინე, რომ ქვევიდან მომავალი გოჩა ვერც შევნიშნე.

— ნატალი, სად გარბიხარ? — მხოლოდ მაშინ შევჩერდი, როცა მისი ხმა შემომესმა.

— სად ხარ, გოჩა, სად?! — ვკითხე სასონარკვეთილმა, თვალზე მომდგარ ცრემლს გზა მივეცი და კიბეზე დავეშვი. გოჩა უკან მომყვა. ეზოში წამომენია და მკლავზე მომქაჩა. მის ნებას დავყვე და მანქანაში მის გვერდით მოვთავსდი.

— მოვიდა? — შეთქმულივით მკითხა გოჩამ, როდესაც გასაღები გადაატრიალა და ძრავა აამუშავა, თუმცა, ადგილიდან დაძვრას არ ჩქარობდა.

— კი, მოვიდა, — თავი დავუქნიე და ცრემლი ხელისგულებით მოვიწმინდე.

— დილას, უთენია დამირეკა და ბაზარში გამგზავნა. თვითონ კი აქეთ წამოსულა. ეტყობა, რალაც იყნოსა და დილაუთენია დაგადგათ თავზე, თორემ როდის იყო, ხათუნა ასე ადრე ადგომით იწუხებდა თავს?.. ანდა, უჩემოდ ფეხსაც არსად დგამს და ახლა რა ბზიკმა უკბინა?!

— ჰო, ალბათ იყნოსა... — ვთქვი ანგარიშიუცემლად, რადგან ჩემი ფიქრი ახლა ერთ რამეს დასტრიალებდა: რას არ გავიღებდი, რომ გამეგო, რა ხდებოდა ახლა იმ ოთახში, სადაც ზურა და ხათუნა იყვნენ. მათი საუბრის მოსმენაში ახლა სიცოცხლის ნახევარსაც მივცემდი. — ნავიდეო, გოჩა... — სალონში სიჩუმე იყო. არც ერთი არ ვიღებდით ხმას.

— ზურას უყვარხარ, — დაარღვია გოჩამ სიჩუმე. გაოცებულმა შევხედე.

— ხათუნა არ უყვარს? — ვერ შევიკავე თავი და სწორედ ის კითხვა დავსვი, რომელიც დიდი ხანია, მანვალებს.

— არა, — მოჭრილად მიპასუხა.

— შენ რა იცი?

— მე ზურას ბავშვობიდან ვიცნობ და ამიტომ კარგად ვიცი, ვისზე რას ფიქრობს, როდის რას განიცდის... მისი ქორწინება უიღბლოა.

— რატომ მეუბნები ამას? — მართლა გამიკვირდა, რადგან გოჩა ძალზე სიტყვატუნნი აღამიანია და ახლა ასე უეცრად, ღიად ალაპარაკდა.

— შენ კარგი გოგო ხარ, ნატალი... ძალიან კარგი... ვიცი, ქალს ყოველთვის ტანჯავს ერთი ფიქრი — ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... მე კი მინდა, არ დაიტანჯო და იცოდეს, რომ ნამდვილად უყვარხარ. მენდე, ასეა.

რა თქმა უნდა, მისი სიტყვები გულზე მალამოდ მომეფინა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ დამიამა ტყვილი.

— დარწმუნებული ვარ, ახლა ხათუნასთან თავს იმართლებს და უმტკიცებს, რომ ქვეყნად ყველაზე მეტად სწორედ ის უყვარს, მე კი უბრალოდ, გულის გადასაყოლებლად ვუნდივარ...

— არ გცნობია კარგად შენი ზურა... — მხოლოდ ეს მითხრა გოჩამ და ხმა აღარ ამოუღია, ვიდრე სახლამდე არ მიმიყვანა. ყავაზე დავვატიყე, მაგრამ თავაზიანი უარი მივიღე.

შინ შესულმა, ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. ცხელი წყლის აბაზანამ თითქოს გამომაცოცხლა, მაგრამ სამსახურში წასვლა ვერ შევძელი და გადავწყვიტე, შინ დავრჩენილიყავი და გამომეძინა. ბალიშს ზურას სუნი ჰქონდა... სახე ბალიშში ჩავრგე და ჰეროი ღრმად შევისუნთქე. მერე ბალიშს ლოყით მივეკარი და ფიქრი დავიწყე: თურმე, მე ვუყვარვარ და ხათუნა — არა... მერე რა? დღეს საავადმყოფოდან განწვანდ და მე იქ არ ვიქნები. იქიდან შინ წავა, მე კი ყოველთვის უნდა ვიმალეობოდე... საკუთარი მღელვარების დასაფარავად უნდა „ვინაგლო“ და უნაამუსოდ, იქით უნდა შევუტეო, რომ შურაცხყოფა არ მომაყენოს იმ ქალმა, რომელსაც „ოფიცოზი“ ჰქვია და, უყვარს ქმარს თუ არა, მაინც მიღებულა მის ნათესავეებში, მეგობრებსა და ახლობლებში. ყველა მონივნით უყურებს, რადგან ზურას ცოლია... მას აქვს უფლება, ყველგან ქმრის გვერდით იყოს. მე კი მხოლოდ სიყვარულის უფლება მაქვს და ამ სიყვარულის გამო საყვედურს ვიღებ ჩემი ახლობლებისგან. ზურას რას ვერჩი? ჩემი ბრალია: თავიდანვე მშვენივრად ვიცოდი, რა მოჰყვებოდა ცოლიან მამაკაცთან ურთიერთობას. ხომ დავხუჭე თვალი თავიდან! ახლა რატომღა მაქვს პრეტენზიები?.. — ვკიცხავდი საკუთარ თავს. — არც ერთი ადამიანი არ გამამართლებს. სონაც, უბრალოდ, შეეგუა ჩემს მდგომარეობას და წინააღმდეგობას არ მიწევს, თორემ, არც ის ინონებს ჩემს საქციელს. სონა... ის არის ჩემი ერთადერთი ხსნა. უნდა ნავიდე მასთან! — გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გადავწყვიტე, ამერიკაში წასასვლელად საბუთები შეგროვება. — ჰოდა, ახლა აღარ გადავლებ წასვლას! — ეს სიტყვები უკვე ხმაშალდა წარმოვთქვი და საწოლიდან სწრაფად წამოვდექი. ბლოკნოტი მოვძებნე და ამერიკის საელჩოს ნომერი ავკრიბე. დანერვილებით გამოვივითხე, რა საბუთები მჭირდებოდა და საგულდაგულოდ ჩავინერე. საწოლში აღარ დავბრუნებულვარ. ტანისამოსი გამოვიცვალე და სახლიდან იმისთვის გავედი, რომ იმ დღესვე ყველა საჭირო საბუთი გამეკეთებინა.

მთელი დღე დოღის ცხენივით ვირბინე და თითქმის ყველა საბუთი გავამზადე. მთელი დღის განმავლობაში დაძაბული ვიყავი და ზურას ზარს ველოდი. ვფიქრობდი — დარეკავდა და შემატყობინებდა, რომ უკვე შინ იყო, მაგრამ ზურა დუმდა. ბოლოს, მოთმინების ძაფი გამიწყდა და გვიან — ასე, 11 საათზე დავუშეხიჯე. „კარგად ვარ, შინ ვარ, მიყვარხარ“. მოკლე პასუხი გამომიგზავნა. გაბრაზებულმა, ტელეფონი დაუდევრად მივაგდე და გულში გვარიანად შევუკურთხე კიდეც. — დიხაჯ, წავალ! — ვთქვი



ლორის წელი დაბადებული ცნობილი ადამიანები, მათი ასტროლოგიური პორტრეტი და ასტროლოგები

თამუნა კვინიკაძე

„შეიძლება არწივი დააბა და მას არწივი ერქვას?..“

ახალ მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი, **დავით საგანელიძე** 1959 წლის 17 ივნისს არის დაბადებული. ინტერვიუს ჩასაწერად, მას პარლამენტში შევხვდი. მართალია, ტახის წელში ვარ დაბადებული, მაგრამ რაღა დაგიძლიო და ასტროლოგების დიდად არ მჯერაო, — მითხრა მან საუბრის დასაწყისში. შემდეგ კი, როცა გაიგო, თუ რა დადებითი თვისებებით ახასიათებდნენ მისი ზოდიაქოს ნიშანს, ასტროლოგებს მადლობაც კი გადაუხადა. გარდა იმისა, თუ რაში ეთანხმება და რა ვერ ამოიცნეს მის ხასიათში ასტროლოგებმა, რატომ ეცვლება სწრაფად ხასიათი, როდის ამბობს ტყუილს და რატომ გაურბის სიყვარულზე ლაპარაკს ვერცხლისწყალივით მოუსვენარი დავით საგანელიძე, იმასაც შეიტყობ, თუ როგორ ჩაიარა ერთხელ დეზერტირების ბაზარში მისმა საახალწლო შოპინგმა, როგორ დაბრუნდა ახალი წლის ღამით შინ ინდაურით ხელდამშვენებული და რატომ იქცა ის ინდაური იმ ახალი წლის მთავარ თემად.

— **ბატონო დავით, ასტროლოგები ლორის წელში დაბადებულთა მთავარ თვისებად მის რაინდულ ხასიათს მიიჩნევენ, ამავე დროს ამბობენ, რომ თავაზიანები და დაუზარელი არიანო. ეთანხმებით?**

— ძალიან მომწონს მათი შეფასება. ეს მამაკაცისთვის ყველაზე კარგი კომპლიმენტია. ჩემს რაინდულ ხასიათზე ლაპარაკს არ დავინწყებ, ეს სხვებმა უნდა თქვან. თავაზიანი ვარ, დაუზარლობას

კი ვერ დავიბრალებ, მაგრამ იმას, რისი გაკეთებაც აუცილებელია, თავს არასოდეს ავარიდებ. თუმცა, თუ საქმე უმნიშვნელოა, შეიძლება „გავახალტურო“.

— **რამდენად მიმდობი ხართ? წლის ნიშნის მიხედვით, გულუბრყვილო ადამიანად მიიჩნევით.**

— მიმდობი ვარ, მაგრამ გულუბრყვილო — არა. ჩემი მოტყუება არცთუ ისე ადვილია. ალბათ, ეს განვლილი ცხოვრების ბრალია: ადამიანებთან ურთიერთობის დიდმა გამოცდილებამ დამანახვა, რომ მათი დიდი ნაწილი ცხოვრებაში თამაშობს. ძლიერი მაშინ ხარ, თუ მიხვდები, ვინ თამაშობს და ვინ — არა.

— **ასტროლოგებს თუ დავუჯერებთ, თქვენც კარგი მოთამაშე ხართ, მაგრამ არასოდეს ამჟღავნებთ შეჯიბრების სურვილს.**

— ადამიანებთან ურთიერთობისას არ ვთამაშობ. სამაგიეროდ, ნარდის თამაში ვიცი კარგად და მოწინააღმდეგეს ხშირად ვანადგურებ. პოლიტიკაში მოთამაშეები ვართ ყველანი და დიდ ფსონებს ვდებთ. პირადად მე, ჩემი პროფესიული საქმიანობა გადავდე და აქტიურად ჩავერთე პოლიტიკაში, რადგან მიმაჩნია, რომ თუ ქვეყანაში სწორი პოლიტიკური ხედვა არ იქნება, რაც არ უნდა კარგი პროფესიონალი იყო, შენი ძალების გამოვლენის საშუალება არ გექნება. პოლიტიკაში აზარტიც დიდია.

— **მიზნის მისაღწევად, ბოლომდე იბრძვით?**

— ჩემთვის მიუღწეველი მიზანი არ არსებობს. სხვაა ოცნება, რომელიც თავისთავად კარგია, აუსრულებელიც კი, იმიტომ, რომ რეზო გაბრიამისა არ იყოს — „ოცნება აღძრავს კაცთა მოდგმის მთვლემარე გონებას“.

— **ვერცხლისწყალივით მოუს-**

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ვარდისფერი ლორის წელი დაიწყო. ასტროლოგები გვეუბნებიან, რომ ეს წელი პოზიტიური იქნება თითქმის ყველა ზოდიაქოს ნიშნისთვის. განსაკუთრებით წარმატების მომტანი კი — ლორის წელში (1935, 1947, 1959, 1971, 1983, 1995) დაბადებული ადამიანებისთვის: მათ შემოსავლის ზრდა და საქმიანობაში წინსვლა ელით. რას უთვლიან ნაკლად და რა დადებითი თვისებით ახასიათებენ მათ ასტროლოგები? პიროვნულ თვისებებზე სასაუბროდ, ლორის წელში დაბადებულ ცნობილ ადამიანებს დავუკავშირდით.

ვენრები არიან და ხასიათი ხშირად ეცვლებაო — ამბობენ თქვენი ზოდიაქოს, ტყუპის ნიშნი დაბადებულებზე. მართალია?

— ვფიქრობ, რომ ჩემთან შედარებით, ვერცხლისწყალი უფრო „მოსვენებულია“. თუ მას უძრავად ზედაპირზე გაასწორებ, არ ინძრევს, ტყუპები კი სწორ ზედაპირზეც ვმოძრაობთ (იცი-ნის). ასე რომ, ვერცხლისწყალზე უარესები ვართ. რაც შეეხება ხასიათის ცვალებადობას — ესეც მართალია. დღეში შეიძლება, რამდენჯერმე შეემეცვალოს გუნება-განწყობილება.

— **მაგალითად?**

— შეიძლება, ტელევიზიით რომელიმე უგუნური პოლიტიკოსის გამოსვლამ



გამიფუჭოს ხასიათი, ან პირიქით — ცუდ ხასიათზე მყოფი, პატარა ბავშვის რაიმე ქმედებამ გამახალისოს.

— ასტროლოგებმა დაკვირვებების შედეგად დაასკვნეს, რომ ტყულები ორჯერ ქორწინდებიან.

— ეს ინფორმაცია განსაკუთრებით, ჩემი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს გაახარებთ: ერთ ქორწინებაში უკვე ვიყავი და ახლა რომ გეტყვა — ერთხელ ქორწინდებიანო, ძალიან ცუდი იქნებოდა.

— თქვენი ნიშანი გაორების კლასიკური ტიპია, მაგრამ მას მხიარულ და მარად ახალგაზრდულ ნიშანს უწოდებენ.

— ოო!!! ეს შეფასებაც მომწონს: უახლოესი 70-80 წლის მანძილზე დაბერებას არ ვაპირებ. გაორების მომენტიც ხშირად მაქვს ცხოვრებაში: ზოგჯერ, აფრებს აუშუშებს და რომანტიკული ვხდები, ზოგჯერ კი, ყველაფერში ვამუხრუჭებ და პრაგმატიკოსი გახლავართ.

— ტყულები სიყვარულში ერთგულები არ არიან. არ შეუძლიათ, არ იგემონ ახალი და საინტერესო. ხშირად გიჭირთ თავის მოთოკვა?

— ალარ ვიცი, რა გიპასუხოთ. ვიცი, რომ თქვენს ჟურნალს ბევრი ქალი კითხულობს, ამიტომ სიყვარულზე ლაპარაკს თავს ავარიდებ. თავისუფლებისმოყვარე რომელ ადამიანს უყვარს ჩარჩოები მოქცევა?... განა შეიძლება, არნივი დააბა და მას არნივი ერქვას? ან რაში ერქვას საჯინიბოში დამწყვედულ ცხენს?! მე ყველაფერი ახალი და საინტერესო მხიბლავს. როდესაც საზღვარგარეთ ვიმყოფები, აუცილებლად ვაგემოვნებ მათი ეროვნული სამზარეულოს კერძებს.

— ყველაზე უცნაური რა გაგისინჯავთ?

— ქვეწარმავლის ხორცი არასოდეს გამისინჯავს, მაგრამ საფრანგეთში არის ბაყაყის ჯიში, რომლის ქვედა კიდურებისგანაც უგემრიელეს კერძს ამზადებენ. ასევე, ძალიან გემრიელია ხამანკები, ლოკოინები...

— კარგი, ალარ გააგრძელოთ.

— ხასიათი გაგიფუჭეთ (იციინს). მაშ, ერთ მხიარულ ამბავს გავიხსენებ, რომელიც წინასახალწლო სამზადისის დროს გადაძახდა თავს. მაშინ სამედიცინო საქმიანობას ვწეოდი. 31 დეკემბერს ჩემთან ოჯახში მოვიდა ჩემი ნაოპერაციები პაციენტის მეუღლე კახეთიდან და შესაწავი გოჭი, ქათამი, ჩურჩხელა, ყველი მომიტანა (რა კარგ სუფრას გავშლიდი, არა?...). იმ პერიოდში, ღორის დაჟავება იყო გავრცელებული. შემონმების გარეშე მისი საკვებად გამოყენება საშიში იყო, განსაკუთრებით, დედაჩემი ფრთხილობდა. ვინაიდან სუფრისთვის რალაც გვაკლდებოდა და ბაზარში გასვლა მაინც მინეუდა, ეს გოჭიც ჩავდე პარკში და შესამომებლად წავიდე. საღამოს 8-9 საათი იქნებოდა, ბაზარი უკვე ცარიელდებოდა. ჩემს

ბედად, ვეტეკიმებს მივუსწარი. შეამონმეს გოჭი და მითხრეს, საკვებად ვარგისიაო. სახლში არ დამიჯერებენ და ბეჭედი დამირტყით-მეთქი, — ვთხოვე. მერე, სამწვადე ვიყიდე და ბაზრის გამოსასვლელში მოხუცი ქალი დამხვდა, ხელში ინდაური ეჭირა. ეტყობა იფიქრა, ეს ყველაფერს გვიან ყიდულობს, იქნებ, ჩემი ინდაურიც იყიდოსო და შემომთავაზა: რა კარგი ინდაურია, არ იყიდის? — მადლობა თავაზიანად გადავუხადე და ის იყო, მანქანაში უნდა ჩავმჯდარიყავი, რომ — შევილო, ეს ერთი ინდაური დამრჩა, სახლში მიწადა წასვლა და ვერ მივდივარ, თუ არ გავყიდევო, — დამადევნა. რალას ვიზამდი? შემეცოდა, ვიყიდე და სახლში დედაჩემს ცოცხალი ინდაურით მივადექი. მისი რეაქცია უნდა გენახათ: — რალა დროის ინდაურის ყიდვა იყო, ვინ არის მაგის გამკეთებელი?! ფუამბე, როგორც იყო და დავამშვიდე — არა უშავს, მაცივარში შევინახოთ-მეთქი. დედაჩემი რომ ასუფთავებდა, შენიშნა, ჩიჩახვში რალაც სიმაგრე ესინჯებოდა, მოდი, ნახე რა უნდა იყოსო, — მითხრა. გავჭყრი ჩიჩახვი და რას ვხედავ? შიგ ბაჯალლოს რგოლი! ოჯახის წევრებმა ეს შემთხვევა ჩემს დაქორწინებას დაუკავშირეს — ღმერთმა ამით ნიშანი მოგცაო! — ცას ეწიენ სიხარულით. მერე ის ინდაური იქცა ახალი წლის წამყვან თემად. მაცივარში ვინლა შეინახავდა, დედამ გემრიელი საცივი მოამზადა და ჩვენს სანათესავოში ან ჩემს სამეგობროში თუკი ვინმე დასაქორწინებელი ან გასათხოვარი იყო, ყველა დაპატიჟა, ყველას თითო კოვზი საცივი და პატარა ნაჭერი შეახვედრა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ იმ ინდაურის წყალობით, მათმა უმრავლესობამ იმ წელს მართლაც ოჯახი შექმნა. ჩემზე არ გაჭრა, სამწუხაროდ. ახლა, როცა ბაზარში ინდაურს ვყიდულობ, ყოველთვის ჩიჩახვს ვუსინჯავ...

„გოჭები“ ხშირად ვიკრიბებით და ერთად „ვეღრუგუნებთ“

მსახობი რუსუდან პოლქვაძე ღორის წელიწადში, 6 ნოემბერს არის დაბადებული. როგორც თვითონ გვითხრა, მასში ბევრი ის თვისებაა თავმოყრილი, რომლითაც ღორის წელში დაბადებული ადამიანები გამოირჩევიან. მასში ზოგჯერ მორიელის თვისებები, ზოგჯერ კი — გურულობა იღვიძებს და ეს შევლის, თორემ ფიქრობს, რომ მარტო „გოჭობა“ დაღუპავდა.

— ერთი სერიოზული ნაკლი მაქვს — ძალიან გულუბრყვილო ვარ და ადვილად ვენდობი ადამიანებს. ჩემი მოტყუება სიძნელეს არავისთვის წარმოადგენს. ამაზე რომ დაფიქრდები ხოლმე, ჩემს თავზე ვზრახვები, მაგრამ რა ვქნა? ან ხომ ველარ შევიცვლები!

— ტყულის თქმა თუ შეგიძლიათ?

— არა. არ მიყვარს, როცა სხვები ცრუობენ და მე — მით უმეტეს. ამიტომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობ.

— და მიგაჩნიათ, რომ სამართლიანი ხართ?

— სამართლიანობის ძებნაში დავიტანჯე. იმდენად აქტიური არ ვარ მაშინ, როცა უსამართლობის მსხვერპლი



თვითონ ვხდები — სხვის ჩაგვრას ვერ ვიტან, გონება მიბნელებდა. სათქმელს ყოველთვის ხმამაღლა ვამბობ. გამოვდივარ სხვების დასაცავად და ყველაფერი ეს იმდენად მოქმედებს ჩემზე, რომ მერე ცუდად ვხდები. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე, რომ გავჩერდე...

— ღორის წელში დაბადებული ქალბატონები კარგი დიასახლისები არიანო. თქვენ თუ მიიჩნევთ თავს კარგ დიასახლისად?

— თუ დიასახლისობაში კარგ კულინარობას არ გულისხმობთ, მაშინ მართლა ასეა. კულინარია ჩემი სუსტი მხარეა — გურმანი ვარ და გემრიელი საჭმელი მიყვარს, მაგრამ ისე მოხდა, რომ არ მჭირდებოდა სამზარეულოში ტრიალი, ბებია და დედა მანებივრებდნენ.

— თქვენ ღორის წელში დაბადებული მორიელი ბრძანდებით. მორიელები კი, სხვა ზოდიქოს ნიშნებისგან ემოციურობით და ხასიათის ცვალებადობით გამოირჩევიან. თქვენ თუ გაქვთ ეს თვისებები?

— ნამდვილად ასეა. ხასიათი მალე მეცვლება. ემოციური რომ არ ვიყო, გაცილებით მშვიდი ცხოვრება მექნებოდა. მორიელები ბევრი კარგი და საჭირო თვისებით გამოვიჩრჩევით, ეს მშველის ხოლმე, თორემ, მარტო „გოჭობა“ დამღუპავდა.

— მორიელებს მიზნისთვის ბოლომდე ბრძოლა უყვართ.

— მიმანია, რომ ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო, ყველაზე მეტად გაურკვევლობას ვერ ვიტან. ბოლომდე ვიბრძვი, სანამ ყველაფერს არ გავარკვევ, იმიტომ, რომ ეს საშინელ დისკომფორტს მიქმნის.

— **მორიელს ყველაფერს საიდუმლოდ შენახვა უყვარს. მას თავისი მიზნების მიღწევა ისე უნდა, რომ სხვას არაფერი გაანდოს.**

— ზოგჯერ, რაღაც საქმეს რომ ნამოვიწყებ, ჩემს თავს ვეტყვი — ამის შესახებ არავისთან ვილაპარაკებ-მეთქი, მაგრამ ენა მისწრებს ხოლმე. განა იმიტომ არ მინდა თქმა, რომ ვინმეს რამეს ვუმალავ — უბრალოდ, მერე თითქოს ძალა მერთმევა. საიდუმლოს შენახვა მიყვარს, ყველა ჩემს მეგობარს შეუძლია, მენდოს.

— **თქვენი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები ეჭვიანები და შურისმაძიებლები არიან, განსაკუთრებით შეურაცხყოფის შემთხვევაში...**

— ამ შემთხვევაშიც ვეთანხმები ასტროლოგებს. თუ ვინმე მანყენინებს, შეიძლება, ისეთივე დოზით არ ვინახავ გულში, მაგრამ არც დავინება შემძლია. რაღა დაგიმალათ და, ბევრჯერ მქონია შურისძიების სურვილი, მაგრამ არ განმიხორციელებია.

— **ერთი საახალწლო, სახალისო ამბავიც მოგიყვებით და დავასრულოთ.**

— ჩემი კლასელები ყველანი ღორის წელში არიან დაბადებულები, ყველანი პატარა „გოჭები“ ვართ, ხშირად ვიკრიბებით და ერთად „ვღრუტუნებთ“ ხოლმე. ერთხელ გადავწყვიტეთ, რომ ახალ წელს ყველანი ერთად, ჩემს სახლში შევხვედროდით, მაშინაც ღორის წელი იწყებოდა. მზადება ორი თვით ადრე დავიწყეთ, თითქმის ყოველდღე ვიკრიბოდით, დავწერეთ საზეიმო პროგრამა, მოვიფიქრეთ კოსტიუმები და ამ სამზადისში მოვიდა 31 დეკემბერიც. ადრინადა შევიკრიბეთ, მივუსხედით სუფრას, ავირჩიეთ თამადა და... იმ საღამოს მართლა „გოჭებივით“ მოვიქცით: 12 საათზე ყველანი მთვრალეები ვიყავით — და იქვე, მაგიდასთან გვეძინა.

„სულ ვცდილობ, გულგრილი ვიყო და არ გამომდის“...

ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, **ჯემალ ჭაუხაძე** 1935 წლის 18 მაისს არის დაბადებული. ბავშვობაში იმდენად გატაცებული ყოფილა ასტრონომიითა და ასტროლოგიით, რომ ბიბლიოთეკებში დადიოდა, ამ თემაზე ლიტერატურას ეძებდა. ჩემი ზოდიაქოს ნიშნის დახასიათებას რომ ვკითხულობ, ასე მგონია, მე მახასიათებენო, — მითხრა. როდესაც შევახსენე, რომ ღორის წელში დაბადებულ ადამიანთა მთავარ ღირსებად რაინდობას მიიჩნევენ-მეთქი, გაეცინა და მიპასუხა — ეგ რომ დაგიმონწო, ჩემი მხრიდან

უხერხული იქნებაო... განიცდის, რომ მიუხედავად დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებისა, მაინც გულუბრყვილო ადამიანად რჩება და ზოგჯერ, ეს გულუბრყვილობა მას ცუდად უბრუნდება.

— **ბატონო ჯემალ, იოლად აძლევთ სხვას თქვენი მოტყუების საშუალებას?**

— სამწუხაროდ, ასეა. საკუთარ თავს გენიოსად არ მივიჩნევ, მაგრამ ჩემი გამოცდილების კაცს, ადამიანების ცნობა აღარ უნდა ეშლებოდეს. ყველას ვენდობი და გვიან ვხვდები, რომ ყველა არ არის ნდობის ღირსი.

— **ასტროლოგები ამბობენ, რომ თქვენ იშვიათად ცრუობთ და ისიც მხოლოდ თავდაცვის მიზნით.**

— არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ტყუილი არ უთქვამს, მაგრამ ტყუილს გააჩნია. საკმარისია, ერთხელ მაინც შეგნებულად და გააზრებულად მოიტყუოს ვინმემ, რომ მას აღარასოდეს დავუჯერებ. ერთი მეგობარი მყავდა, გიზო ბურაძე. სახლში მისვლა რომ უგვიანდებოდა, დედამისს ატყუებდა, ცნობილ ადამიანებს უსახელებდა — მათ დამპატივებს, უარი ვერ ვუთხარი და ამიტომ დამაგვიანდაო. ასე რამდენჯერმე განმეორდა. ერთ დღეს დედამისმა უთხრა: რატომ ამბობ ტყუილს, ის კაცი, რომელზეც თქვი, მასთან ვიქეიფეო, გუშინ მოსკოვში იყო, ტელევიზორში აჩვენესო. — რას მანვალბე, დედარჩემო? — მიუგო გიზომ — თუ არ დამჭირდა, ისე ტყუილს რა მათქმევინებსო?! მეც დამჭირებია და მითქვამს ტყუილი, მაგრამ იმ დამეს კარგად ვეღარ ვიძინებ... ცოტა ხნის წინ ერთი ნაცნობი შემპირდა ანსამბლისთვის ფინანსურ დახმარებას. იმ კაცის იმედით, ფულიც კი ვისესხე. მან პირობა აღარ შეასრულა, მომატყუა. ცოტა ხანში, იმ კაცს სუფრაზე შევხვდი. ადღერძეულს. მეც ვუთხარი — კარგი კაცი ხარ-მეთქი. არ უნდა მეთქვა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ქართული სუფრა სურვილების სუფრაა...

— **თვითონ შეიფერა კარგი კაცობა?**

— შეიფერა, გამჭოლი მზერა კი მომაპყრო, ეტყობა, სხვა რამეს ელოდა ჩემგან, მაგრამ მე მშვიდობისმოყვარე კაცი ვარ და უკეთურობა არ ნამოვადახე.

— **ხშირად თამაშობთ ცხოვრებაში? ღორის წელში დაბადებულები ამ თვისებითაც გამოირჩევიან...**

— ადამიანებთან ურთიერთობისას ძალიან იშვიათად ვთამაშობ, ამას თავს ვარიდებ — მაშინაც კი, როდესაც საჭიროა. გასართობი თამაშებიდან ჭადრაკი მიყვარდა ძალიან და მაგიდის ჩოგბურთი, კარგ მოთამადაც მიმიჩნევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ

ძალიან აზარტული ვარ, კაზინოში სულ 3-ჯერ ვარ ნამყოფი, ისიც — სახლ-ვარგარეთ მიმიპატივებს და უარი ვერ ვუთხარი, თორემ ვგრძნობ, რომ იქ ჩემი ადგილი არ არის. ბავშვობაში მინახავს, მოგება-ნაგების გულისთვის როგორ დარევიან მეგობრები ერთმანეთს. ალბათ, მაშინ განცდილი ჩამრჩა გონებაში.

— **თუ მან რაიმე გადაწყვეტილება მიიღო, ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ვიდრე მიიღებდეს, ბევრჯერ აწონ-დაწონსო. ეთანხმებით ასტროლოგთა ამგვარ შეფასებას?**

— რა თქმა უნდა. თუ არ ავნიშნავდვნივ, ისე არაფერს ვაკეთებ, მერე რომ არ ვინანო. ტრაბახი კი გამომივა, მაგრამ მაინც გეტყვით (რა ვენა, გურული ვარ): მეუღლესთან ერთად ვიყავი, ვილაც კაცმა შეურაცხყოფა მომაყენა. იმდენად გავმწარდი, რომ თავი ვეღარ გავაკონტროლე და მუშტი ისე მაგრად მოვუქნიე, ერთი დარტყმით ყბა მოვტყეე. მერე კი ვინანე... ქართველებს ერთი კარგი გამოთქმა გვაქვს — „გავასილაქე“, მეც უნდა გამესილაქებინა, მაგრამ ვერ მოვხვდი.

— **თქვენი ზოდიაქოს — კუროს სიმბოლო ხარია. თქვენც მასავით ძალას იყენებთ მიზნის მისაღწევად?**

— ფიზიკურს — არა, მაგრამ შინაგან ძალას ყოველთვის ვიყენებ.

— **კუროები სილამაზის დამფასებლები არიან. მათ იტაცებთ ხელოვნება, მუსიკა...**

— ვგიჟდები, ვგიჟდები სილამაზეზე!

— **ლამაზ ქალზე რას გვეტყვით? მართლა მაცდურები არიან?**

— ყველა სილამაზე მაცდურია: მეცხრე ციდან დედამიწაზე ჩამოგიყვანს, გაგამშებს...

— **ამბობენ, კურო მატერიალ-**





ისტია და ხშირად ადგენს ფულის მომტან გეგმებსო...

— ვცხოვრობ ოროთახიან, ულოჯებო ბინაში...

— კურო კომფორტის მონააო — ამჯერადაც შეცდნენ ასტროლოგები?

— კომფორტი თუ არის, კარგია, მაგრამ თუკი არ არის — არა უშავს. კომფორტი მანქანაში უფრო მიყვარს. სამწუხაროდ, 1996 წლიდან, საკუთარი მანქანა აღარ მყოლია.

— კუროს პოეტური გრძნობები აქვს, მაგრამ მისი გამოჩენის რცხენიაო — ეთანხმებით?

— პოეზია ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით — ხალხური. სუფრანზე, სადაც მურმან ჯინორია, გურამ სალარაძე, ზინაიდა კვერენჩილაძე არიან, ლექსს ვერაფრით წავიკითხავ, ვერ ვიკადრებ. ისე კი არ ვიქცევი, როგორც ისეთები — გვერდით რომ ამომიდგებიან და — კარგი სიმღერა ვიცეო — მეუბნებიან...

— სიზარმაცე, სიჯიუტე და გულგრილობა — ასტროლოგები მიიჩნევენ, რომ ეს თქვენი უარყოფითი თვისებებია.

— არ შეიძლება, „ერიისონის“ ხელმძღვანელი ზარმაცი იყოს... არა იმდენად ჯიუტი, არამედ პრინციპული ნამდვილად ვარ. ჯიუტი ის არის, ვინც იცის, რომ ცუდად იქცევა და მიუხედავად ამისა, მაინც ისე მოქმედებს. რაც შეეხება გულგრილობას... სულ იმას ვცდილობ, გულგრილი ვიყო და არ გამომდის.

— ერთხელ ჩემთან საუბრისას აღნიშნეთ, რომ არ გიყვართ, როცა ახალ წელს უცხოეთში სვდებით. რატომ?

— საფრანგეთსა და ამერიკაში შევხვედრივარ ახალ წელს. მართალია, ყველაფერი ლამაზად არის მორთული, მაგრამ იმ მორთულობაშიც სიყალბეა. არ მიყვარს ზეიმი ზეიმისთვის. საზეიმო განწყობილება გულში უნდა გქონდეს ადამიანს. იქ მყოფს კი, ასეთი განცდა არ მქონია. მე სოფელში გაზრდილი ვარ. ახლაც, გურიამი ან მეგობრებთან კახეთში რომ ჩავდივარ, იქ ყოველთვის იმდენად ხალას ურთიერთობას ვხვდები, თბილსა და სუფთას, რომ მავინყდება, ქვეყანაზე ბოროტება თუ არსებობს. თბილისში მყოფსაც კი, ეს შეგრძნება არ მაქვს, არათუ საზღვარგარეთ... ამიტომ ვცდილობ, რომ ყოველ ახალ წელს ჩემს ქვეყანაში შევხვდე. ერთი ძველი ამბავი გამახსენდა ახალ წელთან დაკავშირებით: მეცნიერი ნიკოლოზ ბერძენიშვილი გურიიდან გახლდათ. საახალწლოდ, აკადემიკოსებს, მეცნიერებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონიათ რუსთაველის თეატრში. ღონისძიების შემდეგ ფოიეში გამოსულან. ნიკოლოზი ისტორიკოსებთან და არქეოლოგებთან ერთად



მდგარა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, თავისთვის ჩაულაპარაკებია — „ნასვლა მინდა, მაგრამ...“ ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ გაუმეორებია — „ნასვლა მინდა, მარა...“ — კი, მაგრამ თუ ნასვლა გინდა, რატომ არ მიდისარო? — უკითხავთ მისთვის. რა ვიცი, ვინც კი ნაადრევად წავიდა, ყველაზე აუცი თქვით და აგინეთ, არ მინდა, ჩემზეც იგივე გამეორდეს, ამიტომ სულ ბოლოს წავალო...

„მე დღემდე მჯერა ახალი წლის ჯადოსნური ღამის“

მსახიობი მარინა კახიანი 19 სექტემბერს არის დაბადებული. მას ასტროლოგიის საერთოდ არ სჯერა და მთხოვა, რომ ამ საკითხზე მისთვის კითხვები არ დამესვა. აი, იმაზე კი გვიამბობს, თუ რით დაამახსოვრდა განვლილი 2006 წელი, რომელი ოცნება აუსრულდა ნაადრევად, რატომ დარჩა ერთხელ განზილებული და რატომ შეხვდა ახალ წელს ქუჩაში.

— რითი იყო თქვენთვის დასამახსოვრებელი 2006 წელი?

— თუ განვლილი წელი ადამიანისთვის არაფრით არის დასამახსოვრებელი, მაშინ ის კი არ ცხოვრობს, არამედ, არსებობს. ღმერთმა ყველა შემოქმედს აშოროს ასეთი წელი. 2006 ჩემთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ვითამაშე ბათუმის თეატრის სცენაზე, იქაურ დასთან ერთად. როგორც გაირკვა, ეს იყო მესამე შემთხვევა ამ თეატრის ისტორიაში, როცა სხვა თეატრის მსახიობი მიიწვიეს. ჩემი სახელი და გვარი აღმოჩნდა ისეთი ბუმბერაზების გვერდით, როგორებიც იყვნენ ვერიკო ანჯაფარაძე და სესილია თაყაიშვილი.

ეს ჩემთვის ძალზე ამაღლებელია. ოცნებად მქონდა ქცეული და სულ ვხუმრობდი — რა იქნება, 106 წლის ასაკში სცენაზე მოვევდე, მურეს (ჟან მარსანის პიესა) თამაშის დროს-მეთქი?! ადრეულ ასაკში მომიხდა ამ როლის თამაში, ოცნება ნაადრევად ამისრულდა... ასე რომ, ეს წელი ჩემთვის, როგორც შემოქმედისთვის, ნაყოფიერი იყო. მომავალში რა იქნება — ვნახოთ, შემოთავაზებები არის.

— როგორი იყო საახალწლო სამზადისი თქვენს ოჯახში?

— როგორც ყველა ქართველი, ჩვენც ყოველთვის ვაკეთებთ საცივს, გოზინაყს, გვაქვს ჩურჩხელები. ნაძვის ხე 31 დეკემბერს მოვრთე, ეს ჩვენი ტრადიციაა, ბავშვობიდან შემაჩვია დედამ, ყოველთვის 31-ში მართვევინებდა. ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთ ახალგაზრდულ შეკრებაზე მოვხვდი. ისინი ასაკით ჩემზე გაცილებით პატარები იყვნენ. მითხრეს, რომ ახალ წელს რაღაც განსაკუთრებული ლეღვით არ ელოდებიან. სახტად დავრჩი, რადგან მე დღემდე მჯერა ახალი წლის ჯადოსნური ღამის და დღემდე მოუთმენლად ველოდები ამ დღეს. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი ახალგაზრდებში ვერ დავინახე. ვერ ვხვდები, რატომ არ ილამაზებენ შინაგან სამყაროს...

— რაზე ოცნებობს ახალი წლის ღამეს მარინა კახიანი?

— ძალიან ბევრ რამეზე. მე დიდად არ განვსხვავდები პატარა გოგონასგან, რომელიც თოვლის ბაბუას წერილებს სწერს: სულ ვოცნებობ. განზილებულიც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ აუსრულებელ ოცნებასაც კი თავისებური სილამაზე აქვს.

— წელსაც ხომ არ მისწერეთ წერილი თოვლის ბაბუას?

— არა, წელს არ დამიწერია. რომ მეუბნებიან — ერთი სურვილი მითხარიო, ვერ ვამბობ, ერთი სურვილის ჩემთვის ძალიან ცოტაა...

— ერთ უჩვეულო ახალ წელს ხომ ვერ გაისვენებდით?

— ადამიანები ვანიჭებთ ამა თუ იმ მოვლენას ელფერს. მახსენდება — საშობაოდ, სტუმრად საბერძნეთში ვიყავი. 29 დეკემბერს საბერძნეთიდან მოსკოვში ჩავფრინდი. იქიდან თბილისში უნდა გადმოვფრენილიყავი. რატომღაც მაშინ თვითმფრინავის ბილეთი ვერ ვიშოვე და მატარებლით ვიმგზავრე. 31 დეკემბერს დილით უნდა ჩამოვსულიყავი, მაგრამ მატარებელმა დააგვიანა და სადგურში რომ შემოვიდა, 12 საათს 10 წუთი უკლდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილი და მეუღლე მანქანით დამხვდნენ, სახლამდე მისვლა ვერ მივასწარი და ახალ წელს ქუჩაში შეხვდით. ამასაც თავისებური ხიბლი ჰქონდა. სახლში რომ შეხვდებოდით, შეიძლება, არც კი დამამახსოვრებოდა. ■



მარინა ბაბუნაშვილი

— როგორ ფიქრობთ, თიკო გამარჯვებებს?

— მიმაჩნია, რომ თიკო უკვე გამარჯვებულია... თუმცა ფიქრობ, ნანა ჩიქავა გამარჯვებს: მას მთელი სამეგრელო და აფხაზეთიდან დევნილები უჭერენ მხარს. ნანას ფან-კლუბიც კი შეიქმნა ზუგდიდში, ასე რომ... სხვათა შორის, ჯემალმა (თიკოს მამა. — ავტ.) ჯერ კიდევ სამი კვირის წინ ივარაუდა, რომ თიკო მალე გამოეთიშებოდა კონკურსს. მაგრამ მოხდა სასწაული და თიკომ საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჩამოიშორა.

ახლა თავად თიკოს მიუბრუნდი, რომელიც ჯერ კიდევ ფინალისთვის სამზადისში იმყოფებოდა:

— როგორც ვიცი, პირველად ახლა არ დამდგარხარ სცენაზე. ბავშვობაშიც ხშირად მონაწილეობდი ფესტივალსა და კონკურსში — ამას შენი დიპლომები და სიგელები ადასტურებს...

— კონკურსებში მონაწილეობა მართლაც, უცხო არ არის ჩემთვის. მაგრამ იქ არ ხდებოდა მონაწილის გამოთიშვა. აქედან გამომდინარე, „ჯეოსტარი“ ჩემთვის გამორჩეული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ მის მონაწილეებს ერთმანეთის კონკურენტებად მივაჩინვართ, ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს.

— როგორ მოხვდი „ჯეოსტარში“?

— ერთხელ, თამარამუნში რაღაც კასტინგზე ვიმღერე. კონკურსს გორის ფოლკლორული ანსამბლის — „ლომჭაბუკის“ ხელმძღვანელი არსენ ახალაძე ესწრებოდა. მას მოგწონე, დედაჩემთან მივიდა და უთხრა: თქვენი შვილი ჩემი ანსამბლის სოლისტად მინდა ავიყვანო, რეპეტიციებით არ გადავლო, მხოლოდ კონცერტებზე გამოვიყვან და ყოველთვის ურად ხელფასსაც გადავუხდო. დედაც დათანხმდა. ძალიან მიხაროდა უფროს

თიკო შულუხაძე — ყველაზე მცირეწლოვანი „ჯეოსტარელი“ ამ კონკურსში გამარჯვებულად მოგვევლინა. 15 წლის გოგონა პირველსავე დღიდან შეიყვარა მაყურებელმა და მოკლე ხანში უამრავი გულშემატკივარიც შეიძინა. მისი ტკბილი სმა, მომზიბველი ღიმილი და განონასწორებული ხასიათი ყველას აღფრთოვანებს ინვევდა. იგი ყველაზე „მძიმე და საბედისწერო“ წუთებშიც კი ღიმილით ელოდა „განაჩენს“, თუმცა ეს „სიმშვიდე“ ძვირად უფვდებოდა: როგორც კი კულისებში გადაიოდა, ემოციებს თავის ნებაზე მიუშვებდა და ცრემლებად იღვრებოდა...

თიკოსთან შესახვედრად, ვაკის ტურბაზას მივაშურე, სადაც წლების მანძილზე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები ცხოვრობენ. „ჯეოსტარში“ გამარჯვებული თიკო იქ უფროს დასთან, სიძესა და დისშვილებთან ერთად ცხოვრობს. ინტერვიუზე მისულს, ჩვეული ღიმილით შემომეგება და ერთოთახიან ბინაში შემეპატიჟა. ამ დღეს, კონკურსი ჯერ დამთავრებული არ გახლდათ და სოფელ აჩაბეთიდან სპეციალურად ჩამოსულ დედამისს პირველად, პროგნოზის გამოთქმა ვთხოვე:

„უიღლო“ რიტხეუი დაბადებული მესამე „სანთელი“ ახუ რეორ დულოტას „ქეოსტარელი“ თიკო

მეგობრებთან ერთად სცენაზე გამოსვლა. ანსამბლის წევრები ხუმრობდნენ — თიკოს პატივსაცემად, ანსამბლს სახელი გადავარქვით და „ლომჭალა“ დავარქვითო. ერთხელაც, ბატონმა არსენმა არც გამომიხილა, რა ხდებოდა, ისე წამიყვანა გორში. როცა დარბაზში შევედი, მერე გავიგე, რომ „ჯეოსტარის“ შესარჩევი ტური ტარდებოდა. სამაჩაბლოდან მხოლოდ მე ვიყავი. მერე ძალიან ბევრი „გაიცხრილა“ და შიდა ქართლიდან მე დავრჩი.

— „ჯეოსტარზე“ რაც აქამდე იმღერე, ყველაზე მეტად რომელი სიმღერის შესრულებით ხარ კმაყოფილი?

— ყველაზე მეტად კმაყოფილი დავრჩი „პირიმზით“ (რომანსების კონკურსი), ასევე — „თუ ასე ტურფა იყავი“ (ფოლკლორის კონკურსი) და აჩიკო ნიჟარაძესთან ერთად (იგი ძველი „ჯეოსტარელია“) შესრულებული სიმღერით — „საყვარელო მამულო“.

— როგორც ვიცი, ინგლისურ ენის შესწავლა ახლახან დაგინწყია — არადა, შენი ინგლისურენოვანი სიმღერით ჟიურის წევრები აღაფრთოვანე...

— აჩაბეთში გერმანულს ვსწავლობდი. როცა თბილისში გადმოვედი, ინგლისურად წერა-კითხვაც არ ვიცოდი. ჩემი სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი ძალიან დამეხმარა და სწავლა ანბანიდან დამაწყებინა. ახლა უკვე დავწეი ჩემს კლასელებს. გამოთქმა ცუდი რომ არა მაქვს, ეს

სმენის წყალობაა. ინგლისური ენა ისე მიყვარს, მინდოდა, უცხო ენების უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა, მაგრამ ახლა „ჯეოსტარმა“ არჩევანის წინაშე დამაყენა — შეიძლება, სიმღერას გავყვე.

— გავიგე, იტალიაშიც ყოფილხარ...

— უკვე თბილისში ვსწავლობდი, როცა ერთ-ერთ კონცერტზე მომისმინა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „პატარა ვარსვლავების“ ხელმძღვანელმა, მალხაზ ავალიანმა. მან შემომთავაზა — იტალიაში მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორის დღეები ტარდება, ჩემს ანსამბლთან ერთად წავიყვან, შენი იმღერებ, ჩვენ ვიცეკვებთო... სიხარულით დავთანხმდდი. გასტროლები ორი კვირა გაგრძელდა. კონცერტები ჩავატარეთ მილანში, ვენეციაში... არასოდეს დამავინწყდება იქ გატარებული დღეები.



თიკო დედასთან ერთად

— 10.000 ლარს რაში დახარჯავ, თუ კონკურსში გაიმარჯვებ?

— ვაკის სამების ეკლესიის მრევლი ვარ და თანხის ნაწილს აუცილებლად მას შევნიშნავ. ნაწილს მშობლებს და და-ძმას მივცემ. ნაწილსაც — ჩემი სწავლის გასაგრძელებლად გამოვიყენებ.

— თიკო, სასწაულების გვერა?

— თან მჯერა, თან — არა.

— რომ გახსოვს, „ჯეობარი 2“-ის ფინალში რა მოხდა: შენი კუთხიდან მონაწილე „ჯეობარელ“ ჩელეს, ფულად ჯილდოსთან ერთად, სამშენებლო კომპანიამ საჩუქრად, ბინა გადასცა. სასწაული რომ მოხდეს და შენც გადმოგცენ ბინა, რას იზამ?

— მაშინვე ჩემს დასა და სიძეს ვაჩუქებ. ჩემი დისშვილები — მარიამი და ქეთევანი უსაზღვროდ მიყვარს და მათთვის არაფერს დავიშურებ. რა თქმა უნდა, მეც მათთან ერთად ვიცხოვრებ.

თიკოსთან საუბრის შემდეგ, კვლავ ქალბატონ ლალის მივუბრუნდი და ვთხოვე, ნორჩი მომღერლის ბავშვობისა და მათი ოჯახის შესახებ მოეთხრო მკითხველისათვის.

— მეც და ჩემი მეუღლეს ცხინვალის რაიონიდან ვართ: მე — არცევიდან, ჯემალი კი — აჩაბეთიდან. სიყვარულით შევექმენით ოჯახი და რადგან ცხინვალში გვექონდა სამსახური, გადავწყვიტეთ, საცხოვრებლად იქ გადავსულიყავით. ჩვენი ხელით ავაშენეთ პატარა სახლი. ორივე, თეატრში ვმუშაობდით: ჯემალი მსახიობი გახლდათ, მე — ტექნიკური მუშაი. ჯერ ქალიშვილი, ჯენარი შეგვეძინა, 3 წლის შემდეგ — ვაჟი, ზურაბი. ვმშობობდით და ვცხოვრობდით ტკბილად, იმედით შეგყურებდით მომავალს. 1991 წელი რომ დადგა, რამდენიმე დღით აჩაბეთში წავიდით. ჩვენი თეატრის ხელმძღვანელმა, რეჟისორმა უზანგი მინდიაშვილმა ყველა თანამშრომელი წინდანინ გაგვაფრხილა, რომ 6 იანვარს თეატრში უნდა გამოვცხადებულყავით. იმ პერიოდში „მაია წყნეთელს“ ვდგამდით და პირველი რეჟეტიციაც იმ დღეს იყო დანიშნული. ცხინვალისკენ მიმავალი გზა გადაკეტილი რომ დავგვებდა, ჯემალი კინაღამ გაგიჟდა: რას ჰქვია, ჩემს ქალაქში არ მიშვებენ?! — მაგრამ მალევე მიფხვდით, რომ ცუდად იყო საქმე და ისევ უკან უნდა დავბრუნებულყავით. მაშინ თიკოზე ორსულად ვიყავი. მესამე შვილის გაჩენას აღარ ვაპირებდი (ჯენარი უკვე 12 წლის იყო, ზურა — 9-ის), მაგრამ ისეთი ორომტრიალი იყო, ექიმამდე ვეღარც მივალნიე... როცა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, აჩაბეთისა და სხვა ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა ვერტმფრენებით გორში გადაგვიყვანეს. ჩემი ერთ-ერთი მული გორის რაიონის სოფელ დიქში იყო გათხოვილი. ჩემი შვილებიანად მას მივადექი. ცოტა ხანში, მეორე მულიც, თავისი შვილებით, შემოგვიერთდა (ისიც ცხინვალში ცხოვრობდა). ორი კვირის მანძილზე, 15 სული ერთად ვცხოვრობდით. ერთხელაც, საქმე მოვიმიზეზე და შვილებთან ერთად, გორში წავედი (სხვანაირად, მული არ გამომიშვებდა), იქიდან კი, თბილისისკენ გამოვეშურე. ჩემი და ავლაბარში ცხოვრობდა. რამდენიმე თვე მასთან გავჩერდი. მშობიარ-

ობამდე ერთი თვით ადრე, ვიძალე (არც ის მიშვებდა) და ვაკის ტურბაზაში თავმესაფარი ვითხოვე. ერთი პატარა ოთახი მომცეს. ჯემალი უმეტესად, აჩაბეთში იყო. ბოლო თვე საკმაოდ მძიმედ ვიყავი... ლეთის ნებით, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. 1991 წლის 13 აგვისტოს თიკო დაიბადა, 4,5 კილოს იწონიდა. ჯემალი მეორე დღესვე გაჩნდა თბილისში და ჩვენს ნაბოლარას ლექსი მიუძღვნა: „ჩემო მესამე „სანთელი“ / ახლადგამლილო ყვავილო / ცამეტში დაბადებულო / ორშაბათს გამოყვანილო / ყვავილო, გლოცავ, ღმერთს შევეთხოვ / გაგზარდოს კარგი ქართველი / ზედ დაგნათოდეს მუდამ მზე / ზეცა უღრუბლო, ნათელი“...

— თიკო ძალიან მუსიკალურია. ალბათ თქვენც და თქვენი მეუღლეს მღერო.

— ჩემი მეუღლე და უფროსი ქალ-ვაჟი კარგად მღერიან. განსაკუთრებით კარგი ხმა ჩემს მამამთილს ჰქონდა. თან ფანდურსა და სალამურზე საოცრად უკრავდა. თიკოს მისი ნიჭი გამოჰყვა... სანამ 6 წლის გახდებოდა, ამ ტურბაზაში ვცხოვრობდით, მერე, როცა აჩაბეთში სიმშიდემ დაისადგურა, გადავწყვიტეთ, იქ წამოყვანა თიკოც და ზურაც. ჯენარი უკვე ჭკუადამჯდარი იყო, მისი იმედი მქონდა და აქ დავტოვე, უფროსი მამიდაშვილთან ერთად...

— აჩაბეთში მუსიკაზე თუ დადიოდა ან სიმღერის მასწავლებელი თუ ჰყავდა?

— როცა აჩაბეთში დავბრუნდით, თბილისიდან ახალი ჩამოსული იყვნენ ცოლქმარი — დათო და მანანა ელბაქიძეები. დათო წარმოშობით სამაჩაბლოდან იყო და უნდოდა, მშობლიური კუთხისთვის რაღაც გაეკეთებინა. მათ წამოყვანა მომღერალთა გუნდი და პატარა თიკოც იქ მივიყვანეთ. სამწუხაროდ, რეჟეტიციები მხოლოდ წელიწად-ნახევარი გაგრძელდა: ელბაქიძეებს ძალიან გაუჭირდათ. მათ მთავრობამ ვერანაირი პირობა ვერ შეუქმნა და ისინი თბილისში დაბრუნდნენ. გახსოვთ ალბათ, ამ ორი წლის წინ, სამაჩაბლოში ისევ დაიძაბა სიტუაცია, განუწყვეტელი ისმოდა სროლები. სშირად, რამდენიმე ოჯახი ერთ სახლში შევიყრებოდით და მოთმინებით ველოდით, როდის შეწყდებოდა ტყვიების წვიმა. როცა ერთად ვიყავით, არაფრის გვემინოდა. უფროსებს (ქალებს თუ მამაკაცებს) გადაწყვეტილი გქონდა, არ დაგვეტოვებინა სოფელი, თორემ, მასაც ისევე დაგვარგავდით, როგორც ცხინვალს. მაგრამ ბავშვები გვეცოდებოდნენ. განსაკუთრებით დამფრთხალი თიკო იყო (ზურა უკვე დიდი გახლდათ და თბილისში წამოსვლა აღარც უნდოდა). ჯენარი თავის ქმარ-შვილთან ერთად, ისევ ტურბაზაში ცხოვრობდა. სწორედ მან შემომითვალა — თიკო გამომიგზავნეო...



თიკო სიძესთან და დისშვილებთან ერთად

ჯენარი, თიკოს და:

— 12 წლის ვიყავი, როცა თიკო დაიბადა. შვილივით მიყვარს. როცა დედა ოჯახში საქმიანობდა, მე სულ მის გვერდით ვიყავი. პატარაობიდანვე შეგატყვე სიმღერის ნიჭი: როგორც კი სიმღერას წამოვიწყებდი, ისიც უმალ ამყვებოდა. მოგვიანებით, როცა სამაჩაბლოში სიტუაცია კვლავ დაიძაბა, კინაღამ გავგიჟდი. აღარ ვიცოდი, რა მელონა. ერთ პატარა ოთახში მე, ჩემი ქმარი და შვილები ძლივს ვეტოვდით. მეუხერხულებოდა, ქმრისთვის მეთქვა, ჩემი დის ჩამოყვანა მინდამეთქი. ბავშვმა შემატყო, რა ცუცხლშიც ვიყავი გახვეული და თავად შემომთავაზა: თიკო ჩამოვიყვანოთ, ჩვენთან იყოს და ისწავლოს, ცოდვა ბავშვით. სისხრულისგან ლამის ტირილი დავიწყე... თიკომ მე-მ კლასიდან თბილისის 165-ე სკოლაში განაგრძო სწავლა.

— ქალბატონო ლალი, შვილის წარმატებაზე დიდი სიხარული ალბათ, არ არსებობს...

— გეთანხმებით. მე და ჩემმა მეუღლემ (ისევე, როგორც სხვა სამაჩაბლოელმა) იმდენი რამ გადავიტანეთ, რაღას უნდა გაექარწყლებინა ის ტკივილი, ვერ წარმომედგინა. შვილების წარმატებამ კი, თითქოს დამავიწყა ყველაფერი ცუდი. ჯენარი ადრე საბავშვო კოლეჯში სწავლობდა, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და არც კი ვიცოდით, ისე ჩააბარა გამოცდები სამედიცინო უნივერსიტეტში. ახლა უკვე „სასწრაფო დახმარების“ (მზ-ის) ექიმი. ვაჟმა, ზურაბმა იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, დაოჯახდა და ჩვენთან ერთად, აჩაბეთში ცხოვრობს. ამბობს: სხვები მოდიან გამოცხატავთ... ჯემალი ყოველ ორშაბათს დილით, სახეგაბრწყინებული ჩამოდიოდა და სამშაბათს კვლავ სოფელში ბრუნდებოდა... ზურამ ვიდუკოსეცტაზე გადაინერა თიკოს გამოსვლები და როცა აქ ვართ, დილიდან საღამომდე, სულ ამ ვასუტას ვუყურებთ. თიკო ისე იღლებოდა (განსაკუთრებით მძიმე მისთვის ორშაბათი გახლდათ), რომ სამშაბათს გვიანობამდე ეძინა. მამამისი მძინარე ნაბოლარას დაკოცნიდა ხოლმე და ისე მიდიოდა აჩაბეთში...



ინფორმაციულ-ჰეპეცნაჰიტი კოლაჰი

ეოჩი დჰალიზ უბის ნიგნაკიდან:

- 1. ჯორჯ ბუში ტყუპი გოგოების მამაა.
- 2. ქუმელი მოხალეული ხორბლის მარცვლის ფევილია.
- 3. ვლადიმირ ვისოცკი აღმერთებდა აპლოდისმენტებს.
- 4. პრობლემები საძინებელი ოთახიდან იღებს სათავეს.
- 5. მამალი მაიმუნები ადამიანების მსგავსად მელოტდებიან.
- 6. მსოფლიო მოსახლეობის 10% ვეგეტარიანელია.

- 7. „მინუტა სმეხა დაბავლიაეტ გოდ ჟიზნი... უსლოვნა“, — ამბობენ რუსები.
- 8. ვენეციაში ერეტიკოსებს, კოცონზე დანვის ნაცვლად, წყალში ახრჩობდნენ.
- 9. სამხედრო საღმის მიცემა ყველა ქვეყანაში მარჯვენა ხელით არის სავალდებულო.

10. ხანში შესული მამაკაცის გულში ლამაზი ქალის დანახვა, იმედის ნაცვლად, მოგონებას აღვიძებს.



11. წარმოშობით სოხუმელ სუმოისტს ლევან ცაგურის იაპონელებმა „კოკი“ უწოდეს, რაც „შავ ზღას“ ნიშნავს.

12. „თემიდას თვალები ახვეული აქვს, მაგრამ ბრმა კი არ არის, უბრალოდ, რცხვენია...“ — ამბობდა ბერნარდ შოუ.

13. „ქალები ძალზე ცნობისმოყვარენი არიან. თითქმის ისეთივე, როგორც კაცები“, — ამტკიცებს ოსკარ უაილდი.

14. „რეკლამის გარეშე ბიზნესის წარმოება იგივეა, რაც სრულ სიბნელეში გოგუბისთვის თვალის პაჭუნი“, — ამბობენ ამერიკელები.

15. „შას ბი მალაკა ს ბულაჩკოი და ნა პეჩკუ ს დურაჩკოი“, — ინატრებს ხოლმე ზამთრის სიცხეში რუსი „მუჟიკი“.

16. „შემთხვევა ღმერთის ფსევდონიმია, როდესაც თავად არ სურს რაიმეზე ხელის მონერა“, — წერდა ანატოლი ფრანსი.

17. „საქართველოს უშიშროების მუშაკებს ქართველი დისიდენტებისადმი ფარული პატივისცემა ჰქონდათ“, — ჰყვებოდა ლევან ბერძენიშვილი.

18. თითოეული პატიმრის შენახვა ამერიკელებს დღეში 54 დოლარი უჯდება. ამ ქვეყნის ციხეებში ამჟამად დაახლოებით 2 მილიონამდე პატიმარია.

19. ბრაზილიაში შაქრის ლერწმის პლანტაციებში მომუშავე მონებს დასჯის მიზნით, ჭიანჭველების ბუდის სიახლოვეს აბამდნენ.

20. მოხუცი და დასნეულებული ფროიდი მაინც იღებდა პაციენტებსა და მნახველებს. ერთ-ერთი მნახველთაგანი გახლ-

„ჯაყლი“ ძმობა, „ოქამოლი ჯაძემის“ მახეში ჯაძემოლი დაძმინები და ოჯლის ჯაშუსის ხშირები

თუ „ფარულ კამერას“ ერთხელ მაინც შევხვდებით თვალს, არ შეიძლება, შეუმჩნეველი დავრჩეთ მსახიობი თინაშურ სტარუბ, რომელიც ქუჩაში გამვლელებს ნერვებს უშლის, რადგან მახეში მათ გაბმას ცდილობს და უფრო სწორად, ამას წარმატებით ახერხებს.

ქაა მიწლაქი

— პროფესიით მსახიობი ვარ. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა ჭიათურის სახელმწიფო თეატრში დავიწყე. რამდენიმე წლის შემდეგ კი, ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში გადავედი. 4 წელი იქ ვიყავი, მერე კი, ოჯახთან ერთად, თბილისში ჩამოსვლა გადაწყვიტე. ეს ამბავი გუგული სებისკვერამძემ რომ შეიტყო, დამიკავშირდა და თოჯინების სახელმწიფო თეატრში მიმიწვია. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ბავშვები ძალიან მიყვარს. იქ 20 წელი ვიმუშავე. ამ ხნის განმავლობაში, არაერთი შემოთავაზება მქონია სხვადასხვა თეატრიდან, მაგრამ ბავშვების სიყვარულმა თითოეულ მათგანზე უარი მათქმევინა. იცით, რა ბედნიერი ვიყავი იმ დროს, როცა ერთბაშად, უამრავი პანანინა ხელი ტაშს მიკრავდა?.. 1992 წელს, მატერიალური მდგომარეობის გამო თეატრიდან წამოსვლა და „ბიზნესმენობა“ გადაწყვიტე, მაგრამ მოგეხსენებათ, ყველაფერს თავისებური ნიჭი სჭირდება, მე კი, ბიზნესის ნიჭი არ ალომიანდა...

როგორ მოხვდით გადაცემაში „ფარული კამერა“?

— ამ გადაცემაში ალექო მალხაზიშვილმა მომიყვანა. დედამისი ჩემი უახლოესი მეგობარია. თავდაპირველად, მასთან „ბუდარიამი“ ვმუშაობდი და იქიდან მოყოლებული, ერთად ვართ.

გადაღებების დროს, ყველაზე მეტად ვინ გაბრაზებთ?

— რა თქმა უნდა, ალექო და ბაკური (სვანიძე). გადასაღებ მოედანზე სიუჟეტს ბევრჯერ მაცვლევივნებენ და მათი ფანტაზია მლღის. სხვათა შორის, თუ მოინდომებ, მეც გამაზაბენ მახეში. მასსოვს, სანაპიროზე ერთ სიუჟეტს ვიღებდით: პატრულის ფორმაში გამოწყობილ თანამშრომელს მანქანა უნდა გაეჩერებინა და მისი მძღოლი ჩემამდე, „პოლკოვნიკამდე“ მოეყვანა. ზემოდან შესაფერისი ფორმა მეცვა, მაგრამ ქვემოთ, შარვლის გარეშე ვიყავი. როცა უტყობ მაკაცს მომიყვანდნენ, მანქანიდან „ტრუსიკოს“ ამარა გადმოვდიოდი და ვადასტურებდი, რომ მან მოძრაობის წესები დაარღვია, მერე კი, სერიოზული ხმით ვუბნებოდი: გაპატიებ იმ შემთხვევაში, თუ შარვალს



გაიხდი-მეთქი. ამაზე ატყდებოდა ხოლმე ერთი ამბავი. ზუსტად ამდგავარი სიუჟეტის გადაღება გადაწყვიტეთ მ მარტს. როცა პატრულის ფორმაში გამოწყობილმა თანამშრომელმა მანქანის მინაზე დააკაკუნა, მაშინვე გავაღე კარი და გოგონა შემრჩა ხელში. სირცხვილისგან ისე დავიბენი, სად ნავსულიყავი, აღარ ვიცოდი. თურმე, ბიჭებმა ეს სპეციალურად გამიჩალიჩეს, ბაკური შორიდან მაკვირდებოდა. ასე რომ, არც მე ვარ დაზღვეული მათი ხრიკებისგან (იცინის).

გადაღების დროს, ვინმე ისე თუ გამოსულა წონასწორობიდან, რომ შეურაცხყოფა მოეყენებინოს?

— კი, როგორ არა?! ერთხელ ბაკურმა მითხრა: ვაკეში ძროხა უნდა გავატაროთო. მართლაც, ძროხა მანქანით მოიყვანეს და შუა ვაკეში, მოსაშვილის ქუჩაზე გადმოსვეს. მას 4-მეტრიანი თოკი ჰქონდა გამობმული. ჩემი ამოცანა იყო, როგორმე ქუჩაში გაშლილი დახლების გამყიდველების ყურადღება მიმექცია. ძროხა ერთ-ერთ დახლთან მივიდა და 10-ლარიანი ყურძნის ჭამა დაიწყო, ფეხი კი, ყურძნით საცეკ მეორე ვედროში ჩაუდგამს (ეს ვერც შევნიშნე). გამყიდველებმა ისეთი ამბავი ატყეს, რომ იძულებული გახდი, დამენყარებინა: ნუ გეშინიათ, „გაიხდიმეთ, ფარული კამერა“-მეთქი, მაგრამ ისინი მაინც არ დანყარდნენ, სანამ თანხა არ გადაეუხადეთ... სიუჟეტის გადაღების დროს, ადამიანები წონასწორობიდან ისე გამოდიან, რომ ბევრჯერ გამოწეულან ჩემვენ დასარტყმელად. ამ დროს, იქვე ჩასაფრებულ ბაკური გამოდის და ყველანი მაშინვე სიცილს იწყებენ.

ალბათ ყველა, ვინც კი გწნობთ, ეჭვის თვლით გიყურებთ, არა?

— რა თქმა უნდა. იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, როცა ქუჩაში



გამოსულს, უცნობი ადამიანები გესალმებინ და გეფერებინ, მაგრამ ზოგჯერ, ვიღღები იმის ახსნით, რომ მართლა „ფარულ კამერაში“ ვმუშაობ, მაგრამ იმ-ნუთას, მახეს არავის ვუგებ... ისე, სიუჟეტისთვის უმჯობესია, ისეთი ადამიანი შემხვდეს, რომელიც ვერ მცნობს. ამას წინათ, სიუჟეტის გადაღების დროს, მამაკაცმა ჩემი მოტყუება სცადა (ბუნებრივია, ვერ მიცნო, თორემ, ასე არ მოიქცეოდა): ხელში 20-დოლარიანი კუპიურა დავიკავე და უცხო მამაკაცს ვთხოვე — თუ ძმა ხარ, მობილური ტელეფონი ხომ არ გაქვს, ვიდაცას საბუთი დაჰკარგვია და დავურევოთ-მეთქი. გაკვირვებულმა მიპასუხა: ეგ საბუთი კი არა, დოლარიაო. — კი, მაგრამ დოლარი რა არის, ვერ მეტყვი-მეთქი? — ვკითხე. — ფულია, ფულიო, — მიპასუხა გაკვირვებულმა. ნეტავ, რამდენია-მეთქი? — ვკითხე. — ამაში 4 ლარს მოგცემენო. თავისი ჭკუით, მატყუებდა (იცინის). — უი, რა კარგია, 3 ლარი ვალი მაქვს და დარჩენილი ლარით ლუდი დავლიოთ-მეთქი! — ვიყვირე „გახარებულმა“. — მოდი, ბარემ აქვე მოგცემ 4 ლარსო, — ჩაიყო ხელი ჯიბეში და 5-ლარიანი ამოიღო, თან მკითხა: ლარიანი ხომ არ გაქვსო? — არა, რას ამბობ, ფული საერთოდ არ მაქვს-მეთქი. მან სრულიად უცნობი ადამიანი გააჩერა და ჰკითხა: 5-ლარიანის ხურდა ხომ არ გაქვსო? გამე-ვლელმა 2 ორლარიანი და ლარიანი მისცა. ამ კაცმა კი, 4 ლარი გამოიმწოდა, თვითონ 20 დოლარი და ლარი ჩაიღო ჯიბეში და წავიდა. ეგონა, შერჩებოდა, მაგრამ მაშინვე გამოჩნდნენ ბაკური და ალექო, რომლებმაც ფული დააბრუნებინეს... ზუსტად ასევე მოიქცა ქალბატონიც, რომელმაც ამ მამაკაცის მსგავსად, ვერ მიცნო.

ბატონო თემურ, ცხოვრებაშიც ასეთი ხალხიანი ხართ?

— ცხოვრებაში იუმორის გრძნობა რომ არ მქონდეს, ალბათ ხალხის გამხიარულე-ბასაც ვერ შევძლებდი. თუმცა ბუნებრივია, ზოგჯერ სერიოზულიც ვარ.

მოდი, თქვენი ოჯახი გაგვაცანოთ.

— მყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი. ცოტა ხნის წინ გოგონა გამითხოვდა და იმეღია, კიდევ არაერთი შვილიშვილი მეყოლება.

ამბობენ, მამები ძნელად ეგუე-



ბიან გოგოს გათხოვებასო...

— ბედნიერი ვარ, რომ გოგონების მამა ვარ. 1977 წელს, როცა მესამე გოგონა შეგვეძინა, ჩემს მეუღლეს ექთანისთვის უთხოვია: გააგებინე, რომ გოგო გყავსო. ექთანს კი უთქვამს: 2 ქალიშვილის მამას როგორ ვუთხრა, მესამეც გოგო გაჩნდაო?... მაგრამ მაინც გარისკა და ამბავი შემატყობინა. სიხარულისგან შევყვირე: შენ გენაცვალე-მეთქი! მას კი, ჩემი მეუღლისთვის უთქვამს: გიჟი ქმარი გყოლიაო (იცინის)... არ მესმის, რა მნიშვნელობა აქვს — ბიჭი გეყოლება თუ გოგო, შვილი — შვილია. უფრო მეტიც, გოგო მამის შვილი უფროა, ბიჭი — დედის. ერთადერთი, გოგოს ყოლა იმით არ ვარგა, რომ გათხოვდებოდა და სახლიდან მიდის, სახლი ცარიელდება, მაგრამ რას ვიზამ, მთავარია, ისინი იყვნენ ბედნიერები.

როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ თოვლის ბაბუაც არაერთხელ ყოფილხართ...

— დიახ. 4 წლის მანძილზე, ქალაქის მთავარი თოვლის ბაბუა ვიყავი ფილარმონიაში. ვიდრე „ივერიის“ კონცერტი დაიწყებოდა, ბავშვებს ვართობდი. გარდა ამისა, ვმუშაობდი ორგანიზაციაში, სადაც თოვლის ბაბუები გამოძახებით დავდიოდით.

ოდესმე თუ აგრევიათ მისამართი და სხვა ოჯახში შესულხართ?

— კი, როგორ არა. ვაშლიჯვარში ერთ ოჯახში ვიყავი გამოძახებული, მაგრამ ნომერი ამერია და სხვაგან შევედი. კარი შევალე და დამხვდა მამაო, რომელსაც ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა და ვაჟს დაუძახა: დიდი ბიჭი რომ გამოვიდა, აი, მაშინ მიხვდი, რომ მისამართი შემეშალა. მიუხედავად ამისა, იქიდან მალე გამოვსული ვერ მოვხერხე. გამიმასპინძლდნენ, მამაო დამლოცა და სამსახურში წამოვუვდი... კიდევ ერთ კურიოზს მოგიყვებით. ერთხელ, ვილაც კაცმა ბინის მისამართი ჩამაწერინა და მითხრა: ამ ოჯახში მიხვალ, ბავშვს საჩუქარს მიუტან, ქალს კი როგორმე, აი, ამ ფრანგულ სუნამოს გადასცემო... როგორია — ქალს ისე უნდა გადასცე საჩუქარი, რომ ქმარი ვერაფერს მიხვდეს. ამ საქმის შესრულება ძალიან გამიჭირდა — 45 წუთი მომიწია იმ ოჯახში ყოფნა, როცა 15-20 წუთზე მეტხანს არც ერთ სახლში არ ვჩიდვებოდი. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იმ ქალბატონს სუნამო გადავეცი და ვანიშნე, ვისგანაც იყო.

ახალი წელი უკვე დადგა. როგორც გამოცდილი თოვლის ბაბუა, რას უსურვებდით ბავშვებს?

— მინდა, ყველა ბავშვს ბედნიერი, უზრუნველი ბავშვობა და კარგი მომავალი ვუსურვო, ეცხოვროთ ერთიან და ლამაზ საქართველოში. ვინატრებდი, რომ არც ერთ ბავშვს არ ჰქონდეს ნაღვლიანი თვალები. მასსოვს, ერთ-ერთ პატარას ვკითხე: ბაბუა, რა გინდა, რომ ავისრულდეს-მეთქი? მიპასუხა — ძალიან მინდა, დედა გამიცოცხლდესო. გული მეტკინა... ჰოდა, ჩემი ყველაზე დიდი ნატვრაა, რომ ყველა ბავშვს ასრულებოდეს ის, რაც მას გულით უნდა.


ინფორმაციულ-შეახსენებითი კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკოდან:

დათ საღვადორ დალი, რომელმაც მისი პორტრეტის ჩანახატი გააკეთა.

21. 999 — ინგლისის სამამუველო სამსახურის ნომერი გახლავთ. მობილური ტელეფონების მომრავლებასთან ერთად, ამ სამსახურში შემოსული ზარების რაოდენობამ მკვეთრად იმატა: პატრონებს ტელეფონის კლავიატურა ხშირად დაუბლოკავი რჩებოდათ, რის გამოც ამ ნომრის უნებლიე აკრება ხდებოდა.

22. XI-XIII საუკუნეების ევროპაში მეტი სიმეტრად ძირად ფასობდნენ საფოსტო მტრედები. კარგად განვრთნილი ფრინველი ხშირად წმინდასისხლიან არაბულ ცხენზე მეტი ღირდა. საინფორმაციო სააგენტო „როიტერში“ დღესაც ჰყავთ საფოსტო მტრედები და სარგებლობენ კიდევ კომუნიკაციის ამ უძველესი საშუალებით.



23. რუსეთში რობერტ ბერნსი ძირითადად, მარშაკის თარგმანებით არის ცნობილი. ისინი საკმაო ოსტატობით არის შესრულებული და ლაღადაც იკითხება, მაგრამ კრიტიკამ დაიწუნა, რადგან თარგმანისას, მარშაკმა იდეოლოგიურად ისე გადაამუშავა დედანი, რომ ბერნსი ლამის რევოლუციონერად გამოიყვანა. კრიტიკოსმა სერგეი ვასილიევი, ამასთან დაკავშირებით, ღვარძლიანი პაროდიაც კი შექმნა, რომელიც ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „პრი ვსიომ პრი ტომ, პრი ვსიომ პრი ტომ, პრი ვსიომ პრი ტომ, პრი ეტომ, მარშაკ ასტალსა მარშაკომ, ა რობერტ ბერნს — პოეტომ“.

24. მოსკოვში, სამამულო ომში გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით, ძეგლი უნდა დაედგათ. რუსებს სტალინის გაგონებაც არ სურდათ. ზურაბ ნერეთელს უთქვამს — თუ გინდათ, რუზველტისა და ჩერჩილის ძეგლს გააკეთებთ, მათ გვერდით ცარიელ სკამს დავდგამ და ძეგლს „სტალინის მოლოდინში...“ დავარქვითო.

25. ანაპია — ასე ერქვა საიდუმლო გადასასვლელს, საიდანაც თერმოპილეს ხეობაში გამაგრებულ სამას სპარტელს ქსერქსეს მეომრებმა ზურგიდან შემოუარეს. შემოვლითი გზის არსებობის შესახებ სპარსელებმა ადგილობრივი მწყემსისგან შეიტყვეს, რის შემდეგაც, ბილიკს ქსერქსეს პირადი დაცვის 10000 ეგრეთ წოდებული „უკვდავი მეომარი“ დაადგა... P.S. ყველა თერმოპილეს აქვს თავისი ანაპია.

„ლაფთაზის“ მქოცხლის შიარ „ლაფთაზიანი“ ცუცა და რასთონის მინუს ჟარეოზაუი მხიარული მათაა მთაზინი

ნათია ქივიციანი

— როგორც ჩანს, პატრულთან საკმაოდ დაახლოებული პირი ხარ...

— აბა, რა. პატრული ჩემი მეგობარია, დიდი მადლობა პატრულს... მეორე წელია, უკვე მათთან ვთანამშრომლობ და საკმაოდ წარმატებულად. ისინი არაჩვეულებრივი პარტნიორები არიან. შარშან, როცა მათ საახალწლო გადაცემაში მივიღე მონაწილეობა, მას შემდეგ სულ მინდოდა, რომ კიდევ მივეწვიე და გამიმართლა, წელსაც დამიკავშირდნენ. მართალია, წელს

ყოველ ახალ წელს, გადაცემა „პატრული“ მაყურებელს საახალწლო ვერსიას სთავაზობს. მოგეხსენებათ, აქამდე ამ გადაცემის მთავარი გმირები ცნობილი ადამიანები იყვნენ, რომლებიც პატრულის ფორმაში გამოიყობილები გამვლელს აჩერებდნენ და სხვადასხვაგვარად ეჭმურებოდნენ. წელს გადაცემის ფორმატი შეიცვალა და მთავარ როლს არაჩვეულებრივად ძარულდება ცნობილი პატრული ქალი, ლია პარკაული, რომელიც ყველა გამვლელს სიმთრავლეში სდებდა ბრალს და ამის დასამტკიცებლად მათ ჩვეულებრივ „ბუშტს“ აბერებდა, რომელსაც მერე თვითონვე წუმად ხეთქავდა... „პატრულის“ სტუმარი მხოლოდ ერთი ცნობილი ქალბატონი, ცუცა კაპანაძე გახლდათ, რომელიც პარკითა და ბალიშით „შეიარაღებული“ პატრულის მიერ გაჩერებულ მძღოლებს უმტკიცებდა, რომ მათგან ორსულად იყო. რა ხდებოდა გადასაღებ მოუდანზე და რატომ აჩერებდნენ მხოლოდ „ლაფთებს“, ამ ყველაფერზე თავად ქალბატონი ცუცა მოგვითხრობს.



არ-მეთქი, — დავამატე. რა „მერსედესი“, ქალო, ვინა ხარ, რა გინდაო, — გამწარდა. უცებ, ფერი შეეცვალა და გვითხრა: გული მაქვს ცუდადო. შეგვემინდა, კაცი ხელეში არ ჩაგვაკვდეს-თქო და ვუთხარით, ეს ყველაფერი საახალწლო ხუმრობაა-თქო. მანქანაში ჩაჯდომამდე სულ გვაგინებდა... ისეთი სასაცილო რაღაცები მოხდა, რომ... კაცები, იმის შიშით, ოჯახი არ დაგვენგრესო, თავის მამაკაცურ პოტენციას სულ ნულზე წვედნენ. მათი 90 პროცენტი ამბობდა: სადღა შეგვიძლია ჩვენ ბავშვების გაკეთებაო... ერთი კაცი მეუღლესთან ერთად იყო.

მოკლედ, ამ საახალწლოდ გინება არ ამცდა, რა. სულ „ნიჩურტას“ ვიკეთებდი და თან მივაძახებდი: რაც მე მაგინოთ, არც ერთი არ აცდეთ-მეთქი... ერთი კაცი ქალიშვილთან ერთად იყო და რომ ვუთხარი, შეიღს ველოდები შენგან-მეთქი, — გაგიჟდა, — რას ამბობ, ქალო, 5 შვილი მყავს უკვე, სადღა შემიძლია შვილების გაკეთებაო?... მოკლედ, მართლა ძალიან კარგი დრო ვატარებო, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ძალიან ციოდა. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს კიდევ მიმიწვევენ და კიდევ ერთხელ ვიქნები პატრულის პარტნიორი.

— წელს „პატრულში“ თქვენ გარდა, სხვა ცნობილი ადამიანები აღარ მიწვიეს. სამაგიეროდ, „უზნის რწმუნებულში“ გააბეს რამდენიმე მათგანი. უყურეთ ამ გადაცემას?

— რა თქმა უნდა და ძალიანაც მომეწონა. კიდევ კარგი, მეც მაგ გადაცემაში არ გამაბეს. თავიდან ალბათ, ყველაფერს იუმორში გავატარებდი, მაგრამ მერე, ისტერიკაში ჩავვარდებოდი. ლელა წურწუმისას ადგილას, იმ დამლაგებელს კარგად შემოვუღალანუნებდი; ნიკა მემანინ-

რომ ვუთხარი, შენგან ვარ ორსულად-მეთქი, გაგიჟდა ის ქალი, მეცა მუცელზე — ახლავე მაჩვენეო და კინაღამ გამბრდღენა (კიდევ კარგი, მართლა ორსულად არ

პატრული აღარ ვიყავი, მაგრამ მაინც, ძალიან კარგი იყო. შარშან, პატრულის ფორმაში თავი საკმაოდ კარგად ვიგრძენი და მეგონა, წელსაც ჩამაცემედნენ, მაგრამ წელს, მათ სხვა რაღაცისთვის დავჭირდი. სიხარულით დავთანხმდი, როცა მითხრეს, ორსული ქალის როლი უნდა შეასრულო. ვიფიქრე, იქნებ, ვინმე კარგი გამოჩნდეს-მეთქი...

— იფიქრე, იქნებ, ამ საახალწლოდ ბედი გამეხსნასო, არა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ახლა გამეხსნა ბედი, რადგან ვინც კარგი გააჩერეს, ყველა, ორგანოს თანამშრომელი აღმოჩნდა და გაუშვეს. ვხვდნებოდი, ამათაც ვხუმროთ, იქნებ, რამე მეშველოს-მეთქი, მაგრამ ის ორგანოს თანამშრომლები თვითონვე მცნობდნენ და არ გამოვიდა ეგ ამბავი. ამიტომ პატრულის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, რომ მაგარი მანქანები აღარ გაეჩერებინათ და ხომ ნახეთ, „ლაფთებს“ აჩერებდნენ. ერთი ასეთი „ლაფთი“ რომ გააჩერეს, მე მივედე მძღოლთან და ვუთხარი: ბავშვს ველოდები შენგან-მეთქი. გადირია კაცი. აზრზე მოსვლაც არ ვაცადე — მაშინ „მერსედესი“ გყავდა და ახლა, ამ „ლაფთებზე“ ზიხ-

პატრული შუაში ჩაგვიდგა, მაგრამ მე მაინც გადაამძვრა პარიკი და იმ ქალმა მაშინვე მიცნო — ვაიმე, ქალბატონო ცუცა, თქვენ ხართო?

ვიყავი, მეორე ხელით თმაში ჩამაფრინდა. პატრული შუაში ჩაგვიდგა, მაგრამ მე მაინც გადაამძვრა პარიკი და იმ ქალმა მაშინვე მიცნო — ვაიმე, ქალბატონო ცუცა, თქვენ ხართო?... ცემაც არ ამცდა. ერთი კაცი გავაჩერეთ, რომელიც მანქანიდან გადმოვიდა და კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა. მე დავინწყე ჩემი მონოლოგი. ის კაციც გადაგვერია. მერე პატრულის თანამშრომლებმა ჰკითხეს, რატომ ჩაკეტე კარიო? — გუშინ ჩემი მეზობელი არაფრის გამო დაიჭირეს და მეგონა, ახლა მეც მიჭერდითო, — უპასუხა. უთხრეს, საახალწლო ხუმრობააო და იმანაც კარგად, გულიანად გვაგინა.

ვილზეც ბევრი ვიხალისე — ბოლომდე ცდილობდა, რომ მდგომარეობიდან არ გამოსულიყო და ეს სახეზე ეტყობოდა; მამუკა ონაშვილი კი მგონი, მიხვდა, რომ ხუმრობა იყო.

— სად შეხვდით ახალ წელს?

— მამუკა ლომაშვილთან ერთად, ერთ-ერთ რესტორანში საღამოს წამყვანი ვიყავი, სადაც ჯანდაცვის სამინისტრო, ლალო ჭიპაშვილთან ერთად შეხვდა ახალ წელს. არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ... დაბოლოს, მინდა, რომ „გზის“ მთელ რედაქციას დიდი სიყვარულით მოგილოცოთ ახალი წელი. გისურვებთ ბევრ მკითხ-



ველს, რომელიც ნამდვილად არ გაკლიათ და მათ დიდ სიყვარულს. ძალიან კარგები ხართ...

გადაცემა „პატრულის“ „შვილობილ-მა“, „უბნის რწმუნებულმა“ ცნობილი ადამიანები გააბა მახეში. ნიკა მემანიშვილს ქრთამის აღება დასდეს ბრალად, ლელა ნურნუშია ტრეფიკინგში დაადანაშაულებს, მამუკა ონაშვილს კი, თურმე, მენიუ მოუპარავს...

— მამუკა, სად ბრძანდებოდით 23 ნოემბერს, გიორგობას?

— სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მასსოვს, სად ვიყავი გიორგობა დღეს, მაგრამ უბნის რწმუნებულებმა გამახსენეს, რომ თურმე, ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში ვყოფილვარ (იციან). ეს ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ უბნის ინსპექტორმა დამირეკა და მთხოვა, ქალაქის მთავარ სამმართველოში გამოცხადდიო. რასაკვირველია, დავინტერესდი, იქ რისთვის მიბარებდნენ. მითხრეს, რომ ჩემზე საჩივარი იყო შესული და აუცილებლად უნდა მივსულიყავი. სიმართლე გითხრათ, ძალიან ბევრი საქმე მქონდა იმ დღეს დაგეგმილი, მაგრამ ყველაფერი გადამდებინეს...

— ისე, ცხოვრებაში სხვა დროსაც თუ დაუბარებხართ სამართალდამცველებს სამმართველოში?

— არა, აქამდე ჩემზე საჩივარი არსად დანერილა. ამიტომ სიმართლე გითხრათ, დავფიქრდი, მართლა რაიმე ისეთი ხომ არ ჩავიდინე-მეთქი? გადავავლე თვალი ჩემს განვლილ ცხოვრებას, მაგრამ ვერაფერი ისეთი ვერ აღმოვაჩინე. მერე ეჭვი გამიჩნდა, რაიმეს ხომ არ მიწყობენ-მეთქი, „ფარული კამერა“ მეგონა. ოთახში შესვლისთანავე რომ მითხრეს: ეს ქალი დაზარალებულია და თქვენ მას რესტორნიდან ისტორიული მენიუ მოჰპარეთო, — გამეცინა. თან ვფიქრობდი, მართლა ხომ არ მოხდა ასეთი გაუგებრობა და მე ხომ არ მპარალებენ-მეთქი. ამ საკითხზე დავინწყეთ კამათი. მოგვიანებით, როცა პოლიციელებმა მე და ის ქალბატონი ოთახში მარტო დაგვტოვეს, ავდექი, ის ოთახი ჩემებურად „დავზვერე“ და კამერა აღმოვაჩინე. მაშინვე მივხვდი, რომ ეს ხუმრობა იყო, მაგრამ არაფერი არ ვთქვი, არ გაუფუფუჭე მათ საახალწლო განწყობილებას... საქმლის მოპარვა რომ დაებრალეხინათ, უფრო დასაჯერებელი იქნებოდა, მენიუ რა მოსაპარია? რომ მდომოდა, რესტორნების დირექციას ვთხოვდი და მენიუების კოლექციას შევაგროვებდი. ასე რომ, მტენიან, ხალხო, ამ ამბავს, მტენიან. (იციან)... მოკლედ, მათ მივუხვდი ხუმრობას და მერე, პოლიციელებს ვუთხარი კიდევ — ცოტა პატარა კამერები ვერ დაამონტაჟეთ, რომ ვერ შემენიშნა-მეთქი?... ისე, ვინ წარმოიდგენდა, რომ „უბნის რწმუნებული“ ასეთ ხუმრობას მოიგონებდა? გული მწყდება, საქმლის მოპარვა რომ არ დამპარალეს, რადგან ვიტყვი მაინც, გურმანი ვარ და იმიტომ მოვიპარე-მეთქი...

— ვიდრე მათ ხუმრობას მიუხვდებოდით, დასასმარებლად ვინმე ნაცნობს ხომ არ დაუკავშირდით?

— არა, როგორ გეკადრებათ, რაზე უნდა დაკავშირებოდი? ის მენიუ რომც მომეპარა, დავაბრუნებდი და ჯარიმასაც გადავიხდიდი. მოკლედ, ჩვენმა უბნის რწმუნებულებმა კარგად იმუშავეს და მათზე ნანყენი ნამდვილად არ ვარ.

— სხვა დროს ყოფილხართ საახალწლო ხუმრობის მსხვერპლი?

— ასე არასოდეს გავუშაყირებოვარ. ერთხელ, „ფარულ კამერაში“ მივიღე მონაწილეობა, თუ გახსოვთ, სუპერმარკეტში რომ შევედი და ყველაფერი გადავჭამე. მაშინ მე „გაგათამაშე“ ხალხი, ახლა კი, მე გამეხუმრნენ.

— აქამდე თუ უყურებდით ხოლმე გადაცემას — „უბნის რწმუნებული“?

— თუ სახლში ვარ და დრო მაქვს, ამ გადაცემას აუცილებლად ვუყურებ ხოლმე. სიმართლე გითხრა, მიუხე-



მერე, პოლიციელებს ვუთხარი კიდევ — ცოტა პატარა კამერები ვერ დაამონტაჟეთ, რომ ვერ შემენიშნა-მეთქი?

დავად იმისა, რომ ის ბევრ პრობლემას ასახავს, ბევრი საკმაოდ მხიარული სიტუაციაც აქვთ დაფიქსირებული და კარგადაც ვხალისობ, ბევრს ვიცინი.

— პირობას დებთ, რომ ამის შემდეგ მენიუებს აღარ მოიპარავთ?

— როგორ გეკადრებათ, ამას აღარ ჩავიდე.

— როცა თქვენ გაგაბეს მახეში, მერე მაინც თუ გითხრეს, რომ იგივე გაუკეთეს კიდევ რამდენიმე ცნობილ პიროვნებას?

— არა, არაფერი უთქვამთ, მაგრამ მერე ვნახე ეს გადაცემა და მომეწონა... რა მოხდა მერე, თუ გვეხუმრნენ. საზღვარგარეთ ისეთი გადაცემებია, ადამიანებს ისე უხეთქავენ გულს, რომ ჩვენ მათთან შედარებით სიკვდილს გადარჩენილები ვართ.

— თემა შეცვალეთ და მითხარით, სად და ვისთან ერთად შეხვდით ახალ წელს?

— 1994 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც სცენაზე ვდგავარ, ახალ წელს ოჯახთან ერთად არ შევხვედრივარ, ყოველთვის კონცერტები მაქვს... 11 საათზე დაიწყო კონცერტი გორში, იქ შეხვდით ახალ წელს, მერე საშურში გადავიწაცვლეთ, იქაც არაჩვეულებრივი კონცერტი გამიართა. მოგვიანებით კი, თბილისში დავბრუნდი, სადაც ასევე, სამ კონცერტში უნდა მიმელო მონაწილეობა. სამივე მათგანი სხვადასხვა რესტორანში ჩატარდა. მოკლედ, მეგობრებისა და კოლეგების გარემოცვა-

ში ვიყავი. საცივი და გოზინაყი, რა თქმა უნდა, ახალი წლის ღამესვე დავაგემოვნე.

— რა არის თქვენი საახალწლო

სურვილი?

— მინდა, რომ მშვიდობა იყოს საქართველოში და მთელ დედამიწაზე. მინდა, რომ ხალხმა ამოისუნთქოს და თქვას: ბედნიერი ვარ!

— თქვენთვის საჩუქარი არ მოუერთმევიათ?

— ჯერ არა. თუ ვინმე რამეს მაჩუქებს, ძალიან გამიხარდება. მართალია, ძალიან მიყვარს თოვლის ბაბუა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მის როლს მე ვასრულებდი — საყვარელი ადამიანები დავსაჩუქრე.

მახეში გაბმულ ცნობილ ადამიანებთან ერთად, გადაცემა „უბნის რწმუნებულში“ საინტერესო და სახალისო სხვა კადრებიც გვიჩვენეს, როცა ხალხი ჩუბნის დროსაც არ კარგავს შემართებასა და იუმორს. მაგალითად, ერთმა ქალბატონმა მეორეს უთხრა — გიგი უფულავასთან კი არა, თუ გინდა, მიკირტუმასთან მიჩვილეო; მეორე წვეილი ერთმანეთს გამეტებით ურტყამდა და მათ დაშოშინებებს უბნის რწმუნებულები დიდი რუსთაველის ანდაზით — „გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“, — ცდილობდნენ; ერთ-ერთი ქალბატონი საკუთარ მულღს გაუპატიურებამ სდებდა ბრალს; ყველაზე საინტერესო კი ერთი კაცის ფრაზა გახლდათ, რომელმაც ორ ქალბატონზე თქვა: სიამოვნებით მივაყენებდი ამათ შეურაცხყოფას, მაგრამ ნახეთ, რას ჰკვანანო...

როგორ გავხდეთ ბედნიერი

ადამიანები, რომლებიც არ იცვლებიან და ერთი და იმავე დიაბაზონის შესაძლებლობებს იყენებენ, ბედნიერებას ძნელად ეზიარებიან ხოლმე. ერთ-ერთი უცხოური სააგენტოს მიერ 65 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ადამიანები ლათინურ ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში. ყველაზე ბედნიერი ქვეყნები ნიგერია, მექსიკა, ვენესუელა აღმოჩნდა, ხოლო ყველაზე უბედური — რუმინეთი, სომხეთი და რუსეთი. გამოდის, რომ ბედნიერებისთვის მთავარი სიმდიდრე (ბედნიერ ნიგერიელთა ნახევარზე მეტი უმუშევარია) და წელიწადში მზიანი დღეების რაოდენობა (რუმინელები და სომხები თბილ კლიმატურ ზონაში ცხოვრობენ, მაგრამ თავს რუსებზე უბედურად მიიჩნევენ) არ ყოფილა.



სოციოლოგების აზრით, ბედნიერების წყარო არის:

- * გენეტიკური მიდრეკილება-განწყობილება;
- * ბედნიერი ქორწინება;
- * რწმენა (რელიგიური ან სხვა);
- * ფული, ცხოვრებისთვის საკმარისი რაოდენობით;
- * ცხოვრებაში სწორი მიზანმიმართულება.
- * ბედნიერი ხართ თუ...
- * სხვებს თავს არ ადარებთ;
- * სიკეთეს თესავთ;
- * არ იტანჯებით იმის გამო, რომ გენიოსი არ ხართ;
- * სიბერის არ გეშინიათ;

თავი ბედნიერად რომ იგრძნოთ, შეცადეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბედნიერების ფაქტორი იპოვოთ და ამით დატკბეთ. ვთავაზობთ 22 საშუალებას, რომელიც თქვენ ბედნიერს გახდით.

1. გაცხარებული მუშაობისას, ოფისიდან გადით პარკში და გაისეირნეთ — გონიერ სელმძღვანელს შეგიძლიათ აუხსნათ, რომ ტვინს „განიალება“ ესაჭიროება (მან კარგად იცის, რომ ეს შრომისუნარიანობასა და აქტიუობას ამაღლებს), ხოლო უგუნურს უთხარით, რომ შინ უთო დაგრჩათ ჩართული.
2. საღამოს სახლიდან გადით და მზის

ჩასვლას უცქირეთ — ბუნების სილამაზით ტკბობა გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე ტელევიზორში ახალი ამბების მოსმენა.

3. დილით გაღვიძებისას იფიქრეთ, რომ ფინჯანი არომატული ყავა გელოდებთ — დილით მირთმეული ყავა თავის ტვინის ქერქზე სასიკეთოდ მოქმედებს.

4. მოუხვიეთ დედას — მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ადამიანის სხეულის ინფრანითელი გამოხსივება, რომელსაც ჩვილი პირველად დედის ხელში შეიგრძნობს, სასიცოცხლოდ აუცილებელია და მთელი ცხოვრების მანძილზე აუცილებელ ფაქტორად დარჩება.

5. საყვარელ ადამიანს ხელკავი გაუკეთეთ და ქუჩაში გადით — საყვარელი ადამიანის ინფრანითელ გამოხსივებას შეუძლია, გაცილებით ბედნიერი გაგხადოთ, ვიდრე პასპორტში ჩარტყმულ შტამს.

6. ზამთრის საღამოებში დეტალურად დაგეგმეთ საზაფხულო შვებულება — სითბოსა და მზეზე გულმოდგინედ შემუშავებული ოცნებები საშუალებას მოგცემთ გონებაში წარმოისახოთ შვებულება. ეფექტი ისეთივეა, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ტროპიკული კუნძულის შესახებ ფილმს უყურებთ, სადაც მთავარ როლში თვითონ ხართ.

7. გაისეირნეთ მეზობლის ძაღლთან ერთ-

თად — ეს ძალიან სასიამოვნოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საკუთარი არ გყავთ. თუ გყავთ, მასთან ერთად სეირნობა ნებისმიერ ამინდში შეიძლება, რუტინად იქცეს.

8. ტირში პისტოლეტიდან გაისროლეთ — პისტოლეტით სროლა ხელს უწყობს დეპრესიისა და ყოველგვარი ღვარძლისგან გათავისუფლებას.

9. დაქანცველი თათბირის დროს გაისენეთ, რომ შინ წასაკითხად არაჩვეულებრივი სათავედასავლო რომანი გელოდებთ — დღე ნაკლებად უიმედო მოგეჩვენებათ.

10. თუ სამსახურიდან სახლისკენ მიმავალი საცობში მოხვდით, მანქანა გზის პირას დატოვეთ და უახლოეს კაფეში წაიხმსეთ — ვანშის დამთავრებისას, გზა თავისუფალი იქნება. ზოგჯერ, ესეც საკმარისია თავბრუდამხვევი ეიფორიისგან გასათავისუფლებლად.

11. შეიძინეთ რაიმე ახალი (ნივთი, ტანსაცმელი) არა იმიტომ, რომ სეზონისთვის გესაჭიროებათ, არამედ ისე, უბრალოდ — მეცნიერული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ქალი მაღაზიებში უფრო მოდუნებული-მოშვებულია, ვიდრე სექსის დროს.

12. თუ ალიონზე გაგეღვიძათ, ფანჯრის მიღმა ჩიტების უღურტულს უსმინეთ და ისევ დიძინეთ — ძილი სასარგებლოა.

13. საჭესთან რადიოს მოსმენის ნაცვლად, ხმაალა იმღერეთ — მაშინაც კი, თუ საშინელ საცობში დგახართ, წინ მძიმე დღე გაქვთ და დარწმუნებული არ ბრძანდებით, რომ ცხოვრებაში სწორედ იმას აკეთებთ, რაც მართლაც მნიშვნელოვანია — თქვენ მღერით და ბედნიერი ხართ;

15. ქუჩაში გაგლისას ვიტრინებში საკუთარ გამოსახულებას უცქირეთ, მხრებში გაიმართეთ და თავი მაღლა ასწიეთ. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორი ლამაზი და მომხიბვლელი ხართ!

16. გააკეთეთ პედიკური არა შინ, არამედ სალონში და ამისგან სიამოვნება მიიღეთ — არაფერია იმაზე უკეთესი, როცა მოდუნებული წევხართ და ვიღაც ფეხისგულებს გისრესთ.

17. იფიქრეთ, რა კარგად იცხოვრებთ 10 წლის შემდეგ — იმ დროისთვის, ხელფასი (პენსია) ნამდვილად მეტი იქნება.

18. რადიოში თქვენთვის სიმღერა შეუკვეთეთ — სასიამოვნოა, თქვენ შესახებ სხვები რომ მოისმენენ.

19. გარდერობი წესრიგში მოიყვანეთ — წლების განმავლობაში გამოუყენებლად დალაგებული არასაჭირო ნივთები გარდერობის გაღების ყოველგვარ სურვილს გიკარგავთ. გარდა ამისა, ფეშენ შუის მიხედვით, ძველმანებით გატენილი გარდერობი ნეგატიურ ენერგიას აგროვებს.

20. შეცვალეთ რაიმე თქვენში, მნიშვნელობა არა აქვს, რა — ადამიანები, რომლებიც არ იცვლებიან და ერთი და იმავე ცხოვრების წესით ცხოვრობენ, ბედნიერებას ძნელად აღწევენ.

21. დასვენების დღეები ქალაქგარეთ გაატარეთ — იყოს უშნო, მთავარია, არაურბანიზაციული პეიზაჟით დატკბეთ. ეს ქალაქისგან დასვენებაა.

22. მაღაზიაში გამყიდველს გაუღიმეთ — მათი 80% ყოველთვის ღიმილით გაპასუხოთ, ეს კი, სასიამოვნოა.



ტობორ მოკუართო თავს

ქალებს თავის მოვლა უყვართ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, დიასახლისებს ამისთვის დრო არ რჩებათ ხოლმე. მათ ვთავაზობთ რამდენიმე სილამაზის რეცეპტს, რომლის დამზადებაც სწრაფად და რაც მთავარია, ოჯახურ პირობებში შექმლებათ.

თუ თქვენ წყალმა ხელები გაგიუხეშათ, მაშინ შემდეგნაირად მომზადებული მალამო გიშველით: 50 გ გლიცერინი, 1-2 გ პურის ფქვილი, 10 გ სუფთა თაფლი, 100 გ წყალი. ეს ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ და კანში შეიზილეთ.

ხელის კანის დასარბილებლად ასევე კარგი საშუალებაა კრემი, რომელიც ასე მზადდება: 30 გ გლიცერინი, 1 გ ნიშადურის სპირტი, 20 გ ოდეკოლონი, 20 გ წყალი. ეს მალამო ხელზე ხშირად წაისვით (დღისით), საღამოს კი, კანში ვაზელინი შეიზილეთ.

სახის კანის გასანმენდად: 5 გ შროშანის ძირის წვენი, 5 გ თაფლის სანთელი, 5 გ სუფთა, თეთრი თაფლი, 15 გ ვარდის წყალი. შროშანის ხახვისებრი ძირი დანაყეთ ფაიფურის ქვასანაყში და განურეთ მარლაში, მასში შეურიეთ და კარგად ალესეთ 5 გ გამდნარი თაფლის სანთელი, თეთრი თაფლი, ვარდის წყალი და 30-40 წუთის განმავლობაში ურიეთ. მიღებული მალამო ათეთრებს კანს, სახეს ლაქებისგან წმენდს.

სახის კანის მკვებავი მალამო: 30 გ ნუშის ან ატმის ზეთი, 30 გ ლანოლინი, 20 გ კაკაოს ზეთი, 15 გ აბუსალათინის ზეთი, 15 გ თაფლის სანთელი. ფაიფურის ქვასანაყში მოათავსეთ ლანოლინი და ურიეთ 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ მას დაუმატეთ ზეთები და კვლავ ურიეთ 20-25 წუთის განმავლობაში. ვინაიდან კაკაოს ზეთი მაგარია, ის და თაფლის სანთელი ცალკე გააღწეთ და მერე შეურიეთ სხვა ზეთებს. მალამო მშვენიერი მკვებავია როგორც სახის, ასევე ხელის კანისთვის. ხმარების წესი: ძილის წინ, გასუფთავებულ კანზე კრემი სქლად წაისვით. ცოტათი რომ შეშრება, სახე გაიპუდრეთ. რჩევა: თუ ლანოლინი ვერ იშოვებთ, ის შეგიძლიათ ღორის ქონით შეცვალოთ, რომელსაც წინასწარ გააღწიებთ ფაიფურის ქოთანში, წყლის ორთქლზე.

თუ ქერტილი განუხებთ: თავი ყოველდღე სარეცხი საბინით დაიბანეთ, მასზე წაისვით ვაზელინი და თავზე მასაჟიც გაიკეთეთ.

თავის კანის აქერცვლის სანიანალმ-



დეგოდ საჭიროა: თავი დაიბანოთ ძირას ნახარშით (იყიდება აფთიაქში) და თბილ წყალში აზელილი 2 კვერცხის გულით. დაბანილი თმა გაიშრეთ თბილი პირსახოცით (ფენი არ გამოიყენოთ) და ის წვრილკბილიანი სავარცხლით არ დაივარცხნოთ, კანს ალიზიანებს. ასევე, კარგია, თუ თავის დაბანვის შემდეგ თმაზე ძმარს ან ჩაის ნაყენს გადაივლებთ.



შოკოლადის ნაძვის ხე შობისთვის

მოსაზადებლად საჭიროა: 500 გ შავი შოკოლადი, 250 გ კაკალი, 150 გ მინის თხილი (შესაძლებელია, ნუშიც), 60 გ შავი შოკოლადი — ექსტრა, 2 ჩკ შაქრის პუდრა.

მოზადების წესი: შოკოლადის ნაძვის ხისთვის ლანგარი (რომლის ზედაპირზეც ჩაღრმავება არ არის) წინასწარ მოამზადეთ. ამისთვის, მას შემოაკარით „ფოლგის“ ქალაღი. შესაძლებელია, გამოიყენოთ ხის დაფაც.

„ფოლგაზე“ აღნიშნეთ 9 ჯვრის ფორმა, რომელთა შორის დაშორების მანძილი 2,5 სმ უნდა იყოს. ჯვრების ზომა 7, 9, 11, 13, 14, 15, 16, 17, 18 სმ-ია. ამასთანავე საჭიროა, ნაძვის ხის ასანყოფად ენ. „ჩონჩხი“ მოვამზადოთ. ეს შეიძლება იყოს თხელი და დახვეული მუყაოს ქალაღი და ა.შ. (20 სმ დიამეტრის). იგი უნდა დაამაგროთ ლანგარზე და მას მიანებოთ 18 სმ ზომის ჯვრები.

შოკოლადი დაანაწევრეთ და ორთქლზე გააღწეთ, შემდეგ მასში ჩაყარეთ მსხვილად დაჭრილი კაკალი და აურიეთ. ჩაის კოვზის დახმარებით, რბილი, თხილიანი შოკოლადი ლანგარზე აღნიშნულ ჯვრებზე მოათავსეთ და გააცივეთ (ოღონდ, არ გაყინოთ). თუ სამზარეულოში სიცივეა, შეიძლება, იქ დატოვოთ ცოტა ხნით, თუ არადა, მაცივარში შედგით (ოთახში მის გაცივებას დიდი ხანი დასჭირდება, სამაგიეროდ, მას მეტი ბზინვარება და ეფექტი ექნება).

შემდეგ, გამზადებული „ტოტები“ ლანგრიდან ფრთხილად აიღეთ და ნაძვის ხის „ჩონჩხზე“ მიანებეთ. ნებოდ გამდნარი ექსტრა შოკოლადი გამოგადგებათ... ასე უნდა აანყოთ „ნაძვის ხე“, ოღონდ, რა თქმა უნდა, ზევით უფრო პატარა ტოტები უნდა იყოს, ვიდრე ქვემოთ. უკვე გამზადებულ შოკოლადის ნაძვს მოაყარეთ მინის თხილი და შაქრის პუდრა.

საშობაო სალათა

მოსაზადებლად საჭიროა:

4 კვერცხი, 300 გ ყველი, 10-15 ზეთის ხილი, 2 კბილი ნიორი, 1-2 ლიმონი, 250 გ „კრაბის“ ჩხირები, 200 გ თეთრი პური, 200 გ მაიონეზი, მარილი, პილპილი.

მოზადების წესი: „კრაბის“

ჩხირები, გახუხული პური, მოხარშული კვერცხი, წვრილად დაჭრილი ზეთის ხილი და გახეხილი ყველი ერთმანეთში აურიეთ, დაასხით მაიონეზი და ლიმონის წვენი. დაამატეთ პილპილი და მარილი (გემოვნებით). შემდეგ, დაახლოებით ნახევარი საათით, მაცივარში შედგით.



რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ჰიპოკრატოს წვენი



ანანასის წვენი შეიცავს უნიკალურ ბუნებრივ ნივთიერებას — ბრომელაინს, რომელიც წვავს ცხიმებს და აახალგაზრდავებს ორგანიზმს. ეს წვენი რეკომენდებულია სიმსუქნის, ნაადრევი დაბერების, აგრეთვე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, თირკმლისა და ღვიძლის პათოლოგიების დროს.

შტოში არ არის მდიდარი ვიტამინებით, მაგრამ მასში შემავალი ორგანული მჟავები და მინერალები მას სამკურნალო პროდუქტად აქცევს. შტოშის წვენი რეკომენდებულია მადის გასაუმჯობესებლად, დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის, პოდაგრის, რევმატიზმის, ჰიპერტონიის მსუბუქი ფორმის დროს. მისგან დამზადებული წვენი სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტის დროს, გაცივებისას — ნახველის ამოსაღებად. კუჭისა და თორმეტკოჯა ნაწლავის წყლულის დროს, მისი მიღება არ შეიძლება.

ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა დიდხანს რომ შევინარჩუნოთ, რაც შეიძლება ხშირად უნდა ვსვათ ხილისა და ბოსტნეულის ახალგამონჭრული წვენი. ის გემრიელიცაა და თან, ბევრ დაავადებასთან ბრძოლაში გვეხმარება.

ფორთოხლის წვენი საკმაოდ მდიდარია C ვიტამინით და ამიტომ, ზამთრის პერიოდში შეუცვლელია გაცივების, ავითამინოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის. იგი ზრდის ტონუსს, ხსნის დაღლილობას და ამგრებს სისხლძარღვებს. ექიმები გვირჩევენ, ვსვათ ფორთოხლის წვენი ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიისა და ღვიძლის დაავადებების დროს. თუმცა, კუჭისა და თორმეტკოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ნაწლავის დაავადებების და მომატებული მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის დროს, ფორთოხლის წვენზე უარი უნდა თქვათ.

კარტოფილის წვენი ძალიან სასარგებლოა მაღალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტისა და კუჭის შეკრულობის დროს. იგი აქვეითებს კუჭქვეშა ჯირკვლის წვენის გამოყოფასაც. კარტოფილის წვენი ხელს უწყობს წვევის დაქვეითებას, ამიტომ რეკომენდებულია ჰიპერტონიის დროს. ასევე, ის წმენდს ორგანიზმს. ეფექტურია ნიახურისა და სტაფილოს წვენებთან ერთად.

კუჭ-ნაწლავის, თირკმლისა და ღვიძლის დაავადების დროს რეკომენდებულია **ყაბაყის წვენი**. იგი მდიდარია კალიუმითა და სპილენძით, რაც მის მიღებას ღირებულს ხდის ანემიის, ჰიპერტონიის, ნერვული და გულის დაავადებების დროს. თანაც, ეს პროდუქტი საკმაოდ დაბალკალორიულია, ამიტომ რე-

კომენდებულია ჭარბი წონის მქონე-თათვისაც.

კომბოსტოს წვენი წმენდს ორგანიზმს, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. იყენებენ ყაბზობის, ზოგადი სისუსტის, ღრძილების ანთების დროს.

შავი მოცხარის წვენი ეხმარება დასუსტებულ ავადმყოფებს და მათ, ვინც რაიმე ოპერაცია გადაიტანა. მას იყენებენ როგორც პოლივიტამინურ, ზოგადგამამაგრებელ, ოფლმდენ და ანტიანთებით საშუალებებს. შავი მოცხარის წვენი ორგანიზმზე ინსულინის მსგავს ზემოქმედებას ახდენს, ამიტომ შეუცვლელია დიაბეტიანთათვის.

ვაშლის წვენი სასარგებლოა მათთვის, ვისაც ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემები, ბრონქიტი აქვს. აგრეთვე — მწველთათვის. დღეში 1-2 ჭიქა ვაშლის წვენი, საგრძნობლად აუმჯობესებს სუნთქვის ორგანოების მუშაობას. გარდა ამისა, ვაშლის წვენი დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას (სასარგებლოა ანემიის დროს) და არაჩვეულებრივად გადევნის თირკმლიდან კენჭებს. პეპტიკური ნივთიერებები, რომლითაც მდიდარია ვაშლი, ადსორბენტის (შემწოვის) მსგავსად მოქმედებს და ასუფთავებს ორგანიზმს წიბებისგან.

წვენის მიღების წესები:

- სვით ახალგამონჭრული წვენი;
- ხილი და ბოსტნეული არ გაფცქვანათ — ვიტამინები დიდი რაოდენობითაა კანის ქვეშ;
- წვენის მიღება სამკურნალო პროცედურა და მშვიდად, აუჩქარებლად უნდა განხორციელდეს;
- არ შეიძლება წვენის დაღვევა ერთბაშად, დიდი ყლუპებით. წვენი ნელ-ნელა, პატარ-პატარა ყლუპებით უნდა სვათ — უმჯობესია, სანრუპით;
- წვენს ნუ დაატკობთ შაქრით. გემოს გასაუმჯობესებლად შეგიძლიათ, თაფლი გამოიყენოთ;
- წვენი მიირთვით ჭამამდე 20-30 წუთით ადრე ან ჭამიდან 1 საათის შემდეგ. ■

ყავა და ჩაი ღვიძლს ალკოჰოლისგან იცავს

ყავა და მაგარი ჩაი, სმის მოყვარულებში, ჭარბწონიანებსა და სისხლში რკინის ჭარბი შემცველობის მქონე პაციენტებში ღვიძლს სერიოზული დაზიანებისგან იცავს. ამერიკის დიაბეტის, ღვიძლის და თირკმლის დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები ჟურნალმა Gastronterology გამოაქვეყნა.

გამოკვლევაში მონაწილეობა 9,849 ადამიანმა მიიღო, რომლებსაც 19 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ და რომლებიც ყოველდღიურად ავსებდნენ ანკეტებს. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად სვამდნენ ორ ან მეტ ფინჯან ყავას ან ჩაის, ღვიძლის ქრონიკული დაავადე-

ბები 2-ჯერ უფრო იშვიათად უვითარდებოდათ მათთან შედარებით, ვინც ამ სასმელებს საერთოდ არ სვამდა.

მეცნიერთა აზრით, ყავისა და ჩაის



დადებითი ზემოქმედება ღვიძლზე, მათი კოფეინის შემცველობას უკავშირდება. ყავის დამცავი მოქმედება დაავადების გამომწვევ მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებზე (ალკოჰოლი, ჭარბი წონა, რკინის სიჭარბე) ვრცელდება და არა სხვა მიზეზებზე. მაგალითად, ეს სასმელები არ იცავს ღვიძლს ვირუსების ზემოქმედებისგან.

კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ექიმი რული მიინევეს, რომ ჯერ ადრეა ავადმყოფებისთვის ყავისა და ჩაის გამოწერა წალის სახით, მაგრამ კვლევის შედეგები პაციენტებს საშუალებას აძლევს, შეამცირონ დაავადების განვითარების რისკი. ■



თოვლის ნაწიყ „ექსპრიმცად“ ანუ „ხერხი სჯიძის ტონეს“...

ინგა ჩაყელი

ეს ამბავი 5 წლის წინ დაიწყო და ერთ ქუთაისელს შეემთხვა, რომელიც ზარმაცი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მასზე ვერც იმას იტყვიდა — ცეცხლი გასდის ხელეშშიო. სანამ ავტოქარხანა მუშაობდა, პატიოსნად გარბოდა დილით ადრე მშობლიური სახარმოსკენ, რასაც დაავალბდნენ, უსიტყვოდ აკეთებდა, თვის ბოლოს ხელფასს აიღებდა, ცოლს ბოლო კაპიკამდე ჩაუთვლიდა და „კომუნიზმის მშენებლობის“ დასრულებას მოთმინებით ელოდა: ფული სულ არ იქნება საჭირო და ჩემი დროც მაშინ მოვაო! — ამბობდა. მაგრამ ოცნებები ისევე დაემსხვრა ჩვენს ჭიჭიკოს, როგორც ლარისი — ქილა ერთი: დაპირებული კომუნიზმის ნაცვლად, კაპიტალიზმი მოვიდა. ქარხანა, დაზგა-დაზგა დაჭრილი, ცხვირწინ ააცალეს და გაუყიდეს, თავად კი სახლში გაუშვეს უვადო შვებულებით და მილიონი სამუშაო ადგილის დაპირებით...

მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო: ნაქები და ბუნჩულა ცოლი, რომელიც დღეში ორ სიტყვას არ ამბობდა ზედიზედ, მოქაქანე ორატორად იქცა და სისხლს უშრობდა „გეინძერის“ და „თვალის გახილეს“ ძახილით. მის ჯიბრზე, ირგვლივ ყველამ „რააცა გაახერხა“ — ზოგმა ვაჭრობა დაიწყო და ზოგმაც უფრო მსხვილი ბიზნესი გამართა, მას კი არც ერთის თავი ჰქონდა და არც მეორის, იმ დროს მისტიროდა, როდესაც თვეში ორჯერ ჩაუთვლიდნენ პენსიასავით ხელფასს — ავანსს და ძირითადად, მაგრამ ძველ დროს სიზმარში თუ დაუბრუნდებოდა, ისიც — ათასში ერთხელ...

ერთი-ორი წელი „კაი დროს“ შეძენილი ნივთები გაჰქონდათ გარეთ და ყიდდნენ, იმით გაჰქონდათ სული. მერე, ბაბუის დანატოვარი ქონება და ცოლის ხის სახლი გაყიდა სოფელში, რასაც ქველი ნაშითი ავარაკი მიაყოლა და ისე გაუჭირდათ ამის შემდეგ, ცოლმა კატეგორიულად განუცხადა: სახლში პური და ხორცი მიტანე, თვარა შენ მოგხარება ძველ საარყე ქვაბშიო!.. ცოდე გამხელილი ჯობს და არც თავად ჩამორჩენია, სულ კეთილენი უტრიალა, მაგრამ ამით მათ ქონებას არაფერი შემატებია და უარესი რომ არ მომხდარიყო, კარი გაიჯახუნა და გარეთ გამოვარდა.

დეკემბრის სუსხმა უცებ გაუგრილა გასივებული გული და გონება გაუნათა. ნამაღლა არ უთქვამს, მაგრამ საკუთარ თავს გაუშინა, რომ ცოლი სულაც არ ჯავრობდა ტყუილუბრალოდ: ათიოდე დღეში ახალი წელი მოადგებოდათ კარს და ასე ცარიელ-ტარიელი მისი დახვედრა ვის არ გადარევედა და გააყიებდა?! არადა, რა ექნა, რა წყალში ედურთა თავი, რომელი ბანკი გაეძარცვა ან რომელი ბაბუის დანატოვარი მოეკითხა?!

„ბაბუის დანატოვარზე“ უცებ, რაღაც

ამრმა გაუელვა თავში და თვალი უზარმაზარ ბილბორდს მიაპყრო, საიდანაც ბედნიერი სანტა-კლაუსები გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, მეკვლეობას სთავაზობდნენ ქუთაისელებს...

— არა, სანტა-კლაუსი კაია, მარა ჩვენებური, ქართველი თოვლის ბაბუები დანყტენ, ახალ წელსაც ამერიკელი რომ არ ვაპარპაშოთ?! — ჩილაპარაკა თავისთვის. მოტრიალდა და ისეთი სიჩქარე განავითარა სირბილისას თმაქალაჩა კაცმა, რომ მანქანებიც ჩერდებოდნენ და გზას უთმობდნენ... ვერც



ცოლმა გაუბედა შეჩერება, საკუჭნაოში შევარდნილს, სადაც ძველი სკივრი გადმოატრიალა და ბაბუის დანატოვარი, ნაფტალინით აქოთებული ჩოხა და ყაბალახი მოძებნა, ტანზე მოირგო. როცა დიდი სარკის წინ იდგა, ცოლი ნამოადგა თავზე, გულზე იტაცა ხელი და პირჯვარი გადაისახა — მოჩვენებებილა გვაკლდაო!..

თავიდან თვითონაც ბილბორდზე რეკლამის მოთავსება დააპირა — პირველი თოვლის ბაბუის მომსახურების შესახებ, — მაგრამ ისეთი თანხა მოსთხოვეს, განზრახვაზე უშალ აიღო ხელი. თავიც და სულიც ბედს მიანდო. ნასესხები ფულით გააშლევინა ცოლს საახალწლო სუფრა და თავადაც ნანათოვრები ხურჯინი მოიგდო მხარზე. ახალი წლის მოსვლას ორი საათი უკლდა, როცა წინასწარ მოპოებული სიით დაიწყო ქალაქის ყველაზე მდიდარი ოჯახების, ძირითადად — ჩინოვნიკების, ბიზნესმენებისა და შიგადაშიგ, „შავერის“ ჩამოვლა...

იგი ახარებდა ქართველი თოვლის ბაბუის დანახვა ხალხს, განსაკუთრებით ბავშვებს, არც ახსენდებოდათ მისი გამოგზავნის ვინაობის კითხვა და თუ ვინმე მაინც იკითხავდა, — რა ექნა, გენაცვალე, არ ისურვა თავისი ვინაობის გამხელაო! — პასუხობდა. უკან არავის გაუბრუნებია, ყველამ მიიწვია სუფრასთან, ხურჯინშიც ბლომად ჩაუყარეს სურსათ-სანოვავე და ფულიც ჩაუკუჭეს

ჯიბეში. პირველსაცვე ოჯახიდან გამოიტანა ასდოლარიანი, რომელიც მანამდე მხოლოდ სიზმარში თუ ჰქონდა ნახაი...

ღამის ორ საათამდე, ხუთჯერ მოუწია სახლში მირბენამ, ხურჯინი რომ დაეცალა და ფულიც შეენახა: რა ვიცი, ათასი მამაძალი დანანალეუბს ქუჩაში, მე კი ამ ფულის ნართმევას მირჩენია, სული ამომართვანო!

...ბოლოს სახლში როგორ მივიდა, არ ახსოვდა, მეორე დილით, ცოლის მოთქმამ და სისინმა გააღვიძა: თქვი, რა უბედურობა დაატრიალე, ეს ფული საიდან გაგიჩთაო? — ცხვირწინ უფრიალებდა დაჭმუჭნილ კუბურებს...

მყისიერად გამოფხიზლდა, ნაშობტა, ცოლს მოკლედ უამბო ყველაფერი და ფულის თვლამიც მიეჩმარა. ათას დოლარიც მეტი მოეგროვებინა და ორი იმდენი — ლარში. უხ, თქვენი დედები!.. კაცმა რომ გკითხოთ, ჩემსავით გიჭირთო! — შეუკურთხა, მადლობის ნაცვლად, ქალაქის „მამა-მარჩენლებს“.

...ცოლი უცებ დაუტკბა — შენს ჭკუასა და მოხერხებას ვენაცვალეო! ჩოხა, ძველი სკივრის ნაცვლად, საპატიო ადგილას დაკიდეს კარადაში, მომავალ ახალ წლამდე და ბედნიერად იცხოვრეს მთელი წელი.

იმ ერთ წელიწადში კი, იმდენი რამ მოხდა, ჩვენს ჭიჭიკოს, ბაბუხადიას მსგავსად („კუჩხი ბედნიერიდან“), ბედნიერი მეკვლის სახელი გაუვარდა და მისი მეფეხურობის მსურველები ნაცნობობით ეწერებოდნენ ერთი თვით ადრე რიგში: დასაჭერი ბიზნესმენი პარლამენტში მოხვდა, „შავი“ — მინისტრთა კაბინეტში, ხუთი გოგოს მამას ზედიზედ ოთხი მოსტაცეს და ორი მანქანის პატრონმა, მესამე მოიგო ლატარიაში...

ორი წელია, გააფართოვა კიდევ თავისი „საახალწლო ბიზნესი“ ჭიჭიკომ — ორი მეგობარი ჩართო საქმეში, მარტო რომ ვეღარ მოერია და მათი ოჯახების მადლიც მოისხა.

ვარდების რევილუციამ კი, ცოტათი შეაშინა: რალა ვენა, მდიდრებს ქე ჩამოართვეს ქონება და ჩემი საჩუქებელი ვის რა დარჩებოდაო?! — მაგრამ მალე დარწმუნდა თავისი შიშის უსაფუძვლობაში. მიხვდა — ხალხის დასანახვად, „ხურდას“ ართმევდნენ ბობოლებს, თორემ, ქონება ისევე უათმაგდებოდათ, ახალი მთავრობის ხელშიც...

სხვათა შორის, ჩოხაც შეიკურა, „აზიაცკებიც“... მიწოდდა, დაჯიბრებოდა და უფასო რეკლამა გამენია მისთვის — ჟურნალში დამებეჭდა მისი კოორდინატები, მაგრამ მადლობასთან ერთად, ბოდიშიც მომისხა: იმდენი მდიდარი მყავს სიაში, უბრალო ხალხთან მარტის ბოლომდე ვერ მივალწევო... — და სიტყვიერი მოლოცვა დამაბარა, გასამხნეველად, ყველასთან: არ შემიწდეთ, არ დაგაგინყდეთ, რომ ხერხი სჯიძისა ლონესაო!..

ღმერთმა ყველას ისე გიშველოთ, როგორც ჭიჭიკოს ეშველა ბოლო სუთი წელია!..

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

„სადღესასწაულო უსაფრთხოების“ ზოგადი

მაღე დადგება ახალი წელი. ჩვენში რომ წრეგადასული დღესასწაულების აღნიშვნა ვიცით, სიხლე არავისთვისაა. რამდენიმე დღის განმავლობაში წვეულებას წვეულებაზე ვმართავთ, მაგრამ ჩვენი ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ ნაირგვარი კერძისა და სასმლის მიღებასთან ერთად, ჩვენი თვითშეგრძნებაც თანდათან უარესდება და სადღეგრძელოებში ნასურვები „ბედნიერებისა“ და „ჯანმრთელობის“ ნაცვლად, ახალი წლის დღესასწაულს ახალი დაავადებები ან ძველი სნეულებების გამწვავება მოჰყვება. ამ უსამოვნებების თავიდან ასაცილებლად კი, აუცილებელია „სადღესასწაულო უსაფრთხოების“ ზომების დაცვა.



წვეულებაზე

ცარიელი კუჭი ალკოჰოლს კარგად იწოვს. ეს პროცესი რომ შეანელოთ, წვეულებამდე ერთი ან საათ-ნახევრით ადრე კარგად დანაყრდით. შეგიძლიათ მიირთვათ მოხარშული ხორცი, კარაქიანი ბუტერბროდი, ხაჭო, რომელიც აფერხებს ალკოჰოლის შეწოვას.

ვისაც კუჭის, ღვიძლის და კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასის) დაავადებები აწუხებს, დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე, უნდა დაიწყოს ფერმენტების მიღება (კრეონი ან მეზიმფორტე, ორორი აბი 3-ჯერ დღეში ჭამამდე) და დღესასწაულის დანყებიდან კიდევ ერთი კვირა განაგრძოს ასეთი პროფილაქტიური კურსი.

წნევიანები და ისინი, ვისაც ინფარქტი ან ინსულტი აქვთ გადატანილი, უმჯობესია, ახალ წელს არ დათვრნენ.

სამიშაი სხვადასხვა სახის სასმლის შერევა, განსაკუთრებით კი — მშრალი ღვინისა და კონიაკის ან ბრენდის, აგრეთვე არყისა და ლუდის.

ღაინყო!

თუ დალევას აპირებთ, უმჯობესია, ერთი სახის სასმელი მიირთვათ, მაგალითად — ღვინო, მამპანური ან კონიაკი. ლიქიორსა და მაღალი შაქრიანობის მქონე ღვინო კუჭი ადვილად შეინოვს, კუჭქვეშა ჯირკვლი მეტისმეტად იტვირთება, რაც მამიწვე გამოიხატება ორგანიზმის სისუსტითა და ცუდი

თვითშეგრძნებით. თუ მოგწყურდათ, ნუ დალევთ გაზიან სასმელს, რადგან ასეთი სასმელები ალკოჰოლის სისხლში გადასვლას უწიან ხელს. უმჯობესია, წვენი ან ჩვეულებრივი წყალი მიირთვათ.

ბევრი წამალი შეუთავსებადი ალკოჰოლთან. ტრანკვილიზატორები და საძილე საშუალებები ალკოჰოლის ზემოქმედებისას არა მხოლოდ პათოლოგიურ ძილს იწვევს, არამედ ღვიძლსაც აზიანებს. ალკოჰოლი ზრდის არტერიულ წნევას, აჩქარებს გულის მუშაობას, უარყოფითად მოქმედებს კორონარულ სისხლძარღვებზე, აუწყლოებს ორგანიზმს, აიძულებს თირკმლებს, რომ დაზოგვით რეჟიმში იმუშაოს. ქეიფის შემდეგ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, ტვინი „ნარკოზის მდგომარეობაში“ იმყოფება. ამიტომ ნაქეიფურებს არ ვურჩევთ საჭესთან დაჯდომას.

ქეიფის დროს ხშირად წამოდექით და ეცადეთ, მეტი იმოდროთ, რათა ალკოჰოლი არ შეკავდეს ორგანიზმში. სიცივეში გასეირნება გამოგაფხიზლებთ კიდევ და ახალი წლის მშვენებებსაც უკეთ შეგაგრძობინებთ.

სადღესასწაულო სუფრასთან დანაყრებისას, როგორც წესი, ძლიერდება გაზების წარმოქმნა, ეს კი მუცლის შებერვას, მეტეოროიზმსა და ნაწლავების „ყურყურს“ იწვევს. ეს რომ თავიდან აიცილოთ, მოერიდეთ მწვანეხარდიანი და სიმინდიანი სალათის მირთმევას. ვაშლი, ყურძენი, აგრეთვე მათი წვენები, კომბოსტო, ჭარხალი, ბანანი, გაზიანი

„შენ ხარ ოცნება, შენ ხარ სინაზე/ შენ ხარ ცის ცრემლი ცოდვილ მიწაზე/ შენ ხარ სითბო და შენ ხარ ალერსი/ მე მოგეფერე ახლა ამ ლექსით.“

„ნატა, ანგელოზი ხარ, მთელი ტყიბული შენზე გიჟდება. ძალიან მიყვარხარ. ახლა შენს პლაკატებს ვუყურებ და ვფიქრობ, საიდან ასეთი უნაკლო გოგო?! შეყვარებული გაყავს?“

„ძვირფასო, შენს სურათებს რომ ვუყურებ, ცრემლებს ველარ ვიკავებ. შენნაირი გოგონები მაოცებენ. საყვარელი ადამიანი ხარ, ცხოვრებაში ყველაფერს კარგს იმსახურებ. გიო.“

„შენი ინტერვიოდან გავიგე, რომ ძალიან მეგობრული გოგო ხარ, გაყავს მეგობრები, რომლებიც ასევე ძალიან გიყვარს. მეც ვიქნები, რა შენი მეგობარი! მეც კარგი მეგობრობა ვიცი.“

„ნატა, მაგარი „დაცემა“ ქალი ხარ, ულამაზესი და უსაყვარლესი, ჩემ გვერდით მხოლოდ შენნაირ ქალს ვისურვებდი. მიყვარხარ და მეყვასები.“

„ლობო ძალიან მიყვარს, შენი გაკეთებული ხომ მით უმეტეს, ძან მაგარი იქნება. ბუნებრივი ფერის თმა გაქვს თუ შეღებილი?“

„გულით მინდა დაგირეკო და დაგელაპარაკო. როგორ მოვახერხო? გთხოვ, როგორმე დამიკავშირდი. უბრალოდ, შენი ხმა მაინც გავიგონო. მინდა, სულ შენ გვერდით ვიყო. მიყვარხარ. ნეტავ, ახლა ჩემთან იყო, უცებ მოგარჩენდი. აბა, კარგად დაფიქრდი!..“

„ვაიმე, მაგიუებს ეს გოგო, რა ვენა, რომელ წყალში გადავხტე, ჩემი ხმა როგორ მივანვდინო?.. დამეხმარეთ, იქნებ, მისი მობილური ტელეფონის ნომერი მომცეთ?.. ნიკა.“

„დამდეგ ახალ წელს გილოცავ, გისურვებ ყველაფერ კარგს და ლამაზს! მურმანა.“

„მე ვარ ის კაცი, ვინც შენ გაგაბედნიერებს, თავს ქალად გაგრძობინებს, აგამალღებს და გაგაღმერთებს. არ გინდა, ჩემი გაცნობა?.. ცოტა ხანს დაგელოდები... კარგად მოიფიქრე, ბედი კარზე მოგადგა...“

„გარეგნულად ძალიან ლამაზი ხარ, მაინტერესებს, შინაგანად როგორი ხარ. სიამოვნებით გაცნობდი, „გამაოცე“ ქალი ხარ. „ირაკლი“.

„ნატა, მე შენი დიდი თავყანისმცემელი ვარ. როგორც კი დაგინახე, მამიწვე „რალაც“ ვიგრძენი. მას შემდეგ, მოსვენება დავკარგე, სულ შენზე ვფიქრობ. 21 წლის ვარ. გთხოვ, დამიშეგვი. თორნიკე.“

„პრივეტ“, ნატა, არ გტყვებია, გოგო, ლობიოს გაკეთების მეტი რომ არაფერი იცი? თუ გინდა, ცოლად გამომყევი... ბორშჩის გაკეთებას მაინც გასწავლი, არ გინდა?.. დათო.“

„ნატა, ისე მომწონხარ და ისე მიყვარხარ, ვერ აგისწი. ნეტავ, შენი კოცნა და მოფერება მეღირსება? ამისდება ოდესმე ეს ოცნება?.. პასუხს ველი, ჩემო სიცოცხლე.“



სასმელები, შავი პური იძულებულს გაგხდით, შეიხსნათ მოჭერილი ქაშრები და შეიშმუშნოთ მუცლის ბუჩუბუჩის გამო. კიტრს, პომიდორს, ავოკადოს და მწვანის ასეთი ეფექტი არა აქვს, სამაგიეროდ, აქვს შარდმდენი მოქმედება. ასე რომ, საკვების მიღებისას, მთავარი მხოლოდ მისი რაოდენობა კი არა, სწორად შერჩევაცაა.

ფილისათვის

აი, ახალი წელიც დადგა! მათთვის, ვინც ალკოჰოლისა და საკვების მიღებისას გონივრულობის ზღვარი გადალახეს, დილა ნაბახუსევით, ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევით იწყება. დღესასწაულის დღეებში საკმაოდ ხშირდება ინფარქტისა და ინსულტის შემთხვევები. ზოგს ქოლერისტიტი და პანკრეატიტი (ნაღვლის ბუშტის და პანკრეასის ანთებები) უმწვავდება, ზოგსაც ნაღვლის ბუშტში და თირკმელებში არსებული კენჭები დაეძვრება.

თავდავინებელი დროს ტარების შემდეგ, ჯანმრთელობის აღდგენის რეცეპტი მრავალგვარია, მაგრამ მთავარია, ნუ დაინებთ დილას ლუდის ბოთლით ან ღვინის ბოკალით — ზოგისთვის ეს ნაბახუსევადან გამოსვლის საუკეთესო საშუალებებია. თუ კუჭ-ნაწლავის გადატვირთვის ან ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ნიშნები გაქვთ, უმჯობესია, კუჭი ამოირეცხოთ. ამისათვის კი უნდა დალიოთ ერთ ლიტრამდე წყალი, რომელშიც რძე ან მცირე რაოდენობით სოდაა გახსნილი და შემდეგ, თითებით გაიღიზიანოთ ენის ძირი. ასე უნდა გააკეთოთ რამდენჯერმე, ვიდრე სუფთა წყალი ამოვა. შემდეგ კი მსუბუქი ვარჯიში და გრილი შხაპი გამოგაცოცხლებთ. მწნილის წვეს არ გააჩნია ანტიბიოქსიკური მოქმედება; იგი უბრალოდ აძლიერებს წყურვილს და გაიძულებთ, რომ სვით სითხე. სითხის მიღება კი რაც შეიძლება მეტი რაოდენობითაა აუცილებელი. კარგია ნატურალური წვენები, რძე, კეფირი.

კარგად გამოგაფხიზლებთ ერთი ჭიქა ცივი მწვანე ჩაი, მასში გახსნილი ორი ს/კ თაფლითა და ერთი ლიმონის წვენი. თანაბარი რაოდენობით შერეული პიტნის, კალენდულის, გვირილის და კუნწის ნარევის ნაყენი გაწმენდს შინაგან ორგანოებს და ტონუსში მოიყვანს გულს. მინდვრის შვიტის, დათვისყურას, კრაზანისა და თავშავას ნარევის თბილი ნაყენი კი მოგიხსნით სახის შეშუპებას და დაგიცხრობთ უბევს. ნაბახუსევის მდგომარეობიდან გამოსვლაში დაგეხმარებათ გრეიფრუტი, ბანანი, კივი, ლიმონი, შავი ქლიავი, მსხალი, კაკალი. აგრეთვე — ერთ ჭიქა წყალში გახსნილი 1/2 ჩ/კ ნიშადურის სპირტი ან ერთი აბი ციტრამონი. ბანაობა და საუნა არ არის რეკომენდებული წნევიანებისთვის, ასთმიაუნებისთვის, ინფარქტადადანილთათვის, მათთვის, ვისაც გულის რიტმის დარღვევა და სტენოკარდია აქვთ. ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

აუცილებელი ცნობები ქარბნონიანთათვის

თუ ქარბი წონა განუხებთ და დღესასწაულის დღეებში წონის მომატების გეშინიათ, თქვენთვის კარგი ამბავი გვაქვს: თურმე ადამიანთა უმრავლესობა ამ დღეებში წონაში უმნიშვნელოდ მატულობს, მაგრამ გვაქვს ცუდი ამბავიც: დღესასწაულზე მომატებული (თუნდაც მცირედ) წონა, სამუდამოდ შერჩება თქვენს ორგანიზმს.

მართალია, გავრცელებული აზრია, რომ ადამიანები დღესასწაულის დღეებში 2,5-4,5 კგ-ს იმატებენ, მაგრამ ეს ციფრი გადაჭარბებულია. სინამდვილეში წონისმატება 450-900 გ-ს არ აღემატება. Neu England Journal-მა გამოაქვეყნა ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევაში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ წონას მთელი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ოქტომბრიდან ნოემბრის ბოლომდე პერიოდში, წონის საშუალომატება 0,2 კგ-ზე ნაკლები იყო. ახალი წლის დღესასწაულის შემდეგ კი — საშუალოდ, 800 გ. აღსანიშნავია, რომ ქარბნონიანმა და მსუქანმა ადამიანებმა, წონაში საშუალოდ 2,2 კგ მოიმატეს. მაგრამ დამაფიქრებელი გახლდათ ის, რომ კვლევის მონაწილეთა მიერ დღესასწაულის პერიოდში დაგროვილი წონა აღარსად ქრებოდა და ისინი, ვინც ახალი წლის დღეებში წონაში მოიმატეს, მომდევნო წლის შემოდგომაზეც იმდენივეს იწონიდნენ, რამდენსაც დღესასწაულის შემდგომ დღეებში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქარ-

ბნონიანთა წონისმატება ძირითადად, დღესასწაულის დღეებზე მოდის. თითქოს 600-800 გ არაფერია, მაგრამ ათი წლის განმავლობაში ხომ ეს 6-8 კგ-ად იქცევა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალ წელს დიეტაზე უნდა იყოთ. უბრალოდ, თვალყური ადევნეთ საკუთარ წონას. კილოგრამების მოშორება გაცილებით ძნელია, ვიდრე მომატება. ამაზე წინასწარვე უნდა იფიქროთ. გირჩევთ, ხშირ-ხშირად აიწონოთ დღესასწაულის დღეებში, რათა დაწინაურდეთ, რომ არ სუქდებით. ამ დღეებში ნურც წონაში დაკლებას ეცდებით, მთავარია, არ მოიმატოთ.



ვიზრუნოთ ბარბნობაზე

საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას ქალები განსაკუთრებულად დღესასწაულის წინა დღეებში იწყებენ. სახის კანის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნატურალური პროდუქტებისგან დამზადებული ნიღბების გამოყენებას გირჩევთ. სახის კანს აახალგაზრდავებს ნიღაბი, რომელიც მზადდება 1 ს/კ თაფლის, 1 ათქვეფილი კვერცხისა და 2 ს/კ ფქვილისაგან. მიღებული მასა უნდა წაისვას სახეზე 10-15 წუთი და შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანოთ. ასევე აახალგაზრდავებს კანს ხაჭოს და თაფლის ნიღაბი. აურიეთ ერთმანეთში 3 ს/კ ხაჭო და ამდენივე თაფლი. მიღებული მასა დაიდეთ სახეზე, გაიჩრეთ 20-25 წუთი. მერე ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეს ნიღაბი კვებაზე და ათეთრებს კანს. კარგია ნებისმიერი ტიპის კანისთვის. ბანანის ნიღაბი: ერთი ცალი კანგაცილი ბანანი გახეხეთ, 2 ს/კ მიღებულ მასას შეურიეთ იმავე რაოდენობის ხაჭო ან არაჟანი. ნარევი წაისვით სახეზე, 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით. ცხიმოანი კანის შემთხვევაში, ნიღაბს რამდენიმე წვეთი ლიმონი უნდა დაუმატოთ. სტაფილოს ნიღაბი: 2 ს/კ სტაფილოს წვეს დაუმატეთ 2 ს/კ ხაჭო და 1 ჩ/კ თაფლი. დაიდეთ სახეზე 15 წუთით და შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით. კანი რბილდება და ელასტიკური ხდება. კანის მკვებადი ნიღაბი: 1 კვერცხის გული ათქვიფეთ, დაუმატეთ 1 ს/კ თაფლი, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი და 1 ს/კ რძე. მიღებული მასა დაიდეთ სახეზე 15 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.





გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფრონაღ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტიცხავე არ გაგაქმეთ თვალი.

1. რა არის ბუჯა?
2. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „ვერ გაიგებ, ვისი თხლე ვის კასრშია...“?
3. ამ მანვე ჩვევას მარკ ტვენის დიდებულ მანკიერებას ეძახდა.
4. სიცილიაში მოგზაურობის დროს კალიგულა დიდხანს დასცინოდა ადგილობრივ სალოცავებს, სანამ ერთ ღამეს, გრუსუნითა და გრილით გულგახეთქილს, მესანიდან არ მოუწია გაქცევა. რა მოხდა იმ ღამეს?
5. დაასახელეთ ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომლის დედაც უელსის პრინცის საყვარელი იყო.
6. რა არის აგალმატოფილია?
7. ეს მხატვარი მექანიკას მათემატიკურ მეცნიერებათა სამოთხეს ეძახდა.
8. დაასახელეთ ცხოველი, რომელსაც საკუთარ სხეულზე ორჯერ უფრო გრძელი ენა აქვს.
9. მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება (საბჭოთა კავშირის დამლის წინ) უკანასკნელად ოლეგ იანკოვსკისა და ამ მომღერალ ქალს მიანიჭა. დაასახელეთ იგი.
10. „შეუპოვრობით სახე მზერა მაკედონელის, ლისიპემ სპილენძს შეადუღა. ცოცხლობს ბრინჯაო. ასე გგონია, ზევსს უყურებს, ამბობს ქანდაკი: გქონდეს ოლიმპო, დედამინის მე ვარ მფლობელი“, — წერდა ასკლეპიადე სამოსელი. ვინ იყო ლისიპე?
11. „იგი უნდა ნაიყვანოს კონსტებლ უილიამ კინგსტონმა სასამართლოდან ტაუერში, საიდანაც უნდა გადაიყვანონ ტაიბერნში. იქ სახრჩობელაზე ჩამოვიდონ, სანამ სანახევროდ არ მოკვდებიან, შემდეგ თოკი გადაჭრან, სასქესო ორგანოები მოჰკვეთონ, მუცელი გაუფატრონ, გამოჰგლიჯონ და დაწვან შიგნულადა, შემდეგ ოთხად გაკვეთონ და მისი სხეულის ოთხი ნაწილი დაკიდონ ქალაქის კარიბჭეზე, ხოლო თავი გამოვიდონ ლონდონის ხიდზე.“ — ასეთი განაჩენი გამოუტანა სასამართლომ ამ ინგლისელ განმანათლებელს. მოგვიანებით მეფემ სასჯელი შეამსუბუქა და ბრძანა, დამნაშავეისთვის მხოლოდ თავი მოეკვეთათ. დაასახელეთ იგი.
12. ცნობილია, რომ ვიღაც ქალმა სოკრატეს ნარეცხი წყალი გადაასხა თავზე. რისი გულისთვის?
13. ეს ფრინველი ჩინელ ზოოფილთა „სისუსტე“ გახლდათ. სექსუალური აქტის დროს, მას ერთი დაკვრით აგდებინებდნენ თავს, რათა მოფართხალე ფრინველისგან მეტი სიამოვნება მიეღოთ.

ანეკდოტები

ცოლი ეუბნება ქმარს:
— ერთი წუთით მეზობელთან გადავალ, გახეურაზე ლობიოს ვტოვებ, იხარშება და ყოველ ნახევარ საათში წყალი ჩაამატე.

მოსაზრება: დაიბადოს მუნჯი — ეს ყველაზე უფრო დიდი უბედურებაა ქალისათვის.

ორი ამერიკელი ტურისტი კოსტა-რიკაში იმყოფება. ერთი ეუბნება მეორეს:

— იცი, აქაურები ხელთათმანებს როგორ აკეთებენ? კაუჩუკის ხის წვეწმი ისველებენ ხელებს, მერე იშრობენ, წვეწმი შრება და ხელთათმანებიც მზადაა.

— ვაა, მაგარია! ნეტა, პრეზერვატივებს როგორღა აკეთებენ?!

პატარა ინდიელი ეკითხება დედას:
— დედი, რატომ ეძახი ჩემს დას ამომავალ მზეს?

— იმიტომ, რომ მზის ამოსვლისას ჩაისახა.

— აბა, ჩემს ძმას რატომ ეძახი ცისფერ ყვავილს?

— იმიტომ, რომ მინდორში, ყვავილებში ჩაისახა. დღეს რაღაც ძალიან ბევრ შეკითხვას იძლევი, გახვრეტილო რეზინაჟ!

ნარკუზმა ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს ეუბნება:

— რუსთაველზე გამიყვანე.

— რუსთაველზე ვართ, — უთხრა მძღოლმა.

— ვაა!.. აბა შენ ათი ლარი და ნელა იარე, თუ ძმა ხარ!

ღამის 4 საათზე მისოს კარზე კაკუწნია. მისო ნამძინარევი ხმით კითხულობს:

— რომელი ხარ?

— უან კლოდ ვან დამი.

— აბა, დავაი აქედან, თორე გამოვალ და ოთხივეს თავებს დაგისიებთ.

მღვდელი და პოლიციელი მიდიან და ერთმანეთს დროის ძნელბედობაზე ეს-

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს:

— გუშინ მეზობელ კაცს დავენბდი.

— სიყვარულით?!

— ჰო, აბა, 100 დოლარი რა ფულია?!

ორგანული ქიმიის მთავარი კანონი: თუ 1 კილოგრამ მურაბას და 1 კილოგრამ ნეხვს შევურევთ, მივიღებთ 2 კილოგრამ ნეხვს.

ქალის ლოცვა:

— ღმერთო, მომეცი სიბრძნე, რათა მამაკაცს გავუგო, სიყვარული — რათა ვაპატიო და მოთმინება — რათა მის ხუმტურებს გავუძლო. ძალას კი არ გთხოვ, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩება!

თვითმფრინავი ვარდება. სალონში ატომატურად ირთვება ჩანანერი:

— ძვირფასო მგზავრებო! გთხოვთ, ამოიღეთ პასპორტები, ამოხიეთ ფოტოსურათიანი ფურცელი და მოითავსეთ უკანაღში. ამ უხერხულობისათვის წინასწარ გიხდით ბოდიშს, მაგრამ წინა ავარიის შემდეგ, გვამების გარჩევისას ძალიან გავწვალდით.

— ბუტგურია, შენ მართლა ერთი ძმა გყავს?

— კი.

— აბა, შენი და რას ახურებს, ორი ძმა მყავსო?!

— მოშე, რატომ ხარ მოწყენილი?


— გუშინ დოლარები ვიყიდე და ფული აღარ დამრჩა.

ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელი ამბობს:

— აბა, ბავშვებო, ამოიღეთ სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები. დღეს უნდა დავხატოთ ცხენი. ჩვენი ქეთინო კი შეეცდება, გაუძმრეველად იჯდეს.

მღვდელი და პოლიციელი მიდიან და ერთმანეთს დროის ძნელბედობაზე ეს-





 ზვიადა ზის ორღობეში. დანა პირს არ უხსნის. ჩამოიარა ბექნუმ:
 — რა იყო ბიჭო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?
 — სახლში ხანძარი გაჩნდა და ყველაფერი დაინვა!
 — ცოლი როგორ არის?
 — ხანძრის დროს დაიღუპა!
 — ბავშვები როგორ არიან?
 — ისინიც ხანძრის დროს დაიღუპნენ!
 — მშობლები?
 — მშობლებიც!
 — ჰოოო, სხვა, როგორა ხარ?!

სვანი მეგრელთან სტუმრად მივიდა. მეგრელმა აქეიფა და ცალკე ოთახში დააწვინა. დღითი ეუბნება:

— ერთით ნული!
 — რა ერთით ნული? — გაუკვირდა სვანს.

— ღამით გიხმარე.
 სვანი გაბრაზდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს მეგრელს ეუბნება:

— ერთით ერთი!
 — რა ერთით ერთი?
 — ღამე გიხმარე!

— შენ ხომ არ გაგიჟდი — გადაირია მეგრელი. — გუშინ გეხუმრე. შენ რა, მართალი გეგონა?

— მაშინ ერთით ნული! — გაუხარდა სვანს.

 სკოლის დირექტორი მიშიკოს მშობლებს საყვედურობს:

— მთელი დღე, გოგოების დევნის მეტს არაფერს აკეთებს.
 — დიდი ამბავი, მაგის ასაკში ყველა ბიჭი გოგოებს დასდევს!
 — ნაჯახით?!

 — მამაჩემმა ავსტრალიიდან იშვიათი ჯიშის თუთუყუში გამომიგზავნა, ათასი დოლარი ღირს.

— ლამაზია?
 — ძალიან!
 — ლაპარაკობს!
 — აბა, რა!
 — გემრიელია?
 — შენ მგონი, ვერა ხარ, ათასდოლარიანი თუთუყუში უგემური იქნება, აბა?!

 დიალოგი საპასპორტო განყოფილებაში.

— გვარის გამოცვლა მინდა.
 — რა გვარი ბრძანდებით.
 — კაცმანი.
 — და რა გვარი ჩავენერო?
 — კაცმანავტი.

 განცხადება: „გვესაჭიროება მთვრალი მძღოლი საბუთების გარეშე, მოპარული მანქანით. დარეკეთ 022-ზე“.

 პატარა მიხო ეკითხება მამამისს:
 — მამი პრეზერვატივი იხევა ხოლმე?
 — ჩაიხედე სარკეში და გაიგებ!

 განცხადება: „ვიბარებ ქალიშვილობას. ფასი, შეთანხმებით“.

 სვანი სახურავზე ზის და ქვემოთ სხვადასხვა ფორმის ბლოკს ყრის.
 — რას აკეთებ კაცო მანდა, გადაირიე?! — ასძახებს მეზობელი.
 — თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, „ტეტრისის“ ვთამაშობ!

 — ბრაზილიაში ძირითადად, ფეხბურთელები და მეძაგები ცხოვრობენ.
 — აბა, აბა!.. ჩემი ბიძაშვილი იქ არის გათხოვილი!
 — მართლა?! რომელ გუნდში თამაშობს?

 სვანთან სახლში სტუმარი მივიდა. სვანმა აივანზე გაუშალა სუფრა. სტუმარი ეკითხება:

— შენი ძმა სად არის?
 სვანმა მთა დაანახვა, სადაც ადამიანები წერტილებივით მოჩანდნენ:
 — აგერ, იქ, თიბავს.
 — ვერ ვხედავ, რომელია, — შუბლი მოიჩრდილა სტუმარმა.
 სვანმა სახლიდან კარაბინი გამოიღებინა, ისროლა და სტუმარს ეუბნება:
 — აგერ ისაა, ფერდობზე რომ მოგორავს.

 ხუთი წლის პატიმრობის შემდეგ, ქმარს სახლში ცოლი ეგებება ჩვილი ბავშვით ხელში.
 — ეს შენი შვილია?!
 — რა თქმა უნდა, ჩემია, — პასუხობს ცოლი, — წესიერად რომ მოქცეულიყავი, შენც იქნებოდა!

გონებას სავსაქოლო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (პასუხები)

1. „თამადა“ და „ტოლუმბაში“ სინონიმებია.
2. საკუთარი თმით.
3. ჯონ ლენონის სახელობის.
4. კონტრაბანდისტები.
5. სტინგი.
6. „...ევასება ვეასა“.
7. ისინი ვეგეტარიანელები იყვნენ.
8. რათა არ დაარღვიონ საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოების გრაფიკი.
9. ჩაცმა ეზარებოდა.
10. გალობით.
11. ავტომობილის მართვა.
12. ჟან პოლ ბელმონდო.
13. აჭარა.
14. მათზე არწივია გამოსახული.
15. ლლაბუტა.
16. პორტუგალიურ ენაზე, რაც ბრაზილიელ ლეგიონერთა დამსახურება გახლავთ.
17. „ტომბაში“ და „მალარიჩი“ სინონიმებია (რაიმე სასიამოვნო საქმის აღსანიშნავად გამართული მასპინძლობა, პურ-მარლი).
18. „არ იფიქროთ, მიიღოთ მიპატილება იმათგან, ვინც ერთხელ მაინც სტუმრობდა თქვენთან“.
19. „...რეპუტაციას“.
20. მოლაღაბტე ცოლები შიგ ველარ დამალავენ თავიანთ საყვარლებს.



უკომენტაროდ



veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-44

გაგა პანტა

გრძელდება ანი ბერიძის ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც მისი მულის, ნუციკოს საყვარლის (ამავე დროს, მამამთილის, გაიოზის ბავშვობის მეგობრის), ბიზნესმენ ლევან იაშვილის იდუმალი სიკვდილის გარემოებათა გარკვევას ისახავს მიზნად. გამოძიებულ მურად ოქროფორძესთან ერთად, ის სამხილებს მოპოვებას ცდილობს და შესთავაზებს მას, ლევანის საახლობლო წრის ბიზნესმენებს ეწვიოს და რაიმე ინფორმაცია გამოსტყუოს. მათ შორისაა თენგიზ გომართელია, რომელიც ერთობ ექსცენტრიული ადამიანი აღმოჩნდება, მურადის მოსვლისთანავე კარადიდან კონიაკის ბოთლს ამოაძრობს, ხოლო როცა შეიტყობს, რომ გამოძიებულს ქვემოთ, მანქანაში ჟურნალისტი ქალი ელოდება, ამოაყვანინებს მას, თავის მდივან ქალს, ჯულიეტას უწმობს, კალთაში ჩაისვამს და ახალგაჯობილებთან ერთად, „ბაირამობას“ მიჰყოფს ხელს. კულმინაცია მაშინ დადგება, როცა მასპინძელი კონიაკის მთელ ბოთლს ვაზაში ჩააბრქვავს და გამოძიებულს მოსთხოვს — გამოცალეო.

მურადმა საცოდავად შეხედა ანის. ანი წამოხტა და მურადს გამოეყომაგა:
— რატომ უნდა დალიოს?! მერე, მე ვინ წამიყვანს აქედან?
— ვინ და მიქვლგაბრიელი!.. თუ არ დაცლის, აბა! — გაიცინა თენგიზმა.

ანიმ ჯულიეტას შეხედა, რომელმაც უხმოდ აიჩეჩა მხრები და ხელი ჩაიჭინა:
— ვერ გააგებინებთ მანც...
— იცოდე, თუ ამას არ დაცლი, ორჯერ დიდ ვაზას გადმოვალეზინებ! გაწყობს? — დაემუქრა მურადს თენგიზი.
— „დავაი“, დავლიოთ! — გამწარდა მურადი, მოჰკიდა ვაზას ხელი და... სწორედ ამ დროს, მისმა მობილურმა დარეკა. — ბოდიში... დიას, ბატონო ზაურ! აწმუთას, ბატონი თენგიზ გომართელის ოფისში ვიმყოფები... დიას... დილაზე ხომ მაქვს დრო?... დილაზე, მაგიდაზე გედებათ პატივი. მანამდე, ბატონო ზაურ, ერთ რამეს გთხოვთ, რა! ბრძანება მჭირდება, რა, ეგებ დააბეჭდვინოთ, სანამ გახვალთ და ხელიც მოაწეროთ, რა, — ლალი იაშვილის დაკვების თაობაზე... აუცილებელია, აბა, რა: სხვანაირად არ შვრება ეს დედაკაცი არაფრით და რა ვუყო, ლაფუაზე ხომ არა ვარ, არა?! — მურადმა მობილური გამოართო და ჯიბეში ჩაიღო...
— მე? — იკითხა მუქარით თენგიზმა. — მე რატომ არ მიჭერ, ძმაო?! ვერ გავიგე? შენ რა, მე კაცად არა მთვლი?! დაურეკავ აწმუთას მაგ შენს ზაურას და ჩემი დაჭერის ბრძანებასაც დააბეჭდვინებ! მე მოვალე ის კაცი, მე! თუ არ დამიჭერთ, სხვებსაც დაგზოცავ, დანარჩენებს!.. — და ისევ კონიაკით სავეს ვაზაზე მიუთითა მურადს. — მოჰკიდე ხელი! ქალს იჭერ და მე არ მიჭერ?!
— დაგიჭერ, შენც დაგიჭერ, ყველასაც დაგიჭერთ! — აყვირდა ჭკუიდან გადასული მურადი. — თორემ, არა ხართ ყველა დასაჭერები! პატიოსანი გზით იშოვეთ ფული? თუ მამაშენმა დაგიტოვა ოქროთი სავეს ქოთანნი?..
— მურად! — მაგრად შეშინდა ანი.
— ჰოდა, დამიჭირე, რაღას უყურებ?! მკვლელი ვარ? — ვარ! ქურდი ვარ? — ვარ! — ჯერ ეს დავლიოთ და მერე დაგიჭერ!
— ძალიან კარგი. დავლიოთ! მურადმა ვაზა მიიყუდა და გამოცალა.
— ა, ეს არის საქართველო!.. არ ღირს, რა, ამ ქვეყანაში არაფერიც არ ღირს... გინ-

და, რომ საქმე გამოიძიო, გინდა, რომ მკვლელი იშოვო... მოდიხარ და კაცი გეუბნება — მე მოვალე ის კაცი, მკვლელიც მე ვარ და ქურდიც, დამიჭირეო... მაშინ, რაღა საჭიროა გამოძიებელი?! მე ვილას ტიკი-ტომარა ვარ?! ასე ხომ სამსახურს დავკარგავ...
— არ დავარგავ, არა. მე თუ დამიჭერ, პირიქით — დაგანინაურებენ, ძმაო, დამიჯერე! აწმუთას გაჩვენებთ, როგორც იყო, — და თენგიზმა უეცრად უჯრიდან „ბრაუნინგი“ დააძრო.
— ვაიმე, დაინყო!.. — თქვა, რაღაც ცუდი წინათგონობით შეშინებულმა ჯულიეტამ.
თენგიზმა ბრაუნინგის მჭიდის მრგვალ ბუდეს ჩამოჰკრა ხელი და დაატრიალა.
— აი, ხომ ნახეთ — ცარიელია... — სასლესტი გადმონია და გამჭვირვალე ლულა უჩვენა დამწრეთ. — ასე ვისხედით, როგორც ასლა ჩვენ ვზივართ, რა. ზუსტად ოთხნი ვიყავით, ის — თავისი საყვარლით, მე — ჩემით... — თან პერანგის გულის ჯიბიდან ტყვია ამოიღო და „ბრაუნინგის“ ბუდეში ჩადო. — არ გინდა, სცადო? — გაუწოდა მან იარაღი მურადს.
ანის რომ ეგონა, მურადი შეშინდებოდა, პირიქით, საოცრება მოხდა: მურადმა იარაღი ჩამოართვა თენგიზს, დახედა და ხელში აწონ-დაწონა.
— კაი რამეა, — თქვა მან. — მაშ, ვცადოთ ბედი, არა? დავატრიალოთ და გამოვკრათ სასლესტს თითი... რის სანაცვლოდ? — იკითხა უეცრად გულუბრყვილოდ მურადმა.
— სიცოცხლის, სხვა — რის? — გაიკვირა თენგიზმა.
— აბა, მე ვერ სიცოცხლე არ მომბეზრებია, — თქვა მურადმა და იარაღი თენგიზს დაუბრუნა. — თუ გინდა, შენ სცადე, — დააყოლა მან.
— ჰოდა, ზუსტად ასე იყო... — თენგიზმა „ბრაუნინგის“ ბუდე დაატრიალა და ჩახმახი შეაყენა, თან ხმამაღლა განაგრძო: — ჩადო ლევან იაშვილმა ბუდეში ერთი ტყვია, — თენგიზმა იქ მყოფთ ტყვიის მასრა დაანახა და მჭიდში ჩადო, — მიიღო საფეთქელთან და...
— აააააააააა!!! — ჯულიეტას წივილმა იქაურობა გააყრუა.
თენგიზმა „ბრაუნინგი“ მიუშვირა.
— გინდა, აწმუთას გაგაჩუშო? — ჯულიეტა მთლად გათეთრდა. — ჰოდა, მოკვტე!.. მოკვდე, მიიღო საფეთქელთან იარაღი და სასლესტს თითი გამოჰკრა.
გასროლის ხმამ იქაურობა გააყრუა. თენგიზი დაბარბაცდა, მერე მარცხნივ გადაიხარა და „ნაყუდა“... ამ მომენტში, ცოცხლები უფრო ჰგავდნენ მკვდრებს, ვიდრე მკვდარი. მკვდარმა კი, იარაღიანი ხელი ასწია, „ბრაუნინგი“ ჯულიეტას მიუშვირა და სასლესტს გამოჰკრა. ჩსაჰ! — გაიჩხაკუნა სასლესტმა და მკვდარიც გაცოცხლდა. წამოჯდა და ახარხარდა.
ანი მურადს ასწებებოდა. მურადი კი, ჯვრაც გონზე ვერ მოსულიყო.
— აი, ასე იცის, აი... სათამაშო პისტოლესტი აქვს, დანიიდან ჩამოუტანეს და ასე აფეთიანებს ხალხს! ცარიელი ვაზნები აქვს, მარტო ხმას გამოსცემს... — დაასრულა სი-



სახითო... — ჰყვებოდა ნუციკო.
 — მაშ, ცოცხალია, მართლაც შენი ქმარი? — თაზო რატომღაც დას ადან-აშაულებდა, თითქოს, ამ ყველაფერში.
 — ეგ ჩვენ აღარ მოგვეშვება...
 — მოგვეშვება!.. — მუქარით წარმოთქვა გაიოზმა, რაზედაც თაზოს რაღაც, ნერვულ-სტრესული „ნიკის“ მაგვარი დაემართა.

— შენ კიდევ!.. — აუხტა ის მამას. — როგორ მოგვეშვება, რატომ მოგვეშვება?! შეილი მოგტაცა, გაგიუპატიურა... ახლა — ანი...

— ნუციკო ცოლად მოიყვანა... — არ გადაყლაპა შეურაცხყოფა გაიოზმა.

— უფრო უარესი!.. — არ იცოდა, რა ეთქვა, თაზომ. — საიდან გამოვთხარო ასი ათასი? შენ ამომიღებ მუთაქებიდან?! ვინ იცის, რას უშვებებიან ანის?! სად წავიდე, ვის ვენდო, პოლიციას? უარესი ბანდიტები რომ არიან?! მაშინვე უნდა მოგვეკლა, მოგვეკლა უნდა!.. — ტირილს არაფერი უკლდა თაზოს.

— მაშინ, ჩვენ არავინ გვაცოცხლებდა, ყველას ამოგვხოცავდნენ... — თავი იმართლა გაიოზმა და დაამატა: — ახლა კი — მოვკლავ! ახლა ნამდვილად მოვკლავ!

— როგორ, სად მიაგნებ?.. ვისი მომკვლელი ხარ, გაჩუმდი მაინც, რა! — ხელი ჩაიქნია თაზომ.

— მაშ, რა უნდა ვქნათ? — იკითხა ნუციკომ. — იქნებ, აღარცაა ცოცხალი... ან, თუ ცოცხალია, ვისხდეთ ასე, გულხელდაკრეფილი და ველოდოთ, როდის მოკლავენ?! დედამის არ დაეურეკოთ?

— ...რომ ახლა, ისინიც ჩაგხოცოთ?.. — ჩაიბურტყუნა თაზომ.

— ძმა რომ ჰყავს ამერიკაში? ის ვერ გადაიხდის ასი ათასს? — გულუბრველოდ იკითხა ნუციკომ.

— ასი ათასი — ანიში? — კიდევ უფრო გულუბრველოდ იკითხა თაზომ.
 — მაგის ძმამ აქ ჩადო, თუ რამე ჰქონდა და ამათაც ეგრევე ნულზე დასვეს... მალე სუნთქვასაც აგვიკრძალავენ, ამით კაცი ენდობა?!

გაიოზმა არყის ბოთლი და ორი ჭიქა დადგა მაგიდაზე.

სხვა დროს, ამ შემთხვევაში, ნუციკო, თუ ბოთლს არ წაართმევდა, ეტყოდა მაინც, არ დალიოთო. ახლა არაფერი უთქვამს...

— პოლიციას რომ შევატყობინოთ?.. ფული რომ დავუნომროთ?.. — ყოველი შემთხვევისთვის, მაინც იკითხა თაზომ. და პასუხი რომ ვერ მიიღო, განაგრძო: — მაშ, რომელი რობინ პუდები ჩვენა ვართ, აბჯარი ავისხათ და ტყეში გავიდე?.. მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

— ვერც მე... — დაემონმა ნუციკო. მხოლოდ გაიოზი იყო ჩუმად და ამღვრეული თვალებით უყურებდა ორივეს. ნეტავ, ამის ტვინში ჩამახედა, რა დომხალი აქვს, ვიცოდეთო, — გაიფიქრა თაზომ.

დალიეს. მაგრამ გაიოზს მაინც ვე-

რაფერი ათქმევინეს და თაზომ გადაწყვიტა, პოლიციისთვის ეთქვა ყველაფერი. რომ თუ მიამიტაზე კრინტს ვერ დაძრავდა, ჯაბა აფციაური მაინც ჩაეშვა, თავისი ყვითელი „პერლამუტრის“ მანქანით, და მისი მისამართიც მიეცა... დანარჩენი კი, როგორც პოლიცია დაგეგმავდა, ისე იქნებოდა...

ასეც მოიქცა: ხმაშეცვლილმა, ქუჩის ტელეფონ-ავტომატიდან დაურეკა მურადს და ჯაბას მისამართი უთხრა...

მძველად მყოფი ანი კი, ჭიქით შეიარაღებული, გვერდით ოთახში მყოფთა ლაპარაკს გაფაციცებული ისმენდა... იქ მყოფნი, როცა ერთმანეთს მიმართავდნენ, სახელებს უფრო ხმაბაღლა ამბობდნენ, ალბათ. ამიტომ ანიმ სახელების გარჩევა ძალზე სწრაფად მოახერხა. ყველაზე ხშირად: ოთარა, ნუკრა, ბომჟო და შარო ესმოდა... ისიც დაასკვნა, რომ სიგარეტი იქ მყოფებს, ვინმე ჩლესოს ჯიხურიდან ამოჰქონდათ. ასე რომ, თუკი აქედან თავს დააღწევდა, შესაძლოა, ამ ბანდის ადგილსამყოფლისთვის მიეგნო კიდევ...

თაზოსთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, მურადის ტვინსა და მის ნამდვილ იარაღს შორის, რომელიც მამაკაცის სხეულის უცილობელი ატრიბუტია, დიდი ჭიდილი გაიმართა: ტვინი რასაც უკარნახებდა, იმას იარაღი უარყოფდა, რასაც იარაღი უკარნახებდა, ტვინი უარყოფდა და იყო ასე, ორ ცეცხლს შუა გაჩხერილი... და რომ ვერც ვინმეს გაუმხელდა მოქმედების გეგმას?! ამიტომ, ადგა და მანაც ძველ, ნაცად, უბრალო ხერხს მიმართა: „არიოლი“ და „რეშკა“ ააგდო. და რადგან „არიოლი“ დაჯდა, თავის უფროსს, ზაურ დარჩიაშვილს დაურეკა. საქმეში იმავნაშს, „ქერაჩინსკის“ ხალხიც ჩაერთო და ყველაფერი ისევე უკულმა დატრიალდა. მურადი კი მიხვდა, რომ

მაგრად ჭამა, მაგრამ უკვე გვიანი იყო...
 ხოლო რატომ და როგორ დატრიალდა უკულმა ყველაფერი, — ახლავე გაამბობთ.

არ ვიცვი, თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ, მაგრამ თუკი ოდესმე რაიმე შეხების ნერტილი მქონია პოლიციასთან (ხვდებით ალბათ, რომ „ძალს“ შეგნებულად არ ვხმარობ...), მომჩვენებია, რომ მათზე საზიზლარი კარიერისტები ქვეყანაზე არც ერთი პროფესიის ადამიანები არ არიან. კარიერის გამო, რომ მიუშვა, ყველა მათგანი მთელ მსოფლიოს გაყვლიტს...

ამ ლირიკული გადახვევის შემდეგ კი მოგახსენებთ, რომ ჯაბა აფციაურმა და მელხიორამ, რადგან ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ჩაშვებულები იყვნენ, ანის „დაბინავება-დაბეგების“ შემდეგ, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრება განაგრძეს: ყოველდღიური სადავო, წვრილმანი თუ მსხვილმანი გარჩევები, „დანერები“ ანუ ფულის აკრება მათგან, ვისაც პატარა თუ მსხვილი ბიზნესი აქვს (ე.ი. იმავეს კეთება არალეგალურად, რასაც პოლიცია ლეგალურად აკეთებს) და ბევრად მსხვილი მასშტაბითაც...

როგორც კი მძველი „პატრონს ჩააბარეს“, არც ერთი და არც მეორე კილერი მიამიტას სიხლოვეს აღარ გაჰკარებია... ამ დროს, ძალოვნებმა მათი „ნოლცხრა“ „სლექვაზე“ აიყვანეს და მისი გადაადგილების მარშრუტი შეისწავლეს. რადგან ფოტოები ჰქონდათ, მელხიორას ამოცნობა აღარ გასჭირვებიათ...

ანი რის ანი იქნებოდა, ქურდებს არ გაჰპარვოდა?! ერთხელაც (მან არც იცოდა, დილა იყო, საღამო თუ შუადღე), როცა „სიკვდილისუნიაწმა“ ნიღბიანმა საჭმელი შეუტანა და უკან გავიდა, ანიმ, რადგან ურდულის განევისა და გაჩნაკუნების ხმა არ გაიგონა, კარის გაღება სცადა. სულ ოდნავ მიანვა და კარი მართლაც, გაიღო!.. სუნთქვაშეკრულმა, ცოტაზე კიდევ გამოალო და დაინახა, რომ მის წინ დერეფანი იყო. ანის საოცრად გაუხარდა. თავი გამოყო და დარწმუნდა, რომ სხვა ოთახები მისი საკუჭნაოს მიყოლებით მდებარეობდა. ფანჯრებიდან სინათლე კი გამოდიოდა, მაგრამ გვერდითი ოთახის კარი დაკეტილი იყო. ჩაკუზულ ანის სწრაფად და უხმაუროდ უნდა გაეველო დერეფანი და თუკი არავინ გამოვიდოდა, გადარჩენილი იყო...

ანი დაინახა და კატასავით უხმაუროდ გასცდა კარსაც და სინათლიან ფანჯრებსაც. კიბეც უხმოდ, კედელზე აკრულმა ჩაათავა და — ქუჩაში აღმოჩნდა!.. ღამე იყო, მაგარი, კუნაპეტი...

რატომღაც, მარცხნივ, ზევით გაიქცა და არა — ქვევით. ალბათ, ინტუიციამ უკარნახა, რომ იმ სახლის წინ, რომელშიც დამწყვდეული იყო, არ გაეველო და რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა. ცოტას გასცდა, ფრთხილი სიარულით,





იქაურობას და როგორც კი შესახვევი დახვდა, მთელი ძალით მოძუტგა...

მოკლედ, დაღმართებზე აწვევოდა და მალე ცენტრალურ ტრასაზეც გავიდა. იქ უკვე მანქანების მაგარი მოძრაობა იყო და ანი მიხვდა, რომ ნაძალადევი, მეტროსთან ახლოს უნდა ყოფილიყო.

ანიმ პირველსავე მანქანას აუწია ხელი. ჩაჯდა თუ არა, საათს დახედა. ციფერბლატი ოთხის ნახევარს უჩვენებდა. მძღოლმა კი, გაკვირვებულმა მოხედა:

— რა არი, გოგო, როგორ ყარხარ?! საიდან მოდიხარ?

— შენი ჭირიმე, ვერაზე უნდა წამიყვანო! ორმაგს გადაგიხდი, სამმაგს! ანი ბერიძე ვარ, ანი, ჟურნალისტი... — ატირდა უეცრად ანი. — არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, მოტაცებული ვიყავი... წუთი არ მიძინებია, ერთი წუთი!.. — ანიმ ამოისლუკუნა და გაჩუმდა.

— მოტაცებული?! შეყვარებულმა მოგიტაცა? — შეეკითხა მძღოლი.

— შეყვარებულმა კი არა... მკვლევლებმა მომიტაცეს, ნაგვებმა, ველურებმა!.. ფული ეგონათ, იშოვეს. აი, მიიღეს, ახვრებმა!.. — სამი თითის კომბინაცია უჩვენა მძღოლს გულმოცემულმა, სამშვიდობოს გასულმა ანიმ.

— რამდენს ითხოვდნენ? — რატომღაც, თანხის რაოდენობით დაინტერესდა მძღოლი.

— ასი ათასს...

— ეპე-ე! — შესტვინა მძღოლმა. — მერე, მაგდენი ფული გადამხდელი არიან შენი მშობლები?

— ქმარს სთხოვდნენ, ჩემს ქმარს, მშობლებს კი არა... — წყინა ანის.

— ვინ არის შენი ქმარი, ბიზნესმენია?

— იმას რომ ჰკითხო, კი. „ვალუტჩიკია“, პუნქტები აქვს, ვალუტის გადამცვლელი...

— და როგორ დააღწიე თავი, რანაირად გამოექციე მაგ ნაბიჭვრებს?

— კარის დაკეტვა დაავინყდა, გათიშული იყო სულ, იჩირავდა ალბათ — ის, ვისაც საჭმელი შემოჰქონდა ჩემთან... სიგარეტი არა გაქვს? — სთხოვა ანიმ.

მძღოლმა პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი და სანთებელი ამოიღო და მანქანის „ტორპედოზე“ დაუყარა. ანიმ მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. ახლალა შეამჩნია, ჭუჭყისგან თითები რომ გასშავებოდა. „დაივიდა“... გვერდზე გაიხედა. ფიქრებში წავიდა. მძღოლმაც აღარაფერი უთხრა. სადგურის ქუჩა გაიარა და ვარაზის ხევისკენ აუხვია. და უეცრად, ანის, სიგარეტით ხელში, მანქანაში ჩაეძინა...

მძღოლმა გააჩერა. ანთებული სიგარეტი თითებიდან ამოაძრო და გადააგდო. ცოტა ხანს უყურა. მერე მანქანა მოატრიალა, ხერძულა ხაზი გადაკვეთა და „დაანვა“. კატასტროფულად არ უმართლებდა ანის...

ახალი სამყოფელი, სადაც ანის გამოეღვიძა, ჩვეულებრივი, თუნუქის ავტოფარეხი იყო. ძველი, ადამის დროინდელი



„იგიულის“ უკანა სავარძელზე „ნებივრობდა“ მოკუნტული. ზედ ლურჯი „ადილა“ ეფარა — ისეთი, როგორც ოდესღაც, საავომობორობებში ეფარათ პაციენტებს...

თავიდან ვერ მიხვდა, სად იყო ან — რატომ ეძინა ჯართად ქვეულ მანქანაში. და როცა ნელ-ნელა დაუბრუნდა ცნობადობა, როცა გაახსენდა, თუ როგორ გაექცა გამტაცებლებს, როგორ გააჩერა მანქანა და... კრიჭა შეეკრა, ეგონა, ყბა მოეღრიცა...

კარს მიანვა. მერე წიხლი ჰკრა... მაგრად იყო დაკეტილი. მთელი ძალით დაუშინა მუშტები მანქანის სახურავს და აბლაგლდა, როგორც მხეცი, ნადირი, როგორც დაჭრილი ვეფხვი გალიაში. იქვე დაგდებული რაღაც რკინის არმატურის ნაჭერი იპოვა, აიღო და მთელი ძალით დაუშინა ისედაც გაუბედურებულ მანქანას. არაფერი დაუტოვა მთელი, დაღწა, ნაფხვენვებდა აქცია ყველა თვინჯარა, წინა და უკანა მინა... დაილალა. დაეცა ბეტონის იატაკზე. ფხოჭნიდა მინას თითებით და გმინავდა, მისტიროდა უნებურად ხელიდან გაშვებულ თავისუფლებას, აგინებდა მთელ სამყაროს, ყველას და ყველაფერს, ცოცხალსაც და მკვდარსაც, ზეცასაც და მიწასაც... ბოლოს ისევ დაილალა, ჩაჯდა მინის ნამსხვრევებით სავსე, მანქანის წინა სავარძელში და ბედს მიწებდა. მიხვდა, რომ დიდხანს არ მოუწევდა ლოდინი, იცოდა, მოაკითხავდნენ, მიხვდა, რომ ასი ათასს დახარბდა ტაქსის მძღოლი...

ფარეხის უკანა თუნუქში მკლავისსისხო ნახვრეტი იყო, საიდანაც მხოლოდ ორიოდ მეტრში ახონხილი მიწაყრილი ჩანდა, მეტი არაფერი... რაღაც ფიცრის ნაჭერი იპოვა, ამ ნახვრეტის გვერდით დაჯდა და დაელოდა. გადამყვითა — თუ

ვინმე აქედან შეეხმანებოდა, რკინის ნაჭრით თავი გაეხეთქა. იმედი ჰქონდა, მოასწრებდა და თვალს მაინც გამოსთხრიდა...

უკვე ბნელდებოდა, როცა ფარეხთან მანქანა გაჩერდა და ვილაცამ კარზე მიაკაკუნა. „ცოცხალი ხარ?“ გაისმა კარს იქიდან მამაკაცის ხმა. ანიმ სული შეიგუბა, ხმას არ იღებდა. იქნებ, ნახვრეტთან მოვიტყუო, — ფიქრობდა. მაგრამ როგორც ჩანს, ის კაცი ნახვრეტთან მისვლას სულაც არ აპირებდა. აკაკუნებდა და — ხმა გამეციო, გაიძახოდა. ანის მოჰბეზრდა ლოდინი. მთელი ძალით მოიქინა არმატურა და კარს ხეთქა. კარმა ჟღერიალი მოიღო და დადუმდა.

— ოჰო! — ჩაილაპარაკა კაცმა. — კაი ღონიერი ყოფილხარ!.. მომისმინე. შენს ქმარს ველაპარაკე ტელეფონზე, ორ-სამ დღეში სახლში იქნები.

— ვინ მოგცა ჩემი ტელეფონი? — შეეკითხა ანი.

— ტელევიზიაში დავრეკე, შენთან სამსახურში. ასე რომ, ცოტა უნდა მოითმინო... — და კაცმა კარს ზემოთ, ნაპრალიდან ცელოფანში გახვეული მრგვალი შოთი შემოუგდო.

— აბა, კარგად! თუ მოგწყურდეს, უკან სავსეა კასრი, — მიაყოლა ისევ გარედან და მანქანის დაქოქვის ხმა გაისმა. როგორც ჩანს, ის ვილაც ახვარი თავისი გზით წავიდა.

ანიმ პური მოიტეხა და მადიანად ჩაკბინა. იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მას გადახდა თავს, ორი-სამი დღე ბევრი არ ეჩვენა...

მურადმა რომ გაიგო, გამტაცებლები ოცი ათასზე ჩამოვიდნენო, ძალიან გაუკვირდა.

— ეს უკვე რეალური ფასია, — უთხრა მას თაზომ. — იქნებ, ჯობდეს, თქვენ საერთოდ გახვიდეთ თამამიდან? თქვენი ამბავი რომ ვიცი, მეშინია, რამე უარესი არ მოჰყვეს ამ ამბავს...

— უარესი ის იქნება, ფული წაიღონ და ცოლი არ დაგიბრუნონ, — გააფრთხილა მურადმა. — ან, რა გარანტია გაქვს, რომ ცოცხალია?

— თუ პოლიცია ჩაერია, გაცოცხლებს?... — შეეკითხა თაზო, რომელმაც არ იცოდა, რომ მისი ლაპარაკი უკვე ისმინებოდა და პოლიცია ოპერაციის ჩასატარებლად უკვე მომზადებული იყო. ასე რომ, თაზოს უნდოდა თუ არ უნდოდა, აღარავინ ეკითხებოდა.

— მე პოლიციას კატეგორიულად გამოვრიცხავ. ამ ამბავში არ ჩაერიოთ! ეს ჩვენი თხოვნაა, მთელი ოჯახის! — უთხრა ბოლოს თაზომ.

— როგორც გინდა. არ ვიცი, ბოლოს სანანებელი არ გაგიხდეს... — მაინც ურჩია მურადმა.

— ეგ ჩვენი პრობლემაა, — უპასუხა თაზომ და ტელეფონი გათიშა.

გავრძელება შემდეგ ნომერში

ოთხი დაუპინყარი დღე კალაქსთან იტალიაში, კობიაშვილის ახდენილი წინასწარმეტყველება და ფაიფურის ლარნაკი ავსტრიელი ფანებისგან

2006 წელი დაპიტი მუჯირისთვის საკმაოდ უღებლოდ დაიწყო, მაგრამ საბედნიეროდ, კარგად დასრულდა. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი ფეხბურთელი იძულებული გახლდათ, ავსტრიის „შტურმი“ დაეტოვებინა, ვინაიდან გრაცელები მას 16 თვის ხელფასს არ უზდიდნენ. კუთვნილი თანხის მისაღებად, მუჯირი იძულებული გახდა, სასამართლოში შეეტანა სარჩელი და ამავე დროს, კლუბის გამოცვლაზეც ეზრუნა. სწორედ ამ დროს დაუკავშირდნენ სამარის „კრილია სოვეტოვიდან“ და ამ გუნდში სათამაშოდ მიიწვიეს; მასაც დიდხანს არ უფიქრია და შეთავაზებაზე დათანხმდა. მუჯირი პირველსავე დღიდან რუსული გუნდის წამყვან მოთამაშედ იქცა, ხოლო სეზონის დასრულებისთვის, გულშემბატკივრებმა „კრილიას“ საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.



არეთ, გულშემბატკივართა სიმპათიის დაამსახურება მოასწაროთ...

ლაშა თაბაგარი

— ავსტრიაში ვისი რეკომენდაციით მოხვდით?

— მანამდე ორი წლის განმავლობაში, ტირასპოლის „შერიფში“ გამოვდიოდი. იქ მარტო ვცხოვრობდი, რადგან მეუღლე პატარა ბავშვთან ერთად, თბილისში იმყოფებოდა და მეორე შვილს ელოდა. ავსტრიაში გადასვლაში კი, დუშანბეს „პაშირისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელი, რამიდ რახიმოვი დამხმარა, რომელიც მამაჩემს კარგად იცნობდა. „შტურმში“ რეკომენდაცია სწორედ მან გამიწვია. იმ პერიოდში ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობდა და ავსტრიის ჩემპიონატშიც წამყვანი პოზიციები ეკავა, ამიტომ ხუთწლიანი კონტრაქტი ისე გავაფორმე, რომ არ მიყოყმანია. ავსტრიაში საცხოვრებლად ყველა პირობა იყო შექმნილი, მაგრამ იქაურ მენტალიტეტთან შეგუება ძნელი გახლდათ. მაგალითად, ავსტრიელებს არ ესმოდათ, თუ რატომ უფუზავინდი საქართველოში ფულს ნათესავებს (იყო პერიოდი, როდესაც ნახევარი ხელფასი თბილისში გამომიგზავნიან). მათ ვერაფრით გვაგებინე, რომ ჩვენში მიღებულია იმ ახლობლების დახმარება, რომლებიც უმუშევრები არიან.

— ავსტრიაში ფეხბურთი რამდენად პოპულარულია?

— იქ სტადიონები არც ისეთი დიდია, როგორც რუსეთში, მაგრამ წმინდა საფეხბურთოა და თან, გადახურული. ავსტრიის ჩემპიონატის მატჩებზე საშუალოდ, 12-13 ათასი მაყურებელი დადის, ხოლო სტადიონების ტევადობა დაახლოებით 15 ათასია. თუ არ ვცდები, ყველაზე დიდი არენა ზალცბურგშია, სადაც 18 ათასი ადამიანი ეტევა. ავსტრიის ნაკრები ვენაში მდებარე სტადიონზე თამაშობს, რომელიც ქვეყანაში ყველაზე დიდია და მასზე 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი გაიმართება.

— გრაცში არნოდ შვარცენეგერს სომ არ შეხედდითარო, რომელიც წარმოშობით ამ ქალაქიდანაა და ადგილობრივი სტადიონზე მის სახელს ატარებდა?

— სხვათა შორის, გრაცის არენა შვარცენეგერის სახელს ალარ ატარებს. ავსტრიაში ძალიან ნეგატიური რეაქცია ჰქონდათ

იმასზე, რომ, როგორც გუბერნატორმა, კალიფორნიის შტატში სიკვდილის აკრძალვას მხარი არ დაუჭირა. შვარცენეგერმა ამის შესახებ შეიტყო და თავად ითხოვა, რომ მისი სახელი სტადიონთან მიმართებაში აღარ გამოყენებინათ... გრაცში ის უკანასკნელად, 90-იანი წლების მიწურულს იყო ჩასული.

— ავსტრიაში თამაში აღარ გასურდათ?

— უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში „შტურმი“ პოზიციები დათმო და ცუდი ფინანსური მდგომარეობის გამო, ახალი ფეხბურთელების შექნა არ შეეძლო. არსებული პრობლემების გამო, გუნდი გამოცდილმა მოთამაშეებმაც დატოვეს, რამაც საკმაოდ დაგვაუსუსტა. ამიტომ, ბოლო ორი სეზონის განმავლობაში სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში ვიმყოფებოდით და ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ვზრუნავდით. მართალია, კლუბმა სამი წლით კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, მაგრამ წასვლა გადავწყვიტე.

— რუსულ გუნდში თამაში რით გიზიდავთ?

— რუსულ ფეხბურთს დიდი ხანია, ვიცნობდი და მასზე ინფორმაცია ჩემი მეგობრებისგან მქონდა, რომლებიც რუსეთში წლების მანძილზე ასპარეზობენ. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთი აღმავლობის გზაზე და ადგილობრივი ჩემპიონატი მაღალი დონისაა. „კრილია სოვეტოვი“ საინტერესო გუნდია და მაღალი ადგილებისთვის იბრძვის. მოხარული ვიქნები, თუ იმ სამი წლის მანძილზე, რომლის გატარებასაც ამ გუნდში ვაპირებ, „კრილია“ კარგ შედეგებს უჩვენებს.

— „შტურმში“ ყველაფერი რიგზე რომ ყოფილიყო, რუსეთში მაინც წახვიდოდით?..

— ჩემპიონთა ლიგაში ან უფროს თასზე რომ გვეასპარეზა, შესაძლოა, დავრჩენილიყავი. გრაცში 4,5 წელი გავატარე და როგორც მე, ასევე ჩემს ოჯახს იქ ცხოვრება მოგვწონდა. გადანწყვტილების მიღება ადვილი არ იყო, მაგრამ მაინც ჩავთვალე, რომ ძალია იმ გუნდში უნდა მომესინჯა, რომლის ამბიცია და დონე უფრო მაღალია.

— იმ დროის განმავლობაში, რაც „კრილია სოვეტოვი“ გაატ-

სამარულ კლუბთან კონტრაქტი არა ორი ან სამი დღით, არამედ სამი წლით გავაფორმე და ვეცდები, რომ მომავალში გულშემბატკივრებმა გუნდისა და ჩემი თამაშით სიამოვნება მიიღონ. აშკარად შემიძლება ნახევარმცველი ვარ და საკოლე გადაცემების გაკეთების გარდა, ბურთების გატანაც ჩემს ფუნქციაში შედის. საერთოდ, ვაკეთებ იმას, რაც გუნდს წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

— „კრილია სოვეტოვი“ ადაპტაციის პერიოდი ალბათ, ომარ თეთრადის იქ ყოფნამაც გავაადვილათ, არა?

— ცხადია და ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენ ერთ გუნდში ვიღვნი. გარდა ამისა, უკვე რამდენიმე წელია, არ მითამაშია კლუბში, სადაც რომელიმე ფეხბურთელს ქართულად დაველაპარაკებოდი. ახლა კი ამის საშუალება მაქვს, რაც მსიამოვნებს.

— მამის სახელი საფეხბურთო კარიერაში რამდენად გინცობდათ ხელს?

— საერთოდ, კარიერაში ყველაფერს თავად მივალწიე და მამის ფაქტორი აქ არაფერ შუაშია. ყოველთვის ვცდილობდი, გაორმაგებული ენერჯით მევარჯიშა და არ მეფიქრა იმაზე, რომ ცნობილი ფეხბურთელის შვილი ვიყავი და ამან თავისი შედეგი გამოიღო.

— ცხადია, ოჯახში ფეხბურთი ყველაზე პოპულარული თემა იყო, არა?

— ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ფეხბურთელის მისურით დავიბადე, რადგან ორი წლის ასაკიდან მოყოლებული, ბურთს დავდევე. დედა ჩემი ყველაზე ერთგული გულშემბატკივარი გახლდათ და ყველა გაზეთს ინახავდა, სადაც ჩემზე რაიმე დაიბეჭდებოდა. მას ერთგვარი საოჯახო მუზეუმის შექმნაში ჩემი მეუღლე ეხმარებოდა. 2002 წელს დედა გრაცში ჩამ-



ოვიდა და იქაური გაზეთების შეგროვება დაიწყო. როგორც არ უნდა მეთამაშა, მისთვის მოედანზე მაინც საუკეთესო ვიყავი. სამწუხაროდ, ის მალე დაავადდა და ორ თვეში გარდაიცვალა... იმ დღეს, საქართველოს ნაკრები ფარერებზე ვთამაშობდით და ეს ტრაგედია მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე მოხდა, მაგრამ მამას ჩემთვის არაფერი უთქვამს. შესვედრის შემდეგ, ნახევარი ევროპის გადალახვამ მომიწია, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი.

— „კრილია სოვეტოვიდან“ მიწვევის მიღების შემდეგ, ამ საკითხზე მამას თუ მოეთაობირეთ?

— ცხადია და მის გარდა, კიდევ საკმაოდ ბევრ ადამიანთან გავიარე კონსულტაცია. სამარაში ჩავსვამდე მარკო ტოპირისაც ვესაუბრე, რომელსაც ადრეც ვიცნობდი და მისმა აზრმა უფრო გამიძიყარა საკუთარი გადაწყვეტილების სისწორის რწმენა. ტოპირი „შტურმი“ ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელებმა გამაცნეს და გერმანიაში ჩატარებული თამაშის შემდეგ, მან ვაშშ-ში დამპატიფა. როდესაც მისი გუნდი გრაცში ჩამოვიდა, მარკო თავად მივიწვიე სტუმრად. იგი წარმოშობით სერბია და ერთმანეთთან საუბარს გერმანულად რომ ვინყებო, შემდეგ, სერბულ-ხორვატიულად ვაგრძელებო. ეს ენა რომ ვიცი, „შტურმი“ მომუშავე სერბი მწვრთნელის დამსახურებაა.

— „ჰამბურგთან“ თბილისის „დინამოს“ მატჩის დროს, დავით მუჯირი-უფროსის მიერ გატანილ ავტოგოლზე ალბათ, პატარაობიდანვე ბევრი გასმენათ...

— ევროპაში მსგავსი რამე ლამის ყოველ კვირას ხდება, ხოლო მაშინ ავტოგოლები იშვიათობა გახლდათ. ბავშვობაში ამ შემთხვევის შესახებ ლაპარაკი ბევრჯერ მსმენია. ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთხელ რომ შემახსენეს, ვიხუმრე — კიდევ კარგი, რომ კოლუმბიაში არ ვცხოვრობო, თორემ, ოჯახში ერთი შვილი ვიქნებოდი და ისიც — ობოლი-მეთქი: ჩემი დები ხომ უმცროსები არიან... ერთხელ ვარჯიშზე ავტოგოლი თავად გავიტანე და ბიჭები ამაზე დღემდე მსაყრობენ. მაშინ დავით ყიფიანმა ჩემზე თქვა — სულ მამას ჰგავს, თავდასხმაში უნდა გადავიყვანოთო... საფრანგეთის ნაკრებთან მატჩის დროს, როგორც გახსოვთ, მალხაზ ასათიანმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. თამაშის დასრულების შემდეგ მასთან მივედი და ვუთხარი — შენ მიერ გატანილი გოლი ისე მაინც არ გახმაურდება, როგორც მამაჩემის გოლი-მეთქი.

— ზოგადად, ავსტრიაზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— ავსტრია, მცირე გერმანიაა. კვირაობით იქ ქალაქში მხოლოდ ერთი სუპერმარკეტი მუშაობს. ხალხი უქმეებს შინ ატარებს და წარმოიდგინეთ, რომ ამ დროს, ტელეფონებსაც კი თიშავენ. კვირას არავინ დაგირევას, რადგან იცინა, რომ ტელეფონი მაინც გამოთიშულია.

— ევროპის შემდეგ, სამარაბ თქვენზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?

— სამარაბი მარტის დასაწყისში ჩავე-

დი და ჯერ კიდევ თოვლი იდო. ერთადერთი, რაც მსურდა, ის იყო, რომ მალე დამდგარიყო კარგი ამინდი. საერთოდ, იქაურობა ზაფხულში უფრო ლამაზია. სამარა საკმაოდ დიდი ქალაქია და ცხოვრების რიტმიც შესაბამისია.

— იმ ფაქტმა არ გაგაკვირვებ, რომ „კრილია სოვეტოს“ საკმაოდ აქტიურად უჭერენ მხარს სუსტი სქესის წარმომადგენლები?

— საქართველოშიც და ავსტრიაშიც ფეხბურთით ძირითადად, მამაკაცები არიან გატაცებული. სამარაბში კი, საყვარელ გუნდს კაცები და ქალები ფაქტობრივად, თანაბარი რაოდენობით ქომაგობენ. მსგავსი რამ სხვაგან არ მინახავს.

— ავსტრიაში თავისუფალ დროს რას აკეთებდით?

— ცოლთან ერთად საკმაოდ სწირად დავდიოდი კინოში. იქ კინემატოგრაფს ძალიან აფასებენ და თითოეულ კინოთეატრში ათამდე დარბაზია. ჩვენ უმეტესად, ახალი ფილმებს ვუყურებდით. ავსტრიაში პრემიერების დღე ხუთშაბათია. ამასთანავე, კინოთეატრი ერთგვარი შეხვედრების ადგილია, ამიტომაც მას ხალხი ოჯახებით სტუმრობს ხოლმე.

— ევროპას რამდენად კარგად იცნობთ?

— ბევრ ქალაქში ვარ ნამყოფი და ვენა მათ შორის ალბათ, ერთ-ერთი ულამაზესია. როცა მის ქუჩებში პირველად გავისიერნა, ჩემი მეუღლე აღტაცებას ვერ ფარავდა. საერთოდ, მოგზაურობა ორივეს ჰობია და შევბუღების დროს, ევროპას ვათვალისწინებთ ხოლმე. ახალ წელს ყოველთვის თბილისში ვხვდებოდი, მაგრამ ერთხელ გადაწყვიტეთ, ეს დღესასწაული პარიზში გავატარებინა. ჩემმა საუკეთესო მეგობარმა ლევან კობიაშვილმა ელისეს მინდვრებზე მდებარე რესტორანში დაგემილი შოუს ბილეთები მომიცა და მართლაც, ფანტასტიკურად შეეხვდით ახალი წლის დადგომას. სხვათა შორის, ჩვენ გვერდით მაგიდასთან „ბარსელონის“ კამერუნელი ვარსკვლავი, სამუელ ეტო'ო იჯდა.

— ავსტრიულ ფანებში პოპულარობით თუ სარგებლობდით?



— მათ საგანგებოდ ფაიფურის ლარნაკი დაამზადებინეს, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „უკანასკნელი წლების გულშემატკივართა საყვარელი ფეხბურთელი“. ოლონდ, ჩემთვის პირადად გადმოცემა ვერ მოახერხეს, რადგან გრაცში ძალზე სწრაფად დავტოვე და ეს საჩუქარი მეგობრის ხელით გამომიგზავნეს.

— მიუხედავად იმისა, რომ იტალიასთან ვერ თამაშეთ, გუნდს შეკრებაზე მაინც გაჰყვით?

— გადაწყვეტილი იყო, რომ ტრავმის მიუხედავად, ეროვნული გუნდის შეკრებაზე მაინც გავმზავრებულიყავი. მწვრთნელს იმედი ჰქონდა, რომ მოედანზე რამდენიმე წუთით გამოსვლას მაინც შევძლებდი. გარდა ამისა, მე თანაგუნდელთა მხარდასაჭერად წავედი და მათთან ერთად გერმანიაშიც ვიყავი. აქვე გეტყვით, რომ კალაძეს მიკროტრავმა ჰქონდა და მას შეკრებაზე „მილანის“ ფიზიოთერაპევტი ჩამოჰყვა, რომელიც მეც მიწვედა მეთვალყურეობას. სამშაბათს, თამაშამდე ერთი დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ მოედანზე ვერ გავიდოდი, არადა თამაშის დიდი სურვილი მქონდა.

— ნაკრებში ყველაზე მეტად ვისთან მეგობრობთ?

— ლევან კობიაშვილის მეჯვარე და შვილის ნათლია ვარ. ლევანისთვის არაერთხელ მითქვამს, რომ მმა არ მყავს და ის მძაზე მეტსაც ნიშნავს ჩემთვის... სიჭბუტის ასაკიდან მოყოლებული, მე, ლევან კობიაშვილი და კახა კალაძე ახლო მეგობრები ვართ. როგორც კი თავისუფალი დრო გვქონდა, ერთმანეთს ვსტუმრობდით. ერთხელ „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში ლევერკუზენის „ბაიერს“ ხვდებოდა და ჩემს გასამხნეველად, ლევანი საგანგებოდ ჩამოფრინდა ფრაიბურგიდან. მეძინა და ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ამ დროს, კობის ხმა მესმის: „ვიცი, დღეს გოლს გაიტან, ხოლო შემდეგ, ჩემვენ გამოიქცევი“. მართლაც, იმ შეხვედრაში მეტოქის კარი საჯარიმო დარტყმის შემდეგ ავიღე და თვალებით მამწივე ტრიუნფზე ლევანს დავუწყე ძეხნა... კობიაშვილის ქორწილზე ორი დღე ვქეიფობდით, მაგრამ ბევრი ნამდვილად არ დავგილევი. საერთოდ, ლენოს ფაქტობრივად, არ ვცავ. სამარაბში მიჩვიე, რომ თამაშის შემდეგ, ლუდი დავლიო, რომ უფრო კარგად დამეძინოს. მილანში რომ ჩავდივარ, აეროპორტში კახა მხვდება ხოლმე, რომელმაც კარგად იცის, სად უნდა წამიყვანოს. სხვათა შორის, მან მილანში საკუთარი რესტორანი გახსნა. საქართველოს ნაკრებს პარავაგისტანთან 31 მაისს ამხანაგური თამაში გვქონდა და მეორე დღეს, მ ფეხბურთელი, რომელსაც ვიზის მსრივ პრობლემა არ გვქონდა, კახას რესტორნის პრეზენტაციაზე გავმზავრეთ. მაშინ იტალიაში ოთხი დაუვიწყარი დღე გავატარეთ. „მილანიდან“ მხოლოდ ტრავმირებული ამბროზინი იყო მოსული, დანარჩენები ან ისვენებდნენ, ან კიდევ, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდნენ.





...ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ მას უკვე 44 წელი შეუსრულდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 28 წლის მეუღლე — ეშტონ კატჩერი უმშვენებს გვერდს. ისინი თანატოლებს ჰგვანან! ყველასათვის გამოცანად რჩება, თუ როგორ ახერხებს დემი ბრწყინვალე ფორმის შენარჩუნებას. „ბოროტი ხმები“ ამბობენ, რომ მსახიობი პლასტიკურ ოპერაციებში ათიათასობით დოლარს ხარჯავს, მაგრამ თავად ვარსკვლავი ამის შესახებ ხმას არ იღებს.

დემი მურმა ითამაშა ფილმში „ბობი“, რომელიც მაყურებელს სენატორ რობერტ კენედიზე 1968 წლის ივნისში მომხდარი თავდასხმის შესახებ მოუთხრობს. სიუჟეტი სასტუმრო Ambassador-ის მომსახურე პერსონალის წარმომადგენელთა ირგვლივ ვითარდება, რომლებიც თავდასხმის ღამით მუშაობდნენ. ფილმის პრემიერა 2006 წლის ოქტომბრის ბოლოს შედგა, მაგრამ მასზე გაცხილებით ადრე აღაპარაკდნენ.

ჰოლივუდის საზოგადოებად მოკრძალებული ბიუჯეტის (10 მლნ დოლარი) მიუხედავად, რეჟისორმა ემილიო ესტევეს-მა შეძლო, ეკრანზე ნამდვილი ვარსკვლავთა საკრებულოსთვის მოეყარა თავი: დემი მურის გარდა, ფილმში თამაშობენ: შერონ სტოუნი, ელაიჯა ვუდი, ჰელენ ჰანტი, ენტონი ჰოპკინსი და ლინდსი ლოპანი. სურათის გარშემო ჭორაობის საფუძველს ის ფაქტიც იძლეოდა, რომ ემილიო, დემი მურის ყოფილი ბოიფრენდი და თავის ფილმში გადასაღებად, დემის ამჟამინდელი მეუღლე ეშტონ კატჩერიც მიიწვია... იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა „სასიყვარულო სამკუთხედი“ ერთად, პლასტიკური ქირურგიის სასწაულებსა და სხვა საინტერესო თემებზე მურმა ყურნალ OK!-ის კორესპონდენტს თავად უამბო.

— უკვე 44 წლის ხართ, მაგრამ დღემდე სექსიმბოლოდ მიგინვენ...

— ამაში უცნაური არაფერია. 40 წლის შემდეგ, უეცრად საშინელებას არავინ ემსგავსება. დაბერება თანდათანობითი პ...

ჰოლივუდის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მსახიობმა ყოფილი შეყვარებული, რეჟისორ ემილიო ესტევესის ახალ ფილმში — „ბობი“ მთავარი როლი შეასრულა. ამ სურათში დემი მურის ამჟამინდელი მეუღლე ეშტონ კატჩერიც მონაწილეობს.

დემი მური: მანში შენახული მილიონები და 28 წლის ლამაზი მეუღლე ახალგაზრდობას მინატჩუნებს!

ცესია და თუ თავს ყურადღებას მიაქცევ და სისულელებს არ ჩაიდენ, ამ პროცესის შეყოვნება შესაძლებელია.

— გაგვიმხილეთ საიდუმლო — როგორ ახერხებთ ამას?

— ახალგაზრდობის შენარჩუნების ყველაზე იოლი საშუალება საკუთარი ორგანიზმის შესწავლა და მისი დაცვაა. თუმცა, ამაში ბანკში შენახული მილიონები, ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლე და შვილებიც მესმარებიან. დედობა ძალიან მომწონს, დედის როლი — ჩემი საუკეთესო როლია!

— ამბობენ, რომ მიზნის მისაღწევად, სწორად პლასტიკურ ქირურგიას მიმართავენ...

— პლასტიკური ქირურგიის გამოყენება-არგამოყენება თითოეულის პირადი საქმეა! პირადად მე წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ამ თემაზე საუბარი არ მსურს, ჩემ შესახებ ბევრს ჭორაობენ, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ.

— კარგი, ამ თემას თავი დაფარებით... მითხარით — ძნელია ჰოლივუდში სამუშაოს შოვნა იმ ადამიანისთვის, რომელმაც 40 წელს გადააბიჯა?

— როგორც ამბობენ, ჩემს ასაკზე გაცხილებით ახალგაზრდულად გამოვიყურები. ეს ძალიან მესმარება და ამიტომ ჯერჯერობით ამ მხრივ პრობლემები არ შემქმნია. სხვა მსახიობებს მართლაც, უჭირთ. მათი უმრავლესობა იძულებულია, პენსიაზე გადავიდეს. რას ვიზამთ — ჩვენი პროფესიის სპეციფიკა ასეთია...

— ახალ სურათში — „ბობი“ თქვენს ყოფილ შეყვარებულთან ერთად მუშაობა რთული იყო?

— არა, რას ბრძანებთ?! მშვენიერი დრო გავატარეთ. ბევრს ვიცინოდით.

— თქვენს ქმარ ეჭვიანობდა?

— არა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ეშტონი ბრძენი ადამიანია და ყველაფერი კარგად ესმის. სხვათა შორის, ის და ემილიო დამეგობრდნენ. ამ როლში პირში სიგარეტგარეული ეშტონი ძალზე სექსუალურად გამოიყურებოდა (იცინის). ნარკოდილერის რო-

ლის მოსარგებად, მ დღით დაბანაზეც კი უარი თქვა და საერთოდ, ამ ფილმში შესანიშნავად ითამაშა.

— ჭორად გავრცელდა, თითქოს ეშტონმა ეს როლი მხოლოდ თქვენი წყალობით მიიღო, თითქოს თქვენი ქმრის აგენტი თქვენ ხართ და მისთვის როლების მოსაპოვებლად, პირად კავშირებს იყენებთ...

— ღმერთო ჩემო, ეს ნაბოვდარი საიდან მოაქვთ?! ეშტონი ფილმის სცენარსაც კი უჩემოდ გაეცნო! მის მიწვევასთან მხოლოდ ის მაკავშირებს, რომ ემილიო ტელეფონით დამიკავშირდა და მკითხა: „როგორ ფიქრობ, ეშტონი ამ როლს თავს გაართმევს?“ ყურმილი ეშტონს გადავეცი და ამ საქმეში ჩემი მონაწილეობა ამით ამოიწურა. ეშტონს სხვა სურათის გადაღებები ეწყებოდა, ამიტომ ემილიომ გრაფიკი ისე შეცვალა, რომ ჩემს ქმარს მის ფილმში მონაწილეობა შესძლებოდა. ასე რომ, მე არაფერ შუაში ვარ.

— სექტემბერში თქვენ და ეშტონმა ქორწინების წლისთავი იზეიმეთ. გამოტყდით — საერთო შვილის გაჩენაზე არ გიფიქრათ?

— რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ერთმანეთს, ამის შესახებ მით უფრო სწორად ვფიქრობთ... დრო გვიჩვენებს. ამის შესახებ მეტს ვერაფერს გეტყვით.

— თქვენმა მეგობარმა მადონამ ცოტა ხნის წინ, ბავშვი იშვილა და ამის გამო ბევრმა გააკიცხა...

— ამ სისულელებს არ ვკითხულობ. არც თქვენ გირჩევთ. მადონა ფანტასტიკური და ძალზე ძლიერი ქალია. მან კარგად იცის, რასაც აკეთებს. მისი ალფრთოვანებული ვარ!



დემი მური და ასტონ კატჩერი ერთად, რომელიც ყველა მათგანისთვის მეგობრად იქცა



ჯენიფერ ენისფონს მამაკაცებში ატყობიანებს

ჰოლივუდის ვარსკვლავს, ჯენიფერ ენისფონს მამაკაცებში ატყობიანებს არ უმართლებს. ჯერ იყო და, ქმარმა — ბრედ პიტმა ანჯელინა ჯოლიზე გაცვალა, შემდეგ კი საქმროსთან — ვინს ვონთან ბედნიერი ოჯახის შექმნის იმედიც გაუცრუვდა. ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ განხეთქილებაში საბედისწერო როლი ქალმა ითამაშა: ვიდრე ჯენი მისი საუკეთესო მეგობრის, კორტნი კოქსის მხარზე ქვითინებდა, ვინსმა თავისუფლებას გემო გაუგო და ბუდაპეშტში 20 წლის სტუდენტ გოგონასთან ერთად დროს ტარებით ტკბებოდა. საწყალი ჯენიფერი! მას ჭეშმარიტად, არ უმართლებს!

მარია შარაპოვას მთავარი ღიმილი



კვირის 2006 წლის ყვლაზე მიღება ჩაცმულ ქალად აღიარეს

ქალთა ჟურნალის — Grazia — მიერ ჩატარებული ყოველწლიური გამოკითხვის მიხედვით შედგენილი რეიტინგის თანახმად, ყველაზე გემოვნებიანად და მოდურად ჩაცმულ ქალთა ათეულის თავში ზედიზედ მეორედ, სუპერმოდელი კეიტი მოექცა. „ამოუცნობი, ზოგჯერ ახირებული, მაგრამ მუდამ გამოგნებული კეიტის გამოჩენას ყოველთვის მოუთმენლად ველით, რადგან არავინ იცის, თუ ამჯერად როგორ სამოსში მოგვევლინება“, — წერს Grazia. მეორე ადგილი ცნობილი ამერიკული სერიალის — The O.C. ვარსკვლავმა მიშა ბარტონმა დაიკავა. ლიდერთა სამეულში შევიდა პოპმოდერალი კაილი მინოუგი, რომელიც ამჟამად პარიზში ცხოვრობს.



მსოფლიოს მეორე ჩოგანი, რუსი მარია შარაპოვა 2006 წელს ყველაზე მომხიბვლელი ღიმილის მფლობელად აღიარეს. მსოფლიოში სტომატოლოგთა ყველაზე მსხვილი არაკომერციული გაერთიანების — ამერიკის კოსმეტიკური სტომატოლოგიის აკადემიის (AACD) მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხანი — ჰოლივუდის ვარსკვლავთა და სპორტსმენთა შორის ყველაზე მომხიბვლელი ღიმილის პატრონის გამოვლენა იყო. გამოკითხულთა 42% ფიქრობს, რომ სპორტსმენ ქალთა შორის ყველაზე მომხიბვლელად სწორედ მაშა ილიმემა. მამაკაცთა შორის დამაჯერებელ გამარჯვებას, გოლფის ამერიკელმა ოსტატმა ტაიგერ ვუდსმა მიაღწია (59%). აღსანიშნავია, რომ ხალხი შარაპოვას ღიმილის გარდა, მის დახვეწილ გემოვნებასა და სტილის შეგრძნებასაც აფასებს. სპორტმენი The Originals, Bestdressed — სიაში მოხვდა, რომელიც ჟურნალის — Vogue ამერიკული ვერსიის იანვრის ნომერში გამოქვეყნდება. მარია შარაპოვა პრესტიჟული მოდური ჟურნალების მიერ შედგენილ ცნობილ ადამიანთა სიებში პირველად როდი მოხვდა. შარაპოვას შარაპოვა ჟურნალის — People — მიერ შედგენილ, პლანეტის 50 ულამაზესი ადამიანის სიაში შევიდა, ჟურნალმა Forbes-მა მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს სპორტსმენ ქალად აღიარა, გამოცემებმა — Today, Teen People, Vogue (იტალიური ვერსია) — მარია შარაპოვა იმ ახალგაზრდების ოცულში შეიყვანეს, რომლებმაც „სამყარო შეცვალეს“. 2006 წელი მარიას კარიერაში საუკეთესო აღმოჩნდა. მან 5 ტურნირი მოიგო (მათ შორის, ამერიკის ღია ჩემპიონატი) და მსოფლიოს მეორე ჩოგანის ტიტულით დაასრულა სეზონი.

ჩუბი მლქტი ახალგაზრდობაში მიშულ ნაფუტად მუშაობდა



გაზეთი The Times იუნყება, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის მეუღლე, ჩერი ახალგაზრდობაში მენატრედ მუშაობდა, კერძოდ, ბრიტანელი მხატვრის — იუნ აგლოუს (Euan Uglow) სურათის — Striding Nude, Blue Dress — შიშველი ნატურა იყო და 1-საათიანი პოზირებისთვის გასამრჯელოდ, 5 გირვანქა სტერლინგს იღებდა. სურათის საბოლოო ვარიანტი, რომელზეც ცისფერ კაბაში გამოწყობილი მკერდგაღელი ქალია გამოსახული, სხვა მოდელის პოზირების შედეგად შეიქმნა, ჩერი ბლერის პორტრეტი კი, დაუმთავრებელი დარჩა. 1983 წელს ორივე ტილო ერთ-ერთ გამოფენაზე იყო გამოტანილი, მოგვიანებით კი, როდესაც ბლერების ოჯახი საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ნყვილის მეგობარმა მხატვარმა იუნ აგლოუმ გადანყვიტა, მაღამ ბლერის ვარიანტი აღარ გამოეფინა. მხატვრის გარდაცვალებამდე, ტილო ლონდონის გალერეაში Browse and Darby — ინახებოდა. დღეს ეს ნამუშევარი მუზეუმის — Marlborough Fine Art Trust — კუთვნილებაა.

პოლიუდში „და ვინჩის კოდის“ გაგბეღელის გადასაღებად ემზადებიან

პოლიუდში დენ ბრაუნის გახმაურებული რომანის მიხედვით გადაღებული ფილმის — „და ვინჩის კოდის“ (რეჟ. რონ ჰოვარდი) სიკვდილის გადასაღებად მზადება დაიწყო. სცენარისტმა აკივა გოლდსმანი, რომელმაც ორიგინალური ფილმისთვის ბრაუნის ტექსტის ადაპტაცია შექმნა, სცენარისტისთვის ადაპტაცია შექმნა, სცენარისტისთვის ადაპტაცია შექმნა, სცენარისტისთვის ადაპტაცია შექმნა.



ვიქტორია ბეკჰემი მსახიობმას იწყებს

პოპულარული — Spice Girls — ყოფილი წევრი ვიქტორია ბეკჰემი მსახიობობაზე მუდამ ოცნებობდა. და აი, როგორც ჩანს, შანსიც გაუჩნდა. ამ საქმეში ვიქტორიას მისი მეგობარი კეიტ ჰოლმსი ეხმარება. როგორც ამბობენ, ჰოლმსი ამჟამად ვიქტორია ბეკჰემის 28-ე დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე ლეგენდარული რეჟისორის სტივენ სპილბერგის მიყვანას ცდილობს. კეიტი დარწმუნებულია, რომ ვიქტორიასგან შესანიშნავი მსახიობი დადგება. ჰოლმსსა და კრუზს, ვიქტორიას სამსახიობო კარიერის შექმნა არ ძალუძთ, მაგრამ სამაგიეროდ, მრავალ ისეთ ადამიანს იცნობენ, რომელსაც პოპულარულ ვიქტორიას ოცნების ასრულება შეუძლია.

მელ გიბსონის უკანონო შვილი სამატაოს ითხოვს

2006 წლის დამლევს გავრცელდა ცნობა, რომ მელ გიბსონს 29 წლის ქალიშვილი გამოუჩნდა, რომელიც მამობის დასადგენად გენეტიკური ანალიზის ჩატარებას მოითხოვს. ბრიტანული გაზეთი News of the World იუწყება, რომ კარმელ სლოანი 1976 წელს ავსტრალიაში, ავტომობილის სალონის უკან სავარძელზე ჩაისახა. ამის შესახებ გოგონას მისმა დედამ უამბო, რომელიც 70-იან წლებში ავტოსტოპით მოგზაურობდა. თუ კარმელის დედას რამე არ ეშლება, მაშინ, 50 წლის კინოვარსკვლავს ავსტრალიაში მხატვარი ქალიშვილი ეყოლია! „ძალიან მინდა, რომ მან მე და ჩემი 10 წლის ვაჟიშვილი საკუთარ ოჯახად გვაღიაროს“, — ამბობს კარმელი, რომელმაც გენეტიკური ანალიზის ჩატარება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეამჩნია, რომ მისი 10 წლის ვაჟი ჯორდანი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მელ გიბსონს. „სიმდიდრეს როდი ვეძებ, საკუთარი ცხოვრება სრულიად მაკმაყოფილებს, მაგრამ იმ ადამიანთან შეხვედრა მსურს, ვინც, როგორც ამბობენ, მამაჩემია. ძალიან მინდა, მან შვილიშვილი გაიცნოს“.

მელ გიბსონს დღემდე, ავსტრალიელად მიიჩნევენ. ის ნიუ-იორკში დაიბადა, მაგრამ შემდგომ, მამამისი ცოლის სამშობლოში გადავიდა საცხოვრებლად. მელი თერთმეტწლიანი ოჯახის მეექვსე შვილია. სიდნეის კათოლიკური სკოლის დამთავრების შემდეგ, „დირექტორობაზე“ ან ჟურნალისტობაზე ოცნებობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, დრამატული ხელოვნების ეროვნულ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. მისმა ნიჭმა პირველად, დამსწერილი რეჟისორის ჯორჯ მილერის ფილმში — „შეშლილი მაქსი“ გაიბრწყინა. ეს სურათი ავსტრალიური კინოსთვის საეტაპო აღმოჩნდა: 1979 წლიდან, პოლიუდს მრავალმა იქაურმა მსახიობმა და რეჟისორმა მიაშურა, რასაც ბესტსელერთა მთელი ჯაჭვი მოჰყვა: „შეშლილი მაქსის“ გაგრძელება, „ბაუნტი“, „გალიპოლი“, „სასიკვდილო იარაღი“ და სხვა. მოგვიანებით, მელ გიბსონის რეჟისორული დებიუტი შედგა. მისი პირველი ნამუშევარი — დრამა „ადამიანის სახის გარეშე“ იყო. მეორე ფილმა — უილიამ უოლესის შესახებ გადაღებულმა ისტორიულმა ეკრანულმა ტილომ — „მამაცი გული“ ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ეკრანები და 5 „ოსკარი“ მოიპოვა.

მეიბინს ნათესავი ასაკს მალავს

ცნობილი მომღერალი ბეიონს ნოულზი ამჟამად დიდების მწვერვალზე იმყოფება. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პრესაში მის შესახებ მრავალი ჭორი ვრცელდება. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებულად სენსაციურია. საცხებით შესაძლებელია, რომ მომღერალი, მის ოფიციალურ ასაკზე (25 წელი) გაცილებით მეტი — 32 წლის იყოს. ეს ინფორმაცია ერთ-ერთი საიტით გავრცელდა. ტეხასის შტატის ჯანდაცვის დეპარტამენტის უცნობმა თანამშრომელმა საიტზე ბეიონს ჟიხელ ნოულზის დაბადების მოწმობა მოათავსა, რომლის თანახმადაც, მეტიუ ნოულზისა (Mather Knowles) და სილისტენ ენ ბეიონსის (Cltstine Ann Beyonce) ქალიშვილი 1974 წლის 4 სექტემბერს დაიბადა.



ისტი აკივა გოლდსმანი რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა: მან „და ვინჩის კოდში“ გადმოცემული ამბები ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი ფილმის მოვლენებს უნდა დაუკავშიროს. ვარაუდობენ, რომ სიკვდილი ეკრანებზე 2008 წლის შემოდგომაზე გამოვა. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს რეჟისორის სავარძელს. მკითხველს შევახსენებთ, რომ რონ ჰოვარდის ფილმის გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა მსოფლიო მასშტაბით 775 მლნ დოლარი შეადგინა.

Chevrolet-ს მანქანების ბენდმა საშობაო სიმღერა შეასხუდა

კომპანია Chevrolet-ს ინგლისურმა დანაყოფმა უჩვეულო მუსიკალური ჯგუფი — Carmony 5 ავტომობილისგან ჩამოაყალიბა. მასში შევიდა: Chevrolet Dat-ის მარკის ორი კორეული მოდელი — Kalos (დსთ-ის ქვეყნებში ცნობილია AVEO-ს სახელით), Matiz, ასევე ორი Lacetti და Takuma. ამ



ჯგუფის შესრულებით ჯერჯერობით მხოლოდ ერთი — საშობაო სიმღერა ჩანერეს, რომელსაც ჰქვია Honk-a-Tonk Christmas. კომპოზიცია მანქანების სიგნალების მეშვეობით აენყო, რომლებიც სხვადასხვაგვარ ტონალობაში ააჟღერეს; ამასთანავე, ჩანერაში — არც მეტი, არც ნაკლები — ლონდონის სიმფონიური ორკესტრი მონაწილეობდა.

მანქანების მიერ ჩანერილი საშობაო სიმღერის გადანერა შესაძლებელია დიდ ბრიტანეთის Chevrolet-ს საიტდან. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, თუ მას პოპულარობა ხვდა წილად, ისინი სინგლს გამოუშვებენ და თავიანთ კლიენტებს დაურეგებენ.

Lincoln-მა კონცეპტუალური სედანი აანყო



დასტურდება. უცნობია ამ ავტომობილის მომავალი ბედი: სერიულად იქნება გამოშვებული იგი თუ არა, ეს დეტროიტის ავტომობილს შემდეგ გაირკვევა. თუ Lincoln MKR Concept ამერიკელ დილერთა შოუებზე გამოჩნდება, მისი ღირებულება 50 ათას დოლარს შეადგენს.



დეტროიტის ავტომობილს კომპანია Lincoln კონცეპტუალურ სედანს წარმოადგენს, რომელსაც Lincoln MKR ერქმევა. ეს ავტომობილი ექვსცილინდრიანი ძრავითაა აღჭურვილი, რომლის სიმძლავრეც 415 ცხ.ძ-ს აღწევს. წულიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 5,3 წმ-ში ავითარებს, თანაც მის სანავადაც ეკოლოგიურად სუფთა ბიოეთანოლს გამოიყენებენ. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, Lincoln MKR Concept მოდერნიზებული Ford Mustang-ის შასიზეა აგებული, თუმცა, ეს ინფორმაცია ოფიციალურად ჯერჯერობით არ

Donkervoort-ის სპორტული ავტომობილი

ჰოლანდიური კომპანია Donkervoort ყენვის საერთაშორისო ავტოსალონზე ახალ სპორტკარს — D8 Coupe-ს წარმოადგენს. ეს ავტომობილი როდსტერ D8-ის ბაზაზეა აგებული, რომლის კონსტრუქციაც ლეგენდარულ Lotus Seven-თანაა მიახლოებული. Donkervoort D8-ის სახურავი და კარები, რომლებიც არა გვერდულად, არამედ აწვევით იღება, ნახშირობლასტიკის-



განაა დამზადებული. მიუხედავად ამისა, კუბე 20 კილოგრამით მძიმეა თავისი ვერსიასთან შედარებით. Donkervoort D8-ზე Audi-ს 1,8 ლ მოცულობის ტურბოდირავათი იქნება აღჭურვილი. ვერსიის შესაბამისად, ამ ძრავას სიმძლავრე 180, 210 და 270 ცხ.ძ. იქნება. ყოველწლიურად კომპანია Donkervoort წინასწარი შეკვეთით, მხოლოდ 50 ასეთი ავტომობილის გამოშვებას გეგმავს. სიახლის ფასი ჯერჯერობით უცნობია.


Bombardier-ის სტიციკლი



კანადური კომპანია, Bombardier, რომელიც თავისი თოვლმავლებითა და კვადროციკლებითაა ცნობილი, სრულიად ახალ სამთვლიან მოტოციკლს ანყოფს. ამჟამად სიახლე ბოლო ტესტირებას გადის და უკვე მომავალი წლიდან

სარეალიზაციო ქსელში გამოჩნდება. მას Rotax-ის ძრავას — V2-ს დაუყენებენ, რომელიც Bombardier-ს ეკუთვნის. ეს აგრეგატი 1000 კუბური სანტიმეტრის მოცულობისაა და მისი სიმძლავრე 130 ცხ.ძ-ს შეადგენს. ასეთივე ძრავითაა აღჭურვილი იტალიური სპორტული მოტოციკლი — Aprilia RSV და Aprilia Tuono. ახალი სამთვლიანი მოტოციკლი ავტომატური უსაფეხურო ტრანსმისიით იქნება აღჭურვილი, როგორც თოვლმავლები. გამოირცხული არც ისაა, რომ ტრიციკლს რამდენიმე ფიქსირებული გადაცემა ჰქონდეს, რომელსაც მძღოლი სახელურით გადართავს. გარდა ამისა, ის წინა და უკანა მუხრუჭების მართვის სისტემითაც აღიჭურვება.

ტიერი ანრი — «არსენალის» მთავარი მეთოფე



გასული წლის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფეხბურთელად უდავოდ, ლონდონის „არსენალისა“ და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი, ტიერი ანრი უნდა მივიჩნიოთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდოსტატი იმ „საფეხბურთო ფერმწერთა“ რიგს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი თამაშით, უდიდესი წვლილი შეიტანეს სპორტის ამ შთამბეჭდავი და დამაინტრიგებელი სახეობის დახვეწა-განვითარებასა და დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაში. ყველაფერ, რასაც ეს ფორვარდი მოედანზე აკეთებს — მოძრაობა, მანევრირება, კარის მიმართულებით დარტყმა თუ დრობლინგი, — ალტაცებას იწვევს. ტიერის მიერ გატანილი გოლები კი, ხელოვნების ნამდვილი ნიმუშებია. 29 წლის ასაკში, საფრანგეთის ნაკრების ლიდერს არაერთი საფეხბურთო მწვერვალი აქვს დაპყრობილი. თუმცა მას ჯერჯერობით აუზღენელი ოცნებებიც აქვს — მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის მოგება და ევროპის ან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდების მოპოვება. (შარშან, „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ჩატარებული ტრადიციული გამოკითხვის შედეგის მიხედვით, ევროპის საუკეთესო მოთამაშეებს შორის, ფრანგი თავდასამხელო, ფაბიო კანავაროსა და ჯანლუჯი ბუფონის შემდეგ, მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა), ხოლო ფიფას ვერსიით, მსოფლიოს 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებისას კი, რომლის დაჯილდოების ცერემონიაც წლის დამლევს გაიმართა, ფრანგი ოსტატი სამეულშიც ვერ მოხვდა.

ხდასაც კი დათანხმდა და იმითა იმშვიდებდა თავს — თუ ტიერისგან დიდი ფეხბურთელი დადგება — ხომ კარგი, თუ არა და, სხვა საქმეს მოჰკიდებს ხელსო...

„არსენალის“ ამჟამინდელი ლიდერის მშობლების განქორწინების მიზეზად ფეხბურთი ნამდვილად არ ქცეულა. ამ დრამატულ ფაქტს 15 წლის ტიერი ძალზე განიცდიდა და შვებას საფეხბურთო მოედანზე ეძებდა. „რომ არა ფეხბურთი, ალბათ ვერ გადავრჩებოდი“, — არაერთხელ უთქვამს შემდგომში ანრის, რომელიც თავის თანატოლებში აშკარად გამოირჩეოდა ტექნიკით, შედეგიანობითა და სისწრაფით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მასთან ერთად, თვით ნიკოლა ანელკა, დავიდ ტრეზეგე, უილიამ გალასი და ლუი საა ფუფლეოდენენ საფეხბურთო საიდუმლოებებს. ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში, 26 მატჩში ანრის 76 გოლი ჰქონდა გატანილი. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად, მწვრთნელები რატომღაც სკეპტიკურად ავსახდნენ მის მონაცემებს. ზოგიერთი მას მოუხეშავ მოთამაშედ მიიჩნევდა, ზოგიც ვარაუდობდა, რომ ფუნდერკინდი საკუთარ ნიჭს ჯერ კიდევ პროფესიონალური კარიერის დაწყებამდე ამოწურავდა... მალე ანრის ცხოვრებაში გამოჩნდა კაცი, რომელმაც მისი ბედი შეცვალა.

„მონაკოს“ იმჟამინდელი მთავარი მწვრთნელი, არსენ ვენგერი, ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების შესათვალისწინებლად, ხშირად სტუმრობდა კლერფონტენს. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას, „მონაკოს“ თავკაცის ყურადღება მალაღ, გამხდარ ბიჭს მიუქცევია, რომელიც მარცხენა ფლანგზე დარბოდა. „რა მოხდება, თუ მას თავდასხმაში გადავიყვანთ?“ — გაუფიქრა ვენგერს. ეს ექსპერიმენტი უკვე „მონაკოს“ ახალგაზრდულ გუნდში განხორციელდა. „მონაკოელებმა“ „ნიცელი“ თანატოლები ანგარიშით 6:0 დაამარცხეს. რა თქმა უნდა, ერთი გუნდის მეორეზე ასეთი დიდი უპირატესობით გამარჯვება მანამდეც და მას შემდეგაც მომხდარა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ექვსივე გოლი ერთმა მოთამაშემ — ტიერი ანრიმ გაიტანა, რომელიც

უკვე ფორვარდის პოზიციაზე გამოდიოდა... 1994 წელს, 17 წლის ტიტი კვლავ გავიდა მოედანზე „ნიცის“ წინააღმდეგ სათამაშოდ, მაგრამ ამავერად უკვე კლუბის პირველი გუნდის მოთამაშის სტატუსით.

თავის პირველ პროფესიონალურ სეზონში მინდორზე რვაჯერ შესულმა ტიერემ 3 გოლი გაიტანა. უკვე მომდევნო წელს ის ძირითადი შემადგენლობის სრულყოფილიანი წევრი გახლდათ. იმ პერიოდში, არსენ ვენგერი იაპონიაში მუშაობდა, ხოლო „მონაკოელებს“ ჟან ტიგანა ხელმძღვანელობდა.

1996 წელს „მონაკოს“ რიგებში მოთამაშე, ახალგაზრდა ვარსკვლავის შესახებ მადრიდის „რეალის“ მესაუბრებამ შეიტყვეს. „სამეფო კლუბის“ წინადადება ტიერის ლამის თავბრუ დახვია. მას ვენგერმა „უშველა“, რომელიც სამშობლოში შევბულების გასატარებლად ჩასულიყო. „არც გაიფიქრო! „რეალი“ შესანიშნავი კლუბია, მაგრამ შენ იქ არაფერი გესაქმება: შენ სათამაშო პრაქტიკა გჭირდება, ხოლო „რეალი“ უკეთეს შემთხვევაში, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოგიწევს. ჯობს, ისე „მონაკოში“ დარჩე, „სამეფო კლუბი“ არსად გაგეცვავს. ყველაფერს თავისი დრო აქვს“, — დაუმოდგვრავს ფეხბურთის ფრანგ სპეციალისტს თანამემამულე. ამგვარად, ვენგერმა კიდევ ერთხელ მოაძებნინა ანრის გამოსავალი რთული სიტუაციიდან. ტიერიც არ გაჯიუტებულა, დამრიგებელს



ალექსი რეხვიაშვილი

თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი პარიზის გარეუბან ლეს იუპიში, ვესტ ინდოეთიდან ემიგრირებულთა ოჯახში დაიბადა. მამამისი, ანტუანი მეტროპოლიაში გვადელუპიდან, ხოლო დედამისი, მარი-ლიზი — კუნძულ მარტინიკიდან ჩავიდა. ტიტომ (როგორც ანრის ოჯახის უმცროსი ვაჟიშვილს ეძახდნენ) ადრეულ ასაკშივე შეიყვარა ბურთი. სხვათა შორის, მისი გატაცება მშობლებს სულაც არ ალანდროვანებდა. ამბობენ, რომ მარი-ლიზი, ტიერის დახეული შარვლების დაკრებასა და მალამოებით გადატყავებული მუხლების დამუშავებას ვერ აუღიოდა... ნორჩი ფეხბურთელის „შეფობა“ უფროსმა ძმამ, ვილიმ იკისრა — ტიტის ის მრავალ პრობლემას უგვარებდა. მაგრამ თუ დედის გადაბირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, იმავეს ნამდვილად ვერ იტყოდით ოჯახის უფროს, ანტუანზე: ის ვერ იტანდა ფეხბურთს და ამ სფეროს არასერიოზულ საქმიანობად მიიჩნევდა, რომელიც ახალგაზრდა კაცს სწავლაში უშლიდა ხელს. ამიტომ, ანტუან ანრის, ტიტის გეგმების გაგონებაც არ სურდა და ხშირად, შვილს სათამაშოდაც არ უშვებდა. მომავალი სუპერფორვარდის სასარგებლოდ სიტუაციას დედა და უფროსი ძმა აგვარებდნენ, რომლებმაც ერთ მშვენიერ დღეს იმასაც მიაღწიეს, რომ ანტუანი პატარა ტიტის თამაშის საყურებლად წაიყვანეს. ამ პროცესის ცქერა კი, გულგრილს ვერავის ტოვებდა. და ოჯახის თავკაცსაც ისლა დარჩენოდა, რომ საბოლოოდ შერიგებოდა ბიჭის არჩევანს. ანტუან ანრი კლერფონტენის საფეხბურთო აკადემიაში ტიტის სწავლის საფასურის გადა-



დაუფერა და „მონაკომი“ ასპარეზობა გააგრძელა. მალე ის საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე გახდა. 19 წლის ასაკში ტიტო ქვეყნის ჩემპიონი და საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ტიტულის მფლობელი გახდა. „ყველაფერს ძალზე სწრაფად და ადვილად ვაღწევდი, ამიტომ მომავლის გეგმებსაც ვანცობდი, რომლებშიც მთავარ აქცენტს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრასა და მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე ვაკეთებდი“.

1997 წლის ნოემბერში ექვმ წევრ ახალგაზრდა ფორვარდი ნაკრებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდის წინააღმდეგ სათამაშოდ მიიწვია. მას შემდეგ, ანრი და მამლაცინისებლებიანი მაისური, განუყოფელი არიან. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის ნაკრებში მის გამოჩენას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. „ლანსის“ ქომაგები მისაფრად აკრიტიკებდნენ ჟაკესაც და მის რჩეულსაც, როდესაც 1998 წლის მუნდიალის განაცხადში თავიანთი კერპი — ტონი ვერელია ვერ აღმოაჩინეს. დღეს ეს

იყო. შეხვედრის შემდეგ, ჟაკემ კვლავ როტაციას მიმართა და უპირატესობა ისევ გივარშს მიანიჭა. ბრაზილიელებთან გამართულ ფინალურ მატჩს ტიერი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს. საბოლოოდ, გატანილი 3 გოლით, ტიტო მსოფლიო ჩემპიონთა შორის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო თავდასხმის ხაზი გუნდის უსუსტეს პოზიციად გამოაცხადეს.

1998 წელს მთელი შეოდგომის განმავლობაში, ტიერი, თამაშის ნაცვლად, „მონაკოს“ ხელმძღვანელობასთან პაექრობით იყო დაკავებული: მუნდიალზე გამარჯვებული ფეხბურთელი ხელფასის გაზრდას მოითხოვდა. მდგომარეობა არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც ჟან ტიგანა მწვრთნელის პოსტზე, კლოდ პიუელმა შეცვალა. ბოლოს, „მონაკოელებმა“ ჭირვეული ანრის გაყიდვა გადაწყვიტეს. „იუვენტუსი“ ახალგაზრდა ფორვარდში 10,7 მილიონ დოლარს იხდოდა და „მონაკომიც“ ბუერს აღარ უყოფიანიათ — შეთანხმება სულ რამდენიმე საათში გაფორმდა. 1999 წლის დადგომისთანავე, ტიტომ „ბუერის“ ქალბატონის“ შავ-თეთრი მაისური მოირგო.

„იუვენტუსში“ დიდი ენთუზიაზმით გადავედი. ვფიქრობდი, რომ იქ ჩემს შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოვავლენდი, თანაც, მაშინ ხომ ტურინში უკვე თამაშობდა ზინედინ ზიდანი! და მაინც, როგორც შემდგომში გაირკვა, „იუვეში“ საჭირო დროს არ მოვხვედრილვარ“, — იხსენებს ფორვარდი.

მართლაც, ტურინულ გრანდში დიდი ცვლილებები ხდებოდა. მთავარი მწვრთნელი, მარჩელო ლიპი გუნდიდან წასვლას აპირებდა. არც ის და არც მისი შემცვლელი, კარლო ანჩელოტი, ახალგაზრდა ფრანგს არ სწყალობდნენ. თავდასხმაში ყველა ადგილი დაკავებული იყო, ამიტომ ტიტო მარცხენა ფლანგზე გაამწესეს. ამ პოზიციებზე მას 16 წლიდან აღარ ეთამაშა. გარდა ამისა, ანრის დიდი სამუშაო უნდა შეესრულებინა დაცვაში, „მონაკომი“ ყოფინისას კი, საკუთარ ნახევარზე დაბრუნება თითქმის არ უხდებოდა. ერთი სიტყვით, გავიდა ცოტა ხანი და ტურინული კლუბის წარმომადგენლები უკვე ფრანგ ფორვარდზე დახარჯულ მილიონებს მისტიმროდნენ. „უსახელურო ჩემოდანი სატარებლადაც უხერხულია და გადასადგებდაც — დასანანი...“ — წერდნენ ფრანგული გაზეთები. თავად ტიტოც სშირად იკონებდა „მონაკოს“, სადაც მისთვის საქმე კარგად იყო აწყობილი.

ვერავინ იტყვის, თუ როგორ წარიბარებოდა ანრის საფეხბურთო კარიერა, მის ცხოვრებაში კვლავ — უკვე მესამედ! — არსენ ვენგერი რომ არ გამოჩენილიყო. იმხანად ის ლონდონის „არსენალს“ ედგა სათავეში. ვენგერთან და საერთოდ, კლუბის ხელმძღვანელობასთან მუდმივად კონფლიქტურ სიტუაციაში იყო „მეთოფთა“ ფორ-

ვარდი, ნიკოლა ანელკა. ამიტომ ლონდონელებმა მისი გაყიდვა გადაწყვიტეს. ანელკა „რეალს“ დარჩა, ხოლო ინგლისის დედაქალაქში ხორვატი დავორ შუკერი აღმოჩნდა, რომელსაც, როგორც ჩანს, ვენგერი მაინცდამაინც არ ენდობოდა. „რა თქმა უნდა, თქვენ ტიტო გესაჭიროებთ, ეს თქვენც კარგად იცით, მით უმეტეს, რომ „იუვენტუსში“ მას პრობლემები აქვს“, — უთქვამს უკვე „სამეფო კლუბში“ გასხვისებულ ანელკას, ვენგერისათვის.

ტურინში „უსახელურო ჩემოდნის“ შენარჩუნება აღარ უცდიათ. ასე აღმოჩნდა ანრი ლონდონელ „მეთოფთა“ რიგებში.

„არსენალში“ გადასვლის შემდეგ, პირველსავე წუთებიდანვე მივხვდი, რომ ჩემი გუნდი მოვძებნე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვენგერის დროინდელ „მონაკომი“ მოვხვდი, როდესაც არა ფულისთვის, არამედ საკუთარი სიამოვნებისთვის ვთამაშობდი. ვენგერის გარდა, ახალ კლუბში ჩემს არაერთ მეგობარს შევხვდი — ჰატრიკ ვიერას, ემანუელ პეტის, ყილია გრიმანდის. „იუვენტუსში“ საკუთარი წარუმატებლობაც მალე დავივიწყე. „არსენალში“ უკვე ყველაფერი გამომდიოდა“, — დასძენს ფრანგი ვარსკვლავი.

თავდასხმაში დაბრუნებულმა ანრიმ გოლების გატანა დაიწყო და მალე ლონდონური კლუბის ლიდერად იქცა. ერთ თავშესაქცევ ფაქტს გავისხენებთ: როდესაც ტიტო „მეთოფთა“ მაისურით პირველად გამოსულა მოედანზე, ინგლისელ კომენტატორს მისთვის, მშობლიური ენის ვერსიით — „ჰენრი“ უწოდებია. მაგრამ საკმარისი იყო, ტიერის რამდენიმე შთაბეჭედავი ფინტი განხორციელებინა, რომ კომენტატორს აღმოხდენია: „რა ჰენრი?! ეს ხომ ანრია!..“

უკვე მერვე სეზონია, რაც ტიტო „არსენალის“ ლირსებას იცავს. ამ ხნის განმავლობაში ის არა მარტო გუნდის კაპიტნად, არამედ მის სიმბოლოდაც იქცა. 26, 22, 32, 32, 39, 30, 33 — იცით, რას ნიშნავს ეს რიცხვები? ეს პრემიერლიგაში გატარებულ შვიდ სეზონში ანრის მიერ გატანილი გოლების რაოდენობაა. „რა თქმა უნდა, კლუბის რეკორდსმენად ყოფნა ძალზე სასიამოვნოა, მაგრამ როდესაც ტიერიმ გამისწრო, ამან დიდი სიხარული მომიანიჭა. ის ფანტასტიკური თავდასხმელია. დარწმუნებული ვარ, სარეკორდო თამაშას კიდევ უფრო მაღლა ასწევს“, — ამბობს ცნობილი იენ რაიტი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, „არსენალის“ ისტორიაში ყველაზე შედეგიან ფორვარდად რჩებოდა.

ტიერი ანრის ხშირად იღებენ სარეკლამო რგოლში. ერთ-ერთ ასეთ ლონისძიებაში მონაწილეობისას, მან თავისი მომავალი საცოლე გაიცნო — ცნობილი ბრიტანელი მოდელი ნიკოლ მერი. „ჩემს პირად ბედნიერებას დიდხანს ვეძებდი და ვერ წარმოვიდგენდი, რომ მას გადასალეზ მოედანზე შევხვდებოდი. მხოლოდ ნიკოლის გაცნობის მიზნით ღირდა რეკლამაში გადაღება“, — ამბობდა შემდგომში ტიტო, რომელსაც 2005 წლის მაისში ქალიშვილი შეეძინა. ტიერიმ და ნიკოლმა მას ტვა დაარქვეს. სუბერფორმადი წარმატებულად პოზირებს ქალიშვილთან ერთად.



ტანმალალი ქერა მოთამაშე მხოლოდ ფრანგული ფეხბურთის დიდ ქომაგებს ახსოვთ, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლების მონურულს, ის „ლანსში“ ერთ-ერთ საუკეთესო თავდასხმელად ითვლებოდა. ამ კლუბის ფანები მიიჩნევენ, რომ მათი საყვარელი თავდასხმელი სწორედ ახალგაზრდა ანრის გამო დარჩა ნაკრებს მიღმა.

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ტიერიმ სათადარიგოს რანგში დაიწყო — მთავარ ფორვარდებდა გამოცდილი კრისტოფ დუგარი და სტეფან გივარში ითვლებოდნენ. თუმცა, ტურინის მსვლელობისას, ჟაკემ არაერთხელ მისცა თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდა ანრისა და ტრეზუგეს. რეზერვისტები თავიანთ უფროს თანაგუნდელებზე უფრო საინტერესოდ და შედეგიანად თამაშობდნენ, მაგრამ მათი მისამართით კრიტიკა მაინც არ ნყდებოდა. ლანსის სტადიონ „ფელიქს ბოლერზე“ კი, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები მეოთხედ-ფინალური საგზურის მოსაპოვებლად, პარაგვაელებს ებრძოდნენ, „მამლაცინების“ ქომაგებმა ანრის ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს: ბურთთან ყოველი მისი შეხება ტრიბუნებზე სტვენას იწვევდა. ასეთ ვითარებაში კარგად თამაში ძალზე რთული



თეთრი სიკვდილი

გონა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-44

ნიკა ხვდებოდა, რომ რომანი სამ-მართველოში არ შეხვდებოდა მესხს, მაგრამ იმან კი გააოცა და გააღიზიანა კიდევ, რომ პაემანი მცხეთის ერთ-ერთ რესტორანში დაუთქვა. საქმე ძალზე სერიოზული იყო საიმისოდ, რომ მასზე რესტორანში ელაპარაკათ. მაგრამ ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება რომანმა მიიღო. თანაც, შეხვედრის ადგილი თავად მესხმა შეარჩია და ნიკას სხვა არაფერი რჩებოდა — ის უსიტყვოდ მიუჯდა საჭეს და თავის „ბუემეს“ მცხეთისკენ ააღებინა გეზი.

მესხი რესტორნის ავტოსადგომთან დახვდა სტუმრებს. ჯერ რომანს მიესალმა, შინაურულად გადაკოცნა, შემდეგ, ნიკას მიუბრუნდა და ჰკითხა:

- ჰა, როგორ ხარ, ძველო?
- რა მიშავს, — მხრები აიჩეჩა ნიკამ.
- რალაც უხასიათოთ მეჩვენები, — განაგრძო მერაბმა.

— არა, ისეთი არაფერი, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ნიკამ.

— აქაურობა არ მოსწონს, — საუბარში ჩაერთო რომანი.

— რატომ? — გაუკვირდა მერაბს. — არ გიყვარს რესტორნები?

— მიყვარს, მაგრამ ახლა საქეიფოდ არ გვცალია...

— კარგი, რა, ნიკა! არ მოგბეზრდა სამმართველოს კაბინეტები და დაბლვერილი თანამშრომლები?! თქვენ ისეთი საქმე გაქვთ ჩემთან, რომ აქაც მოვახერხებთ ლაპარაკს. სანამ მოვრჩებით, შემოგვალამდება და სხვა საქმესაც მივხედავთ... შენი არ ვიცი, მე კი ისე ვარ დაკავებული, რომ რომანთან შეხვედრასაც ველარ ვახერხებ. ასე, სამსახური თუ შეგვახსენებს ერთმანეთს. შენ კი გინდა, კაბინეტში დავამთავროთ ლაპარაკი და მაშინვე დავშორდეთ ერთმანეთს?!

— კარგი. რაც იყო, იყო. აქ მოსული, უკან ხომ არ გაბრუნდები, — ხელი ჩაიქნია ნიკამ.

— ჰოდა, ასე არ ჯობია?! — გაიცინა მერაბმა, შემდეგ, ნიკას მხარზე მოხვია ხელი და რესტორნისკენ წაიყვანა.

რამდენიმე წუთში მერაბი და მისი სტუმ-

რები რესტორნის დარბაზის განაპირას, მყუდრო კუბეში განყობილ სუფრასთან ისხდნენ. ოფიციატმა ქალმა მაგიდაზე საფერფლები დადო და მერაბს მიაპყრო მზერა.

— ჯერჯერობით არაფერი გვინდა. ცოცხალი ხანში შემოიხედე, — უპასუხა მერაბმა და თავის სტუმრებს მიუბრუნდა: — მიდით ახლა, პატივი არ დამაწყებინოთ. ყველანი სამსახურიდან, დალილები მოვიდვართ და მშვიდები ვართ...

რომანი მაშინვე გამოცოცხლდა. თევზზე სანებელა დაისხა, ცალ ხელში პურის ნაჭერი მოიმარჯვა, მეორეში — ქათმის ბარკალი და მადიანად შეუდგა ჭმას.

— კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ კიდევ ბევრი რამის სწავლა მოგიწევს, — უკმაყოფილო სახით ჩაილაპარაკა მერაბმა, როდესაც ნიკამ მხოლოდ „ბორჯომი“ მოსვა...

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ნიკამ.

— რას უნდა ვგულისხმობდე, ბიჭო?! — გაეცინა მერაბს. — სუფრასთან ვართ, ამდენი ხანი არ შეგხვედრივართ ერთმანეთს, ლუკმა გატეხე, საქმე კი არსად გაგვექცევა...

— არ გეწყინოს, მერაბ. მართლაც, არა ვარ ქეიფის ხასიათზე, — უპასუხა ნიკამ.

— კარგი. იქნებ, ასე მაინც გამოგაცოცხლო, თორემ, უკვე ვგრძნობ, რომ მე და რომანსაც არ შეგვარგებ ამ პურმარილს, — ამ სიტყვებთან ერთად, მერაბმა თევზი გვერდზე გადადო, რომანს მიაჩერდა და ჰკითხა: — რით დაგაინტერესათ ჭელიძემ?

— იცი, რომელ საქმეზე ვმუშაობთ? — ჰკითხა რომანმა.

— ვიცი.

— მურტალი საქმეა, ბუნდოვანი... აქამდე ვერც ერთი ფაქტი ვერ დაუუკავშირეთ ერთმანეთს. ახლა კი, საქმეში ეს ჭელიძეც გამოეჩინა, — უპასუხა რომანმა.

— მე დაახლოებით მაინც ვიცნობ მაგ საქმეს და ვერ ვხვდები, საიდან გახვედით ჭელიძეზე? — თქვა მერაბმა.

— ნიკამ შემთხვევის ადგილზე, მობილურის დეპოზიტის გასააქტიურებელი ბარათი იოვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ბარათით შეავსეს გორგაძის მობილურის ანგარიში, მაგრამ ამ დროს ის უკვე მკვდარი იყო...

— ჰოდა, თქვენც თავისთავად გაგიჩნდათ კითხვა: რამე ხომ არ აკავშირებს იმ მობილურთან ჭელიძეს? — განაგრძო მერაბმა.

— მგონი, ლოგიკური კითხვაა... — ჩაილაპარაკა რომანმა.

— საესებით, — დაეთანხმა მერაბი, — ყველა გამოძიებული ასე მოიქცეოდა.

— მაინც, რა კაცია ის ჭელიძე? — საუბარში ჩაერთო ნიკა.

— იმედი უნდა გაგიცრუოთ, ბიჭებო. ჭელიძე არაა ის კაცი, რომელსაც თქვენ ეძებთ.

— საიდან ასკვნი? — ჰკითხა რომანმა.

— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჭელიძეს უბრალოდ, არ შეეძლო იმ ბარათით ანგარიშის შევსება, მით უმეტეს — თავდასხმაში მონაწილეობა. ის იმ დროისთვის უკვე აყვანილი იყო, — უპასუხა მერაბმა.

— ვიცი, მაგრამ მას მობილურის ვინმესთვის მიცემა შეეძლო, — შენიშნა ნიკამ.

— არ შეეძლო, — თავი გააქნია მერაბმა.

— რატომ? — გაუკვირდა ნიკას. — მას შეეძლო, მობილური გორგაძის მკვლელობის შემდეგ მიეთვისებინა და ვინმესთვის მიეცა...

— მხოლოდ თეორიულად, რეალურად კი... — მერაბმა პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო: — იმ დღეს მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც შემთხვევის ადგილზე მივიდა. მე თვითონ დავათვალიერე ყველაფერი. გორგაძის ყველა ნივთი ადგილზე აღმოჩნდა. მას ფულიც ჰქონდა ჯიბეში. მაგრამ ეს არ არის მთავარი. გვამს ჯიბეში სუბუტექსის მოზრდილი შეკვრა აღმოუჩინეთ. უფრო ზუსტად — 24 „კაკალი“... როგორ გგონია, რა უფრო დაინტერესებდა ჭელიძეს — მობილური თუ სუბუტექსი, რომლის გაყიდვითაც, ის შვიდი ასეთი აპარატის ყიდვას შეძლებდა?.. თან გაითვალისწინე, რომ ჩვენ „ბარიგაზე“ ვლაპარაკობთ!..

— რა კაცია ჭელიძე? — პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ.

— ხომ გითხარი, „ბარიგაა“, — უპასუხა მერაბმა.

— დღეს ყველა ნაბიჭვარმა წამლის გაყიდვას მოჰკიდა ხელი. ისეთი ხალხი „ბარიგობს“, რომ... — აღარ დაამთავრა ნიკამ.

— ჭელიძეც ზუსტად ეგეთი ნაბიჭვარია. ერთი მხრივ, მეცოდება კიდევ, შეიძლება, გორგაძის სიასლოვემაც იმოქმედა მასზე. სად ჭელიძე და სად გორგაძე? გორგაძე ჩამოყალიბებული მორფინისტი და ახვარი იყო, ის კი — ჩვეულებრივი არიფი, რომელიც გორგაძემ შეაბა და „ბარიგობა“ დაწყებინა.

— მაგ არიფმა კურდღელივით გააგორა გორგაძე... — შენიშნა ნიკამ.

— ახალი კაცი ხარ ამ საქმეში, ნიკა, ბევრი რამის სწავლა მოგიწევს. ახლა კი, ერთი რამ დაიმასხვრე: ყველაზე მურტალი მკვლეელი — არიფია. ეგენი ძალიან ადვილად ღვრიან სისხლს. „შპანა“, რომელსაც ერთი ღერი სიგარეტის ან „დიშოვი“ მობილურისთვის შეუძლია კაცის მოკვლა. გორგაძე ასეთ საქმეს ხელს არ მოანერდა. იმან კარგად იცოდა სიცოცხლის ფასი და კიდევ ის, რომ მკვლელობის მუსლით „სროკზე“ წასულს, შავები პასუხს მოსთხოვენ. ჭელიძემ კი, ერთი პატარა პარტია სუბუტექსისთვის გამოემეტა. შიშის გამო გაიმეტა. ხომ აზრზე ხარ, რა „ბაზარი“ გაიმართებოდა მაგათ შორის?! გორგაძე არ იკადრებდა „გადაგდებას“. იმ გოიმს კი, ვილაცამ აახია წამალი! ამ დროს, გორგაძეს ჰუმანიტარული ფირმა არ ჰქონდა და მაგრად ეკიდა ჭელიძის მოკაიფე კურსულეები. აქ ნაღდ მაყუთზეა ლაპარაკი. ვისაც კაიფი უნდა, მაყუთიც უნდა გადაიხადოს. ჭელიძემ კი, მთელ პარტიაში „გადაადგო“



ახალგაზრდამ. — არ მინდა, ზაზასავით ნაგავსაყრელზე მიმბრუნდონ და ჭელიძე-ბივიტ „სროკზე“ გამიშვან!..

— ბიბლიურსაც ეგ აშინებს! — ამოიხრა ნანამ.

— ეგ ჩემი საქმე არ არის. მე სათქმელი გითხარით, დანარჩენი კი, თქვენ იცით. უბრალოდ, ის ბიჭები მეცოდებიან და...

— იქნებ, ქარუშმა გაშინებს?.. — ცივად შენიშნა ანამ. — იქნებ, შენც ზაზასთან ერთად იყავი წამლის ასაღებად და ახლა მესხი შენზეც ნადირობს?..

— ენა დაიშოკლე, ქალო! — გააფთრებული სახით გაიწია მან ანასკენ, მაგრამ უშუალოდ მოთოკა თავი, შებრუნდა და სირბილით გაეცალა იქაურობას.

— ეტყობა, მისთვის მტკივნეულად გიღიღის შევეხე, — ანამ მზერით გააცილა გაქცეული ახალგაზრდა. — შესაძლოა, ახლა მას სთხოვენ ფულის გადახდას და ჩვენი ხელით სურს მევალებებისგან გათავისუფლება.

— მე კი მგონია, რომ ამის უკან მესხი დგას, — ჩაილაპარაკა ნანამ.

— გამორიცხულია, — თავი გააქნია ანამ.

— რატომ?

— ეს მართლაც, მესხის სტილია, მაგრამ მისი ინფორმაციები არასოდეს ახსენებდა ქარუშას!

— შენ მართლაც, იცნობ ამ პიროვნებას? — ჰკითხა ნანამ.

— შენ არ იცნობ?

— არა.

— მე კი კარგად ვიცნობ და არაერთხელ შეხვედრივარ.

— სად? — გაუკვირდა ნანას.

— ყურბან ქარუშოვი, იგივე ბადრი ჯიბლაძე, ამჟამად, „უბრალოდ“ ქარუშა, პოლიციის ინფორმატორი, შემდეგ კი, ოფიციალური თანამშრომელი იყო. ძველი ამბავია: დაახლოებით ათი წლის წინ, პოლიცია ამ პიროვნებას, აზერბაიჯანიდან ნარკოტიკის შემოსაზიდი გზების გამოსავლენად იყენებდა. ეტყობა, ქარუშამ ამ საქმეს კარგად გაართვა თავი, რაშიც ჯიბლაძე, პოლიციელის სამხრეები მიიღო. მცირე ხნის განმავლობაში, ლაგოდესსა და ახმეტაში აწიოკებდა ნარკოვაჭრებს, შემდეგ კი თბილისში გადმოიყვანეს. სწორედ ამ დროს იქცა ქარუშოვი ჯიბლაძედ. ოთხი წლის წინ კი, ის საერთოდ დაითხოვეს პოლიციიდან და მანაც მაშინვე მოჰკიდა ხელი ძველ „ხელობას“: ის ხომ შესანიშნავად იცნობდა საქართველოში მოქმედ ნარკოქსელს და ასე მოეგვინა თბილისს ქარუშა...

— მერე, ეს ნარკოვაჭარი ასეთი გავ-

ლენით სარგებლობს? — ეჭვით იკითხა ნანამ.

— ის მთელ ქსელს და ამასთან ერთად, უზარმაზარ თანხებს აკონტროლებს. ასე რომ, თავის სამყაროში მართლაც, დიდი გავლენით სარგებლობს. მის შესახებ ჩემს მეგობარს, გოგას საკმარისი მასალა დაუგროვდა. მაგრამ ეს მასალა ვერაფერში გამოიყენა. აქამდე, ქარუშას ვერაფერი დააკლო!.. — უკმაყოფილო სახით ჩაილაპარაკა ანამ.

— და ჩვენც ვერაფერში დაგვეხმარება ამ მოხალისე ინფორმატორის ნაამბობი...

— დაამატა ნანამ.

— ვერ დაგვეხმარება... — ანამ პაუზა გააკეთა და შემდეგ ჰკითხა: — გიოს თავის ჩვენებებში ამაზე არაფერი უთქვამს. მა-

ლაპარაკს?..

— ცდა ბედის მონახევრეა. უნდა დავკითხოთ, — ჩაილაპარაკა ანამ და გზატკეცილისკენ შებრუნდა.

ნიკა მოლუშული შეეგება კაბინეტში შესულ რომანს.

— რა მოხდა? — ჰკითხა ჯგუფის ხელმძღვანელმა და მის პირისპირ დაჯდა.

ნიკას არაფერი უთქვამს. მხოლოდ ფურცელი გაუნოდა, რომელიც წინ ედო. რომანმა სწრაფად წაიკითხა ტექსტი და ხელქვეითს გაოცებული მზერა მიაპყრო. ნიკა ძიებიდან ჩამოშორებას ითხოვდა.

— რაზე ხომ არ გაქვს სანინააღმდეგო? — მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ.

— რას ნიშნავს ეს? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა რომანმა.

— არაფერს. უბრალოდ, აღარ მინდა ამ საქმეზე მუშაობა. მაქვს ამის უფლება?

— გაქვს. მაგრამ მიზეზი უნდა მიუთითო. ჩვენ სახელმწიფო სამსახურში ვართ და აქ არ „მოსულა“, მინდა-არ მინდა!

— არ გამაჩნია ამ საქმის ძიებისთვის საჭირო გამოცდილება. საკმარისია?..

— განცხადებისთვის საკმარისია, ჩემთვის — არა!.. — ცივად მიუგო რომანმა.

— სხვა გზა არ არის — უნდა იკმარო... — ასევე ცივად უპასუხა ნიკამ და ფეხზე ადგა.

— რას აკეთებ? — წამოდგა რომანიც.

— განცხადებას უჩემოდაც მიხედავ. მე რაში გჭირდები?

— მოიცადე! — თქვა რომანმა და უშუალოდ მოიძრა მობილური. — მამაშენთან შეხვედრის გარეშე, ვერსად წახვალ!..

— რატომ?

— მე თავიდანვე გაგაფრთხილე, რომ შენს სუსტურებს არ მოგიტოვებდი. ამ განცხადებასაც არ მივცემ მსვლელობას. აგიყვან მამაშენთან და იქ ერთმანეთში გააჩვენებ ურთიერთობა, — თქვა რომანმა და სწრაფად აკრიბა დავითის ტელეფონის ნომერი.

ნიკას გასაოცრად, დავითმა არ ისურვა თავის კაბინეტში მათთან შეხვედრა და რამდენიმე წუთში თავად ეწვია რომანის კაბინეტში.

— რა ბუზმა გიკბინა?! — ოთახში შემოსვლისთანავე შეუტია შვილს.

— არაფერი. უბრალოდ, გავითვალისწინე შენი სურვილი და ამ საქმისგან ჩამოშორება გადავწყვიტე. შენ ხომ ეს გსურდა?! — უპასუხა ნიკამ.



გრამ აყვანის დროს, ის ზაზას სიახლოვეს იმალებოდა და შესაძლოა, მართლაც დაადასტუროს ქარუშას იქ ყოფნის ფაქტი.

— მას არაფერი უთქვამს ამის შესახებ და თანაც, ნაკლებსავარაუდოა, რომ იმ დროს, ქარუშა და მესხი ერთად ყოფილიყვნენ.

— მე კი, პირიქით, მგონია, უფრო მეტიც — დარწმუნებული ვარ, რომ ქარუშა მესხთან ერთად ან მის სიახლოვეს იმყოფებოდა. მესხი მფარველობას უწევს ნარკოვაჭრებს, მაგრამ მის გასაკეთებელს მაინც არ გააკეთებდა... იქნებ, კიდევ ერთხელ დავკითხოთ გიო?

— არც კი ვიცი, რა გითხრა... შეძლებს ასეთ მდგომარეობაში მყოფი,



— მარტო დაგვტოვე! — უბრძანა დავითმა რომანს.

მან სწრაფად შეასრულა განკარგულება და კაბინეტიდან გავიდა.

— რა მოხდა, ნიკა? — მშვიდად განაგრძო დავითმა.

— დავილაღე, მამა. ვგრძნობ, რომ არ არის აქ ჩემი ადგილი.

— რატომ?

ნიკამ ჩაფიქრებული მზერა მიაპყრო. იმ წუთებში მართლაც სურდა, მამასთან გულახდილი საუბარი, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს კარგს არაფერს მოიტანდა და მის გეგმებსაც არ ევდა.

— რატომ ხარ ჩუმად?

— არაფერი მაქვს სათქმელი. მხოლოდ ერთს გთხოვ: გამათავისუფლე!..

— კარგი, მაგრამ შენ ზუსტი მიზეზი უნდა მითხრა.

„მიზეზი...“ — გაიფიქრა ნიკამ. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ის აღარ ენდობოდა რომანს. წინა საღამოს, ბიბილურის თაობაზე საუბრისას, საეჭვოდ მოეჩვენა მისი გაღიზიანება. თავადაც ვერ გააცნობიერა, თუ რატომ მოიქცა ასე, მაგრამ ლაპარაკის დასრულებისთანავე, სამმართველო დატოვა და ტოტალიზატორთან დაბრუნდა. იმ დროს, ბიბილური ისევე იქ იმყოფებოდა და საფეხბურთო მატჩის დამთავრებას ელოდა. ნიკამ თავადაც კი არ იცოდა, თუ რას ელოდა. მაგრამ ინტუიციურად გრძნობდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. და ეს რაღაც მართლაც, მოხდა...

ნიკა ფარულად ადევნებდა თვალს ინფორმატორს, როდესაც მას მობილურით დაურეკეს. როცა ნიკა ტოტალიზატორში იყო მისული, ბიბილურს რამდენჯერმე დაუკავშირდნენ ტელეფონით, მაგრამ მაშინ ის მშვიდად პასუხობდა თანამოსაუბრეს. ამჯერად კი, მან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მოისმინა, შემდეგ, ფეხზე წამოვარდა და სირბილით დატოვა იქაურობა. მისი საქციელით გაოცებული ნიკა ფრთხილად მიჰყვა ინფორმატორს და სულ მალე იხილა ის, რის ნახვასაც მართლაც, არ ელოდა: ბიბილურს მერაბ მესხის თანამშრომლებმა — ბრეგვაძემ და რევიშვილმა მოაკითხეს. იოლი მისახვედრი იყო, რომ ინფორმატორი სწორედ მათ ელოდა: როგორც კი რევიშვილის მანქანა შენიშნა, სწრაფი ნახვილი გადაკვეთა ქუჩა. მანქანა არც კი შეჩერებულა, მხოლოდ სვლა შეანელა და როგორც კი ბიბილური მიმავალ მანქანაში შესტა, სწრაფად მოუმატა სიჩქარეს და მოსახვევში მიიმალა. ნიკა უკან დაედევნა პილიციელებს, მაგრამ მათ შენიშნეს და

სისწრაფეს უფრო უმატეს. ამის შემდეგ ნიკა მიხვდა, რომ მათ დევნას აზრი აღარ ჰქონდა, უკან გაბრუნდა და თავის ეჭვში დასარწმუნებლად, ბიბილურის სახლთან მივიდა.

ჩასაფრებულმა, იქ მთელი ღამე გაატარა, მაგრამ — ამოღ: იმ ღამით ბიბილური შინ არ დაბრუნებულა. დილით ნიკამ დაასკვნა, რომ ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა, სამმართველოში დაბრუნდა და ძიებიდან ჩამოშორების თაობაზე განცხადება დანერგა.

რატომ მოიმოქმედა ეს და რატომ მიანერა მომხდარი რომანს? — ეს კითხვა მრავალჯერ დაუსვა საკუთარ თავს. ერთი შეხედვით, მომხდარში არაფერი იყო განსაკუთრებული. შესაძლოა, ბიბილური თავად დაუკავშირდა მესხს და მასთან შეხვედრის შესახებ აცნობა. ასევე შესაძლებელი იყო, რომ სწორედ მესხს ებრძანებინა ინფორმატორისთვის, რომ მი-



მალულიყო. მაგრამ ნიკა დარწმუნებული იყო, რომ მოვლენები სრულიად სხვა სცენარით განვითარდა. ამის საფუძველს ბიბილურის საქციელი აძლევდა: მასთან ლაპარაკის შემდეგ, ხელშეუხებლობაში დარწმუნებული ინფორმატორი ტოტალიზატორს დაუბრუნდა. ამასთან ერთად, ის მშვიდად პასუხობდა სატელეფონო ზარებს. მღელვარება მხოლოდ ბოლო ზარის შემდეგ დაეტყო — მაშინ, როდესაც სირბილით მიატოვა ტოტალიზატორი და მესხის თანამშრომლებთან შესახვედრად გაემშურა. იმ ზარამდე, პოლიციის თანამშრომლები მისით არ დაინტერესებულან და არც ბიბილური აღელვებულა.

„რა მოხდა ამ შუალედში?“ — ჰკითხა ნიკამ საკუთარ თავს.

მხოლოდ ერთი რამ: ნიკა რომანს შეხვდა და ბიბილურის თაობაზე ელაპარაკა. ეს საკმარისი აღმოჩნდა პოლიციელებისა და ბიბილურის შესახვედრად, რასაც ინფორმატორის გაუჩინარება მოჰყვა!..

ნიკას მართლაც, სურდა ამის თაობა-

ზე მამასთან დალაპარაკება. სურდა, რჩევაც ეკითხა. მაგრამ მაინც შეიკავა თავი. ხვდებოდა, თუ რა მოჰყვებოდა ამას: დავითი მოისურვებდა, მომხდარში თავად გარკვეულიყო და ვიდრე ეს მოხდებოდა, მესხი კიდევ მოიმოქმედებდა რამეს. ეს კი ნიკას ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომაც, მესხის მიერ შემოთავაზებული წესებით თამაში არჩია და გააკეთა ის, რასაც მისგან ელოდნენ — უარი თქვა შემდგომ ძიებაზე და ასპარეზი რომანს გაუთავისუფლა.

— ესე იგი, მაინც არ ამბობ, რაშია საქმე... — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იკითხა დავითმა.

— მე ყველაფერი გითხარი, — უპასუხა ნიკამ.

— კეთილი. შენ თვითონ გსურდა ამ საქმეზე მუშაობა, ახლა კი წასვლა გადაწყვიტე. არ დაგიმალავ და მართლაც, კმაყოფილი ვარ: ასე უფრო მშვიდად ვიგრძნობ თავს. შეგიძლია, სამტრედიისში დაბრუნდე. მაგ საკითხს კი, რომანი თავად მოაგვარებს.

— შენ ვერ გამიგე, მამა, — ჩაილაპარაკა ნიკამ, — მე სამტრედიისში დაბრუნებას არ ვაპირებ...

— რაო?! — მოიღრუბლა დავითი. — რას ნიშნავს, არ აპირებ?

— ამ საქმემ დამარწმუნა, რომ ვერ შევძლებ გამომძიებლად მუშაობას.

— რატომ?

— თურმე გამომძიებელმა ძალიან ბევრი ადამიანის ინტერესი უნდა გაითვალისწინოს — თუნდაც, ძიების და საკუთარი ინტერესების

საზიანოდ!

— ესე იგი, მაინც რომანის გამო მიიღე ეს გადაწყვეტილება?! — ბრაზით ისროლა დავითმა.

— არა, რომანი არაფერ შუაშია, — იუარა ნიკამ. — არ მომწონს და არც მინდა საგამომძიებლო მუშაობა.

— პროკურატურაში გადაგიყვან.

— არ მინდა. იქაც იგივე ატმოსფერო დამხვდება.

— მოსამართლის თანაშემწედ... — განაგრძო დავითმა.

— არა, — თავი გააქნია ნიკამ.

— მაშ, რა გინდა?.. — გაღიზიანდა დავითი.

— ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია. შეიძლება, კერძო პრაქტიკას მოვკიდო ხელი. საადვოკატო ფირმას დავაფუძნებ. — შენ ხომ არ შეიშალე?! ამის უფლებას არ მოგცემ!

— მე არც გთხოვ ნებართვას.

— ნიკა!.. — წამოიწყო დავითმა.

— არ არის საჭირო, მამა. გადან-

ყვეტილებას მაინც აღარ შეეცვლი.

დავითი დიდხანს დუმდა. შემდეგ, საფეხქლები მოისრისა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— მაშინ, ერთი რამე შემისრულე.
— რა?
— ჯერჯერობით, ამით დავამთავროთ ლაპარაკი. სალამოს კი, შინ, წყნარ ვითარებაში გადავწყვიტოთ ყველაფერი.
— კეთილი, — დაეთანხმა ნიკა და წამოდგა.
— და კიდევ ერთი რამ: ჯერჯერობით, დედაშენს ნურაფერს ეტყვი. შენც კარგად იცი, როგორ უნდოდა შენი პროკურორად ხილვა, — დაადევნა დავითმა.
— არაფერს ვეტყვი, — აღუთქვა ნიკამ და კარი გაიხურა.

გიომ გაჭირვებით აზიდა ქუთუთოები. ჯერ ანა შეათვალისერა, შემდეგ, ნანას მიაპყრო მზერა.
— ეს შენი ახალი ადვოკატია, — ნანა უმალ მიხვდა, თუ რა აინტერესებდა გიომს.
— თქვენ აღარ ხართ ჩემი ადვოკატი? — ჰკითხა მან.
— ვარ, მაგრამ ახლა ანას მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე მე.
— მე ვვლარავინ დამეხმარება... — გიომ ისევ დახუჭა თვალები და ისე განაგრძო: — თავი დამანებეთ და თუ რამე შეგიძლიათ, ჩემს ძმას მიხედეთ...
— დამშვიდდი და თუ შეძლებ, რამდენიმე კითხვაზე მიპასუხე, — ჩაურთო ანამ.
— რა გაინტერესებთ?
— ვინმე ქარუშას თუ იცნობ? — ჰკითხა ანამ.
— არა... — უპასუხა გიომ.

ანამ პაუზა გააკეთა. შემდეგ, გიოსკენ გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:
— ამას, როგორც ადვოკატი, არ გეუბნებოდა, მაგრამ მაინც გეტყვი: ქარუშა ყოფილი პოლიციელი, ამჟამად კი ცნობილი ნარკოვაჭარია. ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე, შენმა მეგობარმა, ზაზა გორგაძემ ეს პიროვნება „გადაადგო“: სუბუტექსის პარტია გამოართვა და ფული არ მისცა...
— ზაზა წამალს აღარ იკეთებდა, — შეანყვეტინა გიომ.
— ვიცი, მაგრამ ის წამალი სხვისთვის უნდოდა. თუმცა, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ ქარუშა ზაზას მოსისხლე მტრად გადაიქცა. ის და მესხი კი, ახლო მეგობრები არიან. ახლა თუ ხვდები, ვინ იყო დაინტერესებული ზაზას სიკვდილით?...
გიომ სწრაფად გაახილა თვალები და აკანკალებული ხმით თქვა:
— მახსოვს!.. აქამდე ამაზე არც მიფიქრია, ახლა კი გამახსენდა: მე მათ სიახლოვეს ვიმალებოდი და მოვისმინე, როგორ უთხრა მესხმა ზაზას: საერთო ნაცნობს შეგახვედრებ და თუ მისი ნაამბობი მართალი აღმოჩნდაო...
— და ვინ იყო ის ნაცნობი? — ჩაეძინა ანა.

— ქარუშა! და იმ ღამით ის იქ იყო, ნაგავსაყრელზე... — ჩაილაპარაკა გიომ.
— გიომ... — მცირე პაუზის შემდეგ შეესმინა ანა. — კიდევ რამეს ხომ ვერ გაიხსენებ?
— არა, მხოლოდ ეს მახსოვს და... ჰო, მახსოვს: ზაზამ ჰკითხა მესხს — ვის გულისხმობ? იმან კი უპასუხა — ქარუშასო. შემდეგ, ზაზა ძალით ჩასვეს მანქანაში და ნაგავსაყრელისკენ წაიყვანეს. იქ, სადაც დილით მკვდარი იპოვეს...
— ეხე იგი, შენ ქარუშა არ გინახავს?
— არა.
— აქამდე რატომ არ გვიამბე ამის შესახებ? — ჩაეძინა ნანა.
— არ მეგონა, თუ ეს ასეთი მნიშვნელოვანი იყო და ამაზე არც გამიმახვილებია ყურადღება. კიდევ რა გაინტერესებთ?
— არაფერი. აღარ განვალბებ... ახლა ჩვენ ნავალთ და შენ ორი პირობა უნდა მოგვეცე, — განაგრძო ანამ. — პირველი ის, რომ რაიმე სისულელეს აღარ ჩაიდენ და მეორე: ყველაფერს გააკეთებ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდე. გახსოვდეს, რომ შენ დედა გელოდებ...
— ვეცდები... — მოქანცული ხმით ჩაილაპარაკა გიომ და თვალები დახუჭა.
ნიკას თითქმის მთელი საათი ჰქონდა გატარებული იზოლატორთან, როდესაც ანა და ნანა შენიშნა.
— აქ რას აკეთებ?! — გაცოცხლებული შედგა ანა, როდესაც მისკენ წამოსული ნიკა დაინახა. — ისევ შემთხვევით ვხვდებით ერთმანეთს?..
— არა. ამჯერად, არა: აქ შენს საანახავად მოვედი.
— საიდან გაიგე, აქ რომ ვიყავი? — ეჭვით ჰკითხა ანამ.
— კარგი, რა! — გაიცინა ნიკამ. — ნუ ხარ დაძაბული და ერთხელ და სამუდამოდ დაიჯერე, რომ არ გითვალთვალეს. უბრალოდ, შენი ნახვა მიინდოდა. ოფისში დაავრკეე. იქ მითხრეს, რომ შენ და ნანა იზოლატორში იყავით... გავაგრძელო თუ დანარჩენს თავად მიხვდები?
— რისთვის გინდოდა ჩემი ნახვა?
— ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ ანასთვის რამდენიმე სიტყვა მაქვს სათქმელი, — ნანას მიუბრუნდა ნიკა.
— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ის და ავტოსადგომისკენ გაეშურა. ნიკამ კი, ანას ხელკავი გამოსდო, საპირისპირო მხარეს წაიყვანა და უთხრა:
— ეს დღე ჩემთან უნდა გაატარო...
— არ შემიძლია, ძალიან დაკავებული ვარ. საქმეში ახალი დეტალები აღმოჩნდა. ასე რომ...
— არა, ანა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.
— რა შეგემთხვა? — ანას არ გამოჰპარვია ნიკას მღელვარება.
— ძიებას ჩამოვშორდი...
— შენი სურვილით?
— განცხადებაში ასე დავწერე. ისე კი — მაიძულეს, — ამოიხსრა ნიკამ.

— სანყენია. ვგრძნობ, რომ ადრე თუ გვიან, ეს საქმე მაინც მიმიყვანდა სამართველომდე და მერჩივნა, იქ ყოფილიყავი...
— სწორედ ამიტომ მოვედი შენთან.
— რისი თქმა გინდა?
— როგორც ადვოკატი ჩამრთე ქვლიძეების საქმეში, — სთხოვა ნიკამ.
— როგორ?! შენ ხომ საგამოძიებოში მუშაობ!..
— მალე აღარ ვიმუშავებ.
— ხუმრობ?
— არა... მაშ, რას მეთყვი? თანახმა ხარ თუ — არა?
— არც კი ვიცი, რა გითხრა. მგონი, არ ღირს ამის გაკეთება, — შეეყოყმანდა ანა.
— არ გევაჭრები, მაგრამ მაინც ვეცდები ამით შენს დაინტერესებას: ერთი ჩანაფიქრი მაქვს...
— მევაჭრე, — გაუღიმა ანამ.
— საქმეში, რომელსაც აქამდე ვიძიებდი, ოთხი გარდაცვლილია. ერთ-ერთი მათგანის ძმა, ზარანდია კი, ძალიანაა დაინტერესებული საქმის გახსნით. მე მასაც შევთავაზებ ჩემს სამსახურს და დარწმუნებული ვარ, ადვოკატად ამიყვანს.
— რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩემთვის? — გაუკვირდა ანას.
— დღეს ძნელია ამაზე მსჯელობა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამ საქმეებს რაღაც აკავშირებს ერთმანეთთან, — უპასუხა ნიკამ.
ანა რამდენიმე წამით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:
— ნანას უნდა შევუთხარებ.
— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.
— მაგრამ ამას მთელი დღე არ დასჭირდება...
— არა, ანა. გთხოვ, ეს დღე დამითმო, — სწრაფად თქვა ნიკამ.
— რისთვის?
ნიკამ პაუზის შემდეგ უპასუხა:
— ხომ ხვდები, როგორი იყო მამაჩემის რეაქცია, როდესაც ამის შესახებ ვუთხარი?
— მამაშენს უთხარი, რომ ჩემთან მოდიხარ ადვოკატად? — დაიბნა ანა.
— არა. უბრალოდ ვუთხარი, რომ საგამოძიებოდან მივედივარ.
— და რა შუაში ვარ მე? — ჰკითხა ანამ.
— მამაჩემს სალამოს სურს ჩემთან ლაპარაკი და მე მინდა, რომ შენ ჩემ გვერდით იყო... — თვალბრუნებით ჩაახვედრა ნიკამ.
— არა. ამაზე ვერ დაგთანხმდები, — იუარა ანამ.
— რატომ?.. შენ ბევრჯერ ყოფილხარ ჩემს სახლში და ჩემი დედ-მამაც კარგად გიცნობს.
— კი, მაგრამ... — შეეყოყმანდა ანა.
— გთხოვ, ნუ მეთყვი უარს... ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩემთვის...
ანა დიდხანს ფიქრობდა. შემდეგ, მხოლოდ ერთი სიტყვით უპასუხა:
— კეთილი!...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„მცინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემს“...

მას შემდეგ, რაც იუდეის პატარა დასახლების — ბეთლემის ერთ-ერთ გამოქვაბულში სორციელად იშვა ცოდვის, მარადიული სიკვდილისა და ეშმაკის მონობაში მყოფი კაცობრიობის მსხნელი — უფალი იესო ქრისტე, ქრისტიანებისთვის ბეთლემი სათაყვანებელ და წმინდა ადგილად იქცა. უფლის შობის ადგილას ამჟამად, ულამაზესი შობის სახელობის ტაძარია აღმართული. ბეთლემში, მაცხოვრის შობის ადგილას უდიდესი მადლია დავანებული. ეკლესიის მამათა მოძღვრებით, ადგილნი, რომლებიც ბეთლემად იწოდებიან, მოზიარენი არიან მისი მადლისა. ამ მადლის თანაზიარე ადგილი საქართველოშიც გვხვდება — ხევის ერთ-ერთი სალოცავი, ბეთლემის მღვიმე, რომელიც მცინვარწვერის კლდეშია გამოკვეთილი: „მცინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემს. გარნა საჭიროდ (ძნელად) ასასვლელი არს“, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი. თვითონ სიტყვა — ბეთლემი „სახლს პურისას“ ნიშნავს.

მორენა მერკვილაკე

ბეთლემის მღვიმე ზღვის დონიდან 4000 მეტრზე მდებარეობს, თუმცა როდის ან ვის მიერაა გამოკვეთილი ეს ქვაბული, ამის შესახებ ზუსტი, დანვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. ხალხური გადმოცემის თანახმად, ბეთლემი წმინდა გიორგის საბრძანებელია — აქედან უცქერდა თურმე დიდმონაშე მთელ საქართველოს და როდესაც მტერი დაესხებოდა თავს, თავის მერანს გამოაგეღვებდა და ბრძოლის ველზე ქართველთა ლაშქარს წინ მიუძღოდა.

იმ კლდის ძირში, სადაც ბეთლემის ქვაბულია გამოკვეთილი, ბეთლემის მონასტერი არსებობდა, ეკლესიითა და ბერთა საცხოვრებელი სენაკებით. მონასტერი ქართველთა განმანათლებელს, წმინდა ნინოს დაუარსებია, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ იქ მოღვაწე მუუდაბნოე ბერებს ძალზედ მკაცრ პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა.

ბეთლემის მღვიმე-ქვაბულიდან მონასტრამდე ხუთი მეტრი სიგრძის ჯაჭვი ყოფილა ჩამოშვებული. სწორედ ამ ჯაჭვის მეშვეობით უკავშირდებოდნენ მონასტერში მოღვაწე ბერები და მომლოცველები ბეთლემის გამოქვაბულს, რადგან ძნელად მისაღვალ მღვიმეში მოხვედრა სხვა გზით შეუძლებელი იყო.

ბეთლემში მრავალი საეკლესიო სინწინდე ყოფილა დაცული. მემკვიდრეობა (ცნობით, ძნელად მისაღვალ მღვიმეს ძველთაგანვე ხშირად იყენებდნენ საეკლესიო სინწინდეთა განსაცავად. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სხვა საეკლესიო სინწინდებთან ერთად, იქ უფლის აკვანი და აბრაამ მამამთავრის კარავი ინახებოდა: „იტყვიან უფლისა აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსვეტოდ“, — წერს იგი. ბათლემში ამ სინწინდების არსებობის შესახებ, სხვა წყაროები თუ ზეპირი გამოცემებიც მოწმობენ. იონანე ბატონიშვილის მონ-

ობით, მეფე ერეკლეს დროს, ბეთლემში წმინდა მამა იოსებ მოხვევ ასულა. მას იქ მრავალი საეკლესიო სინწინდე უხილავს, რომელთა შორისაც, უფლის აკვანს და აბრაამის კარავსაც ასახელებს. კარავისთვის ღმერთმემოსილ მამას, იოსებ მოხვევს მცირე ნაწილი ჩამოუკვეთია და ერეკლე მეფისთვის მიუერთმევეია.

ბეთლემში უფლის აკვანის არსებობაზე



მოგვიტბრობს მოხვეური თქმულება: გერგეტის უდაბნოში ცხოვრობდა წმინდა ბერი — მამა მამუკა. მას ერთხელ წმინდა გიორგი გამოეცხადა და უთხრა: „შენი ღვთისმოსაობა ღირსს გხდის, ნახვიდ და მცინვარწვერზე ჩემი საბრძანისი იხილო. მისი ნახვა ბევრს ენატრება, ბევრსაც უცდია, მაგრამ იქამდე ვერავინ მიაღწია. ვერც ვინმე მიაღწევს უწმინდური, მხოლოდ წმინდანებს აქვს ჩემი ნებით იქ ასვლის უფლება“. თან აუწყა, ბეთლემის გზას რომ გაუდგები, საკ-

იდელი წაიღე და ვინმე გაიყოლეო.

ხილვის შემდეგ, ღირსი მამა გერგეტის სამების ტაძარში შევიდა. იქვე დაყო შვიდი დღე-ღამე, ლოცვასა და მარხვაში. შემდეგ, ბეთლემისკენ გაემართა — საკიდელიც წაიღო და თავისი ძმისწული გაიყოლა. სამი დღის მერე, ბერმა წმინდა გიორგის მინიშნებით, ძმისწული ერთ ადგილას დატოვა და უთხრა: აქ დამელოდე, სანამ დავბრუნდებიო. ორი დღის შემდეგ, ბერი უკან დაბრუნდა და ძმისწულს შემდეგი მოუთხრო: ღირსი გახვდი მენილა ბეთლემის მშენიერი ტაძარი, რომელიც ყინულის მთის წვერზე დგას. იქ ასასვლელად ყინულში გამოკვეთილ კიბეს ავუყვიე. როდესაც კიბე ავათავე, ბეთლემის ეკლესიასთან მოხვდი, რომელიც ყინულის კალოზე იდგა და თვითონაც ყინულისგან იყო ნაკვეთი. ეკლესიაში შესულმა იატაკზე მდგარი ოქროს აკვანი ვიხილე, რომლის ზემოთაც მტრედი ზის და მას არწევსო. საკურთხეველში კიდევ ერთი საკვირველება ვიხილე, მაგრამ ნება არა მაქვს გაიამბო. თუკი სურვილი გაქვს, შენც შეიქმნე იმ საკვირველების ხილვის ღირსი, ცოდვას ნურასოდეს ჩაიდენ, ნურც იმას იტყვი, რაც ახლა გაიამბეო. ამის შემდეგ, ბერი წავიდა და მის კვალს ვერავინ მიაგნო...

ბიჭი თავის მშობლებთან დაბრუნდა. ვერ მოითმინა და ბიძის ნაამბობი მათ მოუთხრო. ამის შემდეგ, მეტყველება დაკარგა.

მოხვევებს ძველთაგანვე ბეთლემის დიდი კრძალვა ჰქონდათ, მის შემოგარენში ნადირობას ვერავინ ბედავდა, მაგრამ რამდენიმე მოხვევს მაინც გაუბედავს ბეთლემის ახლომახლო ნადირობა და თვალისჩინი დაუკარგავს. იმასაც ამბობენ, დაჭრილი ჯიხვი თუ ბეთლემის გამოქვაბულამდე მიაღწევდა, იკურნებოდაო. მოხვევებს დღემდე სწამთ ბეთლემის სასწაულომოქმედების, დაბრმავებასაც ერიდებიან და მის საზღვრებში სანადიროდ არავინ შედის.

სერგი მაკალათიას „ხევის“ თანახმად, ბეთლემში ორი სასწაულომოქმედი ხატი იყო დაბრძანებული — „მცინვარის წმინდა გივარგი“ და „ბეთლემის ყოვლადწმიდა“.

სამწესბაროდ, ჟამთა სვლამ ბეთლემში თითქმის ყველაფერი წაღწა, მონასტერი ხომ საუკუნეების წინ დაცარიელდა. ამჟამად, იქ მხოლოდ ეკლესიის, სენაკებისა და გამოქვაბულების ნანგრევებია შემორჩენილი. ასევე, ქვის ჯვარი, აიაზმის ქვის ჭურჭელი და მარხილის ნაწილები, რომლითაც მონასტერში მოღვაწე ბერები თურმე, შეშას ეზიდებოდნენ.

სასოწარკვეთილი დიასახლისის პრაქტიკულუბრივი თავბადასავალი

ღაა ცუხკირიმა

არა, რალაცა დამემართა! მეც არ ვიცი — რა, უბრალო ფორიაქი?.. მოუსვენრობისგან ჯერ ჩემს ჩამოხეხილ კარფანჯარას მივადექი და მოგონილი მტვერი გავაცალე, მერ, სადილი გავაზადე, მოზრდილ ქვაბში — ვითომ არმიას ველოდი დასაპურებლად... საქმიანობამ რომ ვერ მიხსნა, ასი პირი ტყავი ავიძვერე, იმდენ ხანს ვიბანავე, მაგრამ — არა-ფერი! დაგნეცი და ჩაერთე ტელევიზორი. იმან სულ დამლუპა! იმან გადამიქცია სახლი საბყრობილედ!

ნარკომინაზე იყო გადაცემა. დებატები... ერთი ქალი, კაიფი რა არის, იმას ხსნიდა. გამოვალე მაცივარი და გამოვცალე ერთი ბოთლი ლუდი. წამოგნეცი ისევე და „შემებრა-ლა ჩემი მარტოობა“... ლუდმა მოდუნება იცის, არ უნდა დალიო, თუ არ გაქვს ამის თავი.

გამოვედი ქუჩაში. შემომიბერა ცივმა ნია-ვმა. დარდს ვერაფერი დააკლო, მე კი შემე-ცივა. შევედი იქვე, საპარფიუმერიო მაღა-ზიაში. სურნელი, სითბო და გამყიდველი გოგონა შემომეგებნენ... გოგონა მილიმოდ კიდევ ჩავისხედე სარკეში და... თავი მომეწო-ნა. სიცივეს ჩემი ხორბლისფერი კანი გაეთე-თრებინა, ქარს, ღერა-ღერა დავარცხნილი თმა ლამაზად აეწუნა, ლუდს თვალებისთვის ვენება, ლამეს და ამ არაჩვეულებრივ გარემოს — შარმი შეემატებინა... ნელში გავსწორდი და შევირგე ამ საღამოს პირველი საჩუ-ქარი... დიდხანს ვარჩიე... ბოლოს, ავირჩიე სუნამო და, გამთბარი და მოლიმარი, გარეთ გამოვედი. აღარ ციოდა, თუ მე გამითბა სხეული — არ ვიცი, მაგრამ თავს კარგად ვგრძობობდი... მამაკაცებიც მიყურებდნენ. მათ იციან ხოლმე ბედნიერი ქალის ამოცნობა...

მეერ რაც დამემართა, გნებავთ, ფანტაზიას მიანწერთ, გნებავთ — ბახუსს, — ასე კი მოხდა...

ჩემმა ბედმა გაიღვიძა და გამოემეცხადა. დავიხარე და ძირს დაგდებული, გაკეცილი თეთრი კონფერტი ხელით მოვსინჯე. კონ-ვერტში ბილეთი იდო. თეატრის ერთი ბი-ლეთი.

თქვენ ყოფილხართ ოდესმე თეატრში მარ-ტო?..
 თქვენ თეატრში ათი წელია, აღარ ყო-ფილხართ?..

გავჩერე ტაქსი. ლიმუზინს ჰგავდა, დალ-ოცვილი!.. როცა ჩავეჯექი და გამოგონილი გულგრილობით — მარჯანიშვილის თეატრ-თან-მეთქი, — „მივუგდე“, — მიძლომა ღრ-მად ჩაისუნთქა ჩემი სუნამოს სურნელი და აღარც ამოუსუნთქავს, ისე მიმიყვანა თეატრის შემალღებულ კართან.

იასმინა რიზა. „ხელოვნება“. ვინ არის ნეტავ, ეს იასმინა? გაუგებარი სქესის ად-ამიანი... თემურ ჩხეიძე რატომ აირჩევდა გაუგებარს დრამატურგად?.. უცნაურია: თემურ ჩხეიძე ხომ რუსეთში მოღვაწეობს, მე ის ემიგრაციაში მგონია! ისე, ქართული ემიგრაციის თავისებურებას თუ ტრაგიკულ ბედს, ალბათ, ისიც იზიარებს... როგორ მითხრა იმ გოგონამ? ქართველი ემიგრან-ტი მსოფლიოში ყველაზე სევდიანი ადამი-ანი... ნუთუ, დიდ რეჟისორსაც მოერია ნოსტალგიაშერეული სევდა და ეს სპექტაკ-ლიც საკუთარ სევდაზე საღბუნის დასა-დებდა ხელმოვრედ გააცოცხლა?!

ბედის ირონია: დარბაზში, სადაც ბავშ-ვობა და სიყმანვილე გავატარე, ზუსტად ის ადგილი შემეხდა, საიდანაც ყველაზე მეტად მიყვარდა ტქერა, — მეორე რიგში, ოდნავ მარცხნივ... ჩემგან ხელმარჯვნივ, ხნიერი ქალ-ბატონი ზის, მარცხნივ — სიმპათიური წყვილი. მგონი, მარტო მე არა ვარ მარტო...

— მამაკითხეთ, ხომ არ იცით, დრამატურგი — ქალია თუ კაცი?

ვერ ვახერხებ ცნობისმოყვარეობის მო-თოვვას. ქალბატონი მიელი ტანი თ ტრი-ალდება ჩემკენ და პასუხი საკმარის ხმამალალი გამოსდის, რადგან სიმპათიური წყვილიც ჩემ გვერდით და პირველ რიგში მჯდომი მა-მაკაციც ჩვენკენ აბრუნებენ თავს.

— სქესშეცვლილი ქალი.
 გამმართლებია და გე არის!..

— მამაკითხეთ, იქნებ დამიზუსტოთ — ის ახლა ქალია თუ მამაკაცი?

— ქალი. იასმინა. უსამინი.

ყველანი ვსწორდებით და ვინ რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ მე რომ ამ უცნაური ბედის დრა-მატურგზე ვერ ვერაფერს ვიტყვი, ზუსტად ვიცი. ვნახოთ, რა მოხდება. ად-ამიანს შეიძლება, გამო-უცვალო სახე და სქესი, მაგრამ ვერ წაართმევს და ვერ გამოუცვლი ნიჭიერე-ბას... ადამიანს ვერც სი-ლამაზით ტკობის უნარს წაართმევს...

თითქმის ცარიელი სცენა. შავი და თეთრი ფერები. სამი სკამი და თეთრი სურათი. სურა-თი, რომელზეც არაფერი ხატია. ხელოვნების ერთ-

ერთი თავისებურებაა — ყველა ხედავს იმ-დენს, რამდენისთვისაც მზადაა. თუმცა, ხე-ლოვნის მთავარი როლიც ხომ ის არის, რომ ყველა ტიპის მაცქერალში, ღვთით ჩადებუ-ლი მარცვალი გააღვივოს და თერთ სუ-რათზე გაუჩინარებული კაცი დაანახვოს...

სცენაზე სამი მოქმედი პირია და ყველა — მთავარი: მამია, სერგო და ივანე — ზურა ყიფშიძე, მიზა გომიშვილი, ალექო მახარობ-ლიშვილი. ოთხი მამაკაცის მამაკაცური ნა-მუშევარი, რომელიც მესხეთე მამაკაცმა — თამაზ გოდერძიშვილმა გადმოაქართულა...

რადგან იმ საღამოს დარბაზში არ შემი-მჩნევიხართ, ამ სპექტაკლს თქვენ ველარ ნახ-ავთ: ეს ამ მსახიობთა მუშაობის მანერაა — მათ არა აქვთ კლიშე, ყველა სპექტაკლი გან-საკუთრებულია, არა — სპონტანური, მაგრამ — სახეცვლილი. ასე რომ, იცოდეთ — თუკი თქვენს ფეხებთანაც დავარდება თეთრი კონ-ვერტი და „ხელოვნებას“ დაქსნებთ, ეს გარკვეულწილად, მხოლოდ თქვენთვის ნათა-მაშები სპექტაკლი იქნება, სპექტაკლი, სადაც მის შემქმნელთა ურთიერთნდობა გეცემათ თვალში. ნდობა, რომელიც პირველობისთვის ბრძოლის უინს კლავს, სამაგიეროდ, ხელოვნე-ბისადმი მსახურების უინს გამატებს.

ეს ყველაფერი, მარტოხელა ადამიანს იმ ფიქრებსაც ალუქრავს, თუ როგორ შეი-ძლება, ერთი ადამიანის გვერდით, ერთი მსახიობის გვერდით, მეორე უკეთესი ჩან-დეს და პირიქით, მეორის გვერდით — პირველი; როგორ შეიძლება, რომ გე-ნიალურმა რეჟისორმა არ დაჩრდილოს მსახიობი და — პირიქით...

სცენაზე სრული ჰარმონიაა, რითიც მსახ-იობები ერთმანეთის სახეებს ამდიდრებენ. ეს არ არის ქიშპობა, მცირედი დოზითაც კი. ეს საკუთარ ძალეში დარწმუნებული, დაღვივებული ხელოვნის თამაშია... რითიც მსახიობები ერთმანეთს რისკის განვავაი ეს-მარებიან...

რატომ ხდება, რომ ადამიანები ამას რე-ალურ ცხოვრებაში ვერ ვახერხებთ? თუ ასე ფიქრი შეცდომაა, რადგან რომელია რეალური ცხოვრება — ის ათი წელი, რომლის მან-ძილზეც თქვენ თეატრში არ ყოფილხართ, თუ ეს სცენა, — ალბათ გასარკვევია...

საოცრად მარტივია ფაბულა, რომელზეც შემდეგ, ეს რთული სპექტაკლია აგებული: სერგომ, წარმატებულმა დერმატოლოგმა, სოლიდურმა, ინტელექტუალურმა მამაკაცმა შეიძინა სურათი — თეთრი ტილო, რომელზეც არაფერი ხატია... ის ამ შენაძენისგან სრულ ეიფორიაშია. ასეთსავე განცდით უჩვენებს მას თავის მეგობრებს. მთელი სპექტაკლი დავა იმის გამო, მართლაც არის თუ არა ეს — სურათი... შთაბეჭდილება, რომ სცენაზე სრუ-ლი იმპროვიზაციაა, თანდათანობით გითრეხს და რალაც მომენტში ხვდები, რომ ეს ენ. „იმპროვიზაცია“ გათავისუფლებს: თავისუფა-ლი ხარ, როდესაც სცენიდან გესმის ალექო მახარობლიშვილის მიერ წარმოთქმული, ერთი შეხედვით აბსოლუტური აბაფუბა, რომელზეც მთელი არსებით ხალისობ (რადგან უკვე თავის-უფალი ხარ!); „თუ მე ვარ, იმიტომ, რომ მე



სცენაზე სრული ჰარმონიაა, რითიც მსახიობები ერთმანეთის სახეებს ამდიდრებენ. ეს არ არის ქიშპობა, მცირედი დოზითაც კი საკუთარ ძალეში დარწმუნებული, დაღვივებული ხელოვნის თამაშია.


მე ვარ, და შენ ხარ შენ, იმიტომ რომ შენ ხარ შენ, ეს ნიშნავს, რომ მე მე ვარ და შენ შენ ხარ. მაგრამ თუ მე მე ვარ, იმიტომ, რომ შენ შენ ხარ, მაშინ შენ შენ ხარ, იმიტომ, რომ მე მე ვარ. აქედან გამომდინარე, მე მე არა ვარ და შენ შენ არა ხარ“.

თავისუფალი ხარ, როცა გცმის: როგორმე უნდა ისწავლო ადამიანის სიყვარული, მხოლოდ სიყვარული, სხვა არაფერი. თავისუფალი ხარ, როდესაც მეგობრები სულიერებაზე დაობენ და არა ყოფიერებაზე — უბედურ ყოფიერებაზე, რომელმაც ჩაყლაპა ჩემი საქართველო და კინაღამ მეც ქვეშ მომიყოლა, თქვენთან ერთად... თავისუფალი ხარ და — ფიქრობ!

და მართლაც, ვინ ვართ ჩვენ?.. ადამიანები, რომლებსაც გვიკარნახებენ — ვინ ვართ, თუ ადამიანები, რომლებმაც ზუსტად იციან საკუთარი მისია დედამიწაზე? პოლიტიკური ბატალიები სამყაროში და პოლიტიკური ბატალიები ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს უბანში და ქუჩაზე — ამ ლაბირინთიანი კითხვიდან გამოსასვლელს ძნელად გვიტოვებს... იმ დონეზე მივდივით, რომ საკუთარი არსებობის, არსის გარკვევაზე აღარც ვფიქრობთ და მათ ცხოვრებაში ვიქცეებით, ვინც წარმატებებს, ღმერთმა უწყის, რა შრომის ფასად მიაღწიეს, უმთავრესი კი გავიწყდება: მთავარი, მათი გარდერობი, გარეგნობა და ცხოვრების სტილი კი არ არის, არამედ საქმე, რომელსაც ემსახურებიან და რისთვისაც განვადიდეთ, ოღონდ — სამართლიანად კი განვადიდეთ?..

ვინ რისი ღირსია? — ეს ვინ იცის, მაგრამ ის, რაც მიშა გომიაშვილის გმირზე უნდა ვთქვა — რომ მას ბოლომდე დაუფუჯრე, — ზუსტად ვიცი...

როცა სამსახიობო ტექნიკა სრულყოფილია, უნდა დაივიწყო ის, რადგან მოცემულ შემთხვევაში მსახიობის ტექნიკა (სხეულის ფლობა სცენაზე, გამომეტყველება, ფრაზის სწორად თქმის უნარი) მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ სულის მდგომარეობის გადმოცემა შეძლო; დრამატურგის და რეჟისორის ჩანაფიქრი



ჭეშმარიტი ხელოვანი ღრუბელივით ისრუტავს ყველაფერს, რაც მის ირგვლივ მნიშვნელოვანი და ფასეულია...

ისე გადმოიტანო სცენაზე, თითქოს ეს საოცრად ადვილია, თან — სპონტანური; ისე აჩვენო ეს ყველაფერი, რომ მაყურებელმა დაიჯეროს ის, რაც მე დავიჯერე: სერგო, მიშა გომიაშვილი, დერმატოლოგი, რომლისთვისაც მთავარი ფასეულობაა ART, — გულწრფელია მრისხანებაში, რომელსაც ვერაგაგება, ვერდასახვა იწვევს.

სად არის ადამიანური ბედნიერების გასაღები? იქ, სადაც ხელოვნებაა? თუ იქ, სადაც შენს სიხარულს, მწუხარებას თუ ვნებას გაზიარებულს ნაწყენდები?

ცხოვრება, ერთად აღებული ბევრი მოვალეობაა. პატარ-პატარა „ბედნიერებები“ კი, რომელსაც მიშა გომიაშვილის გმირი ასე გამეტებით ებღაუჭება, არც ზურა ყიფშიძის გმირისთვისაა უცხო. თითქოს მკაცრსა და სასტიკ მამიას, სამართლიანობის სინდრომი ისე გასჯდომია სისხლში, რომ კომპრომისზე წასვლას არც აპირებს, მაგრამ ისე გამოდის, რომ ფინალური სცენა არა მარტო კომპრომისია, არამედ — სრული კაპიტულაცია, — ხელოვნების, მეგობრობის სახელით ჩადენილი.

ივანე — ალექო მხარობლიშვილი, ადამიანი, რომელიც არასოდეს განწყინებს, თუცა თავად, ფსიქოლოგიური პრობლემების დასაძლევად ექიმთან დადის, — სასუბით აბალანსებს სერგო-მამიას დუეტს. ის რეალური, მინაზე მყარად მდგომი არსებაა, რომლის თითქოსდა საზგასმული უბრალოების მიღმა, ადამიანური ურთიერთობის, თბილი ოჯახური გარემოს დეფიციტი იცულისხმება. ივანე საღი მარცვალია, რომელსაც შეიძლება ენდო. ივანე, არ ვიცი, შემთხვევით თუ გაზარებულიად, წითელ ფერში გამოწყობილი პერსონაჟი, ამ შავთეთრ სამყაროში, თეთრ სურათზე და უფერულ გარემოშიც ნათელ ფერებს ხედავს ან — უნდა, რომ დაინახოს... ნათელს — ე.ი. იმედიანს...

მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგი ფრანგია, მაყურებელს ოდნავადაც არ გასჩენია ეჭვი, რომ მოქმედება ჩვენს დედაქალაქში ხდება, შენობაში, სადაც სამივე პერსონაჟი გარეგნულად შეგუებულია იმას, რომ „სტუმრად“ ხანდახან, ვირთხამაც შეიძლება, შემოიაროს... შეგუებულია?! დიახ, გარეგნულად ასე ჩანს! ჰო, გარეგნულად, რაზეთუ მოქმედი პირნი, ჩემგან არ გეხსნაველებათ და, საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებიან...

სიმპათიური, რთული, უხასიათო მამაკაცები, ინტელექტუალები, რომელთაც მაღლა დგომის შანსი ცხოვრებამ რეალურად არ მისცა, მაგრამ ისინი ამისათვის უფლებას არც ელანს: სერგო და

მამია ისედაც მაღლა ბინადრობენ. ეს თეატრალური პერსონაჟები, რომელთა აღრევაც რეალურებს შორის არ ეგების, სცენაზე ჩვენს ცხოვრებას ხატავენ, მაყურებელი კი, ნანახში საკუთარ თავს ხედავს და შესაბამისი დასკვნებიც გამოაქვს. ეს ხომ თამაშია, თამაში კი ადვილია მონანილეობა. მაყურებელი აქ მოქმედების მთავარი პერსონაჟი კი არ არის, როგორც ცხოვრებაში, არამედ მხოლოდ ხედავს საკუთარ ადგილს სცენაზე, ამიტომაც, ადვილად და თან, რეალური დასკვნები გამოაქვს. არ არის საჭირო, ყველამ ერთნაირად აღიქვას ეს სპექტაკლი, ხელოვნებაში (ბატონ გურამ დოჩანაშვილს დავესესხებო) მთავარი ის ხორკლია, რომელიც მასთან მიახლების შემთხვევაში აუცილებლად დაგაყრით.

ჭეშმარიტი ხელოვანი ღრუბელივით ისრუტავს ყველაფერს, რაც მის ირგვლივ მნიშვნელოვანი და ფასეულია; ეს „ნასრუტი“ ჯერ მასში გადის „გრადაციას“, მერე კი, შესისხლორცებული და გადახარშულ-გამიდრებულნი, მაყურებელზე ზემოქმედების საშუალებას, მისით მანიპულირების ძალას სძენს მსახიობს. მსახიობს, რომელსაც ამ სპონტანურობის, თავისუფლების მიღწევის გზაზე ბევრი დაბრკოლების გადალახვა უწევს.

გაგჩენიათ უსუსურობის განცდა, როდესაც წვიმაში, სახლისკენ სირბილით მიმავალს, წამოწეული მანქანა ტალახს შემოგასხამთ?


გიფიქრიათ, რომ აღარასოდეს შეიყვარებთ, რადგან კიდევ ერთხელ მოგატყუებს? გიოცნებიათ სითბოზე, როცა გცივათ?

გიფიქრიათ, რომ სიცოცხლე დამთავრდა, რადგან?..

...თუ მთელი თქვენი ცხოვრება მსგავსი ფიქრებია?

მაგრამ ის, რაც ახლა მოგიყვით, რეალობაა, თან — ხელმისაწვდომი. მოდიო, მარტოხელა დიასახლისის, მარტოსული ადამიანების და ცხოვრებადაკარგული ჩვენი თაობის სახელით, სახლში წასვლამდე (საიდანაც ისე აუცილებლად გამოვიქცევი), ერთსაც ვიტყვი: ბატონებო, თქვენ მიერ არჩეული გზა თქვენსავე ბედნიერებასა და უბედურებას შორის მუდმივი ჭიდილია, მაგრამ თუ ობიექტურობა არ დამიკარგავს და ისეთი ღონიერები ხართ, როგორებიც დაგინახეთ, ბედნიერებაა, რომ ამ გზის დასაძლევად არანაირი დოპინგი არ გჭირდებათ, იმ სცენისა და ოვაციების გარდა, რომლისთვისაც გაჩნდით...

უცნაურია, რატომ აირჩია ისმინამ ქალბავ; იქნებ, ის უნდოდა განეცხადა, რაც მე განვიცადე პარფიუმერის მალაზიიდან — სპექტაკლის დასრულამდე?.. რას გაიგებ...



ნუთუ დიდ რეჟისორსაც მორთა ნოსტალგიაშერეული სევდა და ეს სპექტაკლი საკუთარ სევდაზე საღებრის დასაღებად ხელმეორედ გააცოცხლა?!



ესაყვედურებინათ?..

— **შენს თაყვანისმცემლებს ჩნები თუ მოსვლიათ?**

— რა თქმა უნდა, რამდენჯერაც გენბავთ, იმდენჯერ „დაუხოციან“ ერთმანეთი.

— **და შენ ამ დროს, როგორი რეაქცია გაქვს სოლზე?**

— მათ გამველებას და სიტუაციის განეიტრალებას არასდროს ვცდილობდი, პირიქით, ეს ამბავი მახალისებდა და მხარბედა კიდევ (იციან).

— **მასწავლებელს კლასიდან არასდროს გაუგდებარ?**

— ერთადერთხელ გამაგდო კლასიდან მასწავლებელმა. ვიჯექი და „შპარგალკას“ ვწერდი, რადგან მომდევნო გაკვეთილზე საკონტროლო წერა უნდა გვექონოდა.

— **ამას შედაგოგის დასანახავად აკეთებდი?**

— არა, სულ მეგონა, რომ ეძინა. ბავშვებს გაკვეთილის მოსაყოლად დაფასთან რომ გაიძახებდა, თვალებს სუფავდა და ყველაფერს მშვიდად ისმენდა... თვალი მაშინაც დახუჭული ჰქონდა და მეგონა, ვერ მხედავდა. სულ ბოლო მერსთან ვიჯექი, როცა დამიძახა: ჩიქავა, ჩემთან მოდი და ის რვეული წაშოილე, რომელშიც რაღაცას წერო. მივუტანე (ზაფხულში გამოცდები უნდა გვექონოდა, მანამდე კი, ზუსტად ერთი კვირა იყო დარჩენილი, კონსპექტები ამ რვეულში მწერდა) და მითხრა: ამას ალარ დაგიბრუნებ. ახლა კი კარი გააღე, გარეთ მიბრძანდიო. მანამდე კლასიდან არავის გაუგდებდნენ, ეს ჩემთვის მიუღებელი იყო და კართან დავდექი, ადგილიდან არ ვიძროდი. ის დიდხანს ყვიროდა: გადი, გადიო... რაღა უნდა მექნა? — გავედი, მაგრამ იქვე, საკლასო ოთახთან დავდექი. ამ დროს, დირექტორმა გამოიარა და მკითხა: აქ რას აკეთებო? ხომ არ ვეტყვი: გამომაძვეს-მეთქი და მოვატყუე: ვილატას ველოდები, რვეული უნდა მომიტანოს-მეთქი. — გაკვეთილს რატომ აცდენ, იქ ვერ შემოგიტანდაო, — მითხრა, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა. მასწავლებელმა მეორე დღესაც არ შემისვა გაკვეთილზე და „იძულების წესით“ სახლში მივადექი, მან კი, იქიდანაც გამომავდო, შინ არ შემისვა.

„როცა ტყავის მოკლე ქურთუკები შემოვიდა მოდაში, ვნახე, რომ ის ვილატ გოგოს ეცვა და ლამის თავი მოვიკალი, ჩემები „შეჭამე“ მანამ, სანამ მეც არ მიყიდეს“, — მითხრა „ჯეო-სტარელმა“ ნანა ჩიქაშვიმ, რომელსაც ამ ბოლო დროს ჰგონია, რომ მთელი საქართველო მისი ფანია, რადგან ქუჩაში გასული, ხალხის სიტბოსა და სიყვარულს გრძნობს.

სისუფთოაღება ოსნაჟის ზჩინსი და „ჯეოსტარელის“ ბუღისთჟის „ღახოსილი“ თაყვანისმცემლები

„მეგონა, რომ ყველა ჩემი თაყვანისმცემელი მიყვარდა...“

ლიპა ქაჩაია

— წარმოშობით ზუგდიდელი ვარ, მაგრამ ხუთი წლის მანძილზე მოსკოვში ვცხოვრობდი, დაახლოებით სამი თვეა, რაც იქიდან დავბრუნდი. მყავს უფროსი ძმა, იურისტი, რომელიც ჩემს ოჯახთან ერთად ზუგდიდში ცხოვრობს. ოჯახში ყველა კარგად მღერის, სწორედ მათგან გამომყვა სიმღერის ნიჭი. თბილისში ვცხოვრობ მამაჩემის ბიძასთან, პროფესორ სიმონ ჩიქავასთან ერთად, რომელიც ჩემი დიდი გულმემატიკვარია.

რასთან ასოცირდება შენთვის სიტყვა თინიჯიკული?

— თანამედროვეობასთან, ლამაზ და ლაღ ცხოვრებასთან. ყველაზე კარგად, სწორედ ეს პერიოდი მახსენდება. ამ ასაკში ზუგდიდში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან არსებულ სტუდიაში — „რიმბირამბროში“ ვმღეროდი. მაშინ ყველაფერი ზღაპრულად მეჩვენებოდა... შემდეგ თბილისში ჩამოვედი და კონსერვატორიის ნიჭიერთა ათწლედი დავამთავრე, მერე კი, მოსკოვში გავემგზავრე.

სკოლაში რა ნიშნებზე სწავლობდი?

— საშუალო მოსწავლე ვიყავი.

— **ეს რას ნიშნავს?**

— კარგად ნამდვილად არ ვსწავლობდი და სხვათა შორის, ამას მაპატიებდნენ კიდევ.

— **ვინ გაპატიებდა და რატომ?**

— რადგან ვმღეროდი, მასწავლებლები რაღაც შეღავათებს მიწევდნენ... ისე, აქტიური მოსწავლე ვიყავი. თუ სკოლაში რაიმე ღონისძიება ტარდებოდა, ყოველთვის მე მეძახდნენ და მამღერებდნენ. აი, სწავლისთვის კი ნაკლები დრო მრჩებოდა.

„შატალოზე“ არ დადიოდი?

— როგორ არა. ერთხელ „შატალო“ თავად მოვანყვე, მთელი კლასი „ავყარე“, მაგრამ ერთი მეგობარი არ მოდიოდა — დედა ჰყავდა შედაგოგი და მისი ეწინოდა. რა არ უთხრეს, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბოლოს, ისევ ჩემმა სიტყვებმა ააფორიაქა და ისიც წაშოგვეყვა.

ასეთი რა უთხარი?

— ისეთი არაფერი, უბრალოდ ვთხოვე: წამოდი და თუ რამეს გეტყვიან, მე დამაბრალე-მეთქი (მე ხომ ყველაფერს მაპატიებდნენ).

სად წახვედი?

— კონცერტზე და ძალიან კარგადაც გავვრთეთ.

სკოლიდან გაპარულები სხვა დროს სად მიდიოდი?

— ისეთი აქტიურიც არ ვყოფილვარ, რომ სულ „შატალოზე“ მევიქრა, მაგრამ როცა ვიპარებოდი, ძირითადად, სკოლის მეზობლად მდებარე ბოტანიკურ ბაღში მივდიოდი. მართალია, ამის გამო მასწავლებლები ბრაზობდნენ, მაგრამ არც მშობლებს იბარებდნენ, არც რაიმე განსაკუთრებული დასჯის მეთოდი ჰქონდათ და ჩვენც თამამად ვმოქმედებდით.

და როცა მშობლები მინც იგებდნენ ამ ამბავს...

— მაშინ დედა მიბრაზდებოდა ხოლმე: სკოლაში როგორ მივიდე, რატომ მარცხვენი.

ნანა, ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი გყავდა, არა?

— უჰ, ძალიან ბევრი. სასაცილო ის არის, რომ ყველა თაყვანისმცემელზე ვფიქრობდი და მეგონა, რომ თითოეული მათგანი მიყვარდა, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ ეს სიყვარული კი არა, გატაცება იყო (იციან).

მათზე დედას თუ უყვებოდი?

— არ უყვებოდი, რადგან ვინმე გამოჩნდებოდა თუ არა, ის მაშინვე თავად იგებდა ცხელ-ცხელ ამბებს.

საიდან, გითვალთვალებდა?

— არა, ერთ-ერთი ჩემი მეგობრის მშობელი თამაშობდა ინფორმატორის როლს, რომელსაც ყველაფერს, თავისი შვილი უყვებოდა... მერე მიდიოდა შეგონებები, ტვინის „ბურღვა“ და ა.შ.

ამის გამო, დედას არასდროს დაუსჯიხარ?

— ერთადერთხელ მოხდა მსგავსი რამ. მე და ჩემი მორიგი შეყვარებული თუ „პაკლონიკი“ ქუჩაში ერთად მოვდიოდით, ის სახლამდე მაცილებდა და არ ვიცი, დედამ დამინახა მასთან ერთად თუ მამამ, მაგრამ ამის გამო, საშინლად გამიბრაზდნენ და მთელი ერთი კვირა სკოლაშიც კი აღარ მიშვებდნენ.

კიდევ რას გიკრძალავდნენ მშობლები?

— საერთოდ, აკრძალული არაფერი მქონდა. თანაც, მეგობრებთან და სახლობლებთან ღამით დარჩენა არ მიყვარდა, სახლში დროზე მივდიოდი და რა უნდა

— როგორ შერიგდით, მისთვის გოჭი ხომ არ დაგიკლავს?

— არა, ქრთამად ჩემი სიმღერები მიიღო... ჩემი კლასიდან გაძევების ამბავი დირექტორის ყურამდე რომ არ მისულიყო, ბავშვებმა მოილაპარაკეს და მის გაკვეთილზე არავინ შედიოდა. ჩემმა მეგობრებმა მასწავლებელს უთხრეს: სანამ ნანას არ შემოუშვებთ, გაფიცულები ვიქნებითო. იმ ქალმა წინადადება „შემოადგო“: შემოვუშვებ, თუ სამ მეგრულ სიმღერას შემისრულებსო და მეც რა თქმა უნდა, ვუმღერე.

— ხომ არ გახსოვს, რომელი სიმღერებით მოხიბლეს?

— როგორ არა. ვიმღერე „მხარია“, ასევე, „აშო ჩელა“... აი, მესამე კი, აღარ მახსოვს.

— სხვებისგან რაიმეთი გამორჩეული თუ იყავი?

— გამორჩეული ვიყავი იმით, რომ საკმაოდ კარგად ვმღეროდი, კონცერტებზე გამოვდიოდი. ძალიან მიყვარდა ისეთი ტანსაცმლის ჩაცმა, რომელიც მასობრივი არ იყო. მახსოვს, როცა ტყავის მოკლე ქურთუკები შემოვიდა მოდამი, ვნახე, რომ ის ვილაც გოგოს ეცვა და ლამის თავი მოვიკალი, ჩემები „შევეჭამე“ მანამ, სანამ მეც არ მიყიდეს. მთელ რაიონში ასეთი ქურთუკი მართო მის გვეცვა...

— ხშირად ტირი?

— ფაქტობრივად, სულ ვტირი.

— ტანსაცმლის გამო?

— არა, ახლა ისეთი ასაკი არ მაქვს, რომ „ჭინჭების“ გამო ვიტრიო, მაგრამ რაიმე თუ მომეწონა, რაც არ უნდა ძვირად ღირებულ იყოს, აუცილებლად უნდა შევიძინო.

— თმის გადაპარკვაზე არასდროს გიფიქრია?

— რას ამბობ, ის კი არა, მყავდა ახლობელი, რომელმაც თმა ძალიან მოკლედ შეიკრიჭა და კვანიმოდოს დაემსგავსა, მასზე

მეცინებოდა და ვფიქრობდი: რომ ის ფსიქიურად ვერ იყო, რაღაც პრობლემა ჰქონდა.

— როგორი უნდა იყოს ბიჭი, რომ შენი მოწონება დაიმსახუროს?

— ალბათ, პირველ რიგში, ადამიანი უნდა იყოს.

— მეორე რიგში?

— მეორე რიგში, გარეგნობას ვაქცევ ყურადღებას.

— და როგორი გარეგნობის მამაკაცები გიზიდავს?

— ცისფერთვალა... დანარჩენი არ ვიცი, ოცნების პრინცი შეიძლება მყავს, მაგრამ გარეგნულად არ ვიცი, როგორ გამოიყურება. უბრალოდ, მან უნდა შეძლოს ჩემი მოხიბვლა...

— კარგი, მაშინ როგორი ბიჭები არ გიზიდავს?

— დაბლები, ცანცარები... ზოგს მოსწონს, როცა ბიჭი მასხარასავით იქცევა, მაგრამ მე ეს არ მიზიდავს. მომწონს, როცა ბიჭს ეშმაკური შეურა აქვს.

— შენ თუ მიეკუთვნები ეშმაკი გოგონების კატეგორიას?

— არ ვიცი, შეიძლება, ასეთი ვარ კიდევ, მაგრამ ამას თვითონ ვერ ვამჩნევ...

— ტყულის თქმა შეგიძლია?

— თუ დამჭირდა, ტყუილსაც ვიტყვი, მაგრამ ის ბოროტი არ უნდა იყოს. ზოგჯერ, როცა ვილაყვას ვატყუებ, მერე სინდისი მქენჯნის და ჩემ მიერ მოტყუებულ ადამიანს იმდენ ხანს ველაპარაკები და სიმართლეს ისე ლამზადა ვუბნებ, რომ არ გამიბრაზდეს. შენი სიცრუით სხვას ზიანი არ უნდა მიაყენო.

— „ჯეოსტარში“ როგორ მოხვდი?

— სიმართლე გითხრა, ამ პროექტის არსებობის შესახებ მანამდე არც კი ვიცოდი. კასტინგის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩემმა ვოკალის პედაგოგმა, ქალბატონმა ნინომ დამირეკა და მითხრა: ასეთი პროექტია და გირჩევ, მონაწილეობა მიიღო.

— რა ისწავლე „ჯეოსტარში“?

— „ჯეოსტარმა“ ბევრი რამ მასწავლა. დიდი გამოცდილება შემძინა იმ კრიტიკულმა შენიშვნებმა, რომელთაც ჩემი შეცდომების გამო გამოთქვამდნენ. სწორმა შენიშვნებმა სწორ გზაზე დამავიწყა და მათ ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენე... „კრიტიკოსების“ რჩევებს ვითვალისწინებ... ფიქრობ, რომ საესტრადო ჟანრს გაცილებით უკეთესად ვირგებ. კასტინგზე ყველა ჟანრის რეპერტუარის შესრულებამ მომიწია, მაგრამ რადგანაც „ჭრიჭინას“ სიმღერაც კარგად გამომივიდა, მათ გადაწყვიტეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ჩემთვის ეს სტილი მოერგოთ. თავიდან, სცენაზე გასვლის წინ არ ვვლავდი, რადგან ჩემს თავში უფრო დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ბოლოს, როცა ჯანსაღი კრიტიკა წამოვიდა, რაც უფრო ცოტანი ვრჩებოდი, უფრო ვწერვიულობდი, შედარებით მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი.

— „ჯეოსტარმა“ პოპულარული გაგხადა...

— პოპულარული მეტ-ნაკლებად ვარ, მაგრამ როცა ქუჩაში ხალხი მცნობს, ყურადღების ცენტრში ვარ, ასე მგონია, რომ მთელი საქართველო ჩემი ფანია. ეს კი, ბედნიერებაა.

— ამბობდნენ, როგორი ხალხია ეს მეგრელები, ნანას ფან-კლუბები გახსნეს და ცდილობენ, ბოლომდე გაიყვანონო...

— აი, ასეთები არიან მეგრელები — ერთმანეთს სხვებზე მეტად უდგანან მხარში.

— კიდევ როგორები არიან?

— კარგები და ნიჭიერები... ყველაფერი კარგი სამეგრელოდან იღებს სათავეს. აი, თუნდაც, რევოლუცია...

— ამბობენ, ნანას მფარველობას სამეგრელოს გუბერნატორი, ზაზა გორიზია უწევსო...

— არ ვიცი, მფარველობაში ვინ რას გულისხმობს, მაგრამ მას არც კი ვიცნობ, მხოლოდ ერთხელ ვნახე (იკინის).

— ახალ წელს სად შეხვდი?

— თბილისში. 31-ში გალა-კონცერტი გვექონდა. ისე, ძალიან მინდოდა, ზუგდიდში წასვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

— ყველაზე დასამახსოვრებელი შენთვის რომელი ახალი წელი იყო?

— ყველაზე მეტად, 2002 წელი დამამახსოვრდა, როცა ახალ წელს ახალ გარემოში შეხვდი, მაგრამ სად, ამას არ დავაკონკრეტებ... დასამახსოვრებელი იყო აგრეთვე, 2006 წელი, როცა საახალწლო განწყობილებაზე არ ვიყავი, ვიჯექი სახლში და ტელევიზორს ვუყურებდი ჯერ მშობლებთან ერთად, მერე კი — მარტო.

— კარგი საახალწლო გადაცემები იყო?

— სწორედ ისეთი გადაცემები იყო, როგორც განწყობილება მქონდა (იკინის).

— ოჯახში ნაძვის ხეს შენ რთავ ხოლმე?

— კი და ეს პროცესი ძალიან მომწონს. მაგრამ წელს, მისი მორთვა ვერ მოვახერხე. ეს მისია დეიდაჩემმა იკისრა და მეც, კუთილი შურით შემეშურდა მისი.

— თაყვანისმცემლები სოურპრუზებს არ გინყობენ?

— როგორ არა. ყველაზე კარგად დამამახსოვრდა ჩემი დაბადების დღე, როცა დილის 6 საათზე მამაჩემის ყვირილმა გამომაღვიძა: ნანა, კართან ვილაყვას საჩუქარი დაუტოვებია და წაიღეო. ჩემმა თაყვანისმცემელმა ყვავილები და ფუმფულა სათამაშო მისახსოვრა.

— როგორ ფიქრობ, თინეიჯერობის ასაკში მშობლებმა შვილი უნდა აკონტროლებონ?

— არა მგონია, ეს საჭირო იყოს, რადგან შვილი რაც არ უნდა აკონტროლო, ის თავის გასაკეთებელს მაინც გააკეთებს. რაც უფრო თავისუფალი ბავშვი, მით უფრო ნაკლებ შეცდომას დაუშვებს. ისე, ყველანი რაღაცას ხომ ჩვენსავე შეცდომებზე ვსწავლობთ.

— დაბოლოს, რას უსურვებდი თინეიჯერებს?

— ჰქონოდათ ლამაზი ცხოვრება და ამ ასაკში გატარებინოთ ისეთი დრო, რომელიც მთელი ცხოვრება ლამაზ მოგონებად აღებუქდებათ გონებაში.

P.S. ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ სუთმაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულსტკივილი გავგიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.



ასე მგონია, რომ მთელი საქართველო ჩემი ფანია. ეს კი, ბედნიერებაა



შავი სახე



ინი, 17 წლის:

„კოსტა, გილოცავ ახალ წელს. ძალიან მაგარი ტიპი ხარ და ბედნიერებს იმსახურებ. გულით მინდოდა, რომ „ჯეობარის 3“-ის გამარჯვებული შენ ყოფილიყავი, მაგრამ მთელ სამეგლოს წინ ვინ დაუდგება?! წარმატებებს გისურვებ! გოცნი!“

კოსტა არპილაძე:

— **დიდი მადლობა, ჩემო კარგო დიდი გოგო გაიზარდე და ცხოვრებაში ყოველთვის წარმატებული ნაბიჯები გადაგედგას. სულ გამარჯვებული მენახე ილი,** 15 წლის:

„კოსტია, ბიჭო, რაღა ხარ პროექტის დატოვების შემდეგ? არ იღარდო, უფრო მაგარ რაღაცებს მიიღწე ცხოვრებაში. სრულწლოვანი რომ გახვდები, მეც მივიღებ მონაწილეობას მსგავს პროექტში და გპირდები, მეგრელების ჯინაზე გავიმარჯვებ.“

— **წინასწარ გისურვებ გამარჯვებას ისე, სანამ მსგავს პროექტში მონაწილეობას გადამწყვეტ, დამიკავშირდი და რაღაცებს აუცილებლად გირჩევ ნინო,** 18 წლის:

„კოსტა, თავიდან შენზე ვფანატებდი, მაგრამ მერე, ძალიან გაზაღე ფრთები და შენზე შექმნილი შთაბეჭდილება დამიმსხვრიე. იქნებ, ნერვებმა გიღალატა? ყოველ შემთხვევაში, მე იმის დიდი იმედი მაქვს, რომ ცხოვრებაში ისეთი კოსტა ხარ, როგორიც თავიდან იყავი „ჯეობარში“, თორემ ჩემ მიერ შენს მხარდასაჭერად გამოგზავნილი მისიჯები არ შეგერგება.“

— **ეს მცდარი მოსაზრებაა 9 კვირა ვიყავი ჩაკეტილ სივრცეში და სულ ერთნაირ ხასიათზე ხომ ვერ ვიქცებოდი? ისიც გასაკვირა, რომ საერთოდ არ შემერყა აზროვნება. მოდი, შენ შედი მსგავს პროექტში და მეც დაგომესიჯებ. ოღონდ, მერე ამას არ დაგამადლი, ჩემი მესიჯები აუცილებლად შეგერგება.**

პატარა, 20 წლის:

„პატარა ვარ, პატარა ვარ, პატარა ვარ, აბა, რა. კოსტა შენთვის გავიზრდები, გავიზრდები, აბა, რა. ძალიან მაგარი ხარ, შენ შემოგვეღოს ჩემი ბოლო თვის ხელფასი (ისე, ცნობისთვის, უმუშევარი ვარ). ჩემო კარგო, ძალიან მინდოდა, „ჯეობარში“ შენ გვერდით ყოფილიყავი და შენთვის ისეთი რაღაცები მერჩია, რასაც სხვები არ გეტყობენ. ეს ასე რომ ყოფილიყო, აუცილებლად გაიმარჯვებდი.“

— **დიდი მადლობა, რომ მაფასებ. ნანა ლალიაშვილი.**

„მე გულით ვგულშემატიკვირობდი მელოს და ეთოს, მერე კი — ივას. ის მაგარი

ჯიგარია. კოსტას მინდა ვუთხრა, რომ თავიდან მაგრად დაიწყე, მერე კი, აურია. რატომ? ეთოს რატომ აწყენინა? ყველა ეთოსნაირი რომ იყოს, საქართველო სიმართლის ქვეყანა იქნებოდა.“

— **სადაც მართალი ხართ, სადაც არა. ამქვეყნად ყველანაირი ხასიათის ადამიანი უნდა არსებობდეს, ეს კანონზომიერია. ერთფეროვნება საშინელებაა და ყველამ სიმართლე რომ ილაპარაკოს, უფრო მეტად დაფხვით ერთმანეთს ეთოსთვის არაფერი მიწყენინებია, უბრალოდ, ჩვენ ვმონაწილეობდით რეალურ შოუში, სადაც ყველაფერი ხდება.**

სოფო, 14 წლის:

„კოსტა, მართლა მაგარი ადამიანი ხარ და ამიტომ, მაგრად მიყვარხარ!!! გოცნი!“

— **დიდი მადლობა, რომ გიყვარვარ და მეც გოცნი. თაბო,** 14 წლის:

„კოსტა, პირველ რიგში გილოცავ დამდეგ ახალ წელს, ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებ! კარგი ადამიანი ხარ, სულითა და გულით მიყვარხარ. სამწუხაროდ, შენაირები ძალიან ცოტანი არიან. „ჯეობარს“ შენი გულისთვის ვუყურებდი. შენ ჩემთვის გამარჯვებული ხარ. მიყვარხარ და გოცნი ბევრს.“

— **ძალიან დიდი მადლობა.**

ტაბა, 18 წლის:

„კოსტა, ჩემო კარგო, წარმატებებს გისურვებ! კარგი ადამიანი ხარ და ძალიან მინდა, შენნარი მეგობარი მყავდეს.“

— **გმადლობ ლამაზი სიტყვებისთვის. სამოქმედო ვიდეორგებ შენთან. აშქისკანა,** 16 წლის:

„ყოჩაღ, კოსტა. კარგად აზროვნებ. ბოლოში მართალი თქვი... მართალია, მხარს არც ერთ მონაწილეს არ ვუჭერ, მაგრამ რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ირაკლის ყველაზე დიდი რეიტინგი აქვს და მგონი, სოფოს გამარჯვების შანსიც არა აქვს. ამას „ჯეობარის“ ფინალამდე 3 დღით ადრე გნერო. შაბათს კი, შედეგებს ყველა ერთად გავიგებთ, მაგრამ ისე, ირაკლის უფრო სჭირდება ფული, ვიდრე სხვას, არა?“

— **რაღაც მომენტში გეთანხმები, მაგრამ ფული ყველას სჭირდება. როცა საქმე რეალურ შოუს ეხება, იქ გამარჯვებული ისეთი პიროვნება უნდა გახდეს, ვინც ნამდვილი შოუმენია. მე ვცდილობდი, მაყურებლისთვის კარგი შოუ მქვეყნებინა და მგონი, გამოძიოდა კიდევ მაგრამ.**

ქინკა, 17 წლის:

„სალამი. გამისარდა შენი ინტერვიუ რომ ნავიკითხე. ძალიან კარგი ადამიანი ხარ და ამიტომაც გეფასებ. წარმატებებს გისურვებ! შო, თავი არ მოგვანატრო. (ანტო მიკვალქაქა).“

— **დიდი მადლობა. შევეცდები, თავი არ მოგვანატრო.**

შენოზი, 17 წლის:

„კოსტა, დამეხმარე, გთხოვ. ჩემმა დაქალმა თავისი ჯგუფელი, ირაკლი გამაცნი. იმ დროს შეყვარებულთან ახალი დამორებული ვიყავი. დაქალს ივას ნომერი გამოგვარეთი იმ მიზნით, რომ გული გადაემყოლებინა. ივას სხვა სახელით გაცვანდი, არადა, მას უნივერსიტეტში

ყოველდღე ვხვდები და ვსაღამებ. ივას ეჭვი აქვს, რომ ვატყუებ. მგონი, სვდება, სინამდვილეში ვინც ვარ. მას ეს ქვეყნში და გამოხედვაში ეტყობა. თან დაუინებთ მთხოვს, შევხვდე. რა ვქნა, შევხვდე თუ ჯერ ტელეფონით გავუშობილო ჩემი ვინაობა?“

— **დამიხსოვრე, ტყუილი ადრე თუ გვიან, გამუდმდებია. ვრობა, იმ ბიჭს შეხვდე და სიმართლე უთხრა. დარწმუნებული ვარ, გაგიგებს და ყველაფერი კარგად იქნება.**

გიო, 17 წლის:

„კოსტა, ასეთი რა ცხოვრება გამოიარე, რომ სვირინგში „ჩატირით“? ეს ყველაფერი მამაშენს ხომ არ უკავშირდება?“

— **მამაშენს არა, მე მიკავშირდება. რა „ჩატირით“, ამას არავის ვუთხარი და ვერ ვხვდები, შენ რატომ უნდა გაგიმთლო? ისე, ალბათ მეეთანხმები, ორგინალური რამაა, არა?**

ნაბა, 18 წლის:

„კოსტა, შენ და სოფოს ერთმანეთი მართლა გიყვართ? საახალწლოდ რა უყიდვ?“

— **მიყვარს, მაგრამ ისე, როგორც მეგობარი. სოფოს მსგავსად, ბევრმა „ჯეობარელმა“ შემაყვარა თავი. მისთვის რაღაც კონკრეტული არ მიჩუქებია, გაგაკონც და, რიხი შესადლებლობაც მქონდა. მე მისი პარმენეჯერი ვიყავი და შეიძლება ითქვას, ეს ჩემი საახალწლო საჩუქარი იყო.**

ქიქინა, 16 წლის:

„თქვენი რჩევა მჭირდება. ინტერნეტი ერთი ბიჭი გავიცანი. ორ თვეზე მეტხანს ვმესიჯობთ. მას ჩემი სურათი აქვს და მეუბნება, რომ ვუყვარვარ. მე კი თავს ვიკავებ, რადგანაც მხოლოდ ტელეფონით ვიცნობ. არ მიყვარს, მაგრამ ისე შევეჩვიე, რომ მის გარეშე ვეღარ ვძლებ. თანაც მუშინია, იქნებ, ისეთი სულაც არაა, როგორც მგონია.“

— **ინტერნეტი და კლავიატურა მატყუარაა. ვრობა შეხვდე, თვალში ჩახედო და მიხვდე, რას გრძნობს სინამდვილეში. წარმატებებს გისურვებ! თამრო,** 19 წლის:

„პირველად და ბოლო თერთობით გნერო. შეიძლება თუ არა ბიჭს, რომელსაც ნანახიც კი არ ვყავარ, შევეყვარდე მხოლოდ სურათებით? 6 თვეა, რაც მიმესიჯებს.“

— **ვიღაცას შეიძლება მოეწონოს ხმით, ვიღაცას — ფოტოსურათზე და შეუყვარდეს კიდევ. მაგრამ მე ვერაფერს გირჩევ, რადგან არ ვიცი, რას ფიქრობს ის ბიჭი.**

ინი, 18 წლის:

„კოსტაააააა... იცი, როგორ შემაყვარე თავი? არ იცი, არა? ჰოდა, ერთხელ რომ მოვალ შენთან და გეტყვი, ან ცოლად მომიყვან, ან აქვე მოვიკლავ თავს-მეთქი, მერე ნახავ, როგორ ხასიათზე დადგები. ისე, საინტერესოა, მანც, რას მიპასუხებ?“

— **მოდი, ყველაფერს ლიად დაეტოვებ და როგორ დამაინტრიგებულ მესიჯსაც მწერ, ისეთსაც პასუხს გაგცემ — გამეცანი, ეს სიტყვები პირდაპირ მითხარი და იქ არა მართლ შენ, არამედ ყველა გაიგებს, რასაც გიპასუხებ.**

დასაწყისი იხ. გვ. 14

ჩემი მეგობრები თავიდან ფიქრობდნენ, რომ გიცნობდი და მესიჯის დაბეჭდვა ჩანყობით ხდებოდა, მაგრამ ახლა ჩემი მეგობრების მესიჯიც ხშირად იბეჭდება და დარწმუნდნენ, რომ ამას არაერთი ჩანყობა არ სჭირდება. „გზავნილები“ ჩემი ცხოვრების წესია: ჩემთვის ახალი კვირა ყოველ ხუთშაბათს იწყება. შესაძლოა, 4 გვერდი ცოტა არ არის, მაგრამ მერწმუნე, მკითხველს არ ჰყოფნის და ბოლოში რომ გადახარ, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გეუფლებს. შენი და ჩემი სვანი მეგობრების ხათრით სვანურიც კი ვისწავლე.

ახლა კი, კვლავ თემას მიუბრუნდები და დანარჩენ მესიჯებს გავეცნობ. ნებისმიერი სიმთვრალე შესაძლოა, დამთავრდეს ტრავმით, თვალისა და ცხვირის ჩალურჯებით და კიდევ უფრო „სასწინელი“ შედეგით — ცოლის მოყვანით. ერთი არასწორი მოქმედება და — აზრზე მოსვლასაც ვერ მოასწრებთ, ისე მოგინვეთ პასუხის გაცემა კითხვაზე — თანახმა ხართ თუ არა, რომ ეს თეთრ კბაში გამოიწვიოთ ქალი თქვენი ცოლი გახდეს და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული იყოთ?.. მიუხედავად იმისა, რომ მის დახრჩობაზე უფრო ხართ თანახმა, მაინც მოგინვეთ დადებითი პასუხის გაცემა, საქორწინო სახლის თანამშრომლის მიერ დასმულ ამ კითხვაზე. ენდეთ ჩვენი მკითხველის მწარე გამოცდილებას...

ბედს შეგუებული და „ბედნიერი“

„გამარჯობა, „გზა“! ჩემი სიმთვრალე და სამ ჭიქაზე მეტის დაღვრა საკმაოდ ძვირად დამიჯდა. ერთი გოგო მიყვარდა და მასთან ფიზიკური ურთიერთობაც მქონდა. კარგი გოგო იყო, მაგრამ ცოლად ვერ მოვიყვანდი, იმის გამო, რომ არ ვენდობოდი. მისთვის პირველი მამაკაცი მე არ ვყოფილვარ და თვითონაც არ დაუშალავს, რომ მესამე ვიყავი. მაგრამ „სამმეტროანი“, „შკაფივით“ ძმები ჰყავდა და მათთან საგულდაგულოდ მალავდა თავის წარსულსაც და ჩვენს ურთიერთობასაც. თუ გინდათ, დამცინეთ, მაგრამ ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნანას ვუყვარდი და ხშირად ჩამოაგდებდა სიტყვას ოჯახის შექმნაზე, მე კი წავუყრუებდი, ვითომ არ მესმოდა მისი ნათქვამი. ამასობაში, ერთი გოგონა გავიცანი და მისი ცოლად მოყვანა გადაწყვიტე კიდევ. საგულდაგულოდ ვმალავდი ამ ამბავს, რომ



გრამ ნანას ვერ აჯობა და ახლა ვარ ასე, ბედს შეგუებული და „ბედნიერი“. სხვათა შორის, ამ ახალ წელს ერთი ჭიქაც არ დამიღვია...”

ჰოდა, რომ არ დაუღვია, ამიტომაც გამოგზავნა ვრცელი მესიჯი. დანარჩენ „ნაპახმელიარ“ მკითხველებს, ეტყობა,

ბევრი წერა დაეზარათ და ამჯერად, უამრავი მოკლე მესიჯი მივიღე. ახლა სწორედ ამ მესიჯებს გავაცნობთ.

სასმელი მძულს

„ყველას გილოცავთ ახალ წელს. იცით, რა ორიგინალურად მომილოცეს მშობლებმა ახალი წელი?.. არჩევანის წინაშე დამაყენეს: ან — მშობლები, ან — შეყვარებული. რა ვქნა?“

„სამი და სამზე მეტი დავლიეთ და ქუჩაში სიმღერ-სიმღერით დავდიოდით. იმდენი როგორ უნდა დალიო ადამიანმა, რომ ლექს-სენის სიმღერა იმღერო?“

„მარი დედა, ძალიან მენატრები და მიყვარხარ. ჩვენი ლამაზი დედიკუნა ხარ. მალე დაგვიბრუნდი, მაგ ოხერი ბერძნების კლანჭებიდან. შენი სამი ბოქლომა“.

„ახალი წლის ღამეს არ დავმთვრალვარ და არც რაიმე საინტერესო გადამხდენია თავს. მაგრამ მინდა, 2007 წლის პირველ ნომერში ჩემი მესიჯი დაიბეჭდოს. მე ხომ შენი ერთგული მკითხველი ვარ. გთხოვ, გამომიქვეყნე. თუ გინდა, ნანურს ავუჩუვ და „ჰედლაინებში“ მოახვედრე. თათა“.

„სამის დაღვებაზე — დიდი ბოდიში. ერთიც რომ დავლიო, დამიჭერენ და „გამსროკავენ“, ისეთ ქვეყანაში ვარ გადაკარგული“.

„სამიც დავლიე და შვიდიც და იცით, რა შედეგი გამოიღო? მთელი ღამე ტუალეტში, უნიტაზთან ჩახუტებულმა გავატარე“.

„ეჰ, მე რა მაქვს სათქმელი? ახალ წელს საპირფარეშოში შევხვდი“.

„ათენიდან გწერთ. უკვე 6 წელია, ერთ ბებიას ვუვლი. გადავაქართველე ჩემი ბებო. ჩვენი საქმელებიც შევავარე და ღვინოც. ამ ახალ წელს საქართველოდან კარგი ამანათი მივიღე და ორივე ისე დავთვევით, რას ვმღეროდით ბერძნულ-ქართულად, ჩვენც ვერ გაგვეგო. ის ყოფილი გინეკოლოგია. ჩემი ცხოვრებაც სულ დეტალურად მაქვს მოყოლილი. „გზას“ რომ ვკითხულობ ხოლმე, მასაც ვუთარგმნი და

ძალიან მოსწონს. ახლაც ვუთხარი, ჩვენი სიმთვრალის ამბავს მიგწერ-მეთქი. — დანერე, დედაშენი წაიკითხავს და გაუხარდება. არადა, დედა 16 წლის წინ გარდაემეცვალა... მარი, დაგვიბეჭდე მე და ქალბატონ ხრიცულას ეს მესიჯი. მე და ბებოს ერთნაირად გვიყვარს ბაღდათი და ბაღდათელები. მარინულა“.

„ახალ წელს სამ ჭიქაზე მეტი დავლიე, ჩემს შეყვარებულთან დავრეკე და სიყვარული ავუსხენი. თურმე, მამამისი მელაპარაკებოდა. მე უბედურმა, მამაშვილის ხმა ვერ გავარჩიე და საწყალ კაცს პირი დავაღებინე, ისე ვნებინად



ვუსხნიდი სიყვარულს. სამი ჭიქის შემდეგ, ეშმაკად არა, მაგრამ გამოთაყვანებულად გადავიქეცი. ქეთუშეები“.

„თქვენ იცინეთ და სამაჟა ჭიქა ღვინომ ისე დამათრო, აზრზე ახლაც ვერ მოვსულვარ. გილოცავთ ახალ წელს და ყველაფერი საუკეთესო „გზის“ მკითხველებისთვის მისურვებია. სოფო“.

„მარი, გილოცავ ახალ წელს და გისურვებ, რომ ამ წლიდან „გზავნილები“ 6 გვერდი ყოფილიყოს. დათო არაბული“.

„მინდა, ჩემი სიმთვრალის შედეგი მოგიყვებ. ერთი ბიჭი სიყვარულს მეფიცებოდა. იმდენი ქნა, რომ მეც შემაყვარა თავი. შემდეგ დაიკარგა და ერთ დღეს გავიგე, რომ თურმე, ცოლი მოუყვანია. ქორწილის დღეც უკვე დანიშნული იყო. იმ დღეს სახლში მართომ დავლიე და მაგრად დავთვერი. „არაყვადასხმულ“ ტვინში „გენიალური“ აზრი დამებადა. ბევრი აღარ მიფიქრია და შუა ქორწილში მივიჭყერი. იქ ამბები დავატრიალდე!.. ჯერ ნეფე-პატარძლის მაგიდაზე სტრიპტიზი ვიცეკვე, მერე კარგად გამოვლანძღე და წამოვედი. გარეთ გამოსულმა, ტაქსი გავაჩერე. მძღოლს რომ შეეხედე, კიდევ ერთი აზრი მომივიდა და იმ კაცს მანქანაში დავნებდი. მაშინ მეგონა, რომ შური ვიძიე, მაგრამ ახლა რომ მახსენდება, ძალიან მრცხვენია. ნატა, ფოთი“.

„ერთხელ, სამზე მეტი რომ დაველიე, ჩემს შეყვარებულს ყველა ახლო ნათესავი „მოვუციტხე“. ისე, მარტო სიმთვრალის ბრალიც არ იყო. მთელი 3 წელი სიყვარულს მეფიცებოდა და როცა საჭირო იყო, მაშინ არ თქვა, მიყვარხარო. ახლა კიდევ, რომ დავლევ, სიგაჟედ მეწაბრება. ირა, ვიცი, გიყვარვარ და მეც ვეღარ ვძლებ უშენოდ. შენი შურიანი დაქალების ბრალია ჩვენი დაშორება. მიყვარხარ და მუდამ მეყვარები“.

„მარი, ეს მესიჯი დამიბეჭდე და პირობას გაძლე, მეორედ აღარ გთხოვ. მინდა, ჩემს დედის მოვეფერო, რომელიც ესპანეთშია და 2 წელია, არ მინახავს. დე, ძალიან მენატრები და მიყვარხარ. გაირდები, რომ სამზე მეტს აღარ დავლევ და აღარ ვიტყვებ. გთხოვ, მალე ჩამოდი, რა! სვანი“.

„ცხოვრებაში პირველად დავთვერი გუშინ. დავთვერი ზუსტად 3 ჭიქით. ამის მერე ჩემმა სიხარულმა ჩამიგდო ხელში და მაკოცა. ფხიზელს ვერ გამიბედა და... ახლა კი, ერთი სული მაქვს, კიდევ როდის მაკოცებს. იკუთუშ! უფრო მიყვარხარ! პატარა ბ.ა.ლი.“

„ახლა ხელში „გზა“ მიჭირავს და მეცინება, რადგან ჩემი პირველივე მესიჯი გამოგქეცვნიებია. არ მეგონა, თუ გამომართლებდა. ჯიგარი ხარ! მარი“.

„მე თქვენი ერთგული და მუდმივი მკითხველი ვარ და თქვენი წყალობით, უსაყვარლესი ადამიანი დავიბრუნე. მარი, გასხვავს, 2 წლის წინ შეგპირდი, ქორწილში დაგპატიუებ-მეთქი?.. მერე მე



უცხოეთში წავედი სასწავლებლად. როცა დავბრუნდი, გიო გარდაცვლილი დამხვდა. ლამის მეც მოკვდი... არ ვიცი, ამას რატომ გიყვები, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ მაყრობას დაგპირდი და ვერ აგისრულე. მარი, იცი, გიო რას მეუბნებოდა?.. მარის ვთხოვთ და შვილი მოგვინათლოსო. მაგრამ მომიკლეს ჩემი გიო... მარი, მაპატიე. ნინი, ქუთაისიდან“.

„როცა „გზას“ მე ხელში ვიჭერ/ მეუფლება განცდა დიდი/ გადაფურცლავ თქვენს „გზავნილებს“/ ღიმილს მომგვრის თქვენი ნიჭი/ ზოგს კი სჯერა, ზოგსაც — არა/ ჩვენი ყოფა ამ ფურცლებზე/ ვისაც გჯერათ, ნაიკითხეთ/ ვისაც არა — გადაფურცლეთ/ ჩემო მარი, მე შენ გეტყვი/ არ ავარდე ზოგ გომიზე/ გააგრძელე შენი საქმე/ როგორც გული გიკარნახებს/ მე კი ვჯერა „გზავნილების“/ დავიჯერებ ყველა სტრიქონს/ მაგრამ ერთი პრობლემა მაქვს/ დამიბეჭდე ამას, ვითომ? ჰადესი“.

„ძალიან მიყვარს 3 რამ. ერთი — ახალი წელი, იმიტომ, რომ ბედნიერებას ველი, მეორე — „გზავნილები“, იმიტომ, რომ ძალიან მახალისებს და მესამე — ჩემი ბებო, ლალი ახვლედიანი.

ვიცი“.

„ეჰ... ფეხსაცმელი დავკარგე გზაში. მართლაც, კარგი ნათქვამია — 3 დალიე და შეგვერებაო“.

„მე — არა, მაგრამ ჩემმა დაქალმა რომ სამზე მეტი დალია, მე და ნატო ლამის გვცემა. იცით, რატომ?.. თუ თიყუში რატომ მოკალიო? ის გაბრაზებული იყო, ჩვენ ვიცინოდით და ამაზე „აინენა“. დანა აილო და რომ არ მიმესწრო, ვენებს იჭრიდა. მერე ნატოს ეუბნებოდა — თუ ამაღამ თავი მოვიკალი, შენ დაგბრალდებაო. ბევრი ფერების შემდეგ, ძლივს დავანყარეთ და დაიძინა. მაი, ხომ იცი, ძალიან მიყვარხარ და ვინც შენ გაგაბრაზებს, ჩემთან ექნება საქმე. ნანა, რუსთავიდან“.

„მარიო! უიღბლობის წამალი არ იცი? მალე გავრეკავ და მერე ასათიანიდან „დაგიქემესებ“ ხოლმე. ახალ წელს ვერ ვიტან, რადგან ყოველი ახალი წლის წინადღეს ბედი დამცინის. აი, ახლაც, ცხოვრებაში პირველად, 3-თვიანი ფიქრის შემდეგ პაემანზე წავედი. მას კი სწორედ იმ დროს, ნათესავი ავარიაში დაეღუპა და ვერ მოვიდა. დავრჩი „გალიმებული“ და გაყინული. აბაა! ჰოდა, ახლა გადავწყვიტე, რომ წელს, 12-ს რომ ერთი ნუთი დააკლდება, დავიძინო. არც სამს დავლევ და არც — ერთს. თქვენ კი ყველას გილოცავთ! იდუმალი ბოშა ქალი“.

„მარიკო, ქალო, არ გინდა, ჩემი თოვლის ბებია იყო და ერთი ნატვრა ამისრული? მე ვიცინებო „გზის“ უურნალისტობაზე. მოდი, ერთი გვერდი თინეიჯერებს მივუძღვნათ. ისეთ ამბებს დავწერ, გადაირევა ხალხი. კარდაკარ ვივლი ხოლმე და ცხელ-ცხელ ამბებს დავბეჭდავთ. ჰა, რას იტყვი? აი, სამსახურიანი სტუდენტი რომ გავხდები, სამი კი არა, 10-იც რომ დაველიო, შემერგება. ქურდების რისხვა“.

„გასულ ზაფხულს ერთი ბიჭი გავიცანი. 6 ნომერ სამარშრუტო ტაქსიში გვერდით მომიჯდა და მთელი გზა თვალი არ მოუშორებია ჩემთვის. გაჩერებაზე ჩემთან ერთად ჩამოვიდა. ტელეფონის ნომერი მთხოვა. აპოლონივით ლამაზი იყო და უარი არ ვუთხარი. 6 წელია, გათხოვილი ვარ. ქმარი საძინებელში მელოდა, მე კი აბაზანაში ვიჯექი და ნიკას ვუმესიჯებდი. ერთ კვირაში შევხვი რკინიგზელთა ბაღში. დღესაც არ ვიცი, რისთვის? ერთი, საკუთარ თავზე შეყვარებული მამლაყინნა აღმოჩნდა. როგორ მრცხვენია ჩემი ქმრის!.. ეს როგორ მომივიდა, არ ვიცი. ლინა“.

„მარი, მართალია, წინა მესიჯი არ დამიბეჭდე, მაგრამ არ გებუტები. 1 წლის წინ ჩემი დაქალის დაბადების დღეზე წავედი. ჰოოდა, ისეთი „პონტი“ დამხვდა, დაბადების დღე იყო თუ პანაშვი-



დი, ვერ გაიგებდი. ადგილი და სმა დავინწყე. თავიდან, ვითომ არაფერი, მაგრამ გარეთ რომ გამოვედი და ყველაფერი რომ დატრიალდა; მაშინ უნდა გენახათ სერი. ახლაც მწარედ მახსოვს ის დრო. მეორე დღეს კი... გაფრთხილებთ, სამზე მეტს თუ დავლევთ, ჩემსავით უნიტაზს „შეეზრდებით“. ილინი“.

„როცა სამ ჭიქაზე მეტი დავლიე, ჩემს საყვარელ ადამიანს დავნებდი, მაგრამ ამას არ ვნანობ, რადგან ბედნიერი ვარ. მის ქუთაისი“.

„აუ, მარი, ვერ წარმოიდგენ, როგორ მიშლი ნერვებს! რა არის, ქალო, ამდენ უაზრო მესიჯს რომ ბეჭდავ და ჩემებს მიღებად 2 წუთით ადრე რომ შლი?! მაგრამ მაინც რომ მიყვარხარ, ნეტავ, რისი ბრალია?“

„ისეთი კარგი სიმთვრალე მაქვს, რომ ნუ იტყვით. ერთხელ დავლიე, გამოსაშვები ბანკეტის მეორე დღეს და ჩემს კლასელ ბიჭს ავუშარდი, რომელმაც წინადღეს სიყვარული ამიხსნა. ბიჭი გამოვამტერე, ისე გავურჩიე საქმეები. არადა, რაც მაშინ ვუთხარი, იმას სიფხიზლეში ვერ ვეტყობდი. მერე ბოდიში კი მოვუხადე, მაგრამ ახლა, როცა კლასელები ვიკრიბებით, ის ბიჭი აღარ მოდის ხოლმე. ალბათ, მაგრად შევაშინე. ლოლა“.

„მარიკუნა, მეც ჟურნალისტი ვარ, მარი მიქვია და სვანი მიყვარს. ეჰ, ბედი არ გინდა? მაინცდამაინც მე უნდა შემხვედროდა სვანი?! გამაწამა, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად მიყვარს“.

„ვარ 16 წლის, გათხოვილი და მყავს ერთი წლის შვილი. ვცხოვრობ ბათუმში. ჩათში გავიცანი თბილისელი ბიჭი, რომელიც ძალიან მომეწონა და მობილური ჩემს ნომერი მივეცი. ხშირად ვმესიჯობთ. მან ჩემ შესახებ ყველაფერი იცის. ერთმანეთს იანვარში უნდა შევხვდეთ. საბა ძალიან შემეყვარდა და თუ ჩვენ შორის სერიოზული გრძნობა გაჩნდება, უკან არაფერზე დავიხეხ“.

„ათენში ვცხოვრობ. ერთ დღეს, მეგობრები ქართულ რესტორანში წავედი. იქ გავიცანი ერთი მამაკაცი, რომელიც თურმე, შორიდან მიცნობდა და ჩემს აბზებს კითხულობდა. თურმე, „დაუსწრებლად“, ვყვარებივარ კიდევ. ახლა მეც შემეყვარდა. არავინ თქვას, რომ ბედი არ არსებობს“.

„სამზე მეტი რომ დავლიე, იმიტომ ავცდი ჩემს სახლს და დიდუბეში აღმოჩნდი. ეჰ, ნეტავ გამახსენა, რაზე ვფიქრობდი მაშინ! შოკო“.

„სამი დავლიე, შემერგო, / მეოთხე მქონდა მიზანი, / თამადამ გამდომანოდა / გავსილი ყანწი, რქისანი / არ დამელია? ეგ როგორ? / ავეყვი ღვინის ცდუნებას / დავლიე დიდი სასმისი / გადავრჩი გადაბრუნებას / რომ მანოდებდა მეორეს, / მაშინ თვლები დავქაჩე / ის ყანწი მაინც დავლიე / მერე კი, ველარ „ტაკვაჩე“. „სტიკია“.

„სამ ჭიქაზე მეტი რომ დავლიე, ისეთი „ბუხი“ ვიყავი, რომ ნაცნობსა თუ

